

# **ზოგადი ადვინისტრაციული კოდექსის საკითხები**

კრებულში გამოქვეყნებულია ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისა და სამართლის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები. ამ და სხვა საქმეთა მოძებნა შესაძლებელია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებ-გვერდზე: [http://www.supremecourt.ge/default.aspx?sec\\_id=133&lang=1](http://www.supremecourt.ge/default.aspx?sec_id=133&lang=1)

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი  
**ადმინისტრაციულ საქმეებზე**  
2017, №8

Decisions of the Supreme Court of Georgia  
**on Administrative Cases**  
(in Georgian)  
2017, №8

Entscheidungen des Obersten Gerichts von Georgien  
**in Verwaltungssachen**  
(in der georgischen Sprache)  
2017, №8

Решения Верховного Суда Грузии  
**по административным делам**  
(на грузинском языке)  
2017, №8

გადაწყვეტილებების შერჩევასა  
და დამუშავებაზე პასუხისმგებელი **ლიანა ლომიძე**

ტექნიკური რედაქტორი **მარიკა მაღალაშვილი**

**რედაქციის მისამართი:** 0110, თბილისი, ძმები ზუბალაშვილების  
ქ. №32, ტელ: 298-21-03; [www.supremecourt.ge](http://www.supremecourt.ge)

**ჟურნალი გამოდის საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და  
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო  
სასამართლოების დეპარტამენტის მხარდაჭერით**

# 1. ადმინისტრაციული აქტის კანონიერების შემოწმება სასამართლოს მიერ

## სასაქონლო ნიშნის საყოველთაოდ ცნობილად აღიარება

### განჩინება

№ბს-617-604(კ-14)

4 ივნისი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. სხირტლაძე,  
ლ. მურუსიძე

**დავის საგანი:** ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამარ-  
თლებრივი აქტების ბათილად ცნობა; ახალი ინდივიდუალურ ად-  
მინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება;  
სასაქონლო ნიშნის საყოველთაოდ ცნობილად აღიარება

#### აღწერილობითი ნაწილი:

2013 წლის 9 აგვისტოს სს „სადაზღვევო კომპანია ა-მ“ სა-  
სარჩელო განცხადებით მიმართა მცხეთის რაიონულ სასამარ-  
თლოს, მოპასუხე სსიპ – საქართველოს ინტელექტუალური სა-  
კუთრების ეროვნული ცენტრი – „საქპატენტის“ მიმართ.

მოსარჩელემ სსიპ – საქართველოს ინტელექტუალური სა-  
კუთრების ეროვნული ცენტრი – „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშ-  
ნების და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფრო-  
სის 2013 წლის 15 იანვრის №13/03 და №14/03 ბრძანებების, სსიპ  
„საქპატენტის“ სააპელაციო პალატის თავმჯდომარის 2013 წლის  
8 ივლისის №299 და №300 ბრძანებების, სსიპ „საქპატენტთან“  
არსებული სააპელაციო პალატის კოლეგიის 2013 წლის 2 ივლი-  
სის №79-03/13 და №80-03/13 გადაწყვეტილებების ბათილად  
ცნობა, სსიპ „საქპატენტისთვის“ ახალი ინდივიდუალურ ადმი-  
ნისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემის დავალება  
(რომლითაც სასაქონლო ნიშნები „IMEDI L International“ (საიდენ-  
ტიფიკაციო №70166/03) და „იმედი ელ ინტერნეიშენალი“ (საი-  
დენტიფიკაციო №70165/03) დარეგისტრირდებოდა განცხადე-  
ბული საქონლისა და მომსახურების სრული ჩამონათვალის მი-  
მართ) და სასაქონლო ნიშნების „IMEDI L International-ის“ (საი-  
დენტიფიკაციო №70166/03) და „იმედი ელ ინტერნეიშენალის“

(საიდენტიფიკაციო №70165/03) საყოველთაოდ ცნობილ სასაქონლო ნიშნებად აღიარება მოითხოვა.

მოსარჩელის განმარტებით, მან განაცხადით მიმართა სსიპ ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრ „საქპატენტს“ და სასაქონლო ნიშნის „იმედი ელ ინტერნეიშენალის“ (სრული დასახელება: „იმედი L სს „საერთაშორისო სადაზღვევო კომპანია „ი.“, საიდენტიფიკაციო №70165/03) რეგისტრაცია მოითხოვა. სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის არსობრივი ექსპერტიზის 2013 წლის 15 იანვრის დასკვნის თანახმად, სასაქონლო ნიშნის „იმედი ელ ინტერნეიშენალის“ რეგისტრაციაზე არსებობდა „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული უარის თქმის საფუძველი 36-ე კლასის საქონლის ჩამონათვალის მიმართ, ვინაიდან, სარეგისტრაციოდ წარდგენილი სასაქონლო ნიშანი იყო დ. ბ-ის სახელზე რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნის „იმედი IMEDI“ (რეგისტრაციის თარიღი 28.06.2012 რეგისტრაციის №22683) მსგავსი 36-ე კლასის საქონლის სრული ჩამონათვალის მიმართ. დასკვნის თანახმად, განაცხადებულ ნიშანში სიტყვიერი აღნიშვნა „იმედი“ ემთხვევა დაპირისპირებულ ნიშანს და აღნიშნული ქმნიდა ნიშნებს შორის აღრევის და შესაბამისად, მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის შესაძლებლობას. აღნიშნული დასკვნის საფუძველზე, სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2013 წლის 15 იანვრის №14/03 ბრძანებით, სს „ა“-ს უარი ეთქვა სასაქონლო ნიშნის „იმედი ელ ინტერნეიშენალის“ (საიდენტიფიკაციო №70165/03) რეგისტრაციაზე 36-ე კლასის საქონლის ჩამონათვალის ნაწილში.

სს „ა“-მ ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2013 წლის 15 იანვრის №14/03 ბრძანება „საქპატენტის“ სააპელაციო პალატაში გაასაჩივრა და გასაჩივრებული ბრძანების ნაწილობრივ ბათილად ცნობა, სასაქონლო ნიშნის 36-ე კლასის საქონლის ჩამონათვალის მიმართ რეგისტრაცია და „იმედი ელ ინტერნეიშენალის“ (საიდენტიფიკაციო №70165/03) საყოველთაოდ ცნობილ სასაქონლო ნიშნად აღიარება მოითხოვა. „საქპატენტის“ სააპელაციო პალატის თავმჯდომარის 2013 წლის 8 ივლისის №299 ბრძანებით დამტკიცდა „საქპატენტის“ სააპელაციო პალატის 2 ივლისის №80-03/13 გადაწყვეტილება, რომლითაც სს „ა“-ს უარი ეთქვა საჩივრის დაკმაყოფილებაზე და „იმედი ელ ინტერნეიშენალის“ საყოველთაოდ ცნობილ სასაქონლო ნიშნად აღიარებაზე.

ამასთან, მოსარჩელის მითითებით სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის არსობრივი ექსპერტიზის 2013 წლის 15 იანვრის დასკვნის თანახმად, არსებობდა სასაქონლო ნიშნის „იმედი ელ ინტერნეიშენალის“ რეგისტრაციაზე „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული უარის თქმის საფუძველი 36-ე კლასის საქონლის ჩამონათვალის მიმართ, ვინაიდან, სარეგისტრაციოდ წარდგენილი სასაქონლო ნიშანი მსგავსი იყო დ. ბ-ის სახელზე რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნისა „იმედი IMEDI“ (რეგისტრაციის თარიღი 28.06.2012 რეგისტრაციის №22683) 36-ე კლასის საქონლის სრული ჩამონათვალის მიმართ. დასკვნის თანახმად, განცხადებულ ნიშანში სიტყვიერი აღნიშვნა „IMEDI“ ემთხვეოდა დაპირისპირებულ ნიშანს და აღნიშნული ქმნიდა ნიშნებს შორის აღრევის და შესაბამისად, მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის შესაძლებლობას. აღნიშნული დასკვნის საფუძველზე, სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2013 წლის 15 იანვრის №13/03 ბრძანებით სს „ა“-ის უარი ეთქვა სასაქონლო ნიშნის „იმედი ელ ინტერნეიშენალის“ (საიდენტიფიკაციო №70165/03) რეგისტრაციაზე 36-ე კლასის საქონლის ჩამონათვალის ნაწილში.

სს „ა“-მ ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2013 წლის 15 იანვრის №13/03 ბრძანება გაასაჩივრა „საქპატენტის“ სააპელაციო პალატაში და გასაჩივრებული ბრძანების ნაწილობრივ ბათილად ცნობა, 36-ე კლასის საქონლის ჩამონათვალის მიმართ სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია, ასევე „IMEDI L International“-ის (საიდენტიფიკაციო №70166/03) საყოველთაოდ ცნობილ სასაქონლო ნიშნად აღიარება მოითხოვა. „საქპატენტის“ სააპელაციო პალატის თავმჯდომარის 2013 წლის 8 ივლისის №300 ბრძანებით დამტკიცდა „საქპატენტის“ სააპელაციო პალატის 2 ივლისის №79-03/13 გადაწყვეტილება, რომლითაც სს „ა“-ს უარი ეთქვა საჩივრის დაკმაყოფილებაზე და „IMEDI L International“-ის საყოველთაოდ ცნობილ სასაქონლო ნიშნად აღიარებაზე.

მოსარჩელის მოსაზრებით, სადავო ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები იყო უკანონო, რადგან დაპირისპირებულ სასაქონლო ნიშნებს შორის არსებული ფონეტიკური მსგავსების მიუხედავად, ნიშნები განსხვავებული იყო ვიზუალურად იმდენად, რომ ისინი მომხმარებელზე ინვესტინგის განსხვავებულ შთაბეჭდილებას, რასაც გადამწყვეტი მნიშ-

ვენლობა ჰქონდა. ამასთან, მოსარჩელის აზრით, არსებობდა სასაქონლო ნიშნების – „IMEDI L International“-ის (საიდენტიფიკაციო №70166/03) და „იმედი ელ ინტერნეიშენალის“ (საიდენტიფიკაციო №70165/03) საყოველთაოდ ცნობილ სასაქონლო ნიშნებად აღიარების საფუძველი „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად.

მცხეთის რაიონული სასამართლოს 2013 წლის 14 აგვისტოს განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე საქმეში მე-სამე პირად ჩაება დ. ბ-ძე.

მცხეთის რაიონული სასამართლოს 2013 წლის 16 დეკემბრის გადაწყვეტილებით სს „ა“-ის სარჩელი დაკმაყოფილდა; ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნების და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2013 წლის 15 იანვრის №13/03 და №14/03 ბრძანებები, „საქპატენტის“ სააპელაციო პალატის თავმჯდომარის 2013 წლის 8 ივლისის №300 ბრძანება და ამ ბრძანებით დამტკიცებული „საქპატენტის“ სააპელაციო პალატის 2013 წლის 2 ივლისის №79-03/13 გადაწყვეტილება, „საქპატენტის“ სააპელაციო პალატის თავმჯდომარის 2013 წლის 8 ივლისის №299 ბრძანება და ამ ბრძანებით დამტკიცებული „საქპატენტის“ სააპელაციო პალატის 2013 წლის 2 ივლისის №80-03/13 გადაწყვეტილება; სსიპ „საქპატენტს“ დაევალა ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემა, რომლითაც სს „ა“-ს სასაქონლო ნიშანი „IMEDI L International“ (საიდენტიფიკაციო №70166/03) და „იმედი ელ ინტერნეიშენალი“ (საიდენტიფიკაციო №70165/03) დარეგისტრირდებოდა განცხადებული საქონლის სრული ჩამონათვალის მიმართ; სასაქონლო ნიშნები „IMEDI L International“ (საიდენტიფიკაციო №70166/03) და „იმედი ელ ინტერნეიშენალი“ (საიდენტიფიკაციო №70165/03) აღიარებულ იქნა საყოველთაოდ ცნობილ სასაქონლო ნიშნებად.

რაიონულმა სასამართლომ საქმის მასალებით დადგენილად მიიჩნია ის გარემოება, რომ დ. ბ-ე იყო რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნის – „იმედი IMEDI“ მფლობელი (რეგისტრაციის თარიღი 28.06.2012, რეგისტრაციის №22683), რომელსაც 36-ე კლასის საქონლის სრული ჩამონათვალის მიმართ საქართველოს ტერიტორიაზე დაცვა ჰქონდა მინიჭებული.

სს „ა“-მ განაცხადით მიმართა სსიპ ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრ „საქპატენტს“ და სასაქონლო ნიშ-

ნის „იმედი ელ ინტერნეიშენალის“ (სრული დასახელება: „იმედი L სს „საერთაშორისო სადაზღვევო კომპანია „ი.“, საიდენტიფიკაციო №70165/03) რეგისტრაცია მოითხოვა.

სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის არსობრივი ექსპერტიზის 2013 წლის 15 იანვრის დასკვნის თანახმად, სასაქონლო ნიშნის „იმედი ელ ინტერნეიშენალის“ რეგისტრაციაზე არსებობდა „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული უარის თქმის საფუძველი 36-ე კლასის საქონლის ჩამონათვალის მიმართ, ვინაიდან, სარეგისტრაციოდ წარდგენილი სასაქონლო ნიშანი იყო დ. ბ-ის სახელზე რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნის „იმედი IMEDI“ (რეგისტრაციის თარიღი 28.06.2012 რეგისტრაციის №22683) მსგავსი 36-ე კლასის საქონლის სრული ჩამონათვალის მიმართ. დასკვნის თანახმად, განცხადებულ ნიშანში სიტყვიერი აღნიშვნა „იმედი“ ემთხვეოდა დაპირისპირებულ ნიშანს და აღნიშნული ქმნიდა ნიშნებს შორის აღრევის და შესაბამისად, მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის შესაძლებლობას. აღნიშნული დასკვნის საფუძველზე, სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2013 წლის 15 იანვრის №14/03 ბრძანებით, სს „ა-ს“ უარი ეთქვა სასაქონლო ნიშნის „იმედი ელ ინტერნეიშენალის“ (საიდენტიფიკაციო №70165/03) რეგისტრაციაზე 36-ე კლასის საქონლის ჩამონათვალის ნაწილში.

სს „ა-მ“ ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2013 წლის 15 იანვრის №14/03 ბრძანება „საქპატენტის“ სააპელაციო პალატაში გაასაჩივრა და გასაჩივრებული ბრძანების ნაწილობრივ ბათილად ცნობა, სასაქონლო ნიშნის 36-ე კლასის საქონლის ჩამონათვალის მიმართ რეგისტრაცია და „იმედი ელ ინტერნეიშენალის“ (საიდენტიფიკაციო №70165/03) საყოველთაოდ ცნობილ სასაქონლო ნიშნად აღიარება მოითხოვა.

„საქპატენტის“ სააპელაციო პალატის თავმჯდომარის 2013 წლის 8 ივლისის №299 ბრძანებით დამტკიცდა „საქპატენტის“ სააპელაციო პალატის 2 ივლისის №80-03/13 გადაწყვეტილება, რომლითაც სს „ა-ს“ უარი ეთქვა საჩივრის დაკმაყოფილებაზე და „იმედი ელ ინტერნეიშენალის“ საყოველთაოდ ცნობილ სასაქონლო ნიშნად აღიარებაზე.

სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის არსობრივი ექსპერტიზის 2013 წლის 15 იანვრის დასკვნის თანახმად, არსებობდა სასაქონლო ნიშნის „იმედი ელ

ინტერნეიშენალის“ რეგისტრაციაზე „სასაქონლო ნიშნების შე-სახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული უარის თქმის საფუძველი 36-ე კლასის საქონ-ლის ჩამონათვალის მიმართ, ვინაიდან, სარეგისტრაციოდ წარ-დგენილი სასაქონლო ნიშანი მსგავსი იყო დ. ბ-ის სახელზე რე-გისტრირებული სასაქონლო ნიშნისა „იმედი IMEDI“ (რეგისტრა-ციის თარიღი 28.06.2012 რეგისტრაციის №22683) 36-ე კლასის საქონლის სრული ჩამონათვალის მიმართ. დასკვნის თანახმად, განცხადებულ ნიშანში სიტყვიერი აღნიშვნა „IMEDI“ ემთხვეო-და დაპირისპირებულ ნიშანს და აღნიშნული ქმნიდა ნიშნებს შო-რის აღრევის და შესაბამისად, მომხმარებლის შეცდომაში შეყ-ვანის შესაძლებლობას.

აღნიშნული დასკვნის საფუძველზე, სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2013 წლის 15 იანვრის №13/03 ბრძანებით სს „ა-ის“ უარი ეთქვა სასა-ქონლო ნიშნის „იმედი ელ ინტერნეიშენალის“ (საიდენტიფიკა-ციო №70165/03) რეგისტრაციაზე 36-ე კლასის საქონლის ჩამო-ნათვალის ნაწილში.

სს „ა“- მ ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენ-ტრი „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2013 წლის 15 იანვრის №13/03 ბრძანება გაასაჩივრა „საქპატენტის“ სააპელაციო პა-ლატაში და გასაჩივრებული ბრძანების ნაწილობრივ ბათილად ცნობა, 36-ე კლასის საქონლის ჩამონათვალის მიმართ სასაქონ-ლო ნიშნის რეგისტრაცია, ასევე „IMEDI L International“-ის (საი-დენტიფიკაციო №70166/03) საყოველთაოდ ცნობილ სასაქონ-ლო ნიშნად აღიარება მოითხოვა.

„საქპატენტის“ სააპელაციო პალატის თავმჯდომარის 2013 წლის 8 ივლისის №300 ბრძანებით დამტკიცდა „საქპატენტის“ სააპელაციო პალატის 2 ივლისის №79-03/13 გადაწყვეტილება, რომლითაც სს „ა-ის“ უარი ეთქვა საჩივრის დაკმაყოფილებაზე და „IMEDI L International“-ის საყოველთაოდ ცნობილ სასაქონ-ლო ნიშნად აღიარებაზე.

რაიონულმა სასამართლომ მიუთითა საქმეში წარმოდგენილ საქართველოს ეროვნული ბანკის არასაბანკო დაწესებულებე-ბის ზედამხედველობის დეპარტამენტის უფროსის 2013 წლის 21 თებერვლის №2-14/576-13 წერილზე, რომლის თანახმად, სა-დაზღვევო კომპანია „ი.“-ს 2008 წელში გაცემული ჰქონდა 265392 პოლისი და სულ დაზღვეული ჰყავდა 309161 ადამიანი, 2009 წელს გაცემული ჰქონდა 273117 პოლისი და სულ დაზღვეული ჰყავდა 302569 ადამიანი, 2010 წელს გაცემული ჰქონდა 272569



პოლისი და სულ დაზღვეული ჰყავდა 543272 ადამიანი, 2011 წელს გაცემული ჰქონდა 196784 პოლისი და სულ დაზღვეული ჰყავდა 360933 ადამიანი, 2012 წელს გაცემული ჰქონდა 256030 პოლისი და სულ დაზღვეული ჰყავდა 346497 ადამიანი. ამავე წერილის თანახმად, პირველი ჩანაწერი სადაზღვევო საქმიანობასთან დაკავშირებით ფიქსირდებოდა 1998 წლის 16 იანვარს.

საქმეში წარმოდგენილი „ი“-ის ცნობადობის კვლევის თანახმად, კვლევა ჩატარდა საქართველოს 4 ქალაქში თბილისში, ზუგდიდში, ბათუმში და თელავში. კვლევის თანახმად, სადაზღვევო კომპანია „ი“-ს ზოგადი ცნობადობა იყო 61%. ამავე კვლევის თანახმად, გამოკითხულთა 11%-მა მიიჩნია, რომ სასაქონლო ნიშანი „იმედი L“ და „იმედი“ ერთიდაიგივე კომპანიას ეკუთვნოდა, ხოლო 85%-მა მიიჩნია, რომ სხვადასხვა კომპანიას ეკუთვნოდა.

რაიონულმა სასამართლომ ასევე დადგენილად მიიჩნია, რომ მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან 2012 წლის 16 ნოემბრის ამონაწერის თანახმად, 2012 წლის 16 ნოემბერს განხორციელდა სს „საერთაშორისო სადაზღვევო კომპანია „ი...“ შერწყმა სს „სადაზღვევო კომპანია ა...“. საქმეში წარმოდგენილი სს „საერთაშორისო სადაზღვევო კომპანია „ი.“ ჩვეულებრივი აქციების და ხმების 100% მფლობელის – სს „სადაზღვევო კომპანია „ა...“ 2012 წლის 13 ნოემბრის გადაწყვეტილებით განხორციელდა სს „საერთაშორისო სადაზღვევო კომპანია „ი...“ შერწყმა სს „სადაზღვევო კომპანია „ა...“, სს „საერთაშორისო სადაზღვევო კომპანია „ი.“ სს „სადაზღვევო კომპანია „ა“-ათვის მიერთების გზით. აღნიშნული დოკუმენტები ადასტურებდა, რომ სს „სადაზღვევო კომპანია „ა...“ იყო სს „საერთაშორისო სადაზღვევო კომპანია „ი...“-ს უფლებამონაცვლე.

რაიონულმა სასამართლომ მიუთითა „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველ პუნქტზე, რომლის თანახმად, სასაქონლო ნიშანი იყო სიმბოლო ან სიმბოლოთა ერთობლიობა, რომელიც გამოისახებოდა გრაფიკულად და განასხვავებდა ერთი საწარმოს საქონელს ან/და მომსახურებას მეორე საწარმოს საქონლისა ან/და მომსახურებისაგან. ამავე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, საქართველოში საყოველთაოდ ცნობილი სასაქონლო ნიშნები დაცული იყო რეგისტრაციის გარეშე, პარიზის კონვენციის მე-6bis მუხლის შესაბამისად. სასაქონლო ნიშნის საყოველთაოდ ცნობილად აღიარება ხდებოდა „საქპატენტის“ სააპელაციო პალატის ან სასამართლოს მიერ, მისი კომპეტენციის ფარგლებში, დაინტერე-

სებული პირის მოთხოვნით.

„სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლით განსაზღვრული იყო რეგისტრაციით დაცულ სასაქონლო ნიშანზე მისი მფლობელის უფლებები. კერძოდ, მითითებული მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, განსაკუთრებული უფლების მქონე პირს შეეძლო აეკრძალა მესამე პირისათვის, მისი თანხმობის გარეშე სამოქალაქო ბრუნვაში გამოეყენებინა ისეთი ნიშანი, რომელიც განსაკუთრებული უფლების მქონე პირის დაცული სასაქონლო ნიშნის: ა) იდენტური იყო და საქონელიც იდენტური იყო; ბ) იდენტური იყო, ხოლო საქონელი იმდენად მსგავსი იყო, რომ ჩნდებოდა ამ ნიშნების აღრევის, მათ შორის, ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობა; გ) მსგავსი იყო, ხოლო საქონელი იდენტური ან იმდენად მსგავსი, რომ ჩნდებოდა ამ ნიშნების აღრევის, მათ შორის, ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობა; დ) იდენტური ან მსგავსი იყო და დაცული იყო სასაქონლო ნიშნის საქართველოში კარგი რეპუტაციის გამო, ამ ნიშნის გამოყენება მესამე პირს დაუმსახურებლად უქმნიდა ხელსაყრელ პირობებს ან ზიანს აყენებდა სასაქონლო ნიშნის რეპუტაციას ან მის განმასხვავებელუნარიანობას.

რაიონულმა სასამართლომ განმარტა, რომ „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლით განსაზღვრული იყო რეგისტრაციაზე უარის თქმის შედარებითი საფუძვლები, რომლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, სასაქონლო ნიშანი არ რეგისტრირდებოდა, თუ იგი მესამე პირის სახელზე რეგისტრირებული, უფრო ადრინდელი პრიორიტეტის მქონე სასაქონლო ნიშნის მსგავსი იყო, ხოლო საქონელი – იდენტური ან იმდენად მსგავსი, რომ ჩნდებოდა ამ სასაქონლო ნიშნების აღრევის, მათ შორის, ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობა.

საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს 1999 წლის 23 აგვისტოს №63 ბრძანებით დამტკიცებული „სასაქონლო ნიშანზე განაცხადის წარდგენისა და რეგისტრაციასთან დაკავშირებული პროცედურების შესახებ“ ინსტრუქციის მე-18 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, სიმბოლოებს შორის მსგავსების დადგენისას „ექსპერტიზას უნდა გაეთვალისწინებინა სიმბოლოების სმენითი (ფონეტიკა, მუსიკალური ჟღერადობა), მხედველობითი (გრაფიკა, ფერთა შეთანხმება), აზრობრივი (სემანტიკა, არსი) მსგავსება. სიმბოლოების შედარებისას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა საერთო შთაბეჭდილებას“. ამავე წესის ზოგადი დებულების მე-4 პუნქტის თანახმად, საქართველოში საყოველთაოდ ცნობილი სასაქონლო ნიშნები დაცული იყო რე-

გისტრაციის გარეშე პარიზის კონვენციის 6<sup>ბის</sup> მუხლის შესაბამისად.

პარიზის კონვენციის 6bis მუხლის შესაბამისად შემუშავებული 1999 წლის 20-29 სექტემბერის პარიზის კონვენციის ქვეყნების გაერთიანებული ასამბლეის და ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის დამტკიცებული „საყოველთაოდ ცნობილი სასაქონლო ნიშნების დაცვის შესახებ ერთიანი რეკომენდაციების“ თანახმად, კომპეტენტურ ორგანოს მხედველობაში უნდა მიეღოს ნებისმიერი გარემოება. რომლითაც შეიძლება დადგენილიყო ნიშნის საყოველთაოდ ცნობადობა, მათ შორის: 1. საზოგადოების შესაბამის სექტორში ნიშნის ცნობილობის ხარისხი; 2. ნიშნის გამოყენების ხანგრძლივობა და მისი გავრცელების გეოგრაფიული არეალი; 3. საზოგადოებისათვის ნიშნის გაცნობის ხელშემწყობი ღონისძიებები.

რაიონულმა სასამართლომ მიუთითა, რომ როგორც დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებში აღინიშნა, საქართველოს ეროვნული ბანკის არასაბანკო დაწესებულებების ზედამხედველობის დეპარტამენტის უფროსის 2013 წლის 21 თებერვლის №2-14/576-13 წერილის თანახმად, სადაზღვევო კომპანია „ი...“-ს 2008 წელში გაცემული ჰქონდა 265392 პოლისი და სულ დაზღვეული ჰყავდა 309161 ადამიანი, 2009 წელს გაცემული ჰქონდა 273117 პოლისი და სულ დაზღვეული ჰყავდა 302569 ადამიანი, 2010 წელს გაცემული ჰქონდა 272569 პოლისი და სულ დაზღვეული ჰყავდა 543272 ადამიანი, 2011 წელს გაცემული ჰქონდა 196784 პოლისი და სულ დაზღვეული ჰყავდა 360933 ადამიანი, 2012 წელს გაცემული ჰქონდა 256030 პოლისი და სულ დაზღვეული ჰყავდა 346497 ადამიანი.

რაიონულმა სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ ჯერ კიდევ 2010 წელს სასაქონლო ნიშანს „იმედი ელ ინტერნეიშენალს“ დაზღვეული ჰყავდა ნახევარ მილიონზე მეტი (543272) ადამიანი, ამასთან 2011 წელში დამატებით გაიცა 196784 პოლისი, ხოლო 2012 წელს გაიცა 256030 პოლისი.

რაიონულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ ქვეყანაში, სადაც სულ რამდენიმე მილიონი ადამიანი ცხოვრობდა, სადავო სასაქონლო ნიშნების ქვეშ ნახევარ მილიონზე მეტი (543272) ადამიანის დაზღვევა ამ ნიშნის საყოველთაოდ ცნობილ სასაქონლო ნიშნად აღიარების საფუძველს წარმოადგენდა. ამასთან, გასათვალისწინებელი იყო ის გარემოება, რომ საქმეში წარმოდგენილი კვლევის თანახმად ეს ნიშნები ცნობილი იყო მოსახლეობის, იმ ნაწილშიც ვინც არ იყო დაზღვეული.

რაიონულმა სასამართლომ მიუთითა საქმეში წარმოდგენილ

„ი...“-ს ცნობადობის კვლევაზე, რომლის თანახმად კვლევა ჩატარდა საქართველოს 4 ქალაქში თბილისში, ზუგდიდში, ბათუმში და თელავში. კვლევის თანახმად, სადაზღვევო კომპანია „ი...“-ს ზოგადი ცნობადობა იყო 61%. სასამართლომ მიიჩნია, რომ აღნიშნული მტკიცებულება იმ გარემოებასთან ერთად, რომ სადავო სასაქონლო ნიშნების ქვეშ ნახევარ მილიონზე მეტი (543272) ადამიანი იყო დაზღვეული, ადასტურებდა იმ ფაქტს, რომ სადავო სასაქონლო ნიშნები იყო საყოველთაოდ ცნობილი. მითუმეტეს 2012 წელს 346497 ადამიანი კვლავ ამ ნიშნების ქვეშ იყო დაზღვეული.

რაიონულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ გასათვალისწინებელი იყო ის გარემოებაც, რომ საქართველოს ეროვნული ბანკის არასაბანკო დაწესებულებების ზედამხედველობის დეპარტამენტის უფროსის 2013 წლის 21 თებერვლის №2-14/576-13 წერილის თანახმად, პირველი ჩანაწერი სადაზღვევო საქმიანობასთან დაკავშირებით ფიქსირდებოდა 1998 წლის 16 იანვარს. ამდენად, სადაზღვევო კომპანიის „ი...“-ის სადაზღვევო ბაზარზე 16 წლიანმა საქმიანობამ, მისი კუთვნილი სასაქონლო ნიშნების საყოველთაოდ ცნობადობის მაღალი მაჩვენებელი გამოიწვია.

რაიონულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელის და დ. ბ-ის სასაქონლო ნიშნებს შორის არსებობდა გარკვეული მსგავსება, მაგრამ მესამე პირზე რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნის არსებობა ვერ დააბრკოლებდა საყოველთაოდ ცნობილი სასაქონლო ნიშნების რეგისტრაციას, ვინაიდან, „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, არსებობდა სასაქონლო ნიშნების – „IMEDI L International“-ის (საიდენტიფიკაციო №70166/03) და „იმედი ელ ინტერნეიშენალის“ (საიდენტიფიკაციო №70165/03) საყოველთაოდ ცნობილ სასაქონლო ნიშნებად აღიარების საფუძველი.

რაიონულმა სასამართლომ მიუთითა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60<sup>1</sup> მუხლის პირველი ნაწილზე და მიიჩნია, რომ მოსარჩელის მიერ სადავოდ ქცეული აქტები გამოცემული იყო „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის არასწორი განმარტებით და გამოყენებით, შესაბამისად, არსებობდა მათი ბათილად ცნობის და სსიპ ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი „საქპატენტისათვის“ განცხადებული საქონლის სრული ჩამონათვალის მიმართ სს „ა.“ სასაქონლო ნიშანი „IMEDI L International“-ის (საიდენტიფიკაციო №70166/03) და „იმედი ელ ინტერნეიშენალი“-ის (საიდენტიფიკაციო №70165/03) რეგისტრაციის შესახებ ახალი ინ-

დივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემის დავალდებულების საფუძველი; ამასთან, სასაქონლო ნიშნები „IMEDI L International“ (საიდენტიფიკაციო №70166/03) და „იმედი ელ ინტერნეიშენალი“ (საიდენტიფიკაციო №70165/03) საყოველთაოდ ცნობილ სასაქონლო ნიშნებად უნდა აღიარებულიყო.

მცხეთის რაიონული სასამართლოს 2013 წლის 16 დეკემბრის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა სსიპ „საქპატენტმა“, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 21 მაისის გადაწყვეტილებით სსიპ „საქპატენტის“ სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; მცხეთის რაიონული სასამართლოს 2013 წლის 16 დეკემბრის გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; სს „სადაზღვევო კომპანია „ა...“-ს სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის“ სააპელაციო პალატის 2013 წლის 2 ივლისის №79-03/13 და 2013 წლის 2 ივლისის №80-03/13 გადაწყვეტილებები სს „სადაზღვევო კომპანია „ა“-ს მიერ მოთხოვნილი სასაქონლო ნიშნების „IMEDI L International“ (საიდენტიფიკაციო №70166/03) და „იმედი ელ ინტერნეიშენალის“ (საიდენტიფიკაციო №70165/03) საყოველთაოდ ცნობილ სასაქონლო ნიშნებად აღიარებაზე უარის თქმის ნაწილში და სსიპ ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრს საქმის გარემოებათა გამოკვლევის და შეფასების შემდეგ, გადაწყვეტილების ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემა დაევალა; ბათილად იქნა ცნობილი სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის“ სააპელაციო პალატის თავმჯდომარის 2013 წლის 8 ივლისის №300 და 2013 წლის 8 ივლისის №299 ბრძანებები, იმ ნაწილებში, რომლითაც დამტკიცდა „საქპატენტის“ სააპელაციო პალატის 2013 წლის 2 ივლისის №79-03/13 და 2013 წლის 2 ივლისის №80-03/13 გადაწყვეტილებები სს „სადაზღვევო კომპანია „ა“-ს მიერ მოთხოვნილი სასაქონლო ნიშნების „IMEDI L International“ (საიდენტიფიკაციო №70166/03) და „იმედი ელ ინტერნეიშენალის“ (საიდენტიფიკაციო №70165/03) საყოველთაოდ ცნობილ სასაქონლო ნიშნებად აღიარებაზე უარის თქმის

შესახებ; სს „სადაზღვევო კომპანია „ა.“-ს სასარჩელო მოთხოვნა სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის“ 2013 წლის 15 იანვრის №13/03 და 2013 წლის 15 იანვრის №14/03 ბრძანებების ბათილად ცნობის შესახებ არ დაკმაყოფილდა; სს „სადაზღვევო კომპანია „ა...“-ს სასარჩელო მოთხოვნა „საქპატენტის“ 2013 წლის 15 იანვრის №13/03 ბრძანების და „საქპატენტის“ 2013 წლის 15 იანვრის №14/03 ბრძანების ძალაში დატოვების ნაწილში სსიპ ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის“ სააპელაციო პალატის 2013 წლის 02 ივლისის №79-03/13 გადაწყვეტილების, ამავე პალატის თავმჯდომარის 2013 წლის 08 ივლისის №300 ბრძანების, „საქპატენტის“ სააპელაციო პალატის 2013 წლის 2 ივლისის №80-03/13 გადაწყვეტილების, ამავე პალატის თავმჯდომარის 2013 წლის 8 ივლისის №299 ბრძანების ბათილად ცნობის შესახებ არ დაკმაყოფილდა; სს „სადაზღვევო კომპანია „ა.“-ს სასარჩელო მოთხოვნა „საქპატენტისათვის“ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალების თაობაზე სს „ა“-ს მიერ მოთხოვნილი სასაქონლო ნიშნების „IMEDI L International“ (საიდენტიფიკაციო №70166/03) და „იმედი ელ ინტერნეიშენალი“ (საიდენტიფიკაციო №70165/03) განცხადებული საქონლის სრული ჩამონათვალის მიმართ რეგისტრაციის შესახებ არ დაკმაყოფილდა; სს „სადაზღვევო კომპანია „ა...“-ს სასარჩელო მოთხოვნა სასაქონლო ნიშნების „IMEDI L International“-ის და „იმედი ელ ინტერნეიშენალი“-ის საყოველთაოდ ცნობილ სასაქონლო ნიშნებად აღიარების შესახებ არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლომ მიაჩნია, რომ სარჩელი სსიპ ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2013 წლის 15 იანვრის №13/03 ბრძანების, სსიპ ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2013 წლის 15 იანვრის №14/03 ბრძანების, ასევე „საქპატენტის“ 2013 წლის 15 იანვრის №13/03 ბრძანების და „საქპატენტის“ 2013 წლის 15 იანვრის №14/03 ბრძანების ძალაში დატოვების ნაწილში სსიპ ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის“ სააპელაციო პალატის 2013 წლის 2 ივლისის №79-03/13 გადაწყვეტილების, ამავე პალატის თავმჯდომარის 2013 წლის 8 ივლისის №300 ბრძანების, „საქპატენტის“ სააპელაციო პალატის 2013 წლის 2 ივლისის №80-03/13 გადაწყვეტილების, ამავე პალატის თავ-

მჯდომარის 2013 წლის 8 ივლისის №299 ბრძანების ბათილად ცნობის შესახებ იყო უსაფუძვლო და არ უნდა დაკმაყოფილებულიყო.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია ის გარემოება, რომ საქმეში მესამე პირის სტატუსით მონაწილე პირმა – დ. ბ-მ 2012 წლის 28 ივნისს სასაქონლო ნიშნის — „იმედი IMEDI“ რეგისტრაცია (რეგისტ. №22683) განახორციელა, შესაბამისად, აღნიშნულ სასაქონლო ნიშანს მიენიჭა დაცვა საქართველოს ტერიტორიაზე 36-ე კლასის საქონლის სრული ჩამონათვალის (დაზღვევა, ფინანსებთან დაკავშირებული საქმიანობა, ფულად — საკრედიტო ოპერაციები, უძრავ ქონებასთან დაკავშირებული ოპერაციები) მიმართ.

მოსარჩელემ სს „სადაზღვევო კომპანია „ა...“, რომელიც იყო სს „საერთაშორისო სადაზღვევო კომპანია „ი...“-ის უფლებამონაცვლე განაცხადით მიმართა „საქპატენტს“ და სასაქონლო ნიშნის „იმედი ელ ინტერნეიშენალის“ (სრული დასახელება: „იმედი გ სს „საერთაშორისო სადაზღვევო კომპანია „ი...“) რეგისტრაცია მოითხოვა; სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2013 წლის 15 იანვრის №14/03 და №13/03 ბრძანებებით სს „ა...“-ს უარი ეთქვა სასაქონლო ნიშნის „იმედი ელ ინტერნეიშენალის“ რეგისტრაციაზე 36-ე კლასის საქონლის და მომსახურების ჩამონათვალის მიმართ „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ვინაიდან, მიჩნეული იქნა სარეგისტრაციოდ წარდგენილი სასაქონლო ნიშნის მსგავსება დ. ბ-ის სახელზე ადრე რეგისტრირებულ სასაქონლო ნიშანთან. „საქპატენტის“ სააპელაციო პალატის 2013 წლის 02.07. №79—03/13 და №80—03/13 გადაწყვეტილებებით სს „ა...“-ს სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა და ძალაში დარჩა 2013 წლის 15 იანვრის №14/03 და №13/03 ბრძანებები; აღნიშნული გადაწყვეტილებები დამტკიცდა „საქპატენტის“ სააპელაციო პალატის თავმჯდომარის 2013 წლის 8 ივლისის №300 და №299 ბრძანებებით.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ „საქპატენტის“ უარი სს „ა...“-ს მიერ განცხადებული სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე 36-ე კლასის საქონლის და მომსახურების ჩამონათვალის მიმართ იყო კანონიერი და შეესაბამებოდა „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნებს, კერძოდ, „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლით განსაზღვრული იყო რეგისტრაციაზე უარის თქმის შედარებითი საფუძვლები, რომლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად,



სასაქონლო ნიშანი არ რეგისტრირდებოდა, თუ იგი მესამე პირის სახელზე რეგისტრირებული, უფრო ადრინდელი პრიორიტეტის მქონე სასაქონლო ნიშნის მსგავსი იყო, ხოლო საქონელი – იდენტური ან იმდენად მსგავსი, რომ ჩნდებოდა ამ სასაქონლო ნიშნების აღრევის, მათ შორის, ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობა. ამასთან, საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს 1999 წლის 23 აგვისტოს №63 ბრძანებით დამტკიცებული, „სასაქონლო ნიშანზე განაცხადის წარდგენისა და რეგისტრაციასთან დაკავშირებული პროცედურების შესახებ“ ინსტრუქციის მე-18 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, სიმბოლოებს შორის მსგავსების დადგენისას ექსპერტიზას უნდა გათვალისწინებინა სიმბოლოების სმენითი (ფონეტიკა, მუსიკალური უღერადობა), მხედველობითი (გრაფიკა, ფერთა შეთანხმება), აზრობრივი (სემანტიკა, არსი) მსგავსება. სიმბოლოების შედარებისას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა საერთო შთაბეჭდილებას.

საქმეში წარმოდგენილი საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის არსობრივი ექსპერტიზის დასკვნების (№70165/03,70166/03) მიხედვით სარეგისტრაციოდ წარდგენილი სასაქონლო ნიშანი „იმედი L სს „საერთაშორისო სადაზღვევო კომპანია ი...“ იყო ფიზიკური პირის დ. ბ-ის სახელზე იმავე 36-ე კლასის მომსახურებისათვის რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნის „იმედი IMEDI“ მსგავსი, კერძოდ, დასკვნაში მითითებული იყო, რომ განცხადებულ ნიშანში სიტყვიერი აღნიშვნა „იმედი“ ემთხვეოდა დაპირისპირებულ ნიშანს და აღნიშნული ქმნიდა ნიშნებს შორის აღრევის და შესაბამისად, მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის შესაძლებლობას.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ ზემოაღნიშნული დასკვნისაგან განსხვავებული დასკვნა სადავო სასაქონლო ნიშნების მსგავსებასთან დაკავშირებით მოსარჩელის მიერ წარდგენილი არ იყო, შესაბამისად, სადავო სასაქონლო ნიშნების მსგავსების შეფასებისას სასამართლო ხელმძღვანელობდა ზემოაღნიშნული დასკვნითა და სასაქონლო ნიშნების შესადარებლად საყოველთაოდ მიღებული მეთოდოლოგიების გათვალისწინებით. ამასთან, სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი სოციოლოგიური კვლევის შედეგად დადგენილი გარემოებები ვერ გააბათილებდა სასაქონლო ნიშნების მსგავსების შესახებ არსობრივი ექსპერტიზის შედეგად დადგენილ გარემოებებს.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელისა და



პირველი ინსტანციის სასამართლოს პოზიცია იმის შესახებ, რომ მესამე პირზე რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნის არსებობა ვერ დააბრკოლებდა საყოველთაოდ ცნობილი სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციას მათი მსგავსების მიუხედავად და განმარტა, რომ კანონმდებლობით იმპერატიულად და ყოველგვარი საშეღავათო პირობების გარეშე იყო დადგენილი აღრევამდე მსგავსი სასაქონლო ნიშნების რეგისტრაციის დაუშვებლობა. ამასთან, თუ საყოველთაოდ ცნობილ სასაქონლო ნიშანს უპირისპირდებოდა რეგისტრირებული სასაქონლო ნიშანი, ეს თავის მხრივ ადასტურებდა მათი მსგავსების არსებობას და შესაბამისად, გამორიცხავდა საყოველთაოდ ცნობილი სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის შესაძლებლობას, ხოლო საყოველთაოდ ცნობილი სასაქონლო ნიშანი დაცული იყო რა რეგისტრაციის გარეშეც, უფლების დაცვას ახდენდა რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნის გამოყენების აკძალვის მოთხოვნით და არა საყოველთაოდ ცნობილი სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის მოთხოვნით, რადგან ამ უკანასკნელ შემთხვევაში რეგისტრირებული იქნებოდა ორი აღრევამდე მსგავსი სასაქონლო ნიშანი, რაც მოქმედი კანონმდებლობით დაუშვებელი იყო.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ მოქმედი კანონმდებლობის პირობებში სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის კანონიერებაზე მსჯელობისას მსგავსების თვალსაზრისით უნდა შედარებულიყო, როგორც რეგისტრირებული და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები, ისე ის საქონელი და მომსახურება, რომელთა მიმართაც მოთხოვნილი იყო რეგისტრაცია. მოცემულ შემთხვევაში არ იყო სადავო ის გარემოება, რომ ის მომსახურება, რომლის მიმართაც მოთხოვნილი იყო სადავო ნიშნის რეგისტრაცია და ის მომსახურება, რომლის მიმართაც რეგისტრირებული იყო დაპირისპირებული ნიშანი იყო იდენტური, ამდენად, მხოლოდ განცხადებული და რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნების შედარება უნდა განხორციელებულიყო. დადგენილი იყო, რომ მოთხოვნილი ნიშანი იყო კომბინირებული ნიშანი, იმდენად, რამდენადაც შედგებოდა სიტყვიერი და გამოსახულებითი ნაწილებისაგან, ხოლო დაპირისპირებული ნიშანი იყო მხოლოდ სიტყვიერი ნიშანი, აღნიშნულიდან გამომდინარე, უნდა შედარებულიყო განცხადებული სასაქონლო ნიშნის სიტყვიერი ნაწილი და რეგისტრირებული სიტყვიერი სასაქონლო ნიშანი, ხოლო მათი შედარებისას დგინდებოდა, რომ სადავო და დაპირისპირებული ნიშნები იყო იდენტური როგორც ფონეტიკურად, ასევე გრაფიკულად და აზრობრივად, განმსხვავება წარმოადგენდა მხოლოდ ერთი ასო-ბგერა — L, რაც საერთო შთაბეჭდი-

ლების შექმნის თვალსაზრისით არ ქმნიდა მნიშვნელოვან განსხვავებას დაპირისპირებულ და სადავო ნიშნებს შორის. ასევე განცხადებულ ნიშანში მოცემული ისეთი განმასხვავებელი ელემენტი, რომელშიც აღწერილი იყო მომსახურება, რომლის მიმართაც მოთხოვნილი იყო რეგისტრაცია, ნაკლებ განმასხვავებელუნარიანი იყო და შესაბამისად, მისი გავლენა ნიშნების საერთო შთაბეჭდილებაზე იყო სუსტი.

სააპელაციო სასამართლომ მიაჩნია, რომ ყოველივე ზემოაღნიშნული ცხადყოფდა სადავო და დაპირისპირებულ სასაქონლო ნიშანთა აღრევამდე მსგავსების არსებობას და შესაბამისად, კანონიერს ხდიდა საქპატენტის გადაწყვეტილებას 36-ე კლასის მომსახურების მიმართ განცხადებული სასაქონლო ნიშნების რეგისტრაციაზე უარის შესახებ.

ამასთან, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ აქტები, რომლითაც სს „ა.“ უარი ეთქვა განცხადებული სასაქონლო ნიშნების საყოველთაოდ ცნობილ სასაქონლო ნიშნებად აღიარებაზე (სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის“ სააპელაციო პალატის 2013 წლის 2 ივლისის №79-03/13 და №80-03/13 გადაწყვეტილებები სს „სადაზღვევო კომპანია „ა...“ -ს მიერ მოთხოვნილი სასაქონლო ნიშნების „IMEDI L International“ (საიდენტიფიკაციო №70166/03) და „იმედი ელ ინტერნეიშენალი“ (საიდენტიფიკაციო №70165/03) საყოველთაოდ ცნობილ სასაქონლო ნიშნებად აღიარებაზე უარის თქმის ნაწილში) არ იყო გამოცემული საქმის გარემოებათა სრული და ყოველმხრივი გამოკვლევის შედეგად, რის გამოც სახეზე იყო ადმინისტრაციული წარმოებისას ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე და 53-ე მუხლების დარღვევა, რაც ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60<sup>1</sup> მუხლის პირველი ნაწილის და ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე ქმნიდა მათი ბათილად ცნობის წინამძღვრებს.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, საქართველოში საყოველთაოდ ცნობილი სასაქონლო ნიშნები დაცული იყო რეგისტრაციის გარეშე, პარიზის კონვენციის მე-6bis მუხლის შესაბამისად. სასაქონლო ნიშნის საყოველთაოდ ცნობილად აღიარება ხდებოდა „საქპატენტის“ სააპელაციო პალატის ან სასამართლოს მიერ, მისი კომპეტენციის ფარგლებში, დაინტერესებული პირის მოთხოვნით. ამასთან, „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლით განსაზღვრული იყო დაცულ (რეგისტრირებულ, თუ

საყოველთაოდ (ცნობილ) სასაქონლო ნიშანზე მისი მფლობელის უფლებები; კერძოდ, მითითებული მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, განსაკუთრებული უფლების მქონე პირს შეეძლო მე-სამე პირისათვის აეკრძალა, მისი თანხმობის გარეშე სამოქალაქო ბრუნვაში გამოეყენებინა ისეთი ნიშანი, რომელიც განსაკუთრებული უფლების მქონე პირის დაცული სასაქონლო ნიშნის: ა) იდენტური იყო და საქონელიც იდენტური; ბ) იდენტური იყო, ხოლო საქონელი იმდენად მსგავსი, რომ ჩნდებოდა ამ ნიშნების აღრევის, მათ შორის, ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობა; გ) მსგავსი იყო, ხოლო საქონელი იდენტური ან იმდენად მსგავსია, რომ ჩნდებოდა ამ ნიშნების აღრევის, მათ შორის, ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობა; დ) იდენტური ან მსგავსი იყო და დაცული იყო სასაქონლო ნიშნის საქართველოში კარგი რეპუტაციის გამო, ამ ნიშნის გამოყენება მესამე პირს დაუმსახურებლად უქმნიდა ხელსაყრელ პირობებს ან ზიანს აყენებდა სასაქონლო ნიშნის რეპუტაციას ან მის განმასხვავებელუნარიანობას.

სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ საყოველთაოდ ცნობილ სასაქონლო ნიშნად აღიარების საკითხის განხილვისას საქპატენტის სააპელაციო პალატა, როგორც ადმინისტრაციული ორგანო მოქმედებდა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის საფუძველზე და შესაბამისად, მის უფლებამოსილებას მიკუთვნებულ საკითხზე გამოსცემდა რა ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, ის ვალდებული იყო დაეცვა ამ აქტის მომზადების და გამოცემის ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით განსაზღვრული წესები. ამასთან, სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით საქპატენტი უფლებამოსილი იყო საყოველთაოდ ცნობილ სასაქონლო ნიშნად აღიარების შესახებ საკითხი განეხილა იმ შემთხვევაში, თუ განცხადებული სასაქონლო ნიშანი არ იყო დაპირისპირებაში უკვე რეგისტრირებულ სასაქონლო ნიშანთან, წინააღმდეგ შემთხვევაში საკითხის დადებითად გადაწყვეტისას საქპატენტში რეგისტრირებული აღმოჩნდებოდა ორი აღრევამდე მსგავსი სასაქონლო ნიშანი, რაც დაუშვებელი იყო მოქმედ საკანონმდებლო სივრცეში. ამასთან, იმ შემთხვევაში თუ განცხადებული საყოველთაოდ ცნობილი სასაქონლო ნიშანი უპირისპირდებოდა უკვე რეგისტრირებულ სასაქონლო ნიშანს, ასეთ დროს რეალურად სახეზე იყო დავა რეგისტრაციით დაცულ და საყოველთაოდ ცნობადობით დაცულ სასაქონლო ნიშნებს შორის, რისი გადაწყვეტაც მხოლოდ სასამართლოს კომპეტენციას წარმოადგენდა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სააპელაციო სასამარ-

თლომ მიიჩნია, რომ საქპატენტის სააპელაციო პალატას განცხადებული სასაქონლო ნიშნის საყოველთაოდ ცნობილ სასაქონლო ნიშნად აღიარების მოთხოვნის განხილვისას უნდა ემსჯელა ზემოაღნიშნულ ასპექტებზეც და გადაეწყვიტა, თუ რამდენად იყო უფლებამოსილი განეხილა განცხადებული ნიშნის საყოველთაოდ ცნობილად აღიარების შესახებ მოთხოვნა იმ პირობებში, როდესაც ის უპირისპირდებოდა რეგისტრაციით დაცულ სასაქონლო ნიშანს, ხოლო რეგისტრაციის შესახებ საქპატენტის მიერ მიღებული ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი იყო კანონიერი და ძალაში მყოფი.

სააპელაციო სასამართლომ, ასევე მიუთითა, რომ საქპატენტის სააპელაციო პალატამ იმ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში, რომლითაც განიხილა განცხადებული სასაქონლო ნიშნის საყოველთაოდ აღიარებულ სასაქონლო ნიშნად მიჩნევის საკითხი, აღნიშნულის შესახებ იმსჯელა აქტის დასაბუთებით ნაწილში, ხოლო დასკვნით, სარეზოლუციო ნაწილში არ მიუთითა იმ სამართლებრივ შედეგზე, რაც დადგა განხილვის შედეგად, რისი აუცილებლობაც მოცემულ შემთხვევაში განპირობებული იყო იმით, რომ საკითხის დადებითად გადაწყვეტის შემთხვევაში აქტი უფლებადამდგენ დოკუმენტს წარმოადგენდა. ამასთან, სააპელაციო სასამართლომ სადავო აქტის დაუსაბუთებლობასთან დაკავშირებით მიუთითა, რომ საქართველოს კანონმდებლობით არ იყო განსაზღვრული ის ნორმები, რომელთა საფუძველზეც ხდებოდა სასაქონლო ნიშნის საყოველთაოდ ცნობილად აღიარება, ამასთან, არსებობდა 1999 წლის 20-29 სექტემბერს პარიზის კონვენციის ქვეყნების გაერთიანებული ასამბლეის და ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის, ისმო-ს ასამბლეის მიერ დამტკიცებული „ერთიანი რეკომენდაციები საყოველთაოდ ცნობილი სასაქონლო ნიშნების დაცვის შესახებ“, ე.წ. „ისმოს რეკომენდაციები“, რომელსაც ითვალისწინებდა ისმოს ნევირ ყველა ქვეყნის სასამართლო იქნებოდა ეს თუ ადმინისტრაციული ორგანო, საყოველთაოდ ცნობილად ნიშნის აღიარების შესახებ მსჯელობისას. აღნიშნული რეკომენდაციების მეორე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, იმის დადგენისას იყო თუ არა ნიშანი საყოველთაოდ ცნობილი, კომპეტენტურ ორგანოს მხედველობაში უნდა მიეღო ნებისმიერი გარემოება, რომლიდანაც შესაძლებელი იყო დადგენილიყო, რომ ნიშანი საყოველთაოდ ცნობილია. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ ისმოს რეკომენდაციების მიხედვით უპირველესად უნდა დადგენილიყო ე.წ. მიჩნევის თარიღი, ანუ ის კონკრეტული თარიღი, რომლიდანაც ნი-

შანი მიიჩნეოდა საყოველთაოდ ცნობილად, რადგან მასთან მიმართებაში ხდებოდა ყველა იმ დოკუმენტის და გარემოების შესწავლა-გამოკვლევა, რასაც უკავშირდებოდა ნიშნის საყოველთაო ცნობადობა, იმდენად, რამდენადაც სწორედ საყოველთაოდ ცნობადობის თარიღიდან იყო ნიშანი დაცული, ხოლო, თუ ეს თარიღი წინ უსწრებდა სარეგისტრაციო განაცხადს, იქმნებოდა განცხადებულ რეგისტრაციაზე უარის თქმის წანამძღვრები, კერძოდ, ისმოს რეკომენდაციების 3.1. მუხლში აღნიშნული იყო, რომ წვერი სახელმწიფოები უზრუნველყოფდნენ საყოველთაოდ აღიარებული ნიშნების დაცვას თარიღიდან, რომლიდანაც ეს ნიშანი გახდა საყოველთაოდ ცნობილი. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ განცხადებულ სასაქონლო ნიშნების საყოველთაოდ ცნობილ სასაქონლო ნიშნებად აღიარების მსჯელობისას საქაბატენტის სააპელაციო პალატას არ გამოუკვლევია და არ დაუდგენია თარიღი, რომელსაც განმცხადებელი უკავშირებდა ნიშნის საყოველთაოდ ცნობადობას. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ სასაქონლო ნიშნებთან დაკავშირებული სადავო ურთიერთობებისას, კერძოდ, კი მაშინ, როდესაც რეგისტრირებულ სასაქონლო ნიშანს უპირისპირდებოდა საყოველთაოდ ცნობილი ნიშანი, უმნიშვნელოვანესი იყო უფლებამოსილ ორგანოებს განესაზღვრათ ცნობადობის თარიღი, წინააღმდეგ შემთხვევაში მათი გამოყენების კანონიერების შესახებ დავა ვერ გადაწყდებოდა.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ისმოს რეკომენდაციების მე-6 მუხლი, ადგენდა იმ ძირითად კრიტერიუმებს, რომლებიც საფუძვლიანად უნდა ყოფილიყო გამოკვლევლნი სასაქონლო ნიშნის საყოველთაოდ ცნობადობის საკითხის განხილვისას, ეს კრიტერიუმები იყო: 1. საზოგადოების შესაბამის სექტორში ნიშნის ცნობილობის ხარისხი; 2. ნიშნის გამოყენების ხანგრძლივობა და მისი გავრცელების და გეოგრაფიული არეალი; 3. საზოგადოებისათვის ნიშნის გაცნობის ხელშეწყობის ღონისძიებების, მათ შორის რეკლამისა და გამოქვეყნების და ამ ნიშნით მონიშნული საქონლისა და/ან მომსახურების ბაზრობებსა და გამოფენებზე წარდგენის ხანგრძლივობა და გავრცელების გეოგრაფიულ არეალი; 4. გამოყენების ხანგრძლივობა და მისი გეოგრაფიული არეალი ნებისმიერი რეგისტრაციისა, ან/და ნიშნის რეგისტრაციის მიზნით ნებისმიერი განაცხადი, იმდენად, რამდენადაც ის ასახავდა ნიშნის გამოყენებასა და ცნობადობას; 5. ნიშანზე უფლებების წარმატებული განხორციელება, რამდენადაც ნიშანი აღიარებულ იქნა საყოველთაოდ ცნობილად კომპეტენტური ორგანოების მიერ; 6. ნიშანთან დაკავშირებული ლი-

რეზულტება. აღნიშნულიდან გამომდინარე სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საქპატენტის სააპელაციო პალატას საკითხის ხელახალი განხილვისას სადავო სასაქონლო ნიშანთან დაკავშირებით შეფასება უნდა მიეცა ყველა კრიტერიუმისათვის ცალ-ცალკე, მათ შესახებ წარდგენილი მონაცემების, მტკიცებულებების და გარემოებების საფუძველზე.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ მოცემულ შემთხვევაში განმცხადებლის მიერ წარდგენილი იყო მტკიცებულებები საზოგადოების შესაბამის სექტორში ნიშნის ცნობადობის ხარისხის, მისი გავრცელების გეოგრაფიული არეალის და საზოგადოებისათვის ნიშნის გაცნობის ხელშემწყობი ღონისძიებების შესახებ, რომლებშიც მოცემული მონაცემები ადმინისტრაციულმა ორგანომ საქმის სხვა გარემოებებთან ერთობლიობაში სრულყოფილად არ გამოიკვლია და არ შეაფასა, კერძოდ, საქმეში წარმოდგენილი საქართველოს ეროვნული ბანკის არასაბანკო დაწესებულებების ზედამხედველობის დეპარტამენტის უფროსის 2013 წლის 21 თებერვლის №2-14/576-13 წერილის თანახმად, სადაზღვევო კომპანია „ი.“-ს 2008 წელში გაცემული ჰქონდა 265392 პოლისი და სულ დაზღვეული ჰყავდა 309161 ადამიანი, 2009 წელს გაცემული ჰქონდა 273117 პოლისი და სულ დაზღვეული ჰყავდა 302569 ადამიანი, 2010 წელს გაცემული ჰქონდა 272569 პოლისი და სულ დაზღვეული ჰყავდა 543272 ადამიანი, 2011 წელს გაცემული ჰქონდა 196784 პოლისი და სულ დაზღვეული ჰყავდა 360933 ადამიანი, 2012 წელს გაცემული ჰქონდა 256030 პოლისი და სულ დაზღვეული ჰყავდა 346497 ადამიანი; აღნიშნულ მტკიცებულებაში მოცემული გარემოება იმის შესახებ, რომ 2010 წელს სასაქონლო ნიშნის „იმედი ელ ინტერნეიშენალის“ ქვეშ დაზღვეული იყო ნახევარ მილიონზე მეტი (543272) ადამიანი, ხოლო 2011 წელს გაიცა 196784 პოლისი, 2012 წელს კი გაიცა 256030 პოლისი, არ იქნა შეფასებული სადავო სასაქონლო ნიშნის ცნობადობის თვალსაზრისით. ასევე საქმეში წარმოდგენილი იყო „ი“-ის ცნობადობის კვლევა, რომელიც ჩატარდა საქართველოს 4 ქალაქში თბილისში, ზუგდიდში, ბათუმში და თელავში. კვლევის თანახმად სადაზღვევო კომპანია „ი.“-ს ზოგადი ცნობადობა იყო 61%. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო საკითხის ხელახალი განხილვისას შეფასება უნდა მისცემოდა იმ გარემოებას, აღნიშნულ კვლევასთან ერთად ნახევარ მილიონზე მეტი (543272) ადამიანის დაზღვევა სადავო სასაქონლო ნიშნების ქვეშ ხომ არ ადასტურებდა სადავო სასაქონლო ნიშნების საყოველთაოდ ცნობადობას. აღნიშნულთან დაკავშირებით შეფასება ასევე უნდა მის-

ცემოდა იმ გარემოებასაც, რომ საქართველოს ეროვნული ბანკის არასაბანკო დაწესებულებების ზედამხედველობის დეპარტამენტის უფროსის 2013 წლის 21 თებერვლის №2-14/576-13 წერილის თანახმად, პირველი ჩანაწერი „ი...“-ს სადაზღვევო საქმიანობასთან დაკავშირებით 1998 წლის 16 იანვარს ფიქსირდებოდა.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო სასაქონლო ნიშნების საყოველთაოდ ცნობილ სასაქონლო ნიშნებად აღიარებაზე უარის თქმის შესახებ სააპელაციო პალატის გადაწყვეტილებების სასამართლოს მიერ სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად ცნობა და ახალი აქტის გამოცემის დავალება ქმნიდა პროცესუალურ წანამძღვრებს იმისათვის, რომ არსებითად ბათილად ყოფილიყვნენ ცნობილნი სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის“ სააპელაციო პალატის თავმჯდომარის 2013 წლის 8 ივლისის №300 და 2013 წლის 8 ივლისის №299 ბრძანებები, იმ ნაწილებში, რომლითაც დამტკიცდა „საქპატენტის“ სააპელაციო პალატის 2013 წლის 2 ივლისის №79-03/13 და 2013 წლის 2 ივლისის №80-03/13 გადაწყვეტილებები სს „სადაზღვევო კომპანია „ა.“-ს მიერ მოთხოვნილი სასაქონლო ნიშნების „IMEDI L International“ (საიდენტიფიკაციო №70166/03) და „იმედი ელ ინტერნეიშენალი“ (საიდენტიფიკაციო №70165/03) საყოველთაოდ ცნობილ სასაქონლო ნიშნებად აღიარებაზე უარის თქმის შესახებ.

სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ ვინაიდან სასამართლომ სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად ცნო საქპატენტის სააპელაციო პალატის გადაწყვეტილებები სადავო განცხადებული სასაქონლო ნიშნების საყოველთაოდ ცნობილ სასაქონლო ნიშნებად აღიარებაზე უარის შესახებ და მოპასუხე ადმინისტრაციულ ორგანოს ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა დაავალა, შესაბამისად, სასარჩელო მოთხოვნები „საქპატენტისათვის“ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალების თაობაზე სს „ა.“-ს მიერ მოთხოვნილი სასაქონლო ნიშნების „IMEDI L International“ (საიდენტიფიკაციო №70166/03) და „იმედი ელ ინტერნეიშენალი“ (საიდენტიფიკაციო №70165/03) განცხადებული საქონლის სრული ჩამონათვალის მიმართ რეგისტრაციის შესახებ, ასევე სასამართლოს მიერ სასაქონლო ნიშნების „IMEDI L International“-ის და „იმედი ელ ინტერნეიშენალი“-ის საყოველთაოდ ცნობილ სასაქონლო ნიშნებად აღიარების შესახებ, მოკლებული იყო როგორც პროცე-



სუალურ-სამართლებრივ, ისე მატერიალურ-სამართლებრივ საფუძვლებს და არ უნდა დაკმაყოფილებულიყო.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 21 მაისის გადაწყვეტილება საკაცო წესით გაასაჩივრა სს „სადაზღვევო კომპანია „ი-მა“, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და სარჩელის სრულად დაკმაყოფილება მოითხოვა. ამასთან, სს „სადაზღვევო კომპანია „ი-ს“ წარმომადგენელმა საქართველოს უზენაეს სასამართლოს წარმოდგინა სს „სადაზღვევო კომპანია „ა-ს“ და სს „სადაზღვევო კომპანია „ი-ს“ უფლებამონაცვლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი.

კასატორის მოსაზრებით, მცხეთის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება იყო აბსოლუტურად დასაბუთებული და ამომწურავი, შესაბამისად, არ არსებობდა სააპელაციო სასამართლოს მიერ მისი გაუქმების სამართლებრივი საფუძველი.

კასატორის მითითებით, სასაქონლო ნიშნის საყოველთაოდ ცნობილად აღიარების საკითხი პარიზის კონვენციის მე-6bis მუხლის შესაბამისად შემუშავებული 1999 წლის 20-29 სექტემბერის პარიზის კონვენციის ქვეყნების გაერთიანებული ასამბლეის და ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის დამტკიცებული „საყოველთაოდ ცნობილი სასაქონლო ნიშნების დაცვის შესახებ ერთიანი რეკომენდაციებით“ რეგულირდებოდა, რომლის თანახმადაც, კომპეტენტურ ორგანოს მხედველობაში უნდა მიეღო ნებისმიერი გარემოება, რომლითაც შეიძლება დადგენილიყო ნიშნის საყოველთაოდ ცნობადობა, მათ შორის: 1. საზოგადოების შესაბამის სექტორში ნიშნის ცნობილობის ხარისხი; 2. ნიშნის გამოყენების ხანგრძლივობა და მისი გავრცელების გეოგრაფიული არეალი; 3. საზოგადოებისათვის ნიშნის გაცნობის ხელშემწყობი ღონისძიებები. კასატორის მოსაზრებით, საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით უდავოდ დასტურდებოდა ზემოაღნიშნული რეკომენდაციით განსაზღვრული სამივე წინაპირობის არსებობა.

კასატორის განმარტებით, ურთიერთგამომრიცხავი და არათანმიმდევრული იყო სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა მოპასუხისათვის საკითხის ხელახლა განსახილველად დაბრუნების ნაწილში. კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლოს მოპასუხისათვის როგორც სასაქონლო ნიშნის საყოველთაოდ ცნობილად აღიარების ნაწილში, ისე სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის ნაწილში მსჯელობა უნდა დაევალებინა.

კასატორმა ასევე მიუთითა იმ გარემოებაზე, რომ დ. ბ-ს სასაქონლო ნიშანი „იმედი“ არაკეთილსინდისიერი განზრახვით



ქონდა რეგისტრირებული. კასატორმა მიუთითა ევროპის მართლმსაჯულების სასამართლოს 2009 წლის 11 ივნისის გადაწყვეტილებაზე №ჩ-529/07 და აღნიშნა, რომ დ. ბ-ესთან მიმართებაში სახეზე იყო სასამართლო გადაწყვეტილებით დადგენილი არაკეთილსინდისიერი განზრახვის განმსაზღვრელი კრიტერიუმები, რადგან დ. ბ-მ თბილისის სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვის დროს განაცხადა, რომ 2012 წელს საქპატენტში ნიშნის სარეგისტრაციოდ შეტანის დროს იცოდა დაზღვევის სფეროში ნიშნის „იმედი“ არსებობის შესახებ, მისი ინფორმაციით ეს ნიშანი არ იყო რეგისტრირებული და სწორედ ამ მიზნით მან სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია განახორციელა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 17 ოქტომბრის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული სს „სადაზღვევო კომპანია ი-ის“ საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 11 დეკემბრის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დასაშვებლად იქნა ცნობილი სს „სადაზღვევო კომპანია „ი...“-ს საკასაციო საჩივარი და მისი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრებით 2015 წლის 26 მარტს 13:00 საათზე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 30 აპრილის საოქმო განჩინებით სს „სადაზღვევო კომპანია „ა...“-ს უფლებამონაცვლედ ცნობილ იქნა სს „სადაზღვევო კომპანია „ი...“.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის, წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობის შესწავლის, გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ სს „სადაზღვევო კომპანია „ი...“-ს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, უნდა გაუქმდეს გასაჩივრებული გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად უნდა დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

საკასაციო სასამართლო საქმის მასალებით დადგენილად მიიჩნევს შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს: საქმეში მესამე პირის სტატუსით მონაწილე პირმა – დ. ბ-ემ 2012 წლის 28 ივნისს

სასაქონლო ნიშნის — „იმედი IMEDI“ რეგისტრაცია (რეგისტ. №22683) განახორციელა, შესაბამისად, აღნიშნულ სასაქონლო ნიშანს მიენიჭა დაცვა საქართველოს ტერიტორიაზე 36-ე კლასის საქონლის სრული ჩამონათვალის (დაზღვევა, ფინანსებთან დაკავშირებული საქმიანობა, ფულად – საკრედიტო ოპერაციები, უძრავ ქონებასთან დაკავშირებული ოპერაციები) მიმართ. სს „სადაზღვევო კომპანია „ა...“ განაცხადით მიმართა სსიპ ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრ „საქპატენტს“ და სასაქონლო ნიშნის „იმედი ელ ინტერნეიშენალის“ (სრული დასახელება: „იმედი L სს „საერთაშორისო სადაზღვევო კომპანია „ი...“, საიდენტიფიკაციო №70165/03) რეგისტრაცია მოითხოვა. სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის არსობრივი ექსპერტიზის 2013 წლის 15 იანვრის დასკვნის თანახმად, სასაქონლო ნიშნის „იმედი ელ ინტერნეიშენალის“ რეგისტრაციაზე არსებობდა „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული უარის თქმის საფუძველი 36-ე კლასის საქონლის ჩამონათვალის მიმართ, ვინაიდან, სარეგისტრაციოდ წარდგენილი სასაქონლო ნიშანი იყო დ. ბ-ს სახელზე რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნის „იმედი IMEDI“ (რეგისტრაციის თარიღი 28.06.2012 რეგისტრაციის №22683) მსგავსი. დასკვნის თანახმად, განაცხადებულ ნიშანში სიტყვიერი აღნიშვნა „იმედი“ ემთხვეოდა დაპირისპირებულ ნიშანს და აღნიშნული ქმნიდა ნიშნებს შორის აღრევის და შესაბამისად, მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის შესაძლებლობას. აღნიშნული დასკვნის საფუძველზე, სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2013 წლის 15 იანვრის №14/03 ბრძანებით, სს „ა...“-ს უარი ეთქვა სასაქონლო ნიშნის „იმედი ელ ინტერნეიშენალის“ (საიდენტიფიკაციო №70165/03) რეგისტრაციაზე 36-ე კლასის საქონლის ჩამონათვალის ნაწილში.

სს „ა...“ ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2013 წლის 15 იანვრის №14/03 ბრძანება „საქპატენტის“ სააპელაციო პალატაში გაასაჩივრა და გასაჩივრებული ბრძანების ნაწილობრივ ბათილად ცნობა, სასაქონლო ნიშნის 36-ე კლასის საქონლის ჩამონათვალის მიმართ რეგისტრაცია და „იმედი ელ ინტერნეიშენალის“ (საიდენტიფიკაციო №70165/03) საყოველთაოდ ცნობილ სასაქონლო ნიშნად აღიარება მოითხოვა.

„საქპატენტის“ სააპელაციო პალატის თავმჯდომარის 2013 წლის 8 ივლისის №299 ბრძანებით დამტკიცდა „საქპატენტის“

სააპელაციო პალატის 2 ივლისის №80-03/13 გადაწყვეტილება, რომლითაც სს „ა...“-ს უარი ეთქვა საჩივრის დაკმაყოფილებაზე და „იმედი ელ ინტერნეიშენალის“ საყოველთაოდ ცნობილ სასაქონლო ნიშნად აღიარებაზე.

ამასთან, სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის არსობრივი ექსპერტიზის 2013 წლის 15 იანვრის დასკვნის თანახმად, არსებობდა სასაქონლო ნიშნის „იმედი ელ ინტერნეიშენალის“ რეგისტრაციაზე „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული უარის თქმის საფუძველი 36-ე კლასის საქონლის ჩამონათვალის მიმართ, ვინაიდან, სარეგისტრაციოდ წარდგენილი სასაქონლო ნიშანი მსგავსი იყო დ. ბ-ძის სახელზე რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნისა „იმედი IMEDI“ (რეგისტრაციის თარიღი 28.06.2012 რეგისტრაციის №22683) 36-ე კლასის საქონლის სრული ჩამონათვალის მიმართ. დასკვნის თანახმად, განცხადებულ ნიშანში სიტყვიერი აღნიშვნა „IMEDI“ ემთხვეოდა დაპირისპირებულ ნიშანს და აღნიშნული ქმნიდა ნიშნებს შორის აღრევის და შესაბამისად, მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის შესაძლებლობას.

აღნიშნული დასკვნის საფუძველზე, სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2013 წლის 15 იანვრის №13/03 ბრძანებით სს „ა-ს“ უარი ეთქვა სასაქონლო ნიშნის „იმედი ელ ინტერნეიშენალის“ (საიდენტიფიკაციო №70165/03) რეგისტრაციაზე 36-ე კლასის საქონლის ჩამონათვალის ნაწილში.

სს „ა-მ“ ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2013 წლის 15 იანვრის №13/03 ბრძანება გაასაჩივრა „საქპატენტის“ სააპელაციო პალატაში და გასაჩივრებული ბრძანების ნაწილობრივ ბათილად ცნობა, 36-ე კლასის საქონლის ჩამონათვალის მიმართ სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია, ასევე „IMEDI L International“-ის (საიდენტიფიკაციო №70166/03) საყოველთაოდ ცნობილ სასაქონლო ნიშნად აღიარება მოითხოვა.

„საქპატენტის“ სააპელაციო პალატის თავმჯდომარის 2013 წლის 8 ივლისის №300 ბრძანებით დამტკიცდა „საქპატენტის“ სააპელაციო პალატის 2 ივლისის №79-03/13 გადაწყვეტილება, რომლითაც სს „ა...“-ს უარი ეთქვა საჩივრის დაკმაყოფილებაზე და „IMEDI L International“-ის საყოველთაოდ ცნობილ სასაქონლო ნიშნად აღიარებაზე.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმეში წარმოდგენილ

საქართველოს ეროვნული ბანკის არასაბანკო დაწესებულებების ზედამხედველობის დეპარტამენტის უფროსის 2013 წლის 21 თებერვლის №2-14/576-13 წერილზე, რომლის თანახმადაც, სადაზღვევო კომპანია „ი.“-ს 2008 წელში გაცემული აქვს 265392 პოლისი და სულ დაზღვეული ჰყავს 309161 ადამიანი, 2009 წელს გაცემული აქვს 273117 პოლისი და სულ დაზღვეული ჰყავს 302569 ადამიანი, 2010 წელს გაცემული აქვს 272569 პოლისი და სულ დაზღვეული ჰყავს 543272 ადამიანი, 2011 წელს გაცემული აქვს 196784 პოლისი და სულ დაზღვეული ჰყავს 360933 ადამიანი, 2012 წელს გაცემული აქვს 256030 პოლისი და სულ დაზღვეული ჰყავს 346497 ადამიანი. ამავე წერილის თანახმად, პირველი ჩანაწერი სადაზღვევო საქმიანობასთან დაკავშირებით ფიქსირდება 1998 წლის 16 იანვარს.

ამასთან, საქმეში წარმოდგენილი „ი.“-ს ცნობადობის კვლევის თანახმად, კვლევა ჩატარდა საქართველოს 4 ქალაქში – თბილისში, ზუგდიდში, ბათუმში და თელავში. კვლევის თანახმად, სადაზღვევო კომპანია „ი.“-ის ზოგადი ცნობადობა არის 61%. ამავე კვლევის თანახმად, გამოკითხულთა 11%-მა მიიჩნია, რომ სასაქონლო ნიშანი „იმედი L“ და „იმედი“ ერთიდაიგივე კომპანიას ეკუთვნის, ხოლო 85%-მა მიიჩნია, რომ სხვადასხვა კომპანიას ეკუთვნის.

საკასაციო სასამართლო, ასევე, დადგენილად მიიჩნევს იმ გარემოებას, რომ მენარმეთა და არასამენარმეთო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან 2012 წლის 16 ნოემბრის ამონაწერის თანახმად, 2012 წლის 16 ნოემბერს განხორციელდა სს „საერთაშორისო სადაზღვევო კომპანია „ი...“-ს შერწყმა სს „სადაზღვევო კომპანია „ა-სთან“. საქმეში წარმოდგენილი სს „საერთაშორისო სადაზღვევო კომპანია „ი...“-ის ჩვეულებრივი აქციების და ხმების 100% მფლობელის – სს „სადაზღვევო კომპანია „ა...“-ს 2012 წლის 13 ნოემბრის გადაწყვეტილებით განხორციელდა სს „საერთაშორისო სადაზღვევო კომპანია „ი...“-ს შერწყმა სს „სადაზღვევო კომპანია „ა-სთან, სს „საერთაშორისო სადაზღვევო კომპანია „ი...“-ს სს „სადაზღვევო კომპანია „ა...“-სთვის მიერთების გზით. აღნიშნული დოკუმენტები ადასტურებს, რომ სს „სადაზღვევო კომპანია „ა...“ იყო სს „საერთაშორისო სადაზღვევო კომპანია „ი...“-ს უფლებამონაცვლე.

ამასთან, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 30 აპრილის საოქმო განჩინებით სს „სადაზღვევო კომპანია „ა...“-ს უფლებამონაცვლედ ცნობილ იქნა სს „სადაზღვევო კომპანია „ი...“.

საკასაციო სასამართლო თავდაპირველად აღნიშნავს, რომ მოცემული დავის სწორად გადანყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობა ენიჭება სს „სადაზღვევო კომპანია „ა...“-ს სასარჩელო მოთხოვნების როგორც მატერიალური, ისე პროცესუალური საფუძვლების ერთმანეთისაგან გამიჯვნას და მათ შეფასებას.

საკასაციო სასამართლო დადგენილად მიიჩნევს იმ გარემოებას, რომ სს „ა...“-ს სასარჩელო მოთხოვნას, ერთი მხრივ, სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა და მოპასუხისათვის სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის შესახებ ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალდებულება, ხოლო მეორე მხრივ, საყოველთაოდ ცნობილ სასაქონლო ნიშნად აღიარებაზე უარის თქმის შესახებ აქტების ბათილად ცნობა და სასამართლოს მიერ მისი სასაქონლო ნიშნის საყოველთაოდ ცნობილად აღიარება წარმოადგენს. ამდენად, სახეზე გვაქვს ორი ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი მოთხოვნა, ერთი მხრივ მავალდებულებელი (ასკ-ის 24-ე მუხლი), ხოლო მეორე მხრივ აღიარებითი სარჩელის ფარგლებში (ასკ-ის 25-ე მუხლი).

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ სააპელაციო სასამართლომ სასაქონლო ნიშნის საყოველთაოდ ცნობილად აღიარების ნაწილში (აღიარებითი სარჩელის ნაწილში) სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად ცნო სადავო ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები და ადმინისტრაციულ ორგანოს საკითხის ხელახლა გამოკვლევის და შეფასების შემდეგ ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა დაავალა.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის მეორე წინადადების თანახმად, სასაქონლო ნიშნის საყოველთაოდ ცნობილად აღიარება ხდება „საქპატენტის“ სააპელაციო პალატის ან სასამართლოს მიერ, მისი კომპეტენციის ფარგლებში, დაინტერესებული პირის მოთხოვნით. ამდენად, სასაქონლო ნიშნის საყოველთაოდ ცნობილად აღიარებაზე უფლებამოსილია, როგორც სააპელაციო პალატა, ისე სასამართლო. ამასთან, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 25-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, აღიარებითი სარჩელი შეიძლება აღიძრას აქტის არარად აღიარების, უფლების ან სამართლებრივ ურთიერთობის არსებობა-არარსებობის დად-

გენის შესახებ, თუ მოსარჩელეს აქვს ამის კანონიერი ინტერესი.

საკასაციო სასამართლო განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ აღიარებითი სარჩელი თავისი არსით განსაკუთრებული სპეციფიკურობით ხასიათდება და მისი აღძვრა დასაშვებია, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია შეცილებითი ან მავალდებულებელი სარჩელის აღძვრა, ამდენად, სასამართლოს მიერ აღიარებითი სარჩელის განხილვის პროცესში ვერ იქნება გამოყენებული, ვერც ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-24-ე და შესაბამისად, ვერც 32-33'-ე მუხლები, რადგან საპროცესო კოდექსის აღნიშნული მუხლები შეცილებით/მავალდებულებელ სარჩელს შეეხება, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 25-ე მუხლის შესაბამისად აღძრული სარჩელის შემთხვევაში კი სასამართლო თავად იღებს გადაწყვეტილებას უფლების აღიარება/არაღიარების ან სამართლებრივი ურთიერთობის არსებობა/არარსებობის ფაქტის დადგენის შესახებ. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს მხრიდან აღიარებითი სარჩელის ფარგლებში საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის გამოყენება აბსოლუტურად ეწინააღმდეგება აღიარებითი სარჩელის არსს და მის ძირითად პრინციპს.

გარდა ამისა, საკასაციო სასამართლო ზოგადად ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის გამოყენებასთან მიმართებაში დამატებით განმარტავს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილით რეგლამენტირებული საპროცესო ნორმის გამოყენებისას სასამართლომ უნდა დაასაბუთოს, თუ რატომ არის მისთვის შეუძლებელი საქმის გარემოებების გამოკვლევა და სადავო საკითხის არსებითად გადაწყვეტა, ასევე – ის გარემოება, რომ კონკრეტული გარემოებების გამოკვლევა და შეფასება შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციულ უფლებამოსილებას წარმოადგენს, რის გამოც სასამართლო მოკლებულია შესაძლებლობას, გამოიკვლიოს და სათანადოდ შეაფასოს საქმის გარემოებები, რომ აღნიშნულით იგი შეუძლებელია შეიჭრას მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციულ უფლებამოსილებაში. ამდენად, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის გამოყენებისას სასამართლომ უნდა დაასაბუთოს ის გარემოება, რომ კონკრეტული საკითხის გამოკვლევა და დადგენა ადმინისტრაციულ ორგანოს დისკრეციულ უფლებამოსილებას წარმოადგენს. მოცემულ შემთხვევაში კი ნათელია ის გარემოება, რომ

საკითხის დადგენის/გამოკვლევის უფლებამოსილება „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე სასამართლოს თავად გააჩნდა. ამდენად, სააპელაციო სასამართლომ მოცემული საქმის ხელახლა განხილვისას თავად უნდა იმსჯელოს აღიარებითი სარჩელის საფუძვლიანობაზე.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელე ერთი მხრივ, სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციას და მეორე მხრივ, სასაქონლო ნიშნის საყოველთაოდ ცნობილად აღიარებას ითხოვს.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველ პუნქტზე, რომლის თანახმად, სასაქონლო ნიშანი არის სიმბოლო ან სიმბოლოთა ერთობლიობა, რომელიც გამოისახება გრაფიკულად და განასხვავებს ერთი სანარმოს საქონელს ან/და მომსახურებას მეორე სანარმოს საქონლისა ან/და მომსახურებისაგან. ამავე კანონის მე-6 მუხლით განსაზღვრული არის რეგისტრაციით დაცულ სასაქონლო ნიშანზე მისი მფლობელის უფლებები. კერძოდ, მითითებული მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, განსაკუთრებული უფლების მქონე პირს შეუძლია აუკრძალოს მესამე პირს, მისი თანხმობის გარეშე სამოქალაქო ბრუნვაში გამოიყენოს ისეთი ნიშანი, რომელიც განსაკუთრებული უფლების მქონე პირის დაცული სასაქონლო ნიშნის: ა) იდენტურია და საქონელიც იდენტურია; ბ) იდენტურია, ხოლო საქონელი იმდენად მსგავსი, რომ ჩნდება ამ ნიშნების აღრევის, მათ შორის, ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობა; გ) მსგავსია, ხოლო საქონელი იდენტური ან იმდენად მსგავსი, რომ ჩნდება ამ ნიშნების აღრევის, მათ შორის, ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობა; დ) იდენტური ან მსგავსია და დაცულია სასაქონლო ნიშნის საქართველოში კარგი რეპუტაციის გამო, ამ ნიშნის გამოყენება მესამე პირს დაუმსახურებლად უქმნის ხელსაყრელ პირობებს ან ზიანს აყენებს სასაქონლო ნიშნის რეპუტაციას ან მის განმასხვავებელუნარიანობას.

ამასთან, „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლით განსაზღვრულია რეგისტრაციაზე უარის თქმის შედარებითი საფუძვლები, რომლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, სასაქონლო ნიშანი არ რეგისტრირდება, თუ იგი მესამე პირის სახელზე რეგისტრირებული, უფრო ადრინდელი პრიორიტეტის მქონე სასაქონლო ნიშნის მსგავსია, ხოლო საქონელი – იდენტური ან იმდენად მსგავსი, რომ ჩნდება ამ სასაქონლო ნიშნების აღრევის, მათ შორის, ასოცირების შედეგად აღრევის



შესაძლებლობა. რაც შეეხება სიმბოლოებს შორის მსგავსებას, საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს 1999 წლის 23 აგვისტოს №63 ბრძანებით დამტკიცებული „სასაქონლო ნიშანზე განაცხადის წარდგენისა და რეგისტრაციასთან დაკავშირებული პროცედურების შესახებ“ ინსტრუქციის მე-18 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, სიმბოლოებს შორის მსგავსების დადგენისას „ექსპერტიზამ უნდა გაითვალისწინოს სიმბოლოების სმენითი (ფონეტიკა, მუსიკალური ფლერადობა), მხედველობითი (გრაფიკა, ფერთა შეთანხმება), აზრობრივი (სემანტიკა, არსი) მსგავსება. სიმბოლოების შედარებისას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება საერთო შთაბეჭდილებას“.

ამდენად, მოქმედი კანონმდებლობის პირობებში სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის კანონიერებაზე მსჯელობისას მსგავსების თვალსაზრისით შედარებული უნდა იქნეს როგორც რეგისტრირებული და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები, ისე ის საქონელი და მომსახურება, რომელთა მიმართაც მოთხოვნილი არის რეგისტრაცია. მოცემულ შემთხვევაში არ არის სადავო ის გარემოება, რომ ის მომსახურება, რომლის მიმართაც მოთხოვნილი არის სადავო ნიშნის რეგისტრაცია და ის მომსახურება, რომლის მიმართაც რეგისტრირებულია დაპირისპირებული ნიშანი არის იდენტური, ამდენად, სასარჩელო მოთხოვნის ამ ნაწილში სააპელაციო სასამართლოს მიერ მხოლოდ განცხადებული და რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნების შედარება უნდა განხორციელდეს.

რაც შეეხება, სასაქონლო ნიშნის საყოველთაოდ ცნობილად აღიარებას, საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, საქართველოში საყოველთაოდ ცნობილი სასაქონლო ნიშნები დაცულია რეგისტრაციის გარეშე პარიზის კონვენციის 6bis მუხლის შესაბამისად. თუმცა, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონი სასაქონლო ნიშნის საყოველთაოდ ცნობილად აღიარების შესაბამის კრიტერიუმებს არ ადგენს და აღნიშნული საკითხი პარიზის კონვენციის 6bis მუხლის შესაბამისად შემუშავებული 1999 წლის 20-29 სექტემბერის პარიზის კონვენციის ქვეყნების გაერთიანებული ასამბლეის და ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის დამტკიცებული „საყოველთაოდ ცნობილი სასაქონლო ნიშნების დაცვის შესახებ ერთიანი რეკომენდაციებით“ რეგულირდება, რომლის თანახმადაც, კომპეტენტურმა ორგანომ მხედველობაში უნდა მიიღოს ნებისმიერი გარემოება, რომლითაც შეიძლება



დადგენილი იყოს ნიშნის საყოველთაოდ ცნობადობა, მათ შორის: 1. საზოგადოების შესაბამის სექტორში ნიშნის ცნობილობის ხარისხი; 2. ნიშნის გამოყენების ხანგრძლივობა და მისი გავრცელების გეოგრაფიული არეალი; 3. საზოგადოებისათვის ნიშნის გაცნობის ხელშემწყობი ღონისძიებები და ა.შ.

ამდენად, ზემოაღნიშნული ნორმების ანალიზის საფუძველზე, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის ერთ-ერთ შედარებით საფუძველს სარეგისტრაციოდ წარდგენილი სასაქონლო ნიშნის, უფრო ადრე მესამე პირის სახელზე რეგისტრირებულ სასაქონლო ნიშანთან მსგავსება წარმოადგენს (ასევე საქონლის იდენტიურობა, ან იმდენად მსგავსება, რომ არსებობს მათი აღრევის შესაძლებლობა) და შესაბამისად, სასაქონლო ნიშანთა მსგავსების დადგენის შემთხვევაში სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია დაუშვებელია.

რაც შეეხება, სასაქონლო ნიშნის საყოველთად ცნობილად აღიარებას, საკასაციო სასამართლო არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ სააპელაციო პალატას განცხადებული სასაქონლო ნიშნის საყოველთაოდ ცნობილად სასაქონლო ნიშნად აღიარების მოთხოვნის განხილვისას უნდა ემსჯელა და გადაეწყვიტა, თუ რამდენად იყო უფლებამოსილი განეხილა განცხადებული ნიშნის საყოველთაოდ ცნობილად აღიარების შესახებ მოთხოვნა იმ პირობებში, როდესაც ის უპირისპირდებოდა რეგისტრაციით დაცულ სასაქონლო ნიშანს, ხოლო რეგისტრაციის შესახებ საქპატენტის მიერ მიღებული ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი იყო კანონიერი და ძალაში მყოფი.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სასაქონლო ნიშნის საყოველთაოდ ცნობილ ნიშნად აღიარების შემთხვევაში არ აქვს მნიშვნელობა უკვე არის თუ არა რეგისტრირებული ამ სასაქონლო ნიშნის მსგავსი ნიშანი, ამ შემთხვევაში არსებითი მნიშვნელობა ენიჭება ნიშნის ცნობადობას და სასაქონლო ნიშანი რეგისტრაციის გარეშეც ითვლება დაცულად. შესაბამისად, სასაქონლო ნიშნის საყოველთაოდ ცნობილად აღიარების შემთხვევაში, შემდგომ ცალკე რეგისტრაციის განხორციელება საჭირო არ არის, რადგან ისინი დაცულია რეგისტრაციის გარეშე პარიზის კონვენციის *bis* მუხლის შესაბამისად.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ მოცემული საქმის ხელახლა განხილვისას აუცილებლად უნდა იმსჯელოს აღიარებითი სარჩელის ნაწილში საქმის განხილვის დასრულებამდე მავალდებულებელი სარ-

ჩელის (რეგისტრაციის დავალდებულების) ნაწილში საქმის წარმოების შეჩერების საფუძვლიანობაზე, რადგან რეალურად მავალდებულებელი სარჩელის საბოლოო სამართლებრივი შედეგი აღიარებით სარჩელთან დაკავშირებით მიღებულ გადაწყვეტილებაზე არის დამოკიდებული, კერძოდ, იმ შემთხვევაში, თუ კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილებით მოსარჩელის მოთხოვნა სასაქონლო ნიშნების საყოველთაოდ ცნობილად აღიარების შესახებ დაკმაყოფილდება, მოსარჩელემ მავალდებულებელი სარჩელის (რეგისტრაციის დავალდებულების) მიმართ შეიძლება დაკარგოს კანონიერი ინტერესი, რადგან სასაქონლო ნიშნის საყოველთაოდ ცნობილად აღიარების შემთხვევაში რეგისტრაციის განხორციელება საჭირო არ არის, იმ შემთხვევაში კი თუ მოსარჩელეს აღიარებით სარჩელზე უარი ეთქმევა, მაშინ მისი სამართლებრივი მიზნის მიღწევის საშუალებად სწორედ მავალდებულებელი სარჩელი (რეგისტრაციის დავალდებულების შესახებ) და სასამართლოს მიერ მიღებული შესაბამისი გადაწყვეტილება დარჩება.

ამასთან, საკასაციო სასამართლო სააპელაციო სასამართლოს ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ მოსარჩელეს დ. ბ-ს მიმართ სასაქონლო ნიშნის არაკეთილსინდისიერი განზრახვით რეგისტრაციასთან დაკავშირებით სამოქალაქო წესით სარჩელი აქვს აღძრული. აღნიშნული სარჩელიც, ფაქტობრივად, აღიარებითი სარჩელის საბოლოო შედეგზეა დამოკიდებული, რადგან აღიარებით სარჩელზე დამდგარი სამართლებრივი შედეგის შესაბამისად, მოსარჩელე თავად გადაწყვეტს გააგრძელოს თუ არა საერთოდ სასამართლო დავა, ხოლო გაგრძელების შემთხვევაში დავა გააგრძელოს სამოქალაქო (კეთილსინდისიერებასთან დაკავშირებით) თუ ადმინისტრაციული წესით (რეგისტრაციასთან დაკავშირებით) ან ორივე წესით ერთად. ამდენად, საქმის ხელახლა განხილვისას სააპელაციო სასამართლომ მოსარჩელესთან ერთად უნდა იმსჯელოს და მოსარჩელემ უნდა გადაწყვიტოს, ხომ არ არსებობს აღიარებითი სარჩელის ნაწილში საქმის განხილვის დასრულებამდე დ. ბ-ს მიმართ მიმდინარე სამოქალაქო საქმეზე საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 279-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად საქმის წარმოების შეჩერების საფუძველი.

ამასთან, საკასაციო სასამართლო დამატებით განმარტავს, რომ სააპელაციო სასამართლომ სასაქონლო ნიშნის საყოველთაოდ ცნობილად აღიარების ნაწილში სარჩელის საფუძვლიანობის შემოწმებისას, განსაკუთრებული ყურადღება უნდა აქციოს იმ გარემოებას, რომ მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი

ცნობადობის კვლევა საქართველოს ოთხ უდიდეს ქალაქში – თბილისში, ზუგდიდში, ბათუმსა და ქუთაისში ჩატარდა და ცნობადობის მაჩვენებელმა 61% მიაღწია. ამასთან, სადავო სასაქონლო ნიშნების ქვეშ მოსარჩელის მიერ 2008-2010 წლებში ნახევარ მილიონზე მეტი ადამიანი დაეზღვია (მიუხედავად დაზღვევის საფუძვლებისა – მაგ. სახელმწიფო დაზღვევის პროგრამა), 2011 წელს დამატებით 196784 პოლისი, 2012 წელს კი 256030 პოლისი გაიცა, ეს იმ პირობებში როდესაც საქართველოს მოსახლეობა სულ დაახლოებით – 3 729 635 ადამიანს შეადგენს (2014 წლის 5 ნოემბრის მდგომარეობით). გარდა ამისა, პირველი ჩანაწერი კომპანიის სადაზღვევო საქმიანობასთან დაკავშირებით 1998 წლის 16 იანვარს დაფიქსირდა. ამდენად, სადაზღვევო კომპანიის „ი...“-ს სადაზღვევო ბაზარზე 16-წლიანმა საქმიანობამ, მისი კუთვნილი სასაქონლო ნიშნების ცნობადობის საკმაოდ მაღალი მაჩვენებელი გამოიწვია.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ დაარღვია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მე-2 ნაწილი – სრულყოფილად არ გამოიკვლია საქმის ფაქტობრივი გარემოებები და არ მისცა მათ სწორი სამართლებრივი შეფასება, რის გამოც სახეზეა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საკასაციო საჩივრის აბსოლუტური საფუძველი. საკასაციო სასამართლო თვითონ ვერ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, რადგან არსებობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველი.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სს „სადაზღვევო კომპანია „ი“-ს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, უნდა გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 21 მაისის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად უნდა დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს. სააპელაციო სასამართლომ თავის მხრივ საქმის ხელახლა განხილვისას სასარჩელო მოთხოვნის ფარგლებში, საკასაციო სასამართლოს მითითებების გათვალისწინებით, საქმეზე უნდა მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-

2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის მე-4 ნაწილით, 412-ე მუხლით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. სს „სადაზღვევო კომპანია „ი...“-ს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 21 მაისის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. სასამართლო ხარჯები გადაწყდეს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას;
4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## **საერთაშორისო სამრეწველო-სასაქონლო ნიშნის დაცვაზე უარის თქმის შესახებ ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადის ათვისა**

### **გადაწყვეტილება საქართველოს სახელმწიფო**

№ბს-854-836(კ-12)

10 ოქტომბერი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ლ. მურუსიძე,  
მ. ვაჩაძე

**დავის საგანი:** სასაქონლო ნიშნის საერთაშორისო დაცვაზე უარის გასაჩივრების პროცედურის დაცვა, საჩივრის განსახილველად მიღების დავალება

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

25.11.11წ. კომპანია „ნ...“ სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას

მოპასუხე სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – „საქპატენტის“ მიმართ მოპასუხის 25.10.11წ. გადაწყვეტილების გაუქმებისა და „ნ...“ საჩივრის განსახილველად მიღების მოთხოვნით.

მოსარჩელემ მიუთითა, რომ საჩივრით მიმართა „საქპატენტთან“ არსებულ სააპელაციო პალატას და მოითხოვა ექსპერტიზის უარყოფითი გადაწყვეტილების გაუქმება, რომლითაც მის კუთვნილ საერთაშორისო ნიშანს („AFLUCCELL“) უარი ეთქვა დაცვის მინიჭებაზე და საქართველოში გავრცელებაზე საქონლის სრული ჩამონათვლის მიმართ. „საქპატენტის“ სააპელაციო პალატამ 25.10.11წ. გადაწყვეტილებით დაუშვებლად ცნო „ნ...“ სააპელაციო საჩივარი იმ საფუძვლით, რომ გასული იყო სააპელაციო საჩივრის წარდგენის კანონით დადგენილი სამთვიანი ვადა. მოსარჩელე მიიჩნევს, რომ აღნიშნული საფუძვლით მისი სააპელაციო საჩივრის დაუშვებლად ცნობა კანონისმიერ საფუძველს მოკლებულია, რადგან მას ექსპერტიზის გადაწყვეტილება ჩაბარდა 04.08.11წ., შესაბამისად მოსარჩელემ აღნიშნა, რომ „საქპატენტი“ არასწორად განმარტავს „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონს, დაუშვებელია გასაჩივრების სამთვიანი ვადის ათვლა ექსპერტიზის გადაწყვეტილების მიღების დღიდან და არა მისი დაინტერესებული მხარისთვის ჩაბარების მომენტიდან. „ნ...“ თვლის, რომ სადავო გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსისა და „საქპატენტის“ საპელაციო პალატის შესახებ დებულების დანაწესებს.

მოსარჩელე აღნიშნავს, რომ ექსპერტიზის გადაწყვეტილება ინგლისურ ენაზე შედგა 13.07.11წ., ექსპერტიზის შეტყობინება/ნოტიფიკაცია გაგზავნილ იქნა 15.07.11წ. ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის საერთაშორისო ბიუროში (ისმო), რომელმაც 25.07.11წ. მიიღო ეს შეტყობინება და 03.08.11წ. შეტყობინება გადაუგზავნა კომპანიის წარმომადგენელს, უკანასკნელმა შეტყობინება 04.08.11წ. მიიღო. დადგენილი წესის თანახმად ექსპერტიზის უარყოფითი გადაწყვეტილება მტკიცდება ბრძანებით და გასაჩივრების სამთვიანი ვადა აითვლება ბრძანების გამოცემიდან. მოსარჩელე თვლის, რომ ამ შემთხვევაშიც ირღვევა ვადის ათვლის ზოგადი წესები, თუმცა დაცულია სხაკ-ის მოთხოვნები. სხვა წესია დადგენილი საქართველოში მადრიდის პროტოკოლის საფუძველზე გასაავრცელებლად წარმოდგენილი საერთაშორისო სასაქონლო ნიშნებისათვის. „საქპატენტის“ ექსპერტიზის გადაწყვეტილება ნოტი-

ფიკაციის სახით, მხოლოდ ინგლისურ ენაზე შედგენილი, ეგზავნება საერთაშორისო ბიუროს განმცხადებლისათვის გადასაცხავანად. ადგილი აქვს სხვადასხვა წესის გამოყენებას უარყოფითი გადანყვეტილების შეტყობინებისას ეროვნული სასაქონლო ნიშნისა და საერთაშორისო სასაქონლო ნიშნის განმცხადებლების მიმართ, რაც არღვევს თანასწორობის პრინციპს. ექსპერტიზის უარყოფითი გადანყვეტილება საერთაშორისო ბიუროში იგზავნება ამ გადანყვეტილების დამამტკიცებელი ბრძანების გარეშე. მოსარჩელემ გამოითხოვა ბრძანება უარყოფითი გადანყვეტილების დამტკიცების შესახებ, რომელიც თითქმის ერთი თვის დაგვიანებით არის გამოცემული. მოსარჩელე თვლის, რომ ადმინისტრაციულ ინდივიდუალურ-სამართლებრივ აქტად უნდა ჩაითვალოს არა ისმო-ში გაგზავნილი ინგლისურენოვანი შეტყობინება, მიღებული მოსარჩელის მიერ 04.08.11წ., არამედ 12.08.11წ. ბრძანება, რომელიც ამტკიცებს ექსპერტიზის დასკვნას. მოსარჩელე აღნიშნავს, რომ საქპატენტის კანცელარიაში ჩააბარა საჩივარი 13.09.11წ., თუმცა ამ ფაქტს ვერ ადასტურებს, რადგან საჩივრის ასლზე დასმულია 17.10.11წ. ანუ მომდევნო სამუშაო დღის თარიღი. საქპატენტის სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ დაირღვა სააპელაციო საჩივრის ჩაბარების ვადა და 25.10.11 წ. საჩივარი დაუშვებლად ცნო. მოსარჩელე თვლის, რომ ადმინისტრაციულ აქტად უნდა ჩაითვალოს არა საქპატენტის მიერ შედგენილი ნოტიფიკაცია/შეტყობინება, არამედ ქართულ ენაზე შედგენილი 12.08.2011წ. №1863/03 ბრძანება, რომლითაც დამტკიცდა ექსპერტიზა და განმცხადებელს განემარტა გასაჩივრების უფლება. შესაბამისად მოსარჩელე თვლის, რომ გასაჩივრების სამთვიანი ვადა მას არ დაურღვევია, სადავო აქტით დარღვეულია სააპელაციო პალატის დებულების 6.3 მუხლი, რომლის თანახმად საჩივრის შეტანა დასაშვებია შესაბამისი გადანყვეტილების გამოქვეყნებიდან/ჩაბარებიდან სამი თვის ვადაში, სსკ-ის 60.2 მუხლი, რომლის მიხედვით წლებით, თვეებით ან დღეებით გამოსათვლელი ვადის დინება იწყება იმ კალენდარული თარიღის ან იმ მოვლენის დადგომის მომდევნო დღიდან, რომლითაც განსაზღვრულია მისი დასაწყისი. გასაჩივრების ვადა არ არის დარღვეული ისმო-ს შეტყობინების მიღებიდან (04.08.11წ.) ათვლის შემთხვევაშიც. მოსარჩელემ მიუთითა, რომ დარღვეულია სზაკ-ის 94-ე, 182-ე მუხლების მოთხოვნები.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 09.03.2012წ. გადანყვეტილებით კომპანია „ნ...“ სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის მიერ 13.07.2011წ. მიღებულ იქნა ექსპერტიზის დასკვნა საერთაშორისო ნიშნის დაცვაზე უარის თქმის შესახებ, „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ კანონის მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე. აღნიშნული დასკვნის საფუძველზე „საქპატენტის“ მიერ 12.08.2011 წ. გამოიცა ბრძანება, რომლითაც კომპანია „ნ...“ საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისთვის დაცვის მინიჭებაზე ეთქვა უარი. ასევე, დადგენილად იქნა მიჩნეული, რომ მითითებულ ექსპერტიზის დასკვნაზე შეტყობინება გაიგზავნა ისმოს საერთაშორისო ბიუროში, რომელმაც შეტყობინება მიიღო 25.07.11წ., ხოლო 3 აგვისტოს გადაუგზავნა კომპანია „ნ...“, რომელსაც შეტყობინება ჩაბარდა 04.08.2011წ.

სასამართლომ მიუთითა „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ კანონის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტზე, ნიშნების საერთაშორისო რეგისტრაციის შესახებ მადრიდის შეთანხმებისა და აღნიშნულ შეთანხმებასთან დაკავშირებული ოქმის ზოგადი ნესების მე-4 მუხლზე და აღნიშნა, რომ დასახელებული შეტყობინებით კომპანიას დეტალურად ეცნობა გადანყვეტილების გასაჩივრების შესაძლებლობა, გასაჩივრების წესი და ვადა, დეტალურად განემარტა, რომ გადანყვეტილების გასაჩივრების ვადა 13.10.2011წ. იწურებოდა. სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელის მოსაზრება გასაჩივრების ვადის შეტყობინების ჩაბარებიდან ათვლის შესახებ და მიუთითა, რომ ვერც საქპატენტისთვის და ვერც საერთაშორისო ბიუროსთვის წინასწარ ვერ იქნება ცნობილი თუ როდის ჩაბარდება განმცხადებელს გადანყვეტილება, შესაბამისად, საქპატენტს ვერ შეეძლება შეასრულოს მასზე დაკისრებული ვალდებულება შეტყობინების საერთაშორისო ბიუროში გაგზავნისას შეტყობინებაში გასაჩივრების საბოლოო თარიღის მითითების შესახებ. ამდენად, სასამართლომ ჩათვალა, რომ გადანყვეტილების გასაჩივრების სამთვიანი ვადა აითვლება გადანყვეტილების გამოტანის მომენტიდან.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 09.03.2012წ. გადანყვეტილება სააპელაციო წესით გასაჩივრდა მოსარჩელის მიერ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 30.10.12წ. განჩინებით კომპანია „ნ...“ სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა გასაჩივრებული გადანყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ სამოქალაქო საპროცესო კოდექ-



სის 390-ე მუხლზე დაყრდნობით სრულად გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და მათი სამართლებრივი შეფასებები.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 31.10.2012 წ. განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა კომპანია „ნ...“, რომელმაც აღნიშნული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება მოითხოვა.

კასატორმა აღნიშნა, რომ „საქპატენტი“ სასაქონლო ნიშნების საერთაშორისო რეგისტრაციაზე არღვევს მადრიდის ხელშეკრულების თანდართული პროტოკოლის ერთ-ერთ ძირითად დებულებას, რომლის მიხედვითაც თანაბარ სამართლებრივ და უფლებრივ პირობებში მოქმედების საშუალება უნდა ჰქონდეთ ეროვნულ განმცხადებლებსა და საერთაშორისო რეგისტრაციის მფლობელებს. კასატორის მითითებით „საქპატენტის“ მხრიდან უთანასწორო მოპყრობას აქვს ადგილი, რადგან სხვადასხვანაირად ხდება უფლებამოსილი ორგანოს მიერ გამოცემული ბრძანების გასაჩივრების ვადის ათვლა, კერძოდ, როდესაც ეროვნულ განმცხადებლებს აქტის გასაჩივრებისთვის ეძლევათ 3 თვე სადავო აქტის ჩაბარებიდან, საერთაშორისო რეგისტრაციის მფლობელებს ეს ვადა აეთვლებათ სადავო აქტის გამოცემიდან, რის შედეგადაც გასაჩივრების ვადებს შორის ფიქსირდება რამდენიმე კვირიანი სხვაობა. კომპანიის წარმომადგენელი აღნიშნავს, რომ „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონისა და „საქპატენტთან“ არსებული სააპელაციო პალატის დებულების ნორმათა ანალიზის საფუძველზე დგინდება, რომ გასაჩივრების სამთვიანი ვადის ათვლა უნდა მოხდეს გადაწყვეტილების უფლებამოსილი პირისთვის ჩაბარების დღიდან და არა „საქპატენტის“ მიერ მისი მიღებიდან. კასატორი მიიჩნევს, რომ განსახილველ დავაშიც არასწორად მოხდა აქტის გასაჩივრების სამთვიანი ვადის ათვლა, რეალურად ის უნდა ათვლილიყო 2011 წლის 4 აგვისტოდან, თუმცა მისი ათვლა დაიწყო 13 ივლისიდან – 21 დღით ადრე. „საქპატენტს“ უფლება არ ჰქონდა დაედგინა სააპელაციო პალატაში საჩივრის შეტანის უფრო ხანმოკლე ვადა საერთაშორისო სასაქონლო ნიშნებისთვის, ვიდრე ეს დადგენილია ეროვნული განმცხადებლებისთვის. კასატორი, ასევე, აღნიშნავს, რომ არც ერთი საერთაშორისო თუ შიდა ნორმატიული აქტი არ ავალდებულებს „საქპატენტს“ გადაწყვეტილებაში აღნიშნოს მისი გასაჩივრების ვადის ამონურვის კონკრეტული დღე. მადრიდის შეთანხმების თანდართული ოქმის თანახმად (მუხ. 17, 2 vii პუნქტი), სასურველია და არა აუცი-

ლებელი მოხდეს სააპელაციო საჩივრის შეტანის გონივრული ვადის მითითება, ხსენებული წესის თანახმად, სასურველია მითითოს გონივრული ვადა პასუხების შეტანისა, სააპელაციო საჩივრის შეტანისა, წინასწარი უარყოფითი გადაწყვეტილების გასაჩივრებისა, ოპოზიციაზე პასუხის წარდგენისა, იმ უწყების დასახელება, სადაც უნდა იქნეს შეტანილი პასუხი, სააპელაციო განაცხადი და ა.შ. „საქპატენტის“ მითითება იმის თაობაზე, რომ ის ვერ მოახერხებს უფლებამოსილი პირისთვის აქტის ჩაბარების მომენტიდან გასაჩივრების სამთვიანი ვადის ათვლას, რადგან მისთვის წინასწარ უცნობია, თუ როდის ჩაბარდება პირს აქტი, არ არის გასათვალისწინებელი, რადგან დღევანდელი კომუნიკაციების გათვალისწინებით ეს არგუმენტი უსუსურია, ამასთანავე საერთაშორისო ბიურო აფიქსირებს განმცხადებლისთვის გადაწყვეტილების ჩაბარების თარიღს და ნოტიფიკაციას ამ თარიღის შესახებ აქვეყნებს შესაბამის ვებგვერდზე. „საქპატენტს“ აქვს უფლებამოსილება თავისუფლად განსაზღვროს გასაჩივრების ვადის დენის დასაწყისი და დასასრული, თუმცა ისე, რომ გასაჩივრების ვადა არ იყოს 3 თვეზე ნაკლები და თანაბარ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ ეროვნული და საერთაშორისო განმცხადებლები.

საკასაციო პალატი სხდომაზე საქპატენტის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სააპელაციო სასამართლოს განჩინება კანონიერია და ძალაში უნდა დარჩეს, საქპატენტის მიერ დაცულია „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ კანონისა და მადრიდის შეთანხმებასთან დაკავშირებული ოქმის მოთხოვნები. 13.07.11წ. ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე, ოქმის ზოგადი წესების 17 (1) მუხლის შესაბამისად, საერთაშორისო ბიუროს ეცნობა წინასწარი უარი დაცვაზე, რომელიც თავისი არსით არის შეტყობინება. ნიშნის დაცვაზე წინასწარი უარის შესახებ შეტყობინების შესაბამის გრაფაში უწყების მიერ, სხვა მონაცემებთან ერთად, უნდა მიეთითოს სასაქონლო ნიშნის დაცვაზე უარის თქმის საფუძვლები, გასაჩივრების ვადა და ასევე საჩივრის წარდგენის საბოლოო თარიღი, რომელიც ივსება მე-9 გრაფაში. უწყების მიერ აღნიშნული გრაფის შევსების სავალდებულობას ადგენს ნიშნების საერთაშორისო რეგისტრაციის შესახებ მადრიდის შეთანხმებისა და აღნიშნულ შეთანხმებასთან დაკავშირებული ოქმის ზოგადი წესების მე-17(2) მუხლი, რომლის მიხედვით შეტყობინებაში წინასწარი უარის შესახებ სხვა ინფორმაციასთან ერთად მითითებული უნდა იყოს: გასაჩივრების გონივრული ვადა და ამ ვადის ამოწურვის თარიღი. მუხლი ადგენს პროცედურებს უწყების მიერ შეტყობინების არასათანადოდ შევ-

სების შემთხვევაში. წესის მე-18 მუხლის 1(დ) პუნქტის მიხედვით, თუ შეტყობინება არ პასუხობს 17(2) მუხლის მოთხოვნებს, წინასწარი უარი დაცვაზე არ შეიტანება საერთაშორისო რეესტრში და უწყებას ესაზღვრება ორთვიანი ვადა შესწორებული ფორმის გადმოსაგზავნად. აღნიშნულიდან გამომდინარე, მონინაალმდეგე ორგანოს წარმომადგენელი თვლის, რომ გასაჩივრების საბოლოო თარიღის მითითება სავალდებულოა. ზოგადი წესების 4(2) მუხლის შესაბამისად, ნებისმიერი ვადა განსაზღვრული თვეებში მთავრდება შესაბამისი თვის იმავე რიცხვის მქონე დღეს, რომელიც შეესაბამება მოვლენის დადგომის დღეს. შეტყობინების ჩაბარებიდან ვადის ათვლის შემთხვევაში არც საქპატენტისთვის და არც საერთაშორისო ბიუროსთვის არ იქნება წინასწარ ცნობილი განმცხადებლისთვის გადაწყვეტილების ჩაბარების თარიღი, ამასთანავე საბოლოო ვადის ამოწურვის თარიღის მითითება სავალდებულოა საერთაშორისო ბიუროსათვის შეტყობინების გაგზავნის დროს. მონინაალმდეგე მხარის წარმომადგენელი ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ კანონით დადგენილი გადაწყვეტილების გასაჩივრების სამთვიანი ვადა, რომელიც აღემატება ადმინისტრაციული კოდექსით განსაზღვრული აქტის გასაჩივრების ერთთვიან ვადას, სრულიად გონივრულია და საკმარისია იმისთვის, რომ უცხოელმა განმცხადებელმა აღნიშნულ ვადაში წარადგინოს საჩივარი. საქპატენტის თავმჯდომარის 18.03.11წ. №02 ბრძანებით დამტკიცებული საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულების 8.12 მუხლის, 8.9 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, სააპელაციო საჩივარი არ არის დასაშვები, თუ გასულია სააპელაციო საჩივრის წარდგენის დადგენილი ვადა. ამდენად, გასაჩივრების ვადა ამოიწურა 13.10.11წ., ხოლო საჩივარი 17.10.11წ. იქნა წარდგენილი, რის გამოც საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის 25.10.11წ. გადაწყვეტილება საჩივრის დაუშვებლად ცნობაზე კანონიერია და არ არსებობს საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების საფუძველი.

საქართველოს უზენაეს სასამართლოში 10.10.2013 წ. გამართულ სასამართლო სხდომაზე საქპატენტის წარმომადგენელმა ახსნა-განმარტებაში აღნიშნა, რომ შეუძლებელია ისმოს-ს მიერ განმცხადებლისთვის გადაწყვეტილების გადაგზავნისას ჩაბარების დამადასტურებელი დოკუმენტის გამოგზავნა საქპატენტში, ამიტომ საერთაშორისო სასაქონლო ნიშნებზე გამოტანილი უარყოფითი გადაწყვეტილებების გასაჩივრების ვადების ათვლის ერთ-ერთ მისაღები თარიღია გადაწყვეტილების

„საერთაშორისო ნიშნების ისმო-ს ჟურნალში“ გამოქვეყნების თარიღი. აღნიშნული ჟურნალი ქვეყნდება ისმო-ს ოფიციალურ ვებგვერდზე ყოველკვირეულად და დაინტერესებულ პირს აქვს შესაძლებლობა მიიღოს შესაბამისი ინფორმაცია. კომპანიის „ნ...“ სასაქონლო ნიშანზე საქპატენტის 13.07.11წ. გადაწყვეტილების თაობაზე ინფორმაცია „საერთაშორისო ნიშნების ისმო-ს ჟურნალში“ გამოქვეყნდა 25.08.11წ., ასეთ შემთხვევაში კომპანიის „ნ...“ მიერ საჩივრის წარდგენის თარიღი – 17.10.11წ. აკმაყოფილებს საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულებით გათვალისწინებულ სამთვიან ვადას. გასაჩივრების ვადის ამ მომენტიდან ათვლაზე კასატორის წარმომადგენლის თანხმობის მიუხედავად საქპატენტის წარმომადგენელმა უარი თქვა განსახილველი დავის მორიგებით დამთავრებაზე.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის, გასაჩივრებული განჩინების კანონიერების შემოწმების და საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლის შედეგად თვლის, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალებით დასტურდება, რომ სსიპ ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი საქპატენტის არსობრივი ექსპერტიზის 13.07.2011წ. დასკვნის საფუძველზე კომპანია „ნ...“ სასაქონლო ნიშანს („AFLUCCELL“) უარი ეთქვა საერთაშორისო ნიშნის დაცვის მინიჭებაზე. აღნიშნულის თაობაზე შედგენილი ინგლისურენოვანი შეტყობინება გაეგზავნა ინტელექტუალური საკუთრების (ისმო-ს) საერთაშორისო ბიუროს, რომელმაც შეტყობინება მიიღო 25.07.11წ., ხოლო 03.08.2011წ. ბიურომ შეტყობინება გადაუგზავნა კომპანია „ნ...“, რომელსაც იგი 04.08.2011წ. ჩაბარდა. შეტყობინებაში მიეთითა გადაწყვეტილების მიღების თარიღი – 13.07.2011წ. და აქტის გასაჩივრების ვადის მიმდინარეობის დასასრული – 13.10.2011წ. კომპანია „ნ...“-ის წარმომადგენელმა 17.10.2011წ. სააპელაციო განცხადებით მიმართა საქპატენტის სააპელაციო პალატას და მოითხოვა ექსპერტიზის უარყოფითი დასკვნის საფუძველზე მიღებული 13.07.2011წ. გადაწყვეტილების გაუქმება და მის მიერ წარდგენილი სასაქონლო ნიშნისთვის („AFLUCCELL“) დაცვის მინიჭება. საქპატენტის სააპელაციო პალატის 25.10.2011წ. №90-03/11 გადაწყვეტილებით კომპანია „ნ...“ სააპელაციო საჩივარი, გასაჩივრების 3-თვიანი ვადის დარღვევის გამო, დაუშვებლად იქნა ცნო-

ბილი. გადანყვეტილებში მიეთითა, რომ სააპელაციო პალატის დებულების 8.9 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად სააპელაციო საჩივარი არ არის დასაშვები, თუ გასულია სააპელაციო საჩივრის წარდგენის დადგენილი ვადა. ისმო-ს საერთაშორისო ბიუროში გაგზავნილი შეტყობინების თანახმად, საქპატენტის გადანყვეტილების გასაჩივრების ვადა 13.10.11წ. ამოიწურა, აქვლანტმა საჩივარი 17.10.11წ. შემოიტანა, რის გამოც კოლეგიამ მიიჩნია, რომ არსებობს საჩივრის დაუშვებლად ცნობის საფუძველი.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის მიერ 13.07.11წ. მიღებულ იქნა ექსპერტიზის დასკვნა საერთაშორისო ნიშნის დაცვაზე უარის შესახებ, რომელშიც განმცხადებელს განესაზღვრა საჩივრის წარსადგენად კონკრეტული ვადა (13.10.11წ.). საქმის მასალებით დასტურდება, რომ საერთაშორისო ნიშნის დაცვაზე უარის შესახებ ექსპერტიზის დასკვნა არ შეიცავს გასაჩივრების წესს, საჩივრის წარდგენის კონკრეტულ ვადას. საქპატენტში სამი თვის ვადაში ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში გასაჩივრების შესაძლებლობაზე მითითებას შეიცავს არა ექსპერტიზის დასკვნა, არამედ ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 12.08.11წ. №1863/03 ბრძანება. საქმის მასალებით დასტურდება აგრეთვე, რომ გასაჩივრების ლიმიტირებული ვადა (13.10.11წ.) და საჩივრის განმხილველი ორგანო მითითებულია საქპატენტის მიერ ინგლისურენოვანი შეტყობინება-ნოტიფიკაციაში გაგზავნილი ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის (ისმო) საერთაშორისო ბიუროში.

ქვედა ინსტანციების სასამართლოებმა, „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის 16.2 მუხლის საფუძველზე მიიჩნიეს, რომ გასაჩივრების სამთვიანი ვადის ათვლა უნდა მოხდეს გადანყვეტილების მიღებიდან და არა სხვა მომენტიდან, მაგ. უფლებამოსილი პირისთვის ორგანოს გადანყვეტილების ჩაბარების მომენტიდან, რადგან ნიშნების საერთაშორისო რეგისტრაციის შესახებ მადრიდის შეთანხმებისა და აღნიშნულ შეთანხმებასთან დაკავშირებული ოქმის ზოგადი წესების მე-4 მუხლის მე-5 პუნქტის მიხედვით დაინტერესებული პირისთვის გაგზავნილ შეტყობინებაში სავალდებულოა გასაჩივრების ვადის ამოწურვის კონკრეტული თარიღის მითითება. სააპელაციო

სასამართლოს მოსაზრებით აღნიშნული ვალდებულება ვერ შესრულდება, თუ გასაჩივრების ვადის ათვლა მოხდება აქტის მხარისთვის ჩაბარების მომენტიდან, რადგან „საქპატენტისა“ და საერთაშორისო ბიუროსთვის წინასწარ ვერ იქნება ცნობილი გადანყვეტილების განმცხადებლისთვის ჩაბარების თარიღი.

განაცხადის განხილვაზე უარის თქმის შესახებ ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზის გადანყვეტილების, აგრეთვე სასაქონლო ნიშნის დაცვაზე უარის თქმის შესახებ არსობრივი ექსპერტიზის გადანყვეტილების გასაჩივრების უფლება გათვალისწინებულია „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლში. საკასაციო პალატა არ იზიარებს მოწინააღმდეგე მხარის მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ საქპატენტთან არსებული სამრეწველო საკუთრების ობიექტზე უფლების მოპოვებასთან დაკავშირებით წარმოქმნილი დავის განმხილველ ორგანოში – სააპელაციო პალატაში კომპანია „ნ...“ საჩივრის შეტანის ვადა უნდა ათვლილიყო გადანყვეტილების გამოტანის დღიდან და მიიჩნევს, რომ „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის 1-ლი, მე-2 პუნქტები და საქართველოს ეკონომიკის მინისტრის მიერ 23.08.99წ. №63 ბრძანებით დამტკიცებული „სასაქონლო ნიშანზე განაცხადის წარდგენასა და რეგისტრაციასთან დაკავშირებული პროცედურების შესახებ“ ინსტრუქციის 17.1 და 22.1 მუხლები სიტყვასიტყვით არ უნდა განიმარტოს. ხსენებულ მუხლებში მოცემული რეგულაციის დადგენა ნორმის განმარტების სისტემურ მიდგომას, ხსენებული ნორმების კანონმდებლობის სხვა აქტებთან ორგანული კავშირის გათვალისწინებას საჭიროებს. საჩივრის დაუშვებლად ცნობას არ ადასტურებს „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ კანონის 16.2 მუხლის მითითება იმაზე, რომ გადანყვეტილება სააპელაციო პალატაში შეიძლება გასაჩივრდეს გადანყვეტილების მიღებიდან 3 თვის ვადაში. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ 16.2 მუხლის დებულების დაკონკრეტება მოცემულ შემთხვევაში მოხდა კანონის სხვა მუხლებში და კანონქვემდებარე აქტში. „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ კანონის 13.5 მუხლი ითვალისწინებს ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზის საფუძველზე საქპატენტის მიღებული გადანყვეტილების განმცხადებლისათვის გაცნობას, ამავე კანონის 14.3 მუხლი ითვალისწინებს არსობრივი ექსპერტიზის საფუძველზე გადანყვეტილების განმცხადებლისათვის გაგზავნას. ამავე კანონის მე-12 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად ექსპერტიზის გადანყვეტილების გასაჩივრების, პროცედურული ვადების შეჩერების, გაგრძელებისა და აღდგენის, აგრეთვე სასაქონ-

ლო ნიშნის რეგისტრაციასთან დაკავშირებული სხვა წესები განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით საქპატენტის თავმჯდომარის მიერ გამოცემული კანონქვემდებარე აქტით. სსიპ საქპატენტის თავმჯდომარის 18.03.11წ. №02 ბრძანებით დამტკიცებული საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულების 6.3 მუხლი პირდაპირ უთითებს, რომ სააპელაციო პალატაში სააპელაციო საჩივრის შეტანა დასაშვებია შესაბამისი გადაწყვეტილების გამოქვეყნებიდან/ ჩაბარებიდან (და არა გადაწყვეტილების გამოტანიდან) 3 თვის ვადაში. საჩივრის დაუშვებლად ცნობის კანონიერების დასაბუთებისათვის სააპელაციო სასამართლო განჩინებაში უთითებს საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულების მე-8 მუხლის მე-9 პუნქტის მოთხოვნას სარჩელის წარდგენის ვადის დაცვის საჭიროებაზე, ამასთანავე სასამართლოს შეფასების მიღმა რჩება დებულების 6.3 მუხლი, რომელზედაც ყურადღებას ამახვილებდა აპელანტი სააპელაციო საჩივარში.

საკასაციო პალატა თვლის, რომ მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ აქვს საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტს შორის კოლიზიას, 18.03.11წ. №02 ბრძანებით დამტკიცებული დებულების ხსენებული ნორმა აკონკრეტებს „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ კანონისა და დასახელებული ინსტრუქციის მუხლებს, კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი, „ნორმატიული აქტების შესახებ“ კანონის 7.9 მუხლის თანახმად, გამოცემულია საკანონმდებლო აქტის საფუძველზე და მის შესასრულებლად. ამდენად, არ არსებობს კანონსა და კანონქვემდებარე აქტს შორის კოლიზია, ამ კოლიზიის გადასაჭრელად სადავო სამართალურთიერთობის მიმართ სსკ-ის 6.3 მუხლის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ კანონის 7.7 მუხლის საფუძველზე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის გამოყენებაზე უარის თქმის საჭიროება (ინციდენტური კონტროლი), ვინაიდან კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი შესაბამისობაშია უპირატესი იურიდიული ძალის მქონე საკანონმდებლო აქტთან, მითითებული საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები ავსებენ ერთმანეთს. ამდენად, გასაჩივრების ვადა აითვლება არა გადაწყვეტილების მიღებიდან, არამედ გადაწყვეტილების ოფიციალური გაცნობიდან. საკასაციო სასამართლო არ იზიარებს მოწინააღმდეგე მხარის, აგრეთვე სასამართლოების მოსაზრებას აქტის გასაჩივრების ვადის გადაწყვეტილების მიღებიდან, კანონით დადგენილი წესით აქტის ოფიციალურ გაცნობამდე ათვლის შესაძლებლობის შესახებ. სზაკ-ის 180-ე მუხლის თანახ-



მად გასაჩივრების ვადა აითვლება სწორედ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოქვეყნების ან ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან. აქტის გაცნობამდე გასაჩივრების დაშვება გამოიწვევდა საჩივრის მიზნის – კონტროლის განხორციელების უარყოფას, რამდენადაც გადანყვეტილების მიღებამდე კონტროლის განხორციელება არ დაიშვება. ადმინისტრაციული აქტის იმ პირისათვის ოფიციალური გაცნობის მოთხოვნა, ვის მიმართაც არის იგი გამოცემული, კანონმდებლობის კატეგორიული იმპერატივია, ვინაიდან აქტის გამოქვეყნება, მისი ადრესატისთვის გაცნობა არის ადმინისტრაციული წარმოების ფინალი და მისი ნაყოფი – წარმოების შედეგად გამოცემული გადანყვეტილება ძალაში შედის მხარისათვის ოფიციალური გაცნობით (სზაკ-ის 54-ე მუხ.). აქტის ძალაში შესვლის განსაზღვრა მნიშვნელოვანია აქტის გასაჩივრებისათვის დადგენილი ვადების დასაცავად. სწორედ აქტის ძალაში შესვლის ანუ მხარისათვის კანონით დადგენილი წესით გაცნობით იწყება მისი გასაჩივრების ვადების ათვლა, გაცნობის შემდეგ ხდება შესაბამისი ადრესატის უფლებამოვალეობების წარმოშობა, შეცვლა ან შეწყვეტა, შესაბამისად, სწორედ ამ მომენტიდან პირს ეძლევა გასაჩივრების შესაძლებლობა. აქტის ოფიციალური გაცნობის სამართლებრივი მნიშვნელობა მდგომარეობს იმაში, რომ მხარე ადასტურებს მისი შინაარსის გაცნობას. გასაჩივრების ვადის ათვლა არ ხდება მაშინაც კი, როდესაც პირისთვის აქტის შინაარსი ცნობილი გახდა არაოფიციალური წყაროდან. აქტის გასაჩივრებისათვის დადგენილი ვადების დასაცავად მნიშვნელოვანია აქტის ძალაში შესვლის მომენტის განსაზღვრა. საჩივრის უფლება წარმოიშობა გამოცემული აქტით უფლების დარღვევით, რომელიც მხოლოდ ძალაში შესული აქტით არის შესაძლებელი, აქტი უნდა შეიცავდეს მითითებას მისი გასაჩივრების წესის შესახებ. სწორედ აქტის ძალაში შესვლის ანუ მხარისთვის კანონით დადგენილი წესით გაცნობისთანავე იწყება მისი გასაჩივრების ვადების ათვლა. შეუძლებელია პირს მოეთხოვოს მისთვის ჯერ კიდევ უცნობი აქტის შესრულება და გასაჩივრება. ადმინისტრაციულ წარმოებაში ვადების ათვლის მნიშვნელობიდან გამომდინარე, სზაკ-ის 94.2 მუხლი დამატებით ადგენს, რომ დაინტერესებული მხარე ვალდებულია დაიცვას დადგენილი ვადა, რომლის დინება დაინყება მხოლოდ დაინტერესებული მხარისათვის შესაბამისი დოკუმენტის ან ინფორმაციის გადაცემის ან ამ ინფორმაციის გამოქვეყნების დღიდან. იმ შემთხვევაში, როდესაც აქტის ადრესატისთვის ინდივიდუალური გაცნობა სირთულეებთან ან დიდ ფინანსურ დანახარჯებთან არის დაკავშირე-

ბული, შესაძლებელია სზაკ-ით გათვალისწინებული აქტის ოფიციალური გაცნობის ერთ-ერთი სახეობის (კერძოდ, აქტის გადაცემა (58-ე მუხ.), გამოქვეყნება შესაბამისი ორგანოს ბეჭდვით ორგანოში (56-ე მუხ.), საჯაროდ გამოცხადება (57-ე მუხ.)) გამოყენება. აქტის ოფიციალური გაცნობის პროცესში ყურადღება უნდა მიექცეს სზაკ-ის 55-58-ე მუხლებს და სპეციალურ კანონმდებლობაში მოცემულ თავისებურებებს. „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, სამრეწველო საკუთრების ოფიციალურ ბიულეტენში განაცხადის მონაცემები გამოქვეყნდება არსობრივი ექსპერტიზის მხოლოდ დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში, გამოქვეყნება უნდა განხორციელდეს დადებითი გადაწყვეტილების მიღებიდან ერთი თვის ვადაში (მე-15 მუხ.). ამდენად, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით გამოქვეყნების საკითხი არ დგება არსობრივი ექსპერტიზის უარყოფითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, რასაც ადგილი ჰქონდა მოცემულ შემთხვევაში. არსობრივი ექსპერტიზის უარყოფითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში განმცხადებელს აქვს გადაწყვეტილების საქპატენტის სააპელაციო პალატაში გასაჩივრების უფლება, ასეთი უფლების გამოყენების პირობაა გადაწყვეტილება ადრესატისათვის გაცნობა, ვინაიდან საქპატენტის თავმჯდომარის 18.03.116. №02 ბრძანებით დამტკიცებული „საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულების“ 1.2 მუხლის თანახმად საპელაციო პალატა თავის საქმიანობაში, სხვა ნორმატიულ აქტებთან ერთად, ხელმძღვანელობს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის ნორმებით. ამდენად, იმისათვის, რომ პირი სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილედ ჩაითვალოს და მასზე გავრცელდეს ამ ურთიერთობიდან გამომდინარე უფლება-მოვალეობები, მათ შორის გასაჩივრების უფლება და გასაჩივრების ვადის დაცვის ვალდებულება, როგორც მინიმუმ, საჭიროა მისი ინფორმირება აღნიშნულის შესახებ. საქართველოს ეკონომიკის მინისტრის 23.08.1999წ. №63 ბრძანებით დამტკიცებული „სასაქონლო ნიშანზე განაცხადის წარდგენასა და რეგისტრაციასთან დაკავშირებული პროცედურების შესახებ“ ინსტრუქცია, რეგისტრაციაზე უარის რომელიმე საფუძვლის არსებობის შემთხვევაში, ითვალისწინებს საერთაშორისო განაცხადში მოცემული საქონლის სიმბოლოს საქართველოში დაცვაზე უარის შესახებ გადაწყვეტილების განმცხადებლისათვის გაგზავნას საერთაშორისო ბიუროს მიერ დადგენილი ფორმით (21-ე მუხლის მე-4 პუნქტი), ინსტრუქციის თანახმად განმცხადებელს არ ეგზავნება მხო-

ლოდ დადებითი გადაწყვეტილება მოთხოვნის დაკმაყოფილების, სასაქონლო ნიშნის საქართველოში დაცვის შესახებ. მოცემულ შემთხვევაში გადაწყვეტილების მიღებიდან გასაჩივრების ვადის ათვლა დაუშვებელია არამხოლოდ იმის გამო, რომ მხარისათვის აქტის გაცნობამდე უცნობი იყო გადაწყვეტილების შინაარსი, მოთხოვნაზე უარის თქმის მოტივი, არამედ აგრეთვე იმის გამოც, რომ მხარისთვის უცნობი იყო ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მის მოთხოვნასთან დაკავშირებით თვით გადაწყვეტილების მიღების ფაქტი. ასეთ პირობებში, გადაწყვეტილების მიღებიდან კანონით განსაზღვრული გასაჩივრების სამთვიანი ვადის ათვლა ილუზორულს გახდიდა კანონით განსაზღვრული გასაჩივრების სამთვიანი ვადის არსებობას.

საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ „საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულება“ ადგენს სააპელაციო საჩივრის სავალდებულო რეკვიზიტებსა და მისი დასაშვებობის წინაპირობებს, ხსენებული დებულების მე-8 მუხლის მიხედვით, სააპელაციო საჩივარი უნდა შეიცავდეს გასაჩივრებული აქტის დასახელებას, ნომერს და თარიღს, მითითებას იმაზე, თუ აქტის რა ნაწილია გასაჩივრებული, აგრეთვე რაში მდგომარეობს აქტის უსწორობა, რას მოითხოვს სააპელაციო საჩივრის შემტანი პირი. ხსენებული მუხლის შინაარსი დამატებით ადასტურებს გადაწყვეტილების ტექსტის გაცნობის გარეშე გადაწყვეტილების გამოცემიდან გასაჩივრების ვადის ათვლის დაუშვებლობას. ამდენად, გასაჩივრების ვადის ათვლა შესაძლებელია მოხდეს მხოლოდ იმ მომენტიდან, როდესაც პირს შეექმნება ობიექტური შესაძლებლობა მიიღოს ინფორმაცია აქტის შინაარსის შესახებ (ასეთ მომენტად შესაძლოა მიჩნეულ იქნეს აქტის უფლებამოსილი პირისთვის ჩაბარება, გადაწყვეტილების კანონმდებლობით დადგენილი წესით ბიულეტენში გამოქვეყნების თარიღი და სხვ.). გასაჩივრების უფლება მოიცავს პრეზუმფციას, რომ პირისათვის ცნობილია აქტის შინაარსი. აქტის ოფიციალურად გაცნობით პირისთვის ცნობილი ხდება რა გახდა უარის თქმის საფუძველი და შესაბამისად, ექნება თუ არა პერსპექტივა მის საჩივარს, აგრეთვე ის, თუ რა სამართლებრივი საშუალებებით შეძლებს თავისი უფლებებისა და ინტერესების დაცვას. ადმინისტრაციული საჩივრის/სარჩელის უფლების მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ ის სხვა უფლებების და ინტერესების დაცვის სამართლებრივ საშუალებას წარმოადგენს, რაც განაპირობებს საჩივრის უფლების დაცვის უზრუნველყოფის აუცილებლობას. სამართლებრივი სახელმწიფოს ძირითადი მახასიათებელი სწო-

რედ ის არის, რომ დაინტერესებულ მხარეს მიეცეს შესაძლებლობა ადმინისტრაციულ ორგანოს მოთხოვოს ადმინისტრაციული წარმოების შედეგად მიღებული გადანყვეტილების გადასინჯვა. იმ მომენტამდე გასაჩივრების ვადის დინების ათვლის დაწყება, ვიდრე პირს არ მისცემია აქტის შინაარსის ოფიციალური წყაროს მეშვეობით გაცნობის შესაძლებლობა, უხეშად არღვევს პირის კანონიერ უფლებებსა და ინტერესს.

სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრთან – საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულების მე-6 მუხლის თანახმად, სააპელაციო პალატაში გასაჩივრების წინაპირობებია „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ კანონის მე-16 მუხლის 1-ლი, მე-2 და მე-4 პუნქტებში მითითებული საფუძვლები. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ არსობრივი ექსპერტიზის დასკვნა არ არის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, თავისი ბუნებით ის შუალედური აქტია, რომლის საფუძველზე ადმინისტრაციული ორგანო იღებს გადანყვეტილებას კონკრეტული სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის ან რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ. აღნიშნული დასტურდება „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ კანონის მე-14 მუხლით, რომლის თანახმად არსობრივი ექსპერტიზა ამოწმებს დაცვაზე (რეგისტრაციაზე) უარის თქმის საფუძვლების არსებობას, არსობრივი ექსპერტიზის საფუძველზე განმცხადებელს ეგზავნება გადანყვეტილება სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის ან რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ. საქმის მასალებში დაცული ექსპერტიზის დასკვნა საერთოდ არ შეიცავს რაიმე დებულებას გასაჩივრებასთან დაკავშირებით. საქმის მასალებით დასტურდება, რომ საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისთვის დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ გადანყვეტილება „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ კანონის მე-14 მუხლის საფუძველზე გამოიცა, კერძოდ, საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 12.08.11წ. №1863/03 ბრძანებით, კომპანია „ნ...“ საერთაშორისო სასაქონლო ნიშანს უარი ეთქვა დაცვაზე, ამასთანავე, ბრძანებაში აღინიშნა, რომ ის შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით საქპატენტის სააპელაციო პალატაში სამი თვის ვადაში. დეპარტამენტის უფროსის ხსენებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი განმცხადებლისათვის არ გაგზავნილა, ბრძანება მხოლოდ განმცხადებლის წერილობითი მოთხოვნის (07.11.11წ.) შემდეგ 15.11.11წ. გაეგზავნა პატენტრწმუნებულს. საქპატენტის მიერ ისმო-ს საერთაშორისო ბიუროსთვის ინფორმაციული ხასიათის შეტყო-

ბინების გაგზავნა არ ათავისუფლებდა ადმინისტრაციულ ორგანოს სზაკ-ით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებისაგან, განმცხადებლისათვის – პატენტრწმუნებულისათვის განცხადებაზე გამოცემული წერილობითი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გაცნობის ვალდებულებისაგან, სადაც სზაკ-ის 52.2 მუხლის მოთხოვნის შესაბამისად მითითებული იქნებოდა ის ორგანო, რომელშიც შეიძლება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრება, მისი მისამართი და საჩივრის წარდგენის ვადა. „სასაქონლო ნიშანზე განაცხადის წარდგენისა და რეგისტრაციასთან დაკავშირებული პროცედურების შესახებ“ ინსტრუქციის 4.2 და 8.2 მუხლების თანახმად, უცხოელი განმცხადებელი, რომელსაც არა აქვს მუდმივი საცხოვრებელი ადგილი ან მოქმედი საწარმო საქართველოს ტერიტორიაზე, საქპატენტთან ურთიერთობას წარმართავს მხოლოდ პატენტრწმუნებულის მეშვეობით. საქმის მასალებით დასტურდება, რომ კომპანია „ნ...“ წარმომადგენელს უარყოფითი პასუხი ჩაბარდა 04.08.11წ.. შესაბამისად, არ დასტურდება კანონით დადგენილი სამთვიანი გასაჩივრების ვადის გაცდენა.

სზაკ-ის 180.1 მუხლი გასაჩივრების ვადის ათვლას უკავშირებს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოქვეყნების ან ოფიციალური წესით გაცნობის დღეს, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი. საერთაშორისო-სამართლებრივი აქტებით და ქვეყნის კანონმდებლობით არ არის დადგენილი რაიმე საწინააღმდეგო, მადრიდის შეთანხმება და მისი ოქმი ასეთ დებულებას არ შეიცავენ. საჩივრის განუხილველად დატოვების საფუძველს არ ქმნიდა „ნიშნების საერთაშორისო რეგისტრაციის შესახებ მადრიდის შეთანხმებისა და აღნიშნულ შეთანხმებასთან დაკავშირებული ოქმის ზოგადი წესების“ მე-4 მუხლი. აღნიშნული აქტები არ იძლევა საერთაშორისო სასაქონლო ნიშნის მფლობელისათვის, ეროვნულ განმცხადებელთან შედარებით, გასაჩივრების უფრო ნაკლები ვადის განსაზღვრის საფუძველს. აღნიშნულის მიუხედავად მოცემულ შემთხვევაში საერთაშორისო ნიშნის მფლობელს, გადაწყვეტილების მიღებიდან გასაჩივრების ვადის ათვლის გამო, ეროვნულ განმცხადებელთან შედარებით, ფაქტიურად მიეცა საჩივრის შეტანის კანონით განსაზღვრულ ვადაზე რამდენიმე კვირით შემცირებული ვადა. საკასაციო პალატა თვლის, რომ რაიმე ობიექტური საფუძველი ასეთი დიფერენცირებული მიდგომისთვის არ არსებობს. „ნიშნების საერთაშორისო რეგისტრაციის შესახებ“ მადრიდის შეთანხმების მე-4 მუხლის, ნიშნების საერთაშორისო რეგისტრაცი-

ციის შესახებ მადრიდის შეთანხმებასთან დაკავშირებული 27.06.1989წ. ოქმის (რომელსაც საქართველო შეუერთდა საქართველოს პარლამენტის 13.05.1998წ. №1380-III დადგენილებით) მე-4.1 და 5.3 მუხლების თანახმად, ნიშანს ენიჭება იგივე დაცვა, როგორც მას ექნებოდა ნიშნის უშუალოდ ამ მონაწილე მხარის უწყებაში წარდგენისას. საკასაციო პალატა არ იზიარებს მოსაზრებას იმის შესახებ, რომ გასაჩივრების განსხვავებული წესი საერთაშორისო ნიშნის მფლობელისთვის განპირობებულია საერთაშორისო აქტებით დადგენილი განსხვავებული წესით. „ნიშნების საერთაშორისო რეგისტრაციის შესახებ“ მადრიდის ხელშეკრულების მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, საერთაშორისო ნიშნის დაცვაზე უარი შეიძლება გასაჩივრდეს იმავე პირობებით, რა პირობებიც არის დადგენილი ნაციონალური რეგისტრაციისათვის, ამავე მუხლის მე-3 პუნქტი ადგენს საერთაშორისო ბიუროს ვალდებულებას საერთაშორისო ნიშნის მფლობელის ადმინისტრაციის მიერ უარის თქმის ერთი ეგზემპლარის გადაგზავნის თაობაზე, ამავე პუნქტში საგანგებოდ არის აღნიშნული, რომ დაინტერესებულ პირს ეძლევა ისეთივე უფლება გასაჩივრებისთვის, როგორც განცხადების შეტანის ქვეყანაში. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ თანასწორობის კონსტიტუციური პრინციპი მხოლოდ იმ შემთხვევაში უშვება განსხვავებულ მიდგომას, უკეთეს არსებული განსხვავება იძლევა განსხვავებული მიდგომის მართლზომიერების დასაბუთების შესაძლებლობას. განსხვავებული, შედარებით არახელსაყრელი პირობების განსაზღვრა განპირობებული უნდა იყოს არსებითი, გონივრული და ობიექტური მიზეზებით (ობიექტური გარემოებებით განპირობებული დიფერენციაცია), დაუშვებელია არსებითად თანასწორის განხილვა უთანასწოროდ (დისკრიმინაციული დიფერენციაცია) და პირიქით. მოცემულ შემთხვევაში უფლების დაცვის შედარებით არახელსაყრელი სამართლებრივი რეჟიმის დამკვიდრება საერთაშორისო ნიშნის მფლობელისთვის განპირობებული უნდა იყოს არსებითი მიზეზებით. მოცემულ შემთხვევაში, გასაჩივრების ვადებთან მიმართებით, უცხოელი განმცხადებლის უთანასწორო, განსხვავებულ მდგომარეობაში ჩაყენებას არ აქვს გონივრული და ობიექტური საფუძველი. ასეთ საფუძვლად ვერ იქნება მიჩნეული მოპასუხე მხარის წარმომადგენლის მოსაზრება იმის შესახებ, რომ უფლებამოსილი პირისთვის აქტის ჩაბარებიდან გასაჩივრების ვადის ათვლა შეუძლებელს გახდის საბოლოო ვადის ამონურვის თარიღის მითითებას, რადგან საქპატენტისთვის და საერთაშორისო ბიუროსათვის არ არის წინასწარ ცნობილი განმცხადებ-



ლისათვის გადაწყვეტილების ჩაბარების დრო. საკასაციო პალატა თვლის, რომ ვადის ამონურვის თარიღის მითითება არ ნიშნავს სავალდებულო წესით საბოლოო, კონკრეტული დღის მითითების საჭიროებას. გასაჩივრების წესში, მითითება იმაზე, რომ საერთაშორისო ნიშნის მფლობელს აქვს საჩივრის შეტანის შესაძლებლობა აქტის გაცნობიდან 3 თვის განმავლობაში, სავსებით ცხადად განსაზღვრავს საჩივრის შეტანის ვადას, მისი ამონურვის მომენტს. გარდა ამისა, „ნიშნების საერთაშორისო რეგისტრაციის შესახებ მადრიდის შეთანხმებისა და აღნიშნულ შეთანხმებასთან დაკავშირებული ოქმის ზოგადი წესების“ 4.5 მუხლის შესაბამისად, გასაჩივრების ვადის ამონურვის თარიღის მითითება, რომელიც 17.2 მუხლის, 18.1 მუხლის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად არის სასურველი და არა სავალდებულო, შესაძლებელი იქნებოდა აგრეთვე იმ შემთხვევაში, უკეთეს საერთაშორისო ბიუროში ინფორმაციის გაგზავნამდე უარყოფითი გადაწყვეტილების შესახებ ეცნობება განმცხადებელს (პატენტრწმუნებულს), რომლისთვისაც მიღებული გადაწყვეტილების ჩაბარების თარიღიდან შესაძლებელი იქნებოდა გასაჩივრების სამთვიანი ვადის ამონურვის კონკრეტული თარიღის მითითება, მით უფრო, რომ 2006 წლის ივნისში მომზადებული იმოს-ს სტანდარტული შეტყობინების (MM/LD/WG/2/6) ფორმულარი (მე-10 გრაფა) ითვალისწინებს წინასწარი უარის შეტყობინების თარიღის მითითებას, რაც თავისთავად შესაძლებელს ხდის ზღვრული ვადის მითითების შესაძლებლობას (მე-9 გრაფა). შეტყობინებაში შედავების წარდგენის საბოლოო თარიღის მითითება შესაძლებელია შედავების წარდგენის თარიღის დაწყების შემთხვევაში, ხოლო უკანასკნელი შესაძლებელია უარის შესახებ განმცხადებლის შეტყობინების შემთხვევაში. შეტყობინებიდან ვადის ათვლის მართებულობა დასტურდება „ნიშნების საერთაშორისო რეგისტრაციის შესახებ მადრიდის შეთანხმებისა და აღნიშნულ შეთანხმებასთან დაკავშირებული ოქმის ზოგადი წესის“ სხვა დებულებებით, რომელთა მიერ დროის გარკვეული პერიოდით განსაზღვრული მოთხოვნების ვადების (მაგ. წესების 11.4 მუხლის „B“ ქვეპუნქტით განსაზღვრული საერთაშორისო განაცხადის ხარვეზის გამოსწორების ვადის, 12.7 მუხლის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ბაჟის და მოსაკრებლის თანხის გადახდის, 13.2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული საქონლის და მომსახურების მითითების წესის დარღვევის გამოსწორებისათვის წინადადების წარდგენის ვადის, აგრეთვე 20.2 ბის მუხლის „B“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ლიცენზიის შესახებ ჩანაწერის განხორციელების თაობაზე მიმარ-



თვის ხარვეზის გამოსწორების, 26-ე მუხლით გათვალისწინებული ცვლილების ან გაუქმების ჩანაწერის შეტანის შესახებ განცხადების ხარვეზის გამოსწორების ვადის და წესებით გათვალისწინებული სხვა (28.3 მუხ., 30.3, 34.3 მუხ. „დ“ ქვეპუნქტი) ვადების) ათვლა სახელდობრ შეტყობინების თარიღს უკავშირდება. დაცვის მინიჭებაზე უარის შეტყობინებაში საჩივრის წარდგენის საბოლოო თარიღის მითითება „ნიშნების საერთაშორისო რეგისტრაციის შესახებ მადრიდის შეთანხმებისა და აღნიშნულ შეთანხმებასთან დაკავშირებული ოქმის ზოგადი წესის“ 16.1 მუხლის „B“ ქვეპუნქტის თანახმად, შესაძლებელია უკეთეს ცნობილია ინფორმაციის წარდგენის მომენტისათვის შედავების წარდგენისა და დასრულების ვადის თარიღები. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ გასაჩივრების უფლების რეალიზაცია, ხსენებული ოქმის ზოგადი წესების მე-17 მუხლის თანახმად, საჭიროებს გარკვეულ გონივრულ ვადას. გასაჩივრების ვადის ათვლა გადაწყვეტილების მიღებიდან მაშინ, როდესაც შეტყობინება ისმო-დან საერთაშორისო ნიშნის მფლობელს შესაძლოა ჩაბარდეს მოგვიანებით, მათ შორის „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული სამთვიანი ვადის შემდეგ, არ პასუხობს გონივრულობის მოთხოვნებს და ქმნის ვითარებას, როდესაც სუბიექტს არ რჩება გასაჩივრების უფლების რეალიზაციის სათანადო ვადა, ან ეძლევა იმდენად მცირე გასაჩივრების პერიოდი, რომ შეუძლებელია ამ უფლების სრულყოფილი განხორციელება (პრაქტიკაში ყოფილა შემთხვევები, როდესაც საერთაშორისო ბიუროს მიერ წინასწარი უარყოფითი გადაწყვეტილების შესახებ შეტყობინება სასაქონლო ნიშნის მფლობელს გასაჩივრების ვადის შემდეგ გადაეგზავნა (მაგ. საერთაშორისო სასაქონლო ნიშანი „**ΛAKTEΛ**“ „**ETALON GROUP**“). დადგენილ ვადაში შეტყობინების მიუღებლობის გამო, მაგ. საქპატენტის 13.12.11წ. №01-03/1451 აქტით, საერთაშორისო სასაქონლო ნიშნის მფლობელს აპელაციის შეტანის უფლება მიეცა შეტყობინების ჩაბარების დღიდან 3 თვის განმავლობაში). საკასაციო პალატა თვლის, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ თავისი საქმიანობა ისე უნდა წარმართოს, რომ უზრუნველყოს ეროვნული განმცხადებლისათვის და საერთაშორისო ნიშნის მფლობელისათვის უარყოფითი გადაწყვეტილების კანონით განსაზღვრული სამი თვის ვადაში გასაჩივრების უფლებით რეალური სარგებლობა. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მართლმსაჯულება არის იურისდიქციული საქმიანობის სახეობა, რომელიც ეხება დავის გადაწყვეტას, კონფლიქტის გადაჭრას, დარღვეული უფლების აღდგენას ან კანონიერი

ინტერესის დაცვას, სასამართლო გადაწყვეტილება შესაძლოა გახდეს ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობის სრულყოფის მნიშვნელოვანი ფაქტორი, ამასთანავე, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით მხარისათვის გაცნობის პროცესის ორგანიზაციის, აპარატის საქმიანობის ორგანიზაციის საკითხი მმართველობის სფეროს განეკუთვნება და სცილდება დავის საგანს და სასამართლო საქმიანობის სფეროს.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სადავო აქტი – საქპატენტის სააპელაციო პალატის 25.10.116. №90-03/11 გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრის დაუშვებლად ცნობის თაობაზე, გამოიცა სზაკ-ის 182-ე მუხლის მოთხოვნების გაუთვალისწინებლად. ხსენებული მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, გასაჩივრების ვადის გასვლის გამო საჩივრის მიღებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების გამოტანა მოქმედი კანონმდებლობით შეუძლებელია საჩივრის ავტორისათვის აღნიშნულ საკითხზე საკუთარი მოსაზრების წარდგენის შესაძლებლობის მიღების შემდეგ (სზაკ-ის 182.2 მუხ.). აღნიშნული დებულებისგან განსხვავებულ რეგულაციას არც „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ კანონი და არც საქპატენტის თავმჯდომარის 18.03.116. №02 ბრძანებით დამტკიცებული „საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულება“ არ შეიცავს, უფრო მეტიც, დებულების 1.3 მუხლში მითითებულია, რომ სააპელაციო პალატა თავის საქმიანობაში სზაკ-ით ხელმძღვანელობს. ხსენებულის მიუხედავად სადავო აქტი სზაკ-ის 182.2 მუხლის მოთხოვნის დაუცველად გამოიცა. სადავო აქტი გამოცემულია აგრეთვე „საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულების“ მე-5 მუხლის დარღვევით, რომელიც ითვალისწინებს საქართველოს მთავრობის 03.07.106. დადგენილებით დამტკიცებული საფასურის გადახდის დაბრუნებას საჩივრის დაუშვებლად ცნობის შემთხვევაში (საქმის მასალებით დასტურდება, რომ საჩივარს თანდართული ჰქონდა საჩივრის განხილვისათვის საჭირო საფასურის გადახდის წერილის ასლი).

სააპელაციო სასამართლომ განჩინების სამოტივაციო ნაწილში გაიმეორა საქალაქო სასამართლოს არგუმენტაცია და საერთოდ არ უპასუხა აპელანტის მიერ სააპელაციო საჩივარში მოყვანილ არგუმენტაციას. სააპელაციო სასამართლოს საკასაციო წესით გასაჩივრებული განჩინების მოტივაციის მნიშვნელოვანი ნაწილი ეხება ფორმალური ექსპერტიზის ჩატარების მომწესრიგებელი ნორმების დებულებების აღწერას და ნიშნების

მსგავსების გამო რეგისტრაციაზე უარის თქმის დასაბუთებას მაშინ, როდესაც საერთაშორისო რეგისტრაციის საფუძველზე სასაქონლო ნიშანზე საქართველოში დაცვის მინიჭებისათვის საჭიროა მხოლოდ არსობრივი ექსპერტიზის ჩატარება. ამასთანავე დავა ეხება მხოლოდ და მხოლოდ საჩივრის დაუშვებლად ცნობის, გასაჩივრების პროცედურის დაცვის მართლზომიერებას და არა სასაქონლო ნიშნის დაცვაზე უარის თქმის კანონიერებას. საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება არის წინააღმდეგობრივი. განჩინების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია, რაც სსკ-ის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, ქმნის განჩინების გაუქმების აბსოლუტურ საფუძველს. საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სააპელაციო პალატამ არასწორად განმარტა კანონი, გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა და არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, სახეზეა სსკ-ის 393.2 მუხლით გათვალისწინებული შემთხვევა. შესაბამისად, გასაჩივრებული განჩინება კანონის დარღვევით არის გამოტანილი, რის გამოც საკასაციო პალატა თვლის, რომ უნდა გაუქმდეს სააპელაციო სასამართლოს განჩინება და საქმეზე მიღებული იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ბათილად უნდა იქნეს ცნობილი სადავო აქტი.

საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს აგრეთვე იმ გარემოებაზე, რომ სასარჩელო მოთხოვნა მოიცავს არა მხოლოდ „საქპატენტის“ სააპელაციო პალატის 25.10.11წ. გადაწყვეტილების გაუქმებას, არამედ აგრეთვე მოპასუხისათვის კომპანია „ნ...“ საჩივრის განსახილველად მიღების დავალებას. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 18.03.11 წ. №02 ბრძანებით დამტკიცებული „საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულების“ მე-8 მუხლით გასაჩივრების 3-თვიანი ვადის გარდა დადგენილია სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის სხვა წინაპირობებიც, როგორებიცაა: სააპელაციო საჩივრის შეტანა უფლებამოსილი პირის მიერ (8.6 მუხ.), საჩივრის შეტანა სააპელაციო პალატის თავმჯდომარის მიერ დამტკიცებული სააპელაციო საჩივრის ფორმით (8.2 მუხ.), საჩივრის შეტანა განხილვისათვის დადგენილი საფასურის გადახდის დამადასტურებელ საბუთთან (8.8 მუხ.), გასაჩივრებული აქტის ასლთან (8.4 მუხ.) ერთად, ასევე საჩივრისა და თანდართული მასალების ასლების მონაწილე მხარეთა რაოდენობის შესაბამისად წარდგენა (8.5 მუხ.). ამასთანავე, მე-8

მუხლის 1-ლი და მე-3 პუნქტებით განსაზღვრულია სააპელაციო საჩივრის შინაარსის განმსაზღვრელი ელემენტები. უკეთეს საჩივარი არ აკმაყოფილებს აღნიშნული მუხლის მე-2 – მე-8 პუნქტებით განსაზღვრულ მოთხოვნებს, სააპელაციო პალატა მას არ იღებს არსებითად განსახილველად და ადგენს ხარვეზს (8.10 მუხ.). ამდენად, ვინაიდან გასაჩივრების ვადის დარღვევულად მიჩნევის გამო, საჩივრის დასაშვებობის სხვა პირობები ადმინისტრაციულ ორგანოს აღარ შეუმონმებია, საჩივრის დასაშვებობის სხვა პირობებზე მსჯელობა სცილდება სასამართლო უფლებამოსილების ფარგლებს. შესაბამისად, საკასაციო პალატა თვლის, რომ გასაჩივრებული განჩინება უნდა გაუქმდეს და საქპატენტის სააპელაციო პალატას უნდა დაევალოს ხელახლა იმსჯელოს კომპანია „ნ...“-ს სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხთან დაკავშირებით.

სსკ-ის 53-ე მუხლის თანახმად, იმ მხარის მიერ მიღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს. საქმის მასალებით დასტურდება, რომ სახელმწიფო ბაჟი გადახდილია საპატენტო ბიუროს კურიერის ლ. ს-ის მიერ. შესაბამისად, მოპასუხეს მის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი თანხა.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილით, 32-ე მუხლის მე-4 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

### **გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა:**

1. კომპანია „ნ...“ საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 30.10.12წ. განჩინება და საკასაციო სასამართლოს მიერ მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;

3. კომპანია „ნ...“ სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ. ბათილად იქნეს ცნობილი ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – „საქპატენტის“ სააპელაციო პალატის 25.10.11წ. №90-03/11 გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრის დაუშვებლად ცნობის თაობაზე. ინტელექტუალური საკუთრე-

ბის ეროვნული ცენტრის – „საქპატენტის“ სააპელაციო პალატას დაევალოს კომპანია „ნ...“ სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხის გადაწყვეტა;

4. ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრს – „საქპატენტს“ ლ. ს-ის (პ.ნ....) სასარგებლოდ დაეკისროს 550 ლარი;

5. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## **ბუნებრივი აირის გადასახადის დავალიანების დარიცხვის კანონიერების შემოწმება**

### **განჩინება**

№ბს-682-668(კ-14)

21 იანვარი, 2016 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა**  
**შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
მ. ვაჩაძე,  
ვ. როინიშვილი**

**დავის საგანი:** კომისიის უფლებამოსილება, კომისიის აქტის ბათილად ცნობა, გაზის მოხმარების ღირებულების დავალიანების დარიცხვა.

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

თ. კ-ა არ დაეთანხმა ბუნებრივი გაზის ღირებულების 2787.35 ლარის დარიცხვას და მიმართა საქართველოს ენერჯეტიკისა და ნეალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიასთან არსებულ მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის სამსახურს. კომისიის 18.04.13წ. №10/13 გადაწყვეტილებით თ. კ-ას მოთხოვნა დაკმაყოფილდა, შპს „ს...“ მიერ აბონენტ №...-თვის 2787.35 ლარის დარიცხვა და გადახდის მოთხოვნა მიჩნეულ იქნა უსაფუძვლოდ. შპს „ს...“ დაევალა №...-ის პირად ბარათზე ცვლილების შეტანა და უსაფუძვლოდ მიჩნეული დარიცხვის გაუქმება. კომისიის 18.04.13წ. №10/13 გადაწყვეტილებაში აღინიშნა, რომ 13.09.05წ. ნასყიდობის ხელშეკრულებით თ. კ-ამ დაბა ... შეიძინა უძრავი ქონება: მიწის ნაკვე-

თი მასზე განთავსებული მშენებარე საცხოვრებელი სახლით, რომელიც ელექტროენერჯისა და წყალმომარაგების ქსელზე მიერთებული არ ყოფილა, თუმცა ნაკვეთზე ნასყიდობის მომენტში შეყვანილი იყო ბუნებრივი გაზის მილი, რომელზედაც დამონტაჟებული იყო ბუნებრივი გაზის მრიცხველი. 31.03.12წ. შპს „ს...“ წარმომადგენლებმა აიღეს თ. კ-ას საკუთრებაში შემაჯავალ გაზსადენზე დამონტაჟებული ბუნებრივი გაზის მრიცხველის ჩვენება (რომელიც ამ პერიოდისათვის შეადგენდა 6793 მ<sup>3</sup>-ს), რის საფუძველზეც სახლის მანამდელ მესაკუთრეს, აბონენტ გ. მ-ს დაერიცხა 2787,35 ლარი. 03.05.12წ. კომპანიის წარმომადგენლებმა დავალიანების გადაუხდელობის გამო, გაზის ონკანზე ლუქის დადების გზით, აბონენტ № ... შეუწყვიტა გაზის მიწოდება, რის შესახებაც შედგა აქტი, რომლის თანახმადაც მრიცხველის ჩვენება შეადგენდა 6794 მ<sup>3</sup>-ს. შემდგომში მრიცხველის ჩვენების შეცვლის გამო, თ. კ-ამ მიმართა კომპანიას და მოითხოვა გაზის მიწოდების შეწყვეტა მრიცხველის ჩაჭრით. კომპანიამ 17.05.12წ. აირმედლებით შეწყვიტა გაზის მიწოდება, მოხსნა მრიცხველი, დალუქა იგი პოლიეთილენის პაკეტში და შეადგინა აქტი, რომლის თანახმადაც ჩაჭრის მომენტში მრიცხველის ჩვენება შეადგენდა 6795,8 მ<sup>3</sup>-ს. კომისიამ სადავო გადაწყვეტილებაში აღნიშნა, რომ მრიცხველის ჩვენება იცვლებოდა მიუხედავად იმისა, რომ გაზსადენის ონკანი დალუქული იყო და მასზე ბუნებრივი გაზის დანადგარები მიერთებული არ ყოფილა. კომისიამ აღნიშნა, რომ წარმოდგენილია დაბა ... მცხოვრები პირების განცხადება, რომლითაც მაცხოვრებლები ადასტურებენ, რომ მათ მეზობლად მდებარე თ. კ-ას საკუთრებაში არსებულ სახლში არ არის არანაირი საცხოვრებელი პირობები და იგი დაკეტილია. კომისიამ აღნიშნა აგრეთვე, რომ სახლში საცხოვრებელი პირობების არარსებობა დასტურდება აგრეთვე ფოტომასალით. სს „თ...“ 18.03.13წ. №კ-1918 წერილით, შპს „ჯ...“ 11.03.13წ. წერილით ირკვევა, რომ თ. კ-ას სახლში ელექტროენერჯით და წყლით მომარაგება არ ხდებოდა. ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით კომისიამ მიიჩნია, რომ თ. კ-ას საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაში საცხოვრებელი პირობების არარსებობის გამო ბუნებრივი გაზის მოხმარება არ ხდებოდა, შესაბამისად მრიცხველით აღრიცხული გაზი თ. კ-ას არ მოუხმარია, მრიცხველმა აღრიცხა გაზსადენის ჩამკეტის დაზიანების მიზეზით ჰაერში გაფრქვეული გაზი (ანუ დანაკარგი).

შპს „ს...“ სარჩელი აღძრა მოპასუხის – საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული

კომისიის წინააღმდეგ, რომლითაც მოითხოვა კომისიის 18.04.13წ. №10/13 გადაწყვეტილების ბათილად ცნობა. მოსარჩელემ აღნიშნა, რომ სადავო ადმინისტრაციული აქტით დაკმაყოფილდა თ. კ-ას მოთხოვნა, უსაფუძვლოდ იქნა მიჩნეული №... აბონენტზე განხორციელებული მოხმარებული ბუნებრივი გაზის დარიცხვა (2787.35ლ.). მოსარჩელე თვლის, რომ თ. კ-ას მიერ 13.09.05წ. ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე დაბა... გ. მ-ის სახელზე რიცხული უძრავი ქონების შეძენით, თ. კ-ა გახდა სამოქალაქო-სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე. ის, რომ თ. კ-ას სამართალმამკვიდრებელი გ. მ-ი იყო ბუნებრივი გაზის მომხმარებელი და დარეგისტრირებული იყო აბონენტად დასტურდება სადავო აქტით, აბონენტის ბრუნვის ისტორიით და გაზით მომარაგების შეწყვეტის აქტით. 31.03.12წ. აღებული ჩვენების მიხედვით მოხმარებული ბუნებრივი გაზის ოდენობა შეადგენდა 6793 მ<sup>3</sup>, რისი გათვალისწინებითაც თ. კ-ა ვალდებული იყო გადაეხადა 2787,35 ლარი. თანხის გადაუხდელობის გამო აბონენტს შეუწყდა გაზომომარაგება. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ არ არის დადგენილი საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებები, კერძოდ, არ არის დადგენილი მრიცხველის ტექნიკურ სტანდარტებთან შეუსაბამობის ფაქტი, არარსებობის სტანდარტების, ტექნიკური რეგლამენტის და მეტროლოგიის ეროვნულ სააგენტოს დასკვნა მრიცხველის მიერ მოხმარებული გაზის ოდენობის არასწორ აღრიცხვასა და დასაშვები ცდომილების შესახებ. მრიცხველის გაუმართაობის შესახებ დასკვნის გაცემაზე მხოლოდ ის ორგანოა უფლებამოსილი, ასეთი დასკვნის გარეშე სემეკი არ იყო უფლებამოსილი თავად დაედგინა მრიცხველის მუშაობის გაუმართაობის ფაქტი. კომისიის 09.07.09წ. №12 დადგენილებით დამტკიცებული „ბუნებრივი გაზის მიწოდების და მოხმარების წესების“ 12.2 მუხლის თანახმად თუ მრიცხველი არასწორად აღრიცხავს საცალო მომხმარებლის მიერ ბუნებრივი გაზის მოხმარებას ან მრიცხველის ჩვენება არასწორადაა წაკითხული, რის გამოც ქვითარი არასწორად გამოიწერა, მიმწოდებელი ან/და განაწილების ლიცენზიატი ვალდებულია ჩაასწოროს საცალო მომხმარებლის ანგარიში. მე-12 მუხლის მე-11 პუნქტის მიხედვით იმ შემთხვევაში, თუ დადასტურდა, რომ მრიცხველის ცდომილება აღემატება მის დაშვებულ საპასპორტო ცდომილებას საცალო მომხმარებლის საზიანოდ, მიმწოდებელი და განაწილების ლიცენზიატი ვალდებული არიან დადგენილი ცდომილების შესაბამისად ჩაასწორონ მონაცემები. მრიცხველის ცდომილებით აღრიცხვის დანყების თარიღიდან შემონების თარიღამდე. ამ მოთხოვნის იგ-



ნორირებით ადმინისტრაციულმა ორგანომ არათუ დაადგინა ან-გარიშის ჩასწორების ვალდებულება, არამედ მთლიანი დარიცხვა გააუქმა. მოსარჩელე თვლის, რომ მრიცხველის ჩვენების შეცვლა იძლეოდა ჩასწორების და არა მთლიანად მოხმარებული გაზის ღირებულების დარიცხვის გაუქმების საფუძველს. მოსარჩელე თვლის, რომ კომისიამ არასწორად დაადგინა თ. კ-ას სახლში არცხოვრების და მის მიერ გაზის მოუხმარებლობის ფაქტი, რასაც დაუკავშირა ჩამკეტის დაზიანების მიზეზით ჰაერში გაბნეული გაზის აღრიცხვა მრიცხველის მიერ. ადმინისტრაციულმა ორგანომ მეზობლების განცხადების და ფოტოსურათების საფუძველზე დაადგინა, რომ თ. კ-ას კუთვნილ სახლში არ იყო არანაირი ცხოვრების პირობები. მოსარჩელე თვლის, რომ არ მოხდა მტკიცებულებების კანონით დადგენილი სტანდარტით შეფასება, ცხოვრების პირობების არარსებობა არ შეიძლება იქნეს დადასტურებული მოწმეების განცხადებით, რომლებიც შეიძლება დაინტერესებულ პირებად, თ. კ-ას ახლობლებად ჩაითვალოს, ამასთანავე წარმოდგენილ ფოტოსურათებს განმცხადებელმა თავისთვის სასარგებლო გარემოებებში გაუკეთა ფოტომონტაჟი. სს „თ...“-ს და შპს „ჯ...“-ს ცნობებით არ დასტურდება განმცხადებლის სახლში არცხოვრების გარემოება.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 06.02.14წ. გადაწყვეტილებით შპს „ს...“ სარჩელი არ დაკმაყოფილდა. სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ სახლში არანაირი საყოფაცხოვრებო პირობები არ არის ანუ არ არის გარემო, რომელიც გააჩენდა ვარაუდს, რომ აბონენტს შეეძლო ამ მისამართზე ეცხოვრა და მოეხმარა ბუნებრივი გაზი. მრიცხველიდან გამომავალ მილს არ ჰქონდა სახლისკენ მიმავალი განშტოება. ელექტროენერჯის მიწოდება დაიწყო 2012 წლიდან, ხოლო სასმელი წყლის მიწოდება 2013 წლის 13 თებერვლიდან. სასამართლომ აღნიშნა, რომ განაწილების ლიცენზიატია პასუხისმგებელი პირი აღრიცხვის კვანძის გამართულ მდგომარეობაში ყოფნაზე და ის ასევე ვალდებულია ატარებდეს სისტემატურ შემოწმებას აბონენტთან კვანძის ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით. მოცემულ შემთხვევაში №... აბონენტთან აღრიცხვის კვანძი გაუმართავი იყო, მრიცხველიდან გამომავალი მილი სახლში არ შედიოდა, ხოლო ჩამკეტი იყო დაზიანებული და მიუხედავად იმისა, რომ არ იყო დაერთება გაზის მოხმარების დანადგარებთან, მრიცხველი მაინც აღრიცხავდა გატარებულ ბუნებრივ აირს. აბონენტად რეგისტრირებულია გ. მ-ი და არა თ. კ-ა, თ. კ-ას და შპს „ს...“ შორის ხელშეკრულება არ არსებობს, მას არასოდეს მოსვლია მოხმარებული აირის ღირე-

ბულების გადახდის ქვითარი. 09.07.09წ. №12 დადგენილებით დამტკიცებული წესის 10.19 მუხლის შესაბამისად დაუშვებელია მიმწოდებლის ან განაწილების ლიცენზიატის მიერ ერთი საცალო მომხმარებლის დავალიანების დაკისრება სხვა მომხმარებელზე, ამ უკანასკნელის წერილობითი თანხმობის გარეშე. სასამართლომ აღნიშნა აგრეთვე, რომ განაწილების ლიცენზიატი ვალდებულია ახალი აბონენტისათვის დარიცხული დავალიანების გადახდა მოითხოვოს მხოლოდ კანონით გათვალისწინებული წესების დაცვით, რაც უპირობოდ გულისხმობს ახალი აბონენტის ინფორმირებას და მის თანხმობას სხვისი ვალდებულების შესრულებაზე. წესების 18.3 მუხლის მოთხოვნის დარღვევა არ გულისხმობს ძველი მომხმარებლის მიერ დახარჯული აირის საფასურის ახალ მომხმარებელზე დაკისრების შესაძლებლობას. იმის გათვალისწინებით, რომ თ. კ-ა არ არის ვალდებული გადაიხადოს გ. მ-ის მიერ მოხმარებული ბუნებრივი აირის ღირებულება. ასევე იმ გარემოებიდან გამომდინარე, რომ მრიცხველის მიერ აღრიცხული გაზის მოხმარება თ. კ-ას მიერ არ მომხდარა, სასამართლომ მიიჩნია, რომ სარჩელი უსაფუძვლოა.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გასაჩივრდა შპს „ს...“ მიერ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება, ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება, სადავო აქტის ბათილად ცნობა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 11.07.14წ. განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა. სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მოსაზრებები და დამატებით აღნიშნა, რომ „ბუნებრივი გაზის მიწოდებისა და მოხმარების წესების“ 2.4 მუხლის „ვ“, „თ“ ქვეპუნქტების, 6.3 მუხლის თანახმად კვანძის გამართულ მდგომარეობაში ყოფნაზე პასუხისმგებელია განაწილების ლიცენზიატი, რომელიც ასევე ვალდებულია ატარებდეს სისტემატურ შემოწმებას აბონენტთან კვანძის ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით. პალატამ აღნიშნა, რომ მრიცხველის ჩვენება იცვლებოდა და ის აღრიცხავდა აირის მოხმარებას მიუხედავად იმისა, რომ გაზსადენის ონკანი დალუქული იყო და მასზე დანადგარები მიერთებული არ ყოფილა. დადგენილად იქნა მიჩნეული, რომ მრიცხველით აღრიცხული ბუნებრივი გაზი თ. კ-ას არ მოუხმარია, აბონენტთან აღრიცხვის კვანძი იყო გაუმართავი, ხოლო ჩამკეტი – დაზიანებული, რის გამოც მიუხედავად იმისა, რომ გაზსადენზე არ იყო დაერთებული გაზის დანადგარები, მრიცხველი მაინც აღრიცხავდა

აირის მოხმარებას. თ. კ-ას მიმართვის საფუძველზე კომპანიის თანამშრომლებმა ჩაჭრეს მრიცხველი, თუმცა იგი დატოვეს აბონენტთან და თავად არ შეუნახავთ, რაც მათ ევალუბოდათ კომისიის 09.07.09წ. №12 დადგენილებით დამტკიცებული წესების მე-17 მუხლის თანახმად. ამასთანავე, წესების 38-ე მუხლის მიხედვით კომპანიას უფლება არ აქვს გადაიანგარიშოს მომხმარებელზე დარიცხული საფასური რაიმე სახით ან დაარიცხოს რაიმე სახის საფასური მრიცხველის შეცვლამდე არსებულ პერიოდზე.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ თ. კ-ას და შპს „ს...“ შორის წესების მე-3 მუხლის შესაბამისად არ გაფორმებულა ხელშეკრულება, მათ შორის არც ქვითრის ფორმით. 10.19 მუხლის შესაბამისად დაუშვებელია ერთი საცალო მომხმარებლის დავალიანების გადაკისრება სხვა მომხმარებელზე, ამ უკანასკნელის წერილობითი თანხმობის გარეშე.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გასაჩივრდა შპს „ს...“ მიერ. კასატორი თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა და არასწორად განმარტა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა და არასწორად განმარტა კანონები, რასაც საბოლოო ჯამში მოჰყვა არასწორი გადაწყვეტილების მიღება. კასატორი აღნიშნავს, რომ საცალო მომხმარებლის მიერ მოხმარებული ბუნებრივი გაზის საფასურის დარიცხვა ხორციელდება ბუნებრივი გაზის ინდივიდუალური მრიცხველის ჩვენებაზე დაყრდნობით. კომისიის 09.07.09წ. №12 დადგენილების 18.3 მუხლით საცხოვრებელი ბინის საწარმოს ან სხვა ობიექტის მესაკუთრის შეცვლის შემთხვევაში ახალი მესაკუთრე ვალდებულია საკუთრების დამადასტურებელ დოკუმენტაციასთან ერთად წარადგინოს ამ მუხლით გათვალისწინებული განაცხადი განაწილების ლიცენზიატთან. მოცემულ შემთხვევაში სადავო არ არის რომ თ. კ-ას გ. მ-ისგან საკუთრების შექენის შემდეგ არ მიუმართავს განაწილების ლიცენზიატისთვის აბონენტის ცვლილების შესახებ. აბონენტთა ერთიან ბაზაში გაზის მომხმარებლად კვლავ რეგისტრირდება გ. მ-ი, რაც არ ნიშნავს იმას, რომ გ. მ-ი არის გაზის მომხმარებელი. თ. კ-ამ გააგრძელა იმავე მრიცხველით სარგებლობა, რომლითაც გაზის მოხმარებას ახორციელებდა მისი წინამორბედი აბონენტი. ამდენად სახლის შექენით და იმავე მრიცხველით სარგებლობის გაგრძელებით თ. კ-აზე გადავიდა არა მხოლოდ უფლებები, არამედ ვალდებულებებიც. თ. კ-ას მოთხოვნის საფუძველიანობის შემოწმებისას მნიშვნელობა ენიჭება იმ უფლებების და მოვალეობების განსაზღვრას, რომელიც

გააჩნდა ბინის გასხვისებისას გ. მ-ს. სასამართლომ არანაირი შეფასება არ მისცა ნასყიდობის ხელშეკრულებას და თ. კ-ას მე-საკუთრედ საჯარო რეესტრში რეგისტრაციას. სკ-ის 171-ე მუხლის თანახმად საკუთრების უფლება ვრცელდება მის არსებით შემადგენელ ნაწილზეც, სკ-ის 193-ე მუხლის მიხედვით საკუთრების შეძენა მიწის ნაკვეთზე გულისხმობს საკუთრების შეძენას არსებით შემადგენელ ნაწილზეც. სუს №ას-156-484-09 გადაწყვეტილებით მიჩნეულ იქნა, რომ ბინის ახალ მესაკუთრედ რეგისტრაციიდან პირს სახელშეკრულებო ურთიერთობები ჰქონდა სს „თ...“-სთან და, შესაბამისად, მის წინაშე წარმოეშვა უფლებები და ვალდებულებები. ხსენებულ საქმეში საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ უტყუარად არ დასტურდება, რომ პირი არ ცხოვრობდა ბინაში და არ მოიხმარდა ელექტროენერგიას, მას უნდა მიემართა სს „თ...“ იმასთან დაკავშირებით, რომ იგი ბინაში არ ცხოვრობდა და მოეთხოვა ელექტროენერგიის მიწოდების შეწყვეტა, რაც მას არ გაუკეთებია.

ნესების მე-18 მუხლის დანაწესის საწინააღმდეგოდ სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ ამ მუხლით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში ახალ მომხმარებელს არ მოეთხოვება ძველი მომხმარებლის მიერ დახარჯული აირის საფასური. დავის გადაწყვეტისას სასამართლომ მნიშვნელობა მიანიჭა ლიცენზიატის ვალდებულებების განმსაზღვრელ მუხლებს, მაგრამ რა საერთო აქვს ამ მუხლებს დავის საგანთან გაურკვეველია. უპირატესობა უნდა მიენიჭოს იმ გარემოებას თუ რომელ მისამართზე ხდება გაზის მიწოდება. აღრიცხვის კვანძის შენახვაზე, როდესაც მრიცხველი დამონტაჟებულია აბონენტის კუთვნილ ტერიტორიაზე, პასუხისმგებლობა აბონენტს ეკისრება. კასატორი თვლის, რომ სწორედ თ. კ-ას ეკისრებოდა პასუხისმგებლობა აღრიცხვის კვანძის შენახვაზე, გაუმართაობაზე, არასწორ ჩვენებაზე (7.9 მუხ. „გ“ ქვეპუნქტი). კასატორი არ ეთანხმება სასამართლოს დასკვნას იმის შესახებ, რომ თ. კ-ას არ მოუხმარია ბუნებრივი გაზი. კასატორი თვლის, რომ სასამართლომ არასწორად გაანაწილა მტკიცების ტვირთი მხარეებს შორის, სრულად გაათავისუფლა ადმინისტრაციული ორგანო მტკიცების ტვირთის კანონიერი სტანდარტისაგან, სწორედ ორგანოს ევალებოდა უტყუარად მის მიერვე გამოცემული აქტის კანონიერების დადასტურება. ორგანოს დასკვნა, რომ თ. კ-ას არ უცხოვრია და არ მოუხმარია გაზი, ავალებდა მას უტყუარარი მტკიცებულებებით ამ ფაქტის დადასტურებას. თ. კ-ამ ბოროტად ისარგებლა მესაკუთრის უფლებებით, მიმართა განაწილების ლიცენზიატს ნესების შემდეგ, როდესაც ჰქონდა ათა-

სოხით კუბი გაზი მოხმარებული. სკ-ის 115-ე მუხლის თანახმად უფლება მართლზომიერად უნდა განხორციელდეს, დაუშვებელია მისი გამოყენება მარტოოდენ იმ მიზნით, რომ სხვას მიადგეს ზიანი. კასატორი თვლის, რომ ჩამკეტი რომც იყოს არასწორი აღრიცხვის მიზეზი, უნდა მომხდარიყო ჩვენების კორექტირება და არა მთლიანი დარიცხვის გაუქმება. კასატორი ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ სასამართლოს და ადმინისტრაციულ ორგანოს აზრი არ არის ერთგვაროვანი, სასამართლოს გადანყვეტილებით მოუხმარებლობის მიზეზი არის მილის არარსებობა, ხოლო აქტით – ჩამკეტის გაუმართაობა. სასამართლომ არანაირი შეფასება არ მისცა აგრეთვე მრიცხველის შემოწმებას, 773-4 ოქმს, რომლითაც დადგინდა დაზიანებები, ოქმი ადასტურებს გაზის მოხმარების ფაქტს აბონენტის მიერ.

კასატორი თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად შეაფასა სს „თ...“ და შპს „ჯ...“ წარმოდგენილი ინფორმაცია, აბონენტად რეგისტრაცია არ ნიშნავს, რომ მანამდე ელექტროენერგია არ მიეწოდებოდა ობიექტს. იმ გარემოების უტყუარად დადასტურება მოიხმარდა თუ არა გაზს თ. კ-ა უნდა მოეხდინა ადმინისტრაციულ ორგანოს. სასამართლოს არ შეუფასებია მტკიცებულებები სსკ-ის 105.2 მუხლის მოთხოვნათა დაცვით, ყველა მოწმის ჩვენება, მეტროლოგიის და სტანდარტების ეროვნული სააგენტოს დასკვნა, რომლის თანახმად მილში გადიოდა გაზი და მრიცხველი აღრიცხავდა მას. წესების მე-10 მუხლის თანახმად გაზის საფასურის დარიცხვა ხორციელდება ინდმრიცხველის ჩვენებაზე დაყრდნობით. მრიცხველის უვარგისად აღიარება დგინდება მისი შემოწმების პერიოდისათვის და არ ვრცელდება წინა პერიოდზე.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების და საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლის, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის შედეგად თვლის, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, უცვლელად უნდა დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ განსახილველი დავა ადმინისტრაციულ საქმეთა კატეგორიას განეკუთვნება, ვინაიდან დავის საგანი ეხება საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის გადანყვეტილების ბათილად ცნობას. კომისია არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი, სზაკ-ის 2.1 მუხლის „ა“ ქვეპუნ-

ქტის თანახმად საჯარო სამართლის იურიდიული პირი ადმინისტრაციული ორგანოს დეფინიციით არის მოცული. კომისიის მიერ სადავო საკითხების განხილვისას მიღებული გადაწყვეტილება არის სზაკ-ის 2.1 მუხლის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, მასთან დაკავშირებული დავა არის ადმინისტრაციული ურთიერთობიდან წარმოშობილი დავა. საკასაციო პალატა თვლის, რომ დავის საგნის (სემეკ-ის 18.04.13წ., №10/13 გადაწყვეტილება), სადავო სამართალურთიერთობის ბუნებისა და სუბიექტური შემადგენლობის მიხედვით, დავა ადმინისტრაციულ საქმეთა კატეგორიას განეკუთვნება.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ აქტის მატერიალური კანონიერების საკითხის განხილვამდე, დავის განსჯადობასთან ერთად, გარკვევას საჭიროებს აგრეთვე, სადავო ურთიერთობის გადაწყვეტაზე კომისიის უფლებამოსილების საკითხი, ვინაიდან დავის ადმინისტრაციული კატეგორიისადმი კუთვნილება იმთავითვე არ ნიშნავს კომისიის მიერ სადავო აქტის თავისი კომპეტენციის ფარგლებში მიღებას. სასკ-ის 2.1 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანი შეიძლება იყოს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ კომისია არის სახელმწიფოს მიერ განსაზღვრული სფეროს რეგულირების მიზნით შექმნილი სპეციალური უფლებამოსილების მქონე საჯარო სამართლის იურიდიული პირი, შესაბამისად, კომისიის თითოეული გადაწყვეტილება მიღებული უნდა იყოს მისი კომპეტენციის ფარგლებში, კომისია უნდა მოქმედებდეს მხოლოდ მისთვის კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებამოსილების ფარგლებში (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 22.06.04წ. №2/2/245 გადაწყვეტილება საქმეზე კ. ძ-ა საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის წინააღმდეგ). „ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ“ კანონის მე-3 მუხლის თანახმად, უფლებამოსილება არის ეროვნული მარეგულირებელი ორგანოს კანონით განსაზღვრული და ეროვნული მარეგულირებელი ორგანოსათვის სპეციალურად დელეგირებული უფლება-მოვალეობები. სზაკ-ის 5.3 მუხლის, აგრეთვე კომისიის 07.08.03წ. №12 დადგენილებით დამტკიცებული კომისიის მიერ ადმინისტრაციული წარმოების განხორციელების დებულების 3.2 მუხლის თანახმად, უფლებამოსილების გადამეტებით გამოცემულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს არ აქვს იურიდიული ძალა.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია არის კანონის საფუძველზე შექმნილი საჯარო უფლებამოსილებების განმახორციელებელი კოლექტიური მართვის ადმინისტრაციული ორგანო, რომელსაც კანონმდებლობით მინიჭებული აქვს დამატებითი საჯარო უფლებამოსილება – გადაწყვიტოს მის რეგულირებას დაქვემდებარებულ სანარმოებს, ასევე ამ სანარმოებსა და მომხმარებელს შორის არსებული დავები, დავები განიხილება საჯარო მოსმენის წესით და ამ საჯარო უფლებამოსილების ფარგლებში კომისია გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, რომელიც საჩივრდება საერთო სასამართლოში. „დამოუკიდებელი ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ“ საქართველოს კანონის 12.1 მუხლის დანაწესიდან გამომდინარე, ეროვნული მარეგულირებელი ორგანო უფლებამოსილია გადაწყვიტოს მის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებთან დაკავშირებული დავები ამ მარეგულირებელი ორგანოს მიერ გაცემული ლიცენზიების ან/და ნებართვების მფლობელებს შორის ან ლიცენზიების ან/და ნებართვების მფლობელებსა და მომხმარებლებს შორის. „ელექტროენერჯისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ კანონის 4.5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის ერთ-ერთ ფუნქციას შეადგენს ლიცენზიატებს, მცირე სიმძლავრის ელექტროსადგურებს, იმპორტიორებს, ექსპორტიორებს, მიმწოდებლებს, მომხმარებლებსა და ბაზრის ოპერატორებს შორის წარმოქმნილი სადავო საკითხების გადაწყვეტა თავისი კომპეტენციის ფარგლებში. ბაზრის ოპერატორი, ლიცენზიატები, მცირე სიმძლავრის ელექტროსადგურები, იმპორტიორები, ექსპორტიორები, მიმწოდებლები და მომხმარებლები უფლებამოსილი არიან კომისიაში შეიტანონ განაცხადი ელექტროენერგეტიკის, ბუნებრივი გაზისა და წყალმომარაგების სფეროებში სადავო საკითხის განხილვაზე, თუ აღნიშნული დავის გადაწყვეტა კომისიის კომპეტენციას განეკუთვნება (29-ე მუხ.).

ხსენებული კანონების საფუძველზე კომისიის 06.04.2000წ. №4 დადგენილებით დამტკიცებული „ლიცენზიატებს, ლიცენზიატებსა და მომხმარებლებს შორის წარმოქმნილი სადავო საკითხების განხილვის პროცედურული წესების“ 1.2 მუხლის და კომისიის 07.08.03წ. №12 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მიერ ადმინისტრაციული წარმოების განხორციელების დებულების“ 1.1 მუხლის და მე-7 მუხლის თანახმად, ნებისმიერ



პირს აქვს უფლება მიმართოს კომისიას ამ უკანასკნელის უფლებამოსილებას მიკუთვნებული იმ საკითხების გადასაწყვეტად, რომლებიც უშუალოდ და პირდაპირ ეხება პირის უფლებებს და კანონიერ ინტერესებს, კომისია სადავო საკითხებს განიხილავს თავისი უფლებამოსილების თანახმად. კომისიის უფლებამოსილებები ანუ სრული კომპეტენცია განსაზღვრულია აგრეთვე კომისიის 06.03.14წ. №6 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის დებულებით“, რომლის მე-2 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის დანაწესებიდან გამომდინარე კომისია უფლებამოსილია განიხილოს დავეები ლიცენზიატებსა და მომხმარებლებს შორის ბუნებრივი გაზის სფეროში სადავო საკითხებზე, რომელთაგან ერთ-ერთი სახის დავას შესაძლებელია წარმოადგენდეს დავა ლიცენზიატებსა და მომხმარებლებს შორის. ანალოგიურ დებულებას შეიცავს აგრეთვე სადავო აქტის გამოცემის დროს მოქმედი, კომისიის 28.02.12წ. №2 დადგენილებით დამტკიცებული კომისიის დებულების მე-2 მუხლის „ე“ ქვეპუნქტი. კანონქვემდებარე აქტების სხენებული ნორმები მიღებულია ზემდგომი იერარქიის საკანონმდებლო აქტის – „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ კანონის 4.5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, რომლის შესაბამისად საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის ფუნქციას შეადგენს ლიცენზიატებს, მცირე სიმძლავრის ელექტროსადგურებს, იმპორტიორებს, ექსპორტიორებს, მიმწოდებლებს, მომხმარებლებსა და ბაზრის ოპერატორებს შორის წარმოქმნილი სადავო საკითხების გადაწყვეტა თავისი კომპეტენციის ფარგლებში. ამდენად, კომისიის იურისდიქციული, დავების გადამწყვეტი ფუნქცია მისი უფლებამოსილების მნიშვნელოვანი კომპონენტია, ვინაიდან გასაჩივრების უფლება პირის არა მხოლოდ უფლებაა, არამედ მისი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის საშუალებაა.

სხენებული ნორმების დანაწესიდან გამომდინარე, მიუხედავად იმისა, რომ მოცემულ შემთხვევაში არ გამოცემულა დაჯარიმების შესახებ აქტი და შესაბამისად, ლიცენზიატი კომპანია არ მოქმედებდა როგორც ადმინისტრაციული ორგანო ფუნქციონალური გაგებით, კომისია უფლებამოსილი იყო მიეღო გადაწყვეტილება ლიცენზიატსა და მომხმარებელს შორის დავაზე მომხმარებლის მიერ აირის მოხმარების, გადასახდელი თანხის საკითხზე, ვინაიდან კომისიის უფლებამოსილება არ შემოიფარგლება მხოლოდ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის

საქმის წარმოებით. კომისიის 12.08.10წ. №14 დადგენილებით დამტკიცებული „ელექტროენერჯის ან ბუნებრივი გაზის (აირის) დატაცების, ასევე სასმელი წყლის უკანონო მოხმარებისა და წყალარინების ქსელით უკანონო სარგებლობისათვის ადმინისტრაციული სახდელის დადებისა და იძულებით აღსრულების წესების“ 11.12 მუხლის დებულება იმის შესახებ, რომ კომისია უფლებამოსილია დადგენილების გაუქმების ან უცვლელად დატოვების მიუხედავად იმსჯელოს საწარმოს მიერ მის სასარგებლოდ პირზე დარიცხული თანხის საფუძვლიანობაზე და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება, არ ნიშნავს დარიცხვასთან დაკავშირებული დავის კომისიის მიერ გადაწყვეტის შესაძლებლობას მხოლოდ სამართალდარღვევისათვის სახდელის დაკისრების საკითხზე მსჯელობის შემთხვევაში. ლიცენზიის მფლობელთა და მომხმარებელთა ინტერესების დაბალანსების ფუნქცია კომისიისათვის კანონით მინიჭებული ექსკლუზიური საჯარო ფუნქციათა რიგს განეკუთვნება („დამოუკიდებელი ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ“ კანონის 4.3 მუხლის „დ“ ქვეპუნქტი). დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოს ერთ-ერთი ძირითადი ფუნქციაა მომხმარებელთა განცხადებებისა და საჩივრების განხილვა და გადაწყვეტა („დამოუკიდებელი ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ“ კანონის მე-13 მუხ.). ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი კომისიის ინსტიტუციონალური ბუნება და მისი ნორმატიული ფუნქციების არსი განაპირობებს კომისიის უფლებამოსილებას მის რეგულირებასთან დაკავშირებით წარმოშობილი დავების გადაწყვეტაზე, შესაბამისად ხსენებულ ნორმებში იმის აღნიშვნა, რომ კომისია უფლებამოსილია გადაწყვიტოს მისი კომპეტენციისათვის მიკუთვნებულ საკითხებთან დაკავშირებული დავები გულისხმობს კომისიის რეგულირების სფეროში წარმოქმნილ დავებს. რეგულირება თავის მხრივ მონიტორინგის, ზედამხედველობის (კონტროლის) და კოორდინაციასთან ერთად გულისხმობს, აგრეთვე, დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოს მიერ სამართლებრივი აქტების მიღებას („დამოუკიდებელი ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ“ კანონის მე-3 მუხ. „მ“ ქვეპუნქტი). სამართლებრივი აქტი არის როგორც ნორმატიული, ასევე ინდივიდუალური აქტი („ნორმატიული აქტების შესახებ“ კანონის 2.2. მუხ.). ამდენად, რეგულირება გულისხმობს არა მხოლოდ ნორმატიულ რეგულაციას, არამედ ამ ნორმებით განსაზღვრული საერთო, გენერალური რეგულაციის (ნორმის) ინდივიდუალური შემთხვევისადმი დაყვანას, მათ შორის კომისიის მიერ დავების გადაჭ-

რასთან დაკავშირებით აქტების გამოცემით. რეგულაცია, მართვა მოიცავს თავის თავში დავების გადაჭრის იურისდიქციულ საქმიანობას. კომისიის საქმიანობის მომწესრიგებელი კანონმდებლობა ადგენს არა მხოლოდ პოზიტიურ, უდავო, არამედ, აგრეთვე, ნეგატიურ, სადავო ურთიერთობების გადამჭრელ პროცედურებს.

კომისია, როგორც კოლექტიური მართვის ადმინისტრაციული ორგანო, იღებს სამართლებრივ აქტებს (დადგენილება, გადანყვეტილება), ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით – დადგენილებით კომისია განსაზღვრავს „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ კანონის მე-5 მუხლის 1-ელ პუნქტში ჩამოთვლილ საკითხებზე წესებს, მათ შორის მიწოდებისა და მოხმარების წესებს (რომლიდანაც გამომდინარეობს მოცემული სადავო სამართალურთიერთობა). ამავე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ამ კანონით გათვალისწინებულ ცალკეულ, ინდივიდუალურ, მათ შორის კომისიის დადგენილებიდან გამომდინარე საკითხებზე კომისია იღებს გადანყვეტილებას. ლიცენზიატსა და მომხმარებელს შორის ბუნებრივი აირის მოხმარებასთან, აირის ღირებულების დაკისრებასთან დაკავშირებული დავების რეგულაციის მიზანს შეადგენს მომხმარებელსა და მიმწოდებლის ინტერესს შორის გონივრული, სამართლიანი ბალანსის დაცვა. ის გარემოება, რომ დავალიანების დარიცხვა არ ხდება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემით, არ გამოორიცხავს ლიცენზიატის მოქმედების – პირად ბარათზე თანხის დარიცხვის სისწორის გადამოწმების შესაძლებლობას კომისიის მიერ. იმ შემთხვევაში, თუ მომხმარებელს მიაჩნია, რომ დარღვეულია მისი უფლებები შეუსაბამო დარიცხვით, მას შეუძლია მიმართოს საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიას, როგორც ამ სპეციფიკურ საკითხებში ექსკლუზიური უფლებამოსილების მქონე და კომპეტენტურ ორგანოს. მომხმარებლის უფლებები მოიცავს მომხმარებლის უფლებას უსაფრთხოებაზე, არჩევანზე, განხილვაზე, სამომხმარებლო განათლებაზე და მათ შორის სამართლებრივ დაცვაზე (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 09.02.2007წ. გადაწყვეტილება №1/374,379 მოქალაქეები შ. ნი და ა. მე- საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი კომისიის (სემეკი) წინააღმდეგ), რაშიც პირველ რიგში მოიაზრება მომხმარებლის უფლებების დაცვის სამართლებრივი მექანიზმები, მომხმარებელსა და მიმწოდებელს შორის წარმოშობილი დავების განხილვა შესაბამისი ორგანოების მიერ. ასეთი ორგა-

ნო საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით არის საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია. დავების გადაწყვეტა კომისიის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანესი ფუნქციაა.

ბუნებრივი გაზის სექტორში პრიორიტეტების გასარკვევად მნიშვნელოვანია ამ სფეროს მარეგულირებელი კანონმდებლობის ანალიზი. „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ 27.06.1997წ. კანონი თავდაპირველად აწესრიგებდა მხოლოდ ელექტროენერგეტიკის საკითხებს, 30.04.1999წ. კანონში შეტანილი ცვლილებების შედეგად კანონის რეგულაციის არეალი გაიზარდა და მოიცვა ბუნებრივი გაზის მინოდების, ტრანსპორტირების, განაწილებისა და მოხმარების საკითხები. კანონში შეტანილი ცვლილებების შედეგად, ბუნებრივი გაზის მოხმარების სფეროში ნებისმიერი საქმიანობა, მათ შორის მინოდების განხორციელება, წარმოადგენდა რეგულირებადი საქმიანობის სახეს. სახელმწიფო პოლიტიკა ენერგეტიკულ სექტორში მიმართული იყო მასში მოაზრებული საქმიანობის, მათ შორის ბუნებრივი გაზის მინოდების საქმიანობის სრული რეგულირებისაკენ. კანონმდებლობის ანალიზი ცხადყოფს, რომ 2005 წლიდან სახელმწიფო პოლიტიკა დარგში მიმართულია მისი ეტაპობრივი დარეგულირებისაკენ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 18.03.11წ. №2/1/473 გადაწყვეტილება ბ. ქ-ე და სხვები ენერგეტიკის მინისტრის წინააღმდეგ), კერძოდ, „ლიცენზიისა და ნებართვების შესახებ“ 24.06.05წ. კანონი ბუნებრივი გაზის მინოდების საქმიანობას აღარ განიხილავს ლიცენზირებადი საქმიანობის სახედ, დერეგულირებისაკენ იყო მიმართული „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ კანონში 09.06.06წ., 08.06.07წ. კანონებით შეტანილი დამატებები (კანონის მე-2 მუხ. „ჯ“ და „ჯ“ ქვეპუნქტები, 3.4 მუხ.). დარგის დერეგულირების რეფორმის დაწყების მიმართულება ჰქონდათ ისეთ ნორმატიულ აქტებს, როგორცაა „საქართველოს ენერგეტიკულ სექტორში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების“ თაობაზე“ საქართველოს პარლამენტის 09.06.06წ. დადგენილება, „ბუნებრივი გაზის მინოდების საქმიანობის დარეგულირებისა და ნაწილობრივი დარეგულირების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 25.09.07წ. №69 ბრძანება. ამასთანავე, დერეგულიაციის მიმართულებით განვითარების ვექტორი არ ნიშნავს სრულ დერეგულიაციას, ბუნებრივი გაზის სექტორი ამ ეტაპზე ნაწილობრივი დერეგულიაციის პროცესში იმყოფება. ამასთანავე დერეგულირება „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ კანონის მე-2

მუხლის „ჯ“ ქვეპუნქტის შესაბამისად ეხება ზღვრული ტარიფის დადგენის და ლიცენზიის გარეშე საქმიანობის უფლების მინიჭებას და არა ბუნებრივი გაზის მოხმარების რეგულირების და დავების გადაწყვეტის წესს. ენერგეტიკის დარგი ბუნებრივ მონოპოლიას წარმოადგენს, ამ სფეროში დიდია მონოპოლიური საქმიანობის და კაბალური პირობების თავს მოხვევის, კონკურენციის შეზღუდვის, მომხმარებელთა უფლებების დარღვევის საშიშროების საფრთხე. აღნიშნული განაპირობებს რეგულირების და, შესაბამისად, კომისიის უფლებამოსილების სფეროს გაფართოებას და მის გავრცელებას ფასწარმოქმნის, ტარიფების, მომხმარებლის ხარისხის სფეროზე, რათა უზრუნველყოფილი იქნეს სამართლიანი და მონესრიგებული სამოქალაქო ბრუნვა. დამოუკიდებელი ორგანოს შექმნით ენერგეტიკული დარგი თავს იზღვევს პოლიტიკური ჩარევისგან, სხვადასხვაგვარი ზენოლებისაგან. დამოუკიდებელი ორგანო მოწოდებულია შექმნას შესაბამისი გარემო ინვესტიციების მოზიდვისათვის, ენერჯის კონკურენტული ბაზრის ჩამოყალიბებისათვის, მომხმარებელთა ინტერესების დაცვისათვის. ბუნებრივი გაზის შიდა ბაზრის საერთო ნებსებთან დაკავშირებით მიღებული ევროპის პარლამენტის და ევროკავშირის საბჭოს №2003/55/EC დირექტივის (26.06.03წ.) A დანართი („მომხმარებელთა დაცვის ზომები“) აღიარებს მომხმარებლის უფლებას, გამჭვირვალე და ხელმისაწვდომი პროცედურების მეშვეობით სასამართლომდე დავების სწრაფ და სამართლიან გადაწყვეტაზე. პროცედურები უნდა უზრუნველყოფდეს დავების სამართლიან და სწრაფ გადაწყვეტას და, ძირითადად, უნდა ემყარებოდეს ევროკომისიის 30.03.1988წ. 98/257/EG რეკომენდაციას სამომხმარებლო დავების არასასამართლო წესით გადაწყვეტაზე პასუხისმგებელი ორგანოების მიერ გამოსაყენებელი პრინციპების შესახებ. ევროპის პარლამენტისა და საბჭოს №2009/73/EC დირექტივა (13.07.09წ.) ხაზს უსვამს მარეგულირებელი ორგანოს დამოუკიდებლობის მნიშვნელობას მმართველობის ეფექტურობისათვის (29-30), მარეგულირებელი ორგანოების უფლებამოსილებას მოახდინოს დავების შესაბამისი და დასაბუთებული გამოკვლევა და დარეგულირება (34). მომხმარებელთა ინტერესების დაცვის დამატებითი გარანტიების შესაქმნელად კომისიის აპარატისგან დამოუკიდებლად არსებობს მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოების დამცველის სამსახური (კომისიის 06.03.14წ. №6 დადგენილებით დამტკიცებული კომისიის დებულების 7.6 მუხ.; სადავო აქტის გამოცემის დროს მოქმედი კომისიის 28.02.12წ. №2 დადგენილებით დამტკიცებული კომისიის დებულების 7.6

მუხ.). სწორედ ამ სტრუქტურის მეშვეობით მოხდა კომისიის წინაშე თ. კ.-სათვის დარიცხული თანხის ჩამოწერის სადავო საკითხის დასმა.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 18.09.08წ. №23 დადგენილებით დამტკიცებული „ელექტროენერგეტიკის, ბუნებრივი გაზისა და წყალმომარაგების სექტორში საქმიანობის კონტროლის წესების“ 1.2 მუხლის თანახმად მენარმე ვალდებულია უზრუნველყოს ამ წესებით და მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული პირობების სათანადოდ შესრულება, მე-4 პუნქტის მიხედვით კომისია ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის სექტორში საქმიანობის რეგულირების მიზნებისა და ძირითადი პრინციპების შესრულების უზრუნველსაყოფად, საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტების შესაბამისად გამოსცემს სამართლებრივ აქტებს. კომისიის მოთხოვნები, ასევე მის მიერ მიღებული (გამოცემული) სამართლებრივი აქტები სავალდებულოა შესასრულებლად ყველა იმ პირებისათვის, რომლებიც ახორციელებენ ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის სექტორში „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ კანონით განსაზღვრულ საქმიანობას. კომისიის 09.07.09წ. №12 დადგენილებით დამტკიცებული „ბუნებრივი გაზის მიწოდებისა და მოხმარების წესების“ შესაბამისად წესები არეგულირებს ურთიერთობებს განაწილების ლიცენზიატს, მიმწოდებელსა და საცალო მომხმარებელს შორის წარმოშობილ გამანაწილებელი ქსელის მეშვეობით ბუნებრივი გაზის ყიდვის, გაყიდვის, განაწილების, გატარების ან/და მოხმარების დროს (1.1 პუნქტი), ამ წესებით დადგენილი პირობები სავალდებულოა ყველა იმ პირისათვის, რომლებიც ახორციელებენ ბუნებრივი გაზის ყიდვას, გაყიდვას, განაწილებას, გატარებას, ან/და მოხმარებას (მე-2 პუნქტი), ბუნებრივი გაზის მიმწოდებლები, განაწილების ლიცენზიატები და მომხმარებლები ვალდებული არიან დაიცვან ამ წესებში მოცემული ნორმები. იმის გათვალისწინებით, რომ კომპანიები ვალდებულნი არიან თანხების დაანგარიშება და დარიცხვა განახორციელონ კომისიის კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების საფუძველზე, კომისია უფლებამოსილია შეამოწმოს კომისიის მიერ განსაზღვრული ნორმების მოთხოვნების შესრულება კომპანიების მიერ. კომპანიები მომხმარებელზე თანხების გადაანგარიშებას და დარიცხვას ახდენენ კომისიის ნორმატიული აქტების საფუძველზე და კომისია დარიცხული თანხების საფუძვლიანობას ამოწმებს კომისიის მიერ დადგენილი ნორმების დაცვისა და იმპლემენტაციაზე



ზედამხედველობის და კონტროლის კომპეტენციიდან გამომდინარე. კომისიის ნორმატიული რეგულაციის სფერო, სხვა საკითხებთან ერთად, ვრცელდება მიმწოდებელსა და მომხმარებელს, აგრეთვე განაწილების ლიცენზიატსა და მომხმარებელს შორის ურთიერთობებზე. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ნორმების უმნიშვნელოვანესი თავისებურება ისაა, რომ მათი შემოღება ხშირად თავად მიმღები სუბიექტის მიერ, სახელმწიფო-მმართველობითი საქმიანობის პროცესში და მისი მიზნების მისაღწევად ხორციელდება. ადმინისტრაციული ორგანოსათვის ნორმაშემოქმედების უფლებამოსილების მინიჭება არის ნებისმიერი ორგანოს კომპეტენციის უმნიშვნელოვანესი ელემენტი. მოთხოვნილება ეფექტურ რეგულაციაში ობიექტურად განაპირობებს ადმინისტრაციული ორგანოს აღჭურვას ნორმის დამდგენი უფლებამოსილებებით. ნორმატიულ აქტს უნდა შეესაბამებოდეს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, ნორმატიული აქტი სავალდებულოა მარეგულირებელი ორგანოსათვის და სამართალურთიერთობის სუბიექტებისათვის. ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიღების უფლებამოსილება თავისი არსით არის კანონმდებლის მიერ ადმინისტრაციული ორგანოსთვის გადაცემული სამართალშემოქმედების უფლებამოსილება. კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის მიღება (გამოცემა) შეიძლება მხოლოდ საკანონმდებლო აქტის შესასრულებლად, ამდენად შეიძლება ითქვას, რომ ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი დელეგირებული სამართალშემოქმედების, კანონმდებლობის დივერსიფიკაციის გამოვლინებაა. ამასთანავე, ვინაიდან ადმინისტრაციულ ორგანოს საქმიანობის ძირითად მიმართულებას წარმოადგენს სამართალგამოყენებითი საქმიანობა, მისი ნორმაშემოქმედებითი საქმიანობა იმავე მიზანს ისახავს, ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ემსახურება სამართალგამოყენების ანუ საკანონმდებლო აქტების აღსრულების, პრაქტიკაში იმპლემენტაციის მიზანს. დელეგირებული ნორმაშემოქმედების მიზანი იმაში მდგომარეობს, რომ კანონის მოთხოვნათა დაცვით რეგულირების ამოცანების შესრულებაში ჩართულ იქნეს ადმინისტრაციული ორგანოს სპეციალური შესაძლებლობანი და მისი სპეციალიზებული პროფესიული ცოდნა. ამდენად კომისია უფლებამოსილია მის მიერ მიღებული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის საფუძველზე დარიცხულ თანხასთან დაკავშირებით წარმოშობილ სადავო ურთიერთობების მიმართ გამოსცეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი



ვი აქტი. ამდენად, საკასაციო პალატა თვლის, რომ მოცემულ შემთხვევაში მიმწოდებელსა და მომხმარებელს შორის დავის გადასაწყვეტად ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას კომისია არ გასცდენია თავისი უფლებამოსილების ფარგლებს.

რაც შეეხება მატერიალური კანონიერების საკითხს, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ კომისიის მიერ მტკიცებულებების დადგენილი სტანდარტების დარღვევით შეფასება არ დასტურდება სენმეკ-ის 09.07.09წ. №12 დადგენილებით დამტკიცებული წესების მე-12 მუხლით, რომლის თანახმად გაზის მრიცხველის ცდომილების განსაზღვრის დადგენა ხდება სტანდარტების, ტექნიკური რეგლამენტების და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს მიერ (12.13 მუხ.), ცდომილების დადასტურების შემთხვევაში ხდება ცდომილების შესაბამისად ჩანაწერის შესწორება (12.11 მუხ.). მოცემულ შემთხვევაში კომისიის სადავო აქტით მოხდა შპს „...“ მიერ დარიცხვის თანხის უსაფუძვლოდ ცნობა, დარიცხვის გაუქმების დავალება. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ კომისია თავისი კომპეტენციის ფარგლებში უფლებამოსილია გადასინჯოს წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და მონაცემების სისწორე. საქმის გარემოებებიდან გამომდინარე მტკიცებულებათა შეგროვების, გამოკვლევისა და შეფასების მიზნით კომისია უფლებამოსილია მიმართოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვადასხვა ზომებს (კომისიის 07.08.03წ. №12 დადგენილებით დამტკიცებული კომისიის მიერ ადმინისტრაციული წარმოების განხორციელების დებულების 50.1 მუხ.), მტკიცებულებებს კომისიას წარუდგენენ მხარეები, კომისიას შეუძლია თვითონვე გამოითხოვოს მტკიცებულებები (კომისიის 06.04.2000წ. №4 დადგენილებით დამტკიცებული „ლიცენზიატებს, ლიცენზიატებსა და მომხმარებლებს შორის წარმოქმნილი სადავო საკითხების განხილვის პროცედურული წესების“ 4.3 მუხ.). ამდენად, ადმინისტრაციული სამართალწარმოება ინკვიზიციურ საწყისებზე არის აგებული, შესაბამისად ადმინისტრაციულ ორგანოს, აგრეთვე ადმინისტრაციული კატეგორიის საქმის განმხილველ სასამართლოს, სადავო საკითხის გასარკვევად შეუძლია დავის გადაჭრისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოების გამოკვლევა, დამატებითი მტკიცებულებების მოპოვება. ასეთ გარემოებათა რიგს მოცემულ შემთხვევაში განეკუთვნება თ. კ-ას მიერ აირის მოხმარების საკითხი, რაც არ დასტურდება. საკასაციო პალატა არ იზიარებს კასატორის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ უძრავი ქონების შეძენის შემდეგ თ. კ-ამ გააგრძელა ბუნებრივი გაზის

მოხმარება. ადმინისტრაციულ ორგანოს – სენმეკის მიერ დავის განხილვის შედეგად დადგინდა, რომ თ. კ-ას კუთვნილ სახლში არ იყო არანაირი საცხოვრებელი პირობები. აღნიშნული ფაქტობრივი გარემოება მოცემულ დავაზე დადგენილია პირველი და სააპელაციო ინსტანციების სასამართლოების მიერ. სსკ-ის 207-ე მუხლის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილად ცნობილი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ კასატორს არ აქვს წარმოდგენილი დამატებითი, დასაბუთებული პრეტენზია, რასაც მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ აქვს. საკასაციო პალატა თვლის, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ სზაკ-ის 96-ე, 97-ე, 56-ე მუხლების მოთხოვნათა დაცვით, ხოლო ქვედა ინსტანციების სასამართლოებმა სსკ-ის მე-4, მე-19 მუხლების საფუძველზე სწორად დაადგინეს საქმის ფაქტობრივი გარემოებები. კასატორის მოსაზრება მოწმეთა დაინტერესების, ფოტოსურათების მონტაჟის შესახებ არ დასტურდება საქმის მასალებით. კასატორი თვლის, რომ მოწმეებთან თ. კ-ას ახლობლური ურთიერთობა აქვს, ასეთ შემთხვევაში თ. კ-ას მიერ უძრავი ქონების შეძენის პერიოდიდან (13.09.05წ.) შესაძლებელი იყო გაზის ღირებულების დაფალიანების არსებობის შესახებ შეტყობინება ეცნოთ მეზობლებისათვის, რომლებსაც თ. კ-ას განმარტებით ებარათ სახლკარის გასაღები და ჰქონდათ საკონტაქტო ტელეფონის ნომერი (თ. კ-ას საცხოვრებელი ადგილია – ქ. თბილისი ... დასახლ. №..., ბ.38), შესაძლებელი იყო აგრეთვე აირის მოხმარების გარკვევა, ქსელის გამართულობის შემოწმება, აღნიშნულის დამადასტურებელი რაიმე მტკიცებულება წარმოდგენილი არ ყოფილა. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მეზობლად ცხოვრება თავისთავად არ წარმოადგენს მოწმეთა ახსნა-განმარტებების უარყოფის საფუძველს. დაბა ... მაცხოვრებლები ადასტურებენ, რომ მათ მეზობლად მდებარე, თ. კ-ას საკუთრებაში მყოფ საცხოვრებელ სახლში არ არის ელემენტარული საცხოვრებელი პირობები, სახლი დაკეტილია, წლების მანძილზე სახლში არავის უცხოვრია. აღნიშნული დასტურდება აგრეთვე საქმეში დაცული სხვა მტკიცებულებებით, კერძოდ, საქმის მასალებში დაცულია სს „...“ 18.03.13წ. №კ-1918 წერილი, რომლის თანახმად დაბა ... თ. კ-ას საკუთრებაში არსებულ სახლში ელექტროენერგიით მომარაგება არ ხორციელდებოდა და მრიცხველი მხოლოდ 02.05.12წ. დაიდგა, აბონენტად თ. კ-ა დარეგისტრირდა. სს „...“ 31.01.14წ. წერილით დასტურდება, რომ მანამდე თ. კ-ას აბონენტის ნომრით (№...) არავის უსარგებლია, წინა მესაკუთრის – გ.მ-ის ნორმით (№...) სარგებლობდა მ. ც-ი, რომელსაც ელექტრო-

ენერგია სხვა მისამართზე მყოფ საცხოვრებელ სახლში მიენოდებოდა. შპს „ჯ...“ 11.03.13წ. №755591300 წერილის თანახმად წყალმომარაგების კომპანიის მონაცემებით დაბა ... თ. კ-ა აბონენტად რეგისტრირებულია 2013 წლის თებერვლის თვიდან. ამავე კომპანიის 08.01.14წ. №91/09 წერილით დასტურდება, რომ 2000 წლიდან 2012 წლის ჩათვლით აბონენტად არც გ. მ-ი იყო რეგისტრირებული.

კომპანიის მიერ სადავო აქტის გამოცემის დროს დაბა ... მაცხოვრებლების განცხადება, სს „თ...“ და შპს „ჯ...“ წერილები ქმნიდნენ საკმარის საფუძველს კომისიის დასკვნისათვის იმის შესახებ, რომ თ. კ-ა დაბა ... არ ცხოვრობდა და მის მიერ არ ხდებოდა გაზის მოხმარება. ადმინისტრაციული წარმოების ჩატარებისას კომპანიას არ წარმოუდგენია კომისიისათვის სანინააღმდეგო მტკიცებულებები, კომისიის სხდომაზე კომპანიის წარმომადგენელმა დაბის მაცხოვრებლების განცხადებით, ფოტომასალით, კომპანიის წერილებით და დალუქვის შემდეგ მრიცხველის ჩვენებებით დამტკიცებული გარემოებები ვერ უარყო, არ წარმოუდგენია რაიმე სანინააღმდეგო მტკიცებულება (კომისიის 18.04.13წ., №10 სხდომის ოქმის ამონაწერი), კომპანიას არ მოუმართავს კომისიისათვის ახლად აღმოჩენილი ან ახლად გამოვლენილი გარემოების გამო საქმის წარმოების განახლებისათვის (სზაკ-ის 102-ე მუხ.). ასეთის პირობას არ ქმნიდა ერთერთი მაცხოვრებლის – თ. ნ-ას 09.01.14წ. განმარტება, რომელიც არ უარყოფს სხვა მაცხოვრებლების, მათ შორის თავად მის მანამდე განცხადებას, ფოტომასალას, ელექტროენერჯიის და წყლის მიმწოდებელი კომპანიების წერილებით დადასტურებულ გარემოებას თ. კ-ას საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაში მაცხოვრებელი პირობების არარსებობის და ბუნებრივი გაზის არმოხმარების, ჩამკეტის დაზიანების მიზეზით ჰაერში გაზის გაფრქვევის შესახებ. თ. ნ-ას განმარტება, რომ უძრავი ქონების წინა მესაკუთრე გ. მ-ი მუდმივად ცხოვრობდა სახლში და სარგებლობდა კომუნალური, მათ შორის გაზის მომსახურებით, არ ადასტურებს ახალი მესაკუთრის – თ. კ-ას დაბა ... ცხოვრებას და მის მიერ ასეთი მომსახურებით სარგებლობას.

მხარეთა ახსნა-განმარტებაზე და ფოტომასალაზე დაყრდნობით საქმეზე დადგენილია, რომ ბუნებრივი გაზის მიწოდება სახლში არ ხდებოდა ეზოში განლაგებული მრიცხველიდან, მილი არ იყო შეყვანილი შენობაში. კასატორის მითითება, რომ მრიცხველი აღრიცხავს მილში გამავალ გაზს არ ადასტურებს სადავო აქტის უკანონობას, ვინაიდან გაზის მრიცხველმა აღრიცხა გაზსადენის ჩამკეტის დაზიანების მიზეზით მრიცხვე-

ლის გავლით ჰაერში გაფრქვეული გაზი (ანუ დანაკარგი), რის გამოც ადმინისტრაციულმა ორგანომ მიიჩნია, რომ აღრიცხული ბუნებრივი გაზის საფასურის თ. კ-ასთვის დაკისრება და გადახდის მოთხოვნა უსაფუძვლოა. საქმის მასალებით დასტურდება, რომ უძრავი ქონების ყიდვისთანავე (13.09.05წ.) ბუნებრივი აირის დამკვეტი ურდული მთელი ეს პერიოდი (მრიცხველის მონაცემების შემონმებამდე (31.03.12წ.)) დაკეტილი იყო, დავალიანების არსებობის შესახებ თ. კ-ასათვის შეტყობინება არ მისვლია. დამკვეტის გაუმართაობას ადასტურებს ის გარემოება, რომ არ დასტურდება გაზზე მომუშავე რაიმე დანადგარის არსებობა, დამკვეტის დალუქვის შემდეგ (03.05.12წ.), მრიცხველის გადაჭრამდე (17.05.12წ.) ორკვირიან მონაკვეთში მრიცხველის მონაცემები მაინც ბრუნავდა ანუ მრიცხველის ჩვენება იცვლებოდა მიუხედავად იმისა, რომ გაზსადენის ონკანი დალუქული იყო და მასზე დანადგარები მიერთებული არ ყოფილა (თ. კ-ას საკუთრებაში შემავალი გაზსადენზე დამონტაჟებული ბუნებრივი გაზის მრიცხველის ჩვენება 31.03.12წ. შეადგენდა 6793 მ<sup>3</sup>, 03.05.12წ., კომპანიის წარმომადგენლების მიერ გაზსადენის ონკანზე ლუქის დადების გზით შეწყდა ბუნებრივი გაზის მიწოდება, რის შესახებაც შედგა აქტი, ლუქის დადებისას მრიცხველის მონაცემი შეადგენდა 6794 მ<sup>3</sup>. გაზის მიწოდების შეწყვეტის შემდეგ, მრიცხველის ჩვენების შეცვლის გამო, თ. კ-ამ მიმართა კომპანიას და მოითხოვა ბუნებრივი აირის მიწოდების შეწყვეტა მრიცხველის ჩაჭრით. კომპანიამ 17.05.12წ. აირშედულებით შეწყვიტა ბუნებრივი გაზის მიწოდება. მრიცხველის მოხსნისას, 17.05.12წ., მრიცხველის მაჩვენებელი შეადგენდა 6795,8 მ<sup>3</sup>), რაც ადასტურებს ჩამკვეტის გაუმართაობას. ადმინისტრაციულ ორგანოსა და სასამართლოების მიერ დადგენილი აღნიშნული გარემოება გამორიცხავს მხოლოდ მრიცხველის შემონმების შედეგების მიხედვით დავის გადაწყვეტას. შესაბამისად კომისიის მიერ მრიცხველის ტექნიკურ სტანდარტებთან შეუსაბამობის ფაქტის დაუდგენლობა არ ქმნის კასატორის მოთხოვნის დაკმაყოფილების, კომისიის სადავო აქტის ბათილად ცნობის საფუძველს, ვინაიდან არ არის დადგენილი თვით აირის მოხმარების ფაქტი.

თ. კ-ას მიერ ბუნებრივი გაზით სარგებლობას არ ადასტურებს მრიცხველის დეფექტები. შპს „ყ...“ მეტროლოგიის სამსახურის ლაბორატორიის მრიცხველის მიღების და გაცემის 08.10.12წ. აქტში აღნიშნული მრიცხველის დაზიანებები, აგრეთვე მოთხოვნებთან შეუთავსებელი დეფექტების გამო შემდგომი ექსპლოატაციისათვის გაზომვის საშუალების უფარვისობის

შესახებ სსიპ სტანდარტების, ტექნიკური რეგლამენტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს 08.20.12წ. №022941 შეტყობინება. დეფექტების კონკრეტული მიზეზების დასადგენად სააგენტოს 20.01.14წ. №6 წერილის თანახმად საჭირო იყო დამატებითი გამოკვლევები, რომელიც არ ჩატარებულა. ამასთანავე, მოსარჩელე როგორც განაწილების ლიცენზიატი, უფლებამოსილია მრიცხველზე ზემოქმედების, მისი დაზიანების გამო მომხმარებლის მიმართ გამოეყენებია კანონმდებლობით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები, რასაც მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია. კერძოდ, საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 12.08.2010წ. №14 დადგენილებით დამტკიცებული „ელექტროენერჯის ან ბუნებრივი გაზის (აირის) დატაცების, ასევე სასმელი წყლის უკანონო მოხმარებისა და წყალარინების ქსელით უკანონო სარგებლობისათვის ადმინისტრაციული სახდელის დადებისა და იძულებით აღსრულების წესების“ 2.1, მე-4 მუხლების თანახმად ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი განაწილების ქსელიდან ბუნებრივი გაზის (აირის) დატაცების, აღრიცხვის გარეშე ან აღრიცხვის წესების დარღვევით მოხმარების ფაქტზე დგება განაწილების ლიცენზიატის მიერ, დაუშვებელია ოქმის შედგენა თუ ადგილი არ ჰქონია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 96<sup>1</sup> მუხლით გათვალისწინებულ სამართალდარღვევას. კასატორის მიერ ასეთი ოქმი შედგენილი არ ყოფილა, შესაბამისად, არ დასტურდება თ. კ-ას მიერ აირის დატაცება, აღრიცხვის წესების დარღვევა. კომისიის 09.07.09წ. №12 დადგენილებით დამტკიცებული „ბუნებრივი გაზის მიწოდების და მოხმარების წესების“ 17.1 მუხლის შესაბამისად, ბუნებრივი გაზის მრიცხველის დაყენების, მოხსნის, მომხმარებლის მიერ იმ წესით ან/და ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებისა და ვალდებულებების დარღვევის, ბუნებრივი გაზის მომარაგების შეწყვეტის, აღდგენის ან სხვა ფაქტის (გარემოების) დაფიქსირების მიზნით, განაწილების ლიცენზიატის წარმომადგენლები ვალდებული არიან ადგილზე შეადგინონ შესაბამისი აქტი. ამავე მუხლის მე-13 პუნქტის მიხედვით განაწილების ლიცენზიატი ვალდებულია მის მიერ შედგენილი აქტი და ტექნიკურად გაუმართაობის მიზეზით მოხსნილი ბუნებრივი გაზის მრიცხველი შეინახოს შესაბამისი აქტის შედგენის თარიღიდან არანაკლებ ერთი წლის განმავლობაში. ბუნებრივი გაზის მომარაგების შეწყვეტა/აღდგენის თაობაზე 18.01.03წ. №4 ოქმის მიხედვით მრიცხველი მოიხსნა და შენახულია აბონენტის მიერ. ამდენად, მრიც-

ხველზე ზემოქმედების კვალი არ ადასტურებს თ. კ-ას მიერ გაზის მოხმარებას, ვინაიდან არ არის დადგენილი გაზით სარგებლობის, მრიცხველზე ზემოქმედების სუბიექტი, მით უფრო, რომ მრიცხველით წინა აბონენტიც სარგებლობდა, №11742 მრიცხველი არ არის შეცვლილი.

საქმის მასალების მიხედვით აბონენტთა ერთიან ბაზაში დარეგისტრირებული იყო სახლთმფლობელობის წინა მესაკუთრე გ. მ-ი (№...), 13.09.05წ. ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე თ. კ-ამ შეიძინა დაბა ... გ. მ-ის სახელზე რიცხვითი უძრავი ქონება. კომისიის 09.07.09წ. №12 დადგენილებით დამტკიცებული „ბუნებრივი გაზის მიწოდების და მოხმარების წესების“ 10.3 მუხლის თანახმად საცალო მომხმარებლის მიერ მოხმარებული ბუნებრივი საფასურის დარიცხვა ხორციელდება გაზის ინდივიდუალური მრიცხველის ჩვენებაზე დაყრდნობით. შპს „ს-ქ“ (31.10.14წ. შეერწყა შპს „ს-ს“, რომელიც არის შპს „ს-ქ“ უფლებამონაცვლე) წარმომადგენლის მიერ თ. კ-ას სახლში დამონტაჟებული მრიცხველის ჩვენება აიღო 31.03.12წ., მრიცხველის ჩვენების მიხედვით გაზის დანახარჯმა 6793 მ<sup>3</sup> შეადგინა, რომლის საფუძველზე აბონენტს დაერიცხა 2787.35 ლარი. აღნიშნული თანხის გადაუხდელობის გამო 03.05.12წ. აბონენტს შეუწყდა გაზომოსახურება. წესების 10.3 მუხლის თანახმად საცალო მომხმარებლის მიერ მოხმარებული ბუნებრივი გაზის საფასურის გადახდა უნდა განხორციელდეს ყოველთვიურად, საცალო მომხმარებლის მიერ მოხმარებული ბუნებრივი გაზის მოცულობის შესაბამისად. საქმეზე არ არის გარკვეული რომელი მომხმარებლის მიერ იქნა მოხმარებული აირი, მოსარჩელეს არ წარმოუდგენია იმის მტკიცება, რომ დავალიანება წარმოშობილია, სახელდობრ, თ. კ-ას მიერ უძრავი ქონების შეძენის შემდეგ. აბონენტის ბრუნვის ისტორიის თანახმად გაზის აღრიცხვა იწყება 2007 წლის ოქტომბრის თვიდან (997 მ<sup>3</sup>), 2008-10 წწ. ბუნებრივი აირის რაოდენობა არის 0 მ<sup>3</sup>. აბონენტის ბრუნვის ისტორია ასახავს მხოლოდ 2007 წლიდან არსებულ მონაცემებს, არ არის წარმოდგენილი თ. კ-ას მიერ უძრავი ქონების შეძენამდე არსებული მდგომარეობა, ბრუნვის ისტორიაში ასახული ჩვენება არ არის მრიცხველზე ასახული დავალიანების ოდენობის შესაბამისი, ბრუნვის ისტორიაში მოცემული ბოლო მონაცემები (1240 მ<sup>3</sup>) არ ედრება მრიცხველის მაჩვენებელს (6093 მ<sup>3</sup>), გაურკვეველია დანარჩენი მაჩვენებლის წარმოშობის პერიოდი. ამასთანავე, წინა მესაკუთრის დავალიანების არ არსებობას არ ადასტურებს 13.09.05წ. ხელშეკრულებაში გამყიდველის განცხადების აღნიშვნა, რომ არა აქვს კომუნალური გადასახადე-



ბის დავალიანება, ასეთი დავალიანების არსებობა არ დგინდება ნასყიდობის მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულებით, ამასთანავე ნასყიდობის ხელშეკრულებით მყიდველს არ უკისრია წინა მესაკუთრის მიერ მოხმარებული ბუნებრივი აირის ღირებულების ანაზღაურება.

თ. კ-ამ შეიძინა უძრავი ქონება, რითაც იმავდროულად მოიპოვა უფლება ამ ქონებაში არსებული ტექნიკური საშუალებების მეშვეობით მიიღოს და მოიხმაროს ბუნებრივი აირი, თუმცა აღნიშნული არ ადასტურებს ამ უფლების გამოყენებას და უძრავი ქონების მყიდველზე წინანდელი აბონენტის დავალიანების გადახდის ვალდებულებას. სასამართლო არ იზიარებს კასატორის მოსაზრებას, რომ თ. კ-ა წარმოადგენს აბონენტს გ. მ-ის უფლებამონაცვლეს და ვალდებულია გადაიხადოს ძველი აბონენტის მიერ მოხმარებული ბუნებრივი აირის ღირებულება. უძრავი ქონების შეძენა ავტომატურად არ ნიშნავს იმას, რომ უძრავი ქონების ახალი მესაკუთრე ავტომატურად ხდება წინა მესაკუთრესთან დადებული ხელშეკრულების მხარე. უძრავი ნივთის გასხვისების შედეგად ახალ მესაკუთრეს შეიძლება გადაეყვას ის სანივთო უფლება, რომელიც რეგისტრირებულია საჯარო რეესტრში. ასეთად ვერ იქნება მიჩნეული ბუნებრივი აირის მოხმარების დავალიანება. უძრავი ნივთის არსებითი შემადგენელი ნაწილი შეიძლება იყოს ნივთი და არა ბუნებრივი აირის მოხმარების ღირებულების დავალიანება, შესაბამისად, დაუსაბუთებელია კასატორის მითითება სკ-ის 171-ე, 193-ე მუხლებზე.

სკ-ის 317-ე მუხლის თანახმად, ვალდებულების წარმოშობისათვის აუცილებელია მონაწილეთა შორის ხელშეკრულების დადება, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ვალდებულება წარმოიშობა ზიანის მიყენების (დელიქტის), უსაფუძვლო გამდიდრების ან კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძვლიდან. მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ აქვს ზიანის მიყენებას, უსაფუძვლო გამდიდრებას, ვინაიდან არ დასტურდება თ. კ-ას მიერ ბუნებრივი აირის მოხმარება. არ არსებობს, აგრეთვე, აირის ღირებულების თ. კ-აზე დაკისრების რაიმე სხვა საფუძველი. სემეკ-ის 09.07.096. №12 დადგენილებით დამტკიცებული „ბუნებრივი გაზის მიწოდების და მოხმარების წესების“ 10.19 მუხლის თანახმად, დაუშვებელია მიმწოდებლის ან განაწილების ლიცენზიატის მიერ ერთი საცალო მომხმარებლის დავალიანების გადაკისრება სხვა მომხმარებელზე, ამ უკანასკნელის წერილობითი თანხმობის გარეშე. ბუნებრივი აირის მიღებაზე და მოხმარებაზე განაცხადის წარდგენა არის პირის უფლება და არა ვალ-



დებულება (4.1 მუხ.). მოცემულ შემთხვევაში საქმის მასალებში არ არის დაცული თ. კ-ას თანხმობა გ. მ-ის დავალიანების გადახდაზე, შესაბამისად, მისთვის მრიცხველის ძველი დავალიანების დაკისრება არ ემყარება ხსენებული წესებით დადგენილ მოთხოვნებს. ამავე წესების 15.6 მუხლის თანახმად, საცალო მომხმარებლის სხვა მისამართზე გადასვლისას მიმწოდებლის ან/და განაწილების ლიცენზიატის მიერ მომსახურების შეწყვეტის შემთხვევაში მიმწოდებელს ან/და განაწილების ლიცენზიატს უფლება აქვს საბოლოო ანგარიშსწორების შედეგად წარმოქმნილი გადაუხდეელი თანხა მოსთხოვოს ან/და დაარიცხოს ამ წესებით განსაზღვრულ გადახდაზე პასუხისმგებელ პირს ან დარიცხული დავალიანება გადაიტანოს ამ საცალო მომხმარებლის ახალ მისამართზე. საქმის მასალებით არ დგინდება, რომ მიმწოდებელმა დაიცვა მითითებული წესის მოთხოვნა. 18.3 მუხლის დებულება იმის შესახებ, რომ მესაკუთრის შეცვლის შემთხვევაში ახალი მესაკუთრე ვალდებულია საკუთრების დამადასტურებელ დოკუმენტაციასთან ერთად წარადგინოს განაცხადი განაწილების ლიცენზიატთან არ გულისხმობს, რომ თუნდაც ამ ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში ახალ მომხმარებელს მოეთხოვება ძველი მომხმარებლის მიერ დახარჯული აირის საფასური. მე-18 მუხლი ანესრიგებს აბონენტად რეგისტრაციის წესებს (რაც მუხლის სათაურითაც („აბონენტად რეგისტრაცია“) დასტურდება), 18.3 მუხლი უკავშირდება ახალი მესაკუთრის აბონენტად რეგისტრაციის შემთხვევაში პირის ვალდებულებას ლიცენზიატთან წარადგინოს განაცხადი (აღნიშნული დასტურდება აგრეთვე წესების 4.1 მუხლის შინაარსით). განმცხადებელი აბონენტად რეგისტრაციის შესახებ განაცხადის წარდგენით გამოხატავს თავის ნებას მიიღოს და მოიხმაროს ბუნებრივი გაზი (18.5 მუხ.). აღნიშნულს ადასტურებს აგრეთვე მე-18 მუხლში მოცემული განაცხადის სავალდებულო რეკვიზიტები (18.6 მუხ. „ვ“, „ზ“ ქვეპუნქტები), განაცხადის წარდგენის სამართლებრივი შედეგი – აბონენტად რეგისტრაცია (18.8 მუხ.), ბუნებრივი გაზის ნასყიდობის ხელშეკრულების დადება (18.11 მუხ.). ამდენად, აბონენტად რეგისტრაციის შესახებ ნების არარსებობის შემთხვევაში პირი არ არის ვალდებული წარადგინოს განაცხადი, ვინაიდან მიმწოდებელსა და საცალო მომხმარებელს შორის ურთიერთობა წარმოებს თანასწორობის და თავისუფალი ნების გამოვლენის პრინციპის საფუძველზე (1.5 მუხ.). წესების მე-3 მუხლის თანახმად წესები და მის შესაბამისად დადებული ხელშეკრულება წარმოადგენს ძირითად იურიდიულ დოკუმენტს, რომელიც არეგულირებს განაწილების ლიცენზიატის,

მიმწოდებლის და საცალო მომხმარებლის უფლება-მოვალეობებს ბუნებრივი გაზის ყიდვის, გაყიდვის, განაწილების, გატარების ან/და მოხმარების დროს. ბუნებრივი გაზის ნასყიდობის ხელშეკრულება შეიძლება გაფორმდეს წერილობითი ფორმით, ასევე ქვითრით ან სხვა წერილობითი დოკუმენტით, წესებით დამტკიცებული ფორმის შესაბამისად (3.4 მუხ.). მიმწოდებელს ან განაწილების ლიცენზიატს უფლება არა აქვს საცალო მომხმარებელთან გააფორმოს ისეთი სახის ხელშეკრულება ან/და დადოს მასთან ისეთი სახის გარიგება ან მოსთხოვოს მას ისეთი პირობის შესრულება, რომლის შინაარსი ან/და პირობა ეწინააღმდეგება წესებს და მოქმედ კანონმდებლობას. სკ-ის 361.1 მუხლის თანახმად, ყოველი შესრულება ნიშნავს ვალდებულების არსებობას. მოცემულ შემთხვევაში არ დასტურდება თ. კ-ასა და მოსარჩელეს შორის სამართლებრივი ურთიერთობის არსებობა, თ. კ-ასთან ხელშეკრულების დადება, მისთვის ქვითრის წარდგენა, ქვითარში აღნიშნული თანხის გადახდა. მოსარჩელეს საქმის განხილვის განმავლობაში არც ერთ ინსტანციაში არ წარუდგენია თ. კ-ასთვის ქვითრის წარდგენის დამადასტურებელი რაიმე მტკიცებულება. შესაბამისად სააპელაციო სასამართლოს მიერ ქვითრის წარუდგენლობის დადგენილ გარემოებაზე კასატორის პრეტენზია არის დაუსაბუთებელი.

საქმის მასალებით არ დასტურდება თ. კ-ას მიერ აბონენტად რეგისტრაციის ნების გამოვლენა, გაზის მოხმარება, შესაბამისად დაუშვებელია თ. კ-ასათვის მრიცხველის დავალიანების გადახდის დაკისრება. ამდენად, დაუსაბუთებელია კასატორის მოსაზრება იმის შესახებ, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად გაანაწილა მტკიცების ტვირთი მხარეებს შორის, გაათავისუფლა ადმინისტრაციული ორგანო მტკიცების ტვირთის კანონიერი სტანდარტისაგან. შპს „...“ 18.11.13წ. №756 ცნობის თანახმად, თ. კ-ას არ მოუმართავს აბონენტად რეგისტრაციისთვის, ბაზაში დღემდე მისამართზე აბონენტად აღრიცხულია გ. მ-ი (აბ №...), შესაბამისად, ბრუნვის ისტორია შედგენილია გ. მ-ის სახელზე. თ. კ-ას არასოდეს არ მისვლია მოხმარებული ბუნებრივი აირის ღირებულების გადახდის ქვითარი, აღნიშნულის საწინააღმდეგო მტკიცებულება განაწილების ლიცენზიატს არ წარმოუდგენია. მესაკუთრის ადგილზე არ ყოფნის გამო მრიცხველის ჩვენების აღების შესაძლებლობა არ გამოორიცხავდა ქვითრის წარდგენის შესაძლებლობას. „ბუნებრივი გაზის მიწოდებისა და მოხმარების წესების“ 11.5 მუხლის თანახმად, თუ ბუნებრივი გაზის მრიცხველი დამონტაჟებულია საცალო მომხმარებლის დაცულ ტერიტორიაზე და მომხმარებლის ბრალით

ვერ მოხდება მრიცხველის ჩვენების აღება, მიმწოდებელს უფლება აქვს საცალო მომხმარებელს დაარიცხოს ერთი თვის პერიოდზე გადასახდელი, რომელიც გამოითვლება მომხმარებლის მიერ ბუნებრივი გაზის რაოდენობის საშუალო თვიური მოხმარებიდან. საქმის მასალებით არ დასტურდება თ. კ-ას მიერ აბონენტად რეგისტრაციის ნების გამოვლენა, შესაბამისად დაუშვებელი იყო თ. კ-ასთვის მრიცხველის დავალიანების გადახდის დაკისრება.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მოცემული დავის გარემოებები განსხვავებულია სუს 14.07.2009წ. №ას-156-484-09 გადაწყვეტილებაში მითითებული გარემოებებისაგან. მითითებული გადაწყვეტილების თანახმად, დავა ეხებოდა არა ბუნებრივი გაზის, არამედ ელექტროენერჯის მიწოდებისას დაგროვილი დავალიანების დაკისრებას, რა დროსაც განსხვავებული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით ხელმძღვანელობს როგორც ადმინისტრაციული ორგანო, ისე სასამართლო. გარდა ამისა მითითებულ გადაწყვეტილებაში საკასაციო სასამართლოს შეფასების საგანი ემყარებოდა განსხვავებულ ფაქტობრივ გარემოებებს, კერძოდ, დაკისრებული დავალიანების ნაწილი დარიცხული იყო „უმრიცხველო დარიცხვის პრინციპით“, ადგილი ჰქონდა აბონენტის ნომრის შეცვლას, ამასთან, ბინის ახალი მესაკუთრის მიერ გადახდილი იყო დარიცხული დავალიანების ნაწილი, უდავოდ იკვეთებოდა შეთავაზებული პროდუქტის (ელექტროენერჯის) მოხმარების ფაქტი კონკრეტული პირის მიერ, ქვითრის გადახდით დასტურდებოდა მხარეებს შორის შეთანხმების დადების ფაქტი. აღნიშნული საქმისაგან განსხვავებით განსახილველ შემთხვევაში არ დასტურდება თ. კ-ას სახელში ცხოვრების და გაზის მოხმარების, მისი საფასურის გადახდის ფაქტი, თ. კ-ას არ გამოუვლენია ბუნებრივი აირის მისთვის მიწოდების ნება.

„ბუნებრივი გაზის მიწოდებისა და მოხმარების წესების“ მე-10 მუხლის თანახმად, მოხმარებული ბუნებრივი გაზის აღრიცხვისა და საფასურის გადახდის პერიოდად დადგენილია ყოველთვიური პერიოდი. განაწილების ლიცენზიატს მრიცხველის შემოწმების ვალდებულება ეკისრება სამ თვეში ერთხელ. საქმის მასალებით დასტურდება, რომ წლების განმავლობაში შემოწმება არ ჩატარებულა, შპს „ს-ქ“ წარმომადგენლებმა თ. კ-ას საკუთრებაში შემავალ გაზსადენზე დამონტაჟებული ბუნებრივი გაზის მრიცხველის ჩვენება მხოლოდ 31.03.12წ. აიღეს. ლიცენზიატის მიერ აბონენტის ადგილზე შემოწმებებს შორის ინტერვალის გათვალისწინებით, მოსარჩელის მითითება ბრუნვის ის-

ტორიაზე არ ადასტურებს თ. კ-ას მიერ ბუნებრივი აირის მოხმარებას. მხედველობაშია მისაღები აგრეთვე, რომ არ დასტურდება მოსარჩელის მიერ დავალიანების დაკისრების კანონმდებლობით გათვალისწინებული ხანდაზმულობის ვადის დაცულობა. სასამართლო იზიარებს სააპელაციო პალატის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ კვანძის გამართულ მდგომარეობაში ყოფნაზე პასუხისმგებელია განაწილების ლიცენზიატი, რომელიც ასევე ვალდებულია ატარებდეს სისტემურ შემონმებას აბონენტთან კვანძის ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით (წესების 7.1 მუხ.). განაწილების ლიცენზიატი ვალდებულია განახორციელოს გაზის ქსელის მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებთან და სტანდარტებთან, ტექნიკურ დოკუმენტაციასთან სისტემური შემონმება (წესების 2.4 მუხლის „თ“ ქვეპუნქტი), განაწილების ლიცენზიატი უფლებამოსილი და ვალდებულია შეამოწმოს საცალო მომხმარებლის მფლობელობაში არსებული გაზმომარაგების სისტემის, მათ შორის მომხმარებლის მფლობელობაში არსებული ბუნებრივი გაზის ქსელის, გაზდანადგარებისა და მოწყობილობების შესაბამისობა ტექნიკურ და უსაფრთხოების ნორმებთან (6.3 მუხ.). კასატორის მითითება წესების 7.9 მუხლის „გ“ ქვეპუნქტზე, რომლის მიხედვით მომხმარებელი პასუხისმგებელია აღრიცხვის კვანძის, ასევე მისი შემადგენელი მრიცხველების, დანადგარებისა და სხვა სახის მოწყობილობების შენახვაზე, როდესაც აღრიცხვის კვანძი მოწყობილია მომხმარებლის მფლობელობაში არსებულ დაცულ ტერიტორიაზე, საფუძველს არის მოკლებული, ვინაიდან არ დასტურდება თ. კ-ას მიერ ბუნებრივი აირის მოხმარება, თ. კ-ას არ გამოუვლენია აბონენტად რეგისტრაციის ნება. წესების თანახმად განაწილების ლიცენზიატისათვის საცალო მომხმარებლის ბუნებრივი გაზის მომარაგებისას გაწეული გატარების მომსახურების საფასურის გადაუხდელობის შემთხვევაში კომპანია უფლებამოსილია წინასწარი გაფრთხილებიდან 10 დღის შემდეგ შეწყვიტოს მომსახურება (8.2 მუხ.), გაზის საფასურის პერიოდულად ვადაგადაცილებით გადახდა ინვესტ წესების გათვალისწინებული დარიცხული თანხის 11.1 მუხლით გათვალისწინებული ამოღების უზრუნველყოფის მექანიზმების გამოყენებას (თანხის დეპოზიტზე შეტანა, მისი დავალიანებაში ასახვა, მომსახურების შეწყვეტა, საშუალო თვიური მოხმარებიდან გადასახდელი თანხის გაანგარიშება). აღნიშნული უფლებამოსილებანი კასატორს არ გამოუყენებია. სენმეკ-ის 09.07.09წ. №12 დადგენილებით დამტკიცებული წესების 11.6 მუხლის თანახმად, ხსენებული წესებით მინიჭებული

უფლებამოსილების გამოუყენებლობის შედეგად დამდგარ შედეგზე პასუხისმგებელია ლიცენზიატი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ არ არსებობს საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების, სააპელაციო სასამართლოს გადანყვეტილების გაუქმების საფუძველი, კანონის მითითებულ დარღვევებს ადგილი არ ჰქონია, არ არსებობს სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის სზაკ-ის მე-60<sup>1</sup> მუხლის საფუძველზე ბათილად ცნობის საფუძველი, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებულ განჩინებას საფუძველად არ უდევს კანონის დარღვევა, რაც სსკ-ის 410-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლოს მიერ საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველს ქმნის.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე, 399-ე, 410-ე მუხლებით და

#### **და ა დ ბ ი ნ ა:**

1. შპს „ს-ს“ საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 11.07.2014წ. განჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**საგრანტო კონკურსი და საგრანტო პროექტის  
საპოლომ შეფასება**

**გადაწყვეტილება  
საქართველოს სახელით**

№ბს-178-177(კ-16)

14 ივლისი, 2016 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. სხირტლაძე,  
ვ. როინიშვილი**

**დავის საგანი:** ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა, ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა

**აღწერილობითი ნაწილი:**

2014 წლის 17 თებერვალს გ. ბ-მა სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხის – სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიმართ.

მოსარჩელის განმარტებით, 2013 წელს მან №610752 განცხადებით მიმართა სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნულ სამეცნიერო ფონდს 2013-2014 წლების დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების საგრანტო კონკურსში მონაწილეობის მისაღებად, რომელიც გამოცხადდა 2013 წლის 23 სექტემბერს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №147/ნ ბრძანებით და „2013-2014 წლების დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების საგრანტო კონკურსის გამოცხადების, საგრანტო პროექტების წარდგენისა და განხილვის ვადების, განაცხადების ფორმებისა და თანდართული დოკუმენტაციის ნუსხის დამტკიცების შესახებ“ 2013 წლის 27 სექტემბრის სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დირექტორის №53 ბრძანებით. კონკურსანტის მიერ ფონდში დასაფინანსებელი თანხა შედგება დოქტორანტურაში სწავლისა და მონაწილეობის ჯამური საფასურისაგან, კერძოდ, დოქტორანტურაში წელიწად-ნახევრის სწავლის საფასური – 3375 ლარი და ქიმიური ანალიზებისათვის საჭირო ხელსაწყოთა საფასური – 4500 ლარი, რაც ჯამში შეადგენს 7875 ლარს.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ მან წარადგინა შესაბამისი სა-

დოქტორო ნაშრომის პროექტი სათაურით „მოლეკულურ-იონური სისტემების მიკრობიოლოგიური დამუშავება (სტერილიზაცია), დებარირება (Ba) – დეფტორირების (F) ნანოქიმია, მემბრანული ნანოტექნოლოგიებისა და ნანოსისტემების დამუშავება-შექმნითა და სანარმოო დანერგვით“, რომლის ძირითადი ამოცანა გულისხმობს ბორჯომის მინერალურ წყალში შემავალი ქიმიური კომპონენტების ევროსტანდარტებთან მისადაგებას, კერძოდ, ბარიუმისა და ფტორის ზღვრულ დასაშვებ კონცენტრაციებამდე დაყვანას. ნარდგენილი პროექტის აქტუალობა განპირობებულია მინერალური წყლების შესახებ ევროკავშირის 2003/40/EC-ის დირექტივის მოთხოვნის თანახმად.

მოსარჩელის განმარტებით, მიუხედავად კონკურსანტის უმაღლესი აკადემიური დონისა, მისი სამეცნიერო ნამუშევრების პრაქტიკული რეალიზაციისა და საგრანტო პროექტის უაღრესად დიდი მნიშვნელობისა (ევროკავშირის დირექტივა) სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნულმა სამეცნიერო ფონდმა პროექტის აკადემიური შეფასება არ განახორციელა სათანადოდ. ფონდმა კანონის ყველა ნორმის დარღვევით, ფაქტობრივი გარემოებების არასათანადოდ გამოკვლევის შედეგად მიიღო უკანონო ადმინისტრაციული აქტი, რომელიც მან 2013 წლის 27 დეკემბერს გაასაჩივრა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში, რის განხილვაზეც მიიღო უარი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის შეფასების აქტის „2013-2014 წლების დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების საგრანტო კონკურსში“ მონაწილე საგრანტო პროექტის „მოლეკულურ-იონური სისტემების მიკრობიოლოგიური დამუშავება (სტერილიზაცია), დებარირება (Ba) დეფტორირების (F) ნანოქიმია, მემბრანული ნანოტექნოლოგიებისა და ნანოსისტემების დამუშავება-შექმნითა და სანარმოო დანერგვით“ შეფასების შესახებ, საგრანტო პროექტის დაფინანსებაზე სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის უარის ბათილად ცნობა და მოპასუხისათვის ფაქტობრივი გარემოებების სათანადოდ შესწავლის შემდეგ ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 31 მარტის გადაწყვეტილებით გ. ბ. ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2013 წლის 27 სექტემბრის №53 ბრძანებით გა-



მოცხადდა 2013-2014 წლების დოქტორანტურის საგანმანათ-  
ლებლო პროგრამების დაფინანსების კონკურსი, დამტკიცდა  
საგრანტო პროექტების წარდგენისა და განხილვის ვადების, გა-  
ნაცხადის ფორმებისა და თანდართული დოკუმენტაციის ნუს-  
ხა. ამავე ბრძანებით, დამტკიცდა კონკურსში პროექტის შეფა-  
სებისათვის საჭირო ექსპერტების რაოდენობა, პროექტის სა-  
ბოლოო ქულის დაანგარიშების მექანიზმი და თანაბარქულიან  
პროექტებს შორის უპირატესის გამოსავლენად, შეფასების კრი-  
ტერიუმებს შორის პრიორიტეტული კრიტერიუმები, ბრძანების  
№3 დანართის შესაბამისად. მითითებული დანართის პირველი  
პუნქტის თანახმად, კონკურსის მოთხოვნებთან შესაბამისო-  
ბაში მყოფი რეგისტრირებული პროექტების შეფასება უნდა გა-  
ნახორციელოს ორმა დამოუკიდებელმა ექსპერტმა; მეორე პუნ-  
ქტის თანახმად, პროექტის საბოლოო შეფასება გამოითვლება  
მიღებული ორი შეფასების საშუალო არითმეტიკულით, ხოლო  
მე-3 პუნქტის თანახმად, თანაბარქულიანი პროექტებიდან უპი-  
რატესის გამოსავლენად, პროექტის შეფასების კრიტერიუმებს  
შორის უპირატესობა მიენიჭება ა) პირველ რიგში – პროექტის  
აკადემიური შეფასების ჯამურ ქულას; ბ) მეორე რიგში – დოქ-  
ტორანტის აკადემიური შეფასების ჯამურ ქულას; გ) მესამე  
რიგში – ბიუჯეტის მოცულობას (მცირებოუჯეტოიანი პროექტი  
უპირატესია დიდბიუჯეტოიანთან შედარებით).

საქალაქო სასამართლომ, ასევე, დადგენილად მიიჩნია, რომ  
მოსარჩელე გ. ბ-ი მონაწილეობას იღებდა სსიპ შოთა რუსთავე-  
ლის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ 2013 წლის 27 სექ-  
ტემბერს გამოცხადებულ 2013-2014 წლების დოქტორანტურის  
საგანმანათლებლო პროგრამების საგრანტო კონკურსში და მის  
მიერ წარდგენილი საგრანტო პროექტი იყო „მოლეკულურ-იო-  
ნური სისტემების მიკრობიოლოგიური დამუშავება (სტერილი-  
ზაცია), დებარირება (Ba) – დეფტორირების (F) ნანოქიმია, მემ-  
ბრანული ნანოტექნოლოგიებისა და ნანოსისტემების დამუშა-  
ვება-შექმნითა და საწარმოო დანერგვით“. ამასთან, მოსარჩე-  
ლემ კონკურსში მონაწილეობის შესახებ განცხადებით დაადას-  
ტურა, რომ გაეცნო 2013-2014 წლების დოქტორანტურის საგან-  
მანათლებლო პროგრამების წესისა და პირობების დამტკიცე-  
ბის შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მი-  
ნისტრის 2013 წლის 23 სექტემბრის №147/ნ ბრძანებას, სსიპ  
შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერა-  
ლური დირექტორის ბრძანებას და ხელმოწერით განაცხადა თან-  
ხმობა კონკურსის პირობებზე. ასევე დაადასტურა, რომ ფონ-  
დის ელექტრონულ სისტემაში ატვირთული ინფორმაცია იყო

ზუსტი და არ შეიცავდა ყალბ მონაცემებს.

2013 წლის 27 სექტემბერს გამოცხადებულ 2013-2014 წლების დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების საგრანტო კონკურსში მონაწილე გ. ბ-ის მიერ წარდგენილი საგრანტო პროექტი – „მოლეკულურ-იონური სისტემების მიკრობიოლოგიური დამუშავება (სტერილიზაცია), დებარირება (Ba) – დეფტორირების (F) ნანოქიმია, მემბრანული ნანოტექნოლოგიებისა და ნანოსისტემების დამუშავება-შექმნითა და სანარმოო და-ნერგვით“, შესაბამისი კრიტერიუმებით და ქულებით არის შეფასებული ორი ექსპერტის მიერ.

აღნიშნული შეფასებების ამსახველ ერთ-ერთ დოკუმენტში კომენტარის სახით მითითებულია ექსპერტის შემდეგი მოსაზრება: „...პროექტი რომ ითვალისწინებდეს რიგითი სასმელი წყლების განმენდას, მას ექნებოდა ხელშესახები აქტუალობა, მაგრამ ბორჯომის წყლის დეფტორირებისა და დებარირების იდეა, მისი სამომხმარებლო თვისებების გაუმჯობესების მიზნით, სრულ უაზრობად მეჩვენება. იგი ღირებულია იმ თვისებებით და შემადგენლობით, რაც მას დასაბამიდან ახასიათებს და მისი მორგება სტანდარტებზე (რაც ორდინალური სასმელი წყლები-სათვის არის დადგენილი) დაუშვებელია..“; „...არსებობენ ისეთი ფაქტორები, რომლებიც განაპირობებენ ქვეყნის ცნობადობას თუ მთელ მსოფლიოში არა, მის მნიშვნელოვან ნაწილში მაინც. საქართველოსათვის ასეთი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სავიზიტო ფაქტორი ბორჯომის წყალია. ამდენად, მისი თვისებების შეცვლა, გადაკეთება მიუღებელი, განწირული იდეაა. მეცნიერული ინტერესით ავტორებს უფლება აქვთ აკეთონ, რაც უნდათ და როგორც უნდათ, მაგრამ არა ამ უნიკალური თვისებების წყლის კასტრირება..“.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა, რომ საქმეზე, ასევე, წარმოდგენილია აღნიშნული საგრანტო პროექტის შეფასების ამსახველი მეორე დოკუმენტიც, რომელშიც მითითებული კომენტარების შინაარსით დგინდება, რომ ექსპერტის მოსაზრებით, კონკურსში მონაწილის მიერ მითითებული მეთოდით და მიზნით მინერალური წყლის „ბორჯომისაგან“ ფტორისა და ბარიუმის მოცილება არ არის გამართლებული (მითითებულია შესაბამისი მოტივაცია მიზანშეუწონლად მიჩნევის შესახებ).

სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2013 წლის 2 დეკემბრის №76 ბრძანებით დამტკიცდა 2013-2014 წლების დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების საგრანტო კონკურსის გამარჯვებული პროექტები დანართის შესაბამისად. ამავე წლის 3 დეკემ-

ბრის №77 ბრძანებით ცვლილება შევიდა №76 ბრძანებაში და №76 ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული დანართი ჩამოყალიბდა №77 ბრძანების დანართის შესაბამისად. სულ გაიმაღრა 135-მა პროექტმა. ამასთან, დადგინდა, რომ გამარჯვებულ დოქტორანტთა პროექტების დაფინანსების ოდენობამ შეადგინა 1 939 128 ლარი, ქულების მიხედვით კი, ბიუჯეტის ფარგლებში დაფინანსდა 88.5 ქულიდან 100 ქულის შეფასების მქონე პროექტები. მოსარჩელის საგრანტო პროექტის საბოლოო შეფასება იყო 70 ქულა და მისი პროექტი ვერ მოხვდა დასაფინანსებელ პროექტთა სიაში.

საქალაქო სასამართლომ განმარტა, რომ „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის თანახმად, ეს კანონი აწესრიგებს საქართველოში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განხორციელების პროცესს, უმაღლესი განათლების მართვისა და დაფინანსების პრინციპებსა და წესს, ადგენს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დაფუძნების, საქმიანობის, რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის წესს, ასევე ავტორიზაციისა და აკრედიტაციის პრინციპებს. აღნიშნული საკანონმდებლო აქტის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „პ7“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ამტკიცებს დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების დაფინანსების წესსა და პირობებს.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 23 სექტემბრის №147/ნ ბრძანებით დამტკიცებული „2013-2014 წლების დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების წესისა და პირობების“ მეორე მუხლის „თ“ ქვეპუნქტის თანახმად, საგრანტო კონკურსი არის დოქტორანტის მიერ სასწავლო-კვლევითი გრანტის მოპოვების მიზნით ადმინისტრირებული პროცედურა. ამავე წესის მე-3 მუხლის თანახმად, საგრანტო კონკურსის მიზანი არის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის, მისი თანმდევი სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისა და უცხო ენის სწავლის დაფინანსების გზით: ა) სახელმწიფოში ინტელექტუალური პოტენციალის განვითარება და მაღალი კვალიფიკაციის სამეცნიერო პერსონალის მომზადება; ბ) უნივერსიტეტში არსებული ინტელექტუალური პოტენციალის მიზნობრივი გამოყენება; გ) სამეცნიერო კვლევისათვის სათანადო პირობების შექმნა; დ) სწავლებისა და სამეცნიერო კვლევის ინტეგრირება. მე-4 მუხლის თანახმად, საგრანტო კონკურსის გამართვას, სასწავლო-კვლევითი გრანტების გაცემასა

და საგრანტო ხელშეკრულების შესრულების კონტროლს ამ წესის შესაბამისად ახორციელებს ფონდი.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა „მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და მათი განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონზე, რომლის მე-15<sup>1</sup> მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებათა ხარჯზე სამეცნიერო კვლევების საგრანტო სისტემით, კონკურსის წესით დასაფინანსებლად საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო საქართველოს პრემიერ-მინისტრის თანხმობით აფუძნებს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – შოთა რუსთაველის ეროვნულ სამეცნიერო ფონდს და სხვა საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს – სამეცნიერო ფონდებს. ამავე მუხლის მეორე პუნქტის თანახმად, სამეცნიერო ფონდის საქმიანობის წესი და სტრუქტურა განისაზღვრება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული წესდებით.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის №62 ბრძანებით დამტკიცებულია საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის წესდება, რომლის თანახმად, ფონდი იქმნება საგრანტო სისტემით მეცნიერების დაფინანსებისათვის. აღნიშნული წესდების სადავო პერიოდში მოქმედი რედაქციის მეორე მუხლის პირველი და მეორე პუნქტებით განსაზღვრულია ფონდის მიზნები და ძირითადი ამოცანები. ამავე მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, დასახულ ამოცანათა გადასაწყვეტად, ფონდი: ბ.ბ.) ამტკიცებს საგრანტო კონკურსის ჩატარების წესს; ბ.გ.) აქვეყნებს კონკურსის გამოცხადებისა და კონკურსის ჩატარების ვადების შესახებ ინფორმაციას. ამავე პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, ფონდი კონკურსის წესით ახორციელებს: გ.ა.) სამეცნიერო-კვლევითი პროექტების შერჩევასა და გრანტებით დაფინანსებას; „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, ფონდი ხელს უწყობს პრინციპულად ახალი ტექნოლოგიების განვითარებას მათი პროდუქციის წარმოებაში დანერგვის მიზნით, აგრეთვე აღიარებული საბაზო ტექნოლოგიების გამოყენებას საქართველოს სამეცნიერო და ტექნოლოგიების მიღწევების წარმოებაში დანერგვისა და ქვეყნის საექსპერტო პოტენციალის გაზრდის მიზნით.

საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 23 სექტემბრის №147/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-5 მუხლით განისაზღვრა საგრანტო კონკურსის ეტაპები. ესენია: ა) საგრანტო კონკურსის გამოცხადება; ბ) პროექტების ფონდში წარდგე-

ნა; გ) პროექტების შეფასება ექსპერტთა მიერ; დ) ექსპერტთა შეფასების საფუძველზე შედგენილი ერთიანი რანჟირებული სი-  
იდან, საგრანტო კონკურსის ბიუჯეტის გათვალისწინებით, გა-  
მოვლენილი პროექტების ფონდის გენერალური დირექტორის  
ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით  
დამტკიცება; ე) ფონდის გენერალური დირექტორის ინდივიდუ-  
ალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცე-  
ბული პროექტების ავტორ – დოქტორანტებთან და შესაბამის  
უნივერსიტეტებთან საგრანტო ხელშეკრულებების გაფორმე-  
ბა.

საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ სსიპ შოთა რუსთავე-  
ლის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ 2013-2014 წლების  
დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების დაფინან-  
სების კონკურსის ჩატარება უზრუნველყოფილ იქნა აღნიშნუ-  
ლი პროცედურების დაცვით. კერძოდ, დადგენილია, რომ სსიპ  
შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერა-  
ლური დირექტორის 2013 წლის 27 სექტემბრის №53 ბრძანებით  
გამოცხადდა 2013-2014 წლების დოქტორანტურის საგანმანათ-  
ლებლო პროგრამების დაფინანსების კონკურსი, დამტკიცდა  
საგრანტო პროექტების წარდგენისა და განხილვის ვადების, გა-  
ნაცხადის ფორმებისა და თანდართული დოკუმენტაციის ნუს-  
ხა. ამავე ბრძანებით, დამტკიცდა კონკურსში პროექტის შეფა-  
სებისათვის საჭირო ექსპერტების რაოდენობა, პროექტის სა-  
ბოლოო ქულის დაანგარიშების მექანიზმი და თანაბარქულიან  
პროექტებს შორის უპირატესის გამოსავლენად, შეფასების კრი-  
ტერიუმებს შორის პრიორიტეტული კრიტერიუმები, ბრძანების  
№3 დანართის შესაბამისად. ასევე უდავოა, რომ კონკურსის პი-  
რობების გაცნობა უზრუნველყოფილ იქნა კონკურსის მონაწი-  
ლეთათვის, მათ შორის, მოსარჩელისთვისაც.

საქალაქო სასამართლომ, ასევე, დადგენილად მიიჩნია, რომ  
2013 წლის 27 სექტემბერს გამოცხადებულ 2013-2014 წლების  
დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების საგრანტო  
კონკურსში მონაწილე გ. ბ-ის საგრანტო პროექტი, შესაბამისი  
კრიტერიუმებით და ქულებით შეაფასა ორმა ექსპერტმა. აღ-  
ნიშნული შეფასებების შედეგების შეჯამებით, მოპასუხე ადმი-  
ნისტრაციულმა ორგანომ დაამტკიცა 2013-2014 წლების დოქ-  
ტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების საგრანტო კონ-  
კურსის გამარჯვებული პროექტები. გამარჯვებულ დოქტორან-  
ტთა პროექტების დაფინანსების ოდენობამ შეადგინა 1 939 128  
ლარი, ქულების მიხედვით, ბიუჯეტის ფარგლებში დაფინანსდა  
88.5 ქულიდან 100 ქულის შეფასების მქონე პროექტები. მოსარ-

ჩელის საგრანტო პროექტის საბოლოო შეფასება იყო 70 ქულა და შესაბამისად, მისი პროექტი ვერ მოხვდა დასაფინანსებელ პროექტთა სიაში.

საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ საგრანტო კონკურსის ერთ-ერთ სავალდებულო ეტაპს წარმოადგენდა კონკურსანტთა მიერ წარდგენილი დოქტორანტიურის პროგრამების ექსპერტთა მიერ შეფასება. აღნიშნულ საკითხს შეეხება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 23 სექტემბრის №147/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-10 მუხლი. კერძოდ, მითითებული მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ფონდი უზრუნველყოფს ექსპერტთა მიერ პროექტების შეფასებისათვის აუცილებელი პროცედურების ადმინისტრირებას. ამავე მუხლის მეორე პუნქტის თანახმად, ფონდის გენერალური დირექტორი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრავს: ა) პროექტის შეფასებისათვის საჭირო ექსპერტების რაოდენობას და პროექტის საბოლოო ქულის დაანგარიშების მექანიზმს; ბ) თანაბარქულიანი პროექტებიდან უპირატესის გამოსავლენად ამ წესის მე-11 მუხლით გათვალისწინებულ პროექტის შეფასების კრიტერიუმებს შორის პრიორიტეტულ კრიტერიუმებს.

ამავე ბრძანებით დამტკიცებული წესისა და პირობების მეორე მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, ექსპერტი არის დოქტორანტის მიერ წარდგენილი პროექტის შეფასების მიზნით სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ მიწვეული დამოუკიდებელი პირი; „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად, პროექტის შეფასების კრიტერიუმებში იგულისხმება ფონდში წარდგენილი პროექტების შესაფასებლად ექსპერტებისათვის განსაზღვრული სახელმძღვანელო პრინციპები ქულების სათანადო მითითებით.

საქალაქო სასამართლომ განმარტა, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 21-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია მიმართოს საქესპერტო დაწესებულებას ან საზოგადოებრივ ექსპერტს საქესპერტო დასკვნისთვის. ამავე კოდექსის 25-ე მუხლის თანახმად, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, საზოგადოებრივი ექსპერტის დასკვნა არ არის სავალდებულო ადმინისტრაციული ორგანოსთვის. უარი ექსპერტის დასკვნის გათვალისწინებაზე უნდა დასაბუთდეს. აღნიშნული ნორმებიდან გამომდინარეობს, რომ ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია მიმართოს საზოგადოებრივ ექსპერტს მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემ-



თხვევაში. ამასთან, ექსპერტის დასკვნა სავალდებულოა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს კანონით პირდაპირ არის გათვალისწინებული. ყველა სხვა შემთხვევაში ექსპერტის დასკვნას არა აქვს წინასწარ დადგენილი ძალა და ადმინისტრაციული ორგანო მას აფასებს სხვა მტკიცებულებებთან ერთობლიობაში.

განსახილველ შემთხვევაში სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნულ სახელმწიფო ფონდს 2013-2014 წლების დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის დაფინანსების კონკურსში გამარჯვებულ კონკურსანტთა შეფასებისათვის საზოგადოებრივი ექსპერტის დანიშვნის ვალდებულება დაეკისრა კანონმდებლობით, კერძოდ, „2013-2014 წლების დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების წესის და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 23 სექტემბრის №147/ნ ბრძანებით.

სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის 2013 წლის 27 სექტემბრის №53 ბრძანებით გამოცხადდა 2013-2014 წლების დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების დაფინანსების კონკურსი და ამავე ბრძანების მე-15 პუნქტით დამტკიცდა 2013-2014 წლების დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების საგრანტო კონკურსში პროექტების შეფასებისათვის საჭირო ექსპერტების რაოდენობა, პროექტის საბოლოო ქულის დაანგარიშების მექანიზმი და თანაბარქულიან პროექტებს შორის უპირატესის გამოსავლენად შეფასების კრიტერიუმებს შორის პრიორიტეტული კრიტერიუმები, ბრძანების დანართი №3-ის შესაბამისად.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა, რომ სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის 2013 წლის 27 სექტემბრის №53 ბრძანების დანართი №3-ის პირველი პუნქტის თანახმად, კონკურსის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მყოფი რეგისტრირებული პროექტები შესაფასებლად გადაეცემოდათ დამოუკიდებელ ექსპერტებს. პროექტის შეფასება კი, უნდა განეხორციელებინა ორ ექსპერტს. ამავე დანართის მეორე პუნქტის თანახმად, პროექტის საბოლოო შეფასება გამოითვლებოდა მიღებული ორი შეფასების საშუალო არითმეტიკულით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლოს განმარტებით, განსახილველ შემთხვევაში სახეზე იყო საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 25-ე მუხლით დადგენილი კანონმდებლობით გათვალისწინებული სპეციალური შემთხვევა, როდესაც გადაწყვეტილების მიმღები ადმინისტრაციული ორგანოსათვის ექსპერტის შეფასება სავალდებულოა, რამდენადაც სპეციალური კანონმდებლობით განისაზღვრა, რომ ფონდი გა-



დანყვეტილებას იღებდა და პროექტის საბოლოო შეფასებას ახდენდა ექსპერტთაგან მიღებული შეფასებების საშუალო არითმეტიკულის გამოყვანით.

საქალაქო სასამართლომ განმარტა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 23 სექტემბრის №147/ნ ბრძანებით დამტკიცებული 2013-2014 წლების დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების წესისა და პირობების მე-11 მუხლით განისაზღვრა პროექტის შეფასების კრიტერიუმები. კერძოდ, აღნიშნული მუხლით დადგენილია პროექტის შეფასების კრიტერიუმები ქულების დიაპაზონით, რაც შესაბამისი ქულების ზღვრული ოდენობის დადგენით, თავის მხრივ, გულისხმობს პროექტის „სუსტ“, „საშუალო“ ან „კარგ“ შეფასებას. ამასთან, შეფასება მოიცავს როგორც პროექტის აკადემიური მხარის შეფასებას, ისე დოქტორანტის აკადემიური დონის შეფასებას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ექსპერტთა მიერ ყოველი კრიტერიუმის შეფასება უნდა მომხდარიყო შემდეგი წესით: ექსპერტის მიერ ჯერ უნდა დადგინდეს შეესაბამება თუ არა პროექტი კონკრეტულ კრიტერიუმს, დადებითი პასუხის შემთხვევაში ექსპერტი ადგენს შესაბამისობის ხარისხს – „სუსტი“, „საშუალო“ ან „კარგი“, ხოლო შესაბამისობის ხარისხის დადგენის შემდეგ, განსაზღვრავს შესაბამისობის ხარისხის დონეს კონკრეტული ხარისხისთვის დადგენილი ქულების დიაპაზონიდან.

მითითებული წესის მე-12 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ექსპერტთა შეფასების საფუძველზე შემდგარი რანჟინგული სიიდან გამარჯვებულს წარმოადგენენ საუკეთესო შედეგების მქონე ის პროექტები, რომელთა დასაფინანსებლადაც საკმარისი იქნება საგრანტო კონკურსის ბიუჯეტი. ამავე მუხლის მეორე პუნქტის თანახმად კი, ამ მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, გამარჯვებული პროექტები მტკიცდება ფონდის გენერალური დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით. ამასთან, აღნიშნული წესის მე-17 მუხლის თანახმად, საგრანტო კონკურსის მთლიანი ბიუჯეტი 2013-2014 წლებში განისაზღვრება 2 100 000 (ორი მილიონ ასი ათასი) ლარის ოდენობით. მათ შორის, 2013 წელს – 1 000 000 (ერთი მილიონი) ლარით, ხოლო 2014 წელს – 1 100 000 (ერთი მილიონ ასი ათასი) ლარით.

საქალაქო სასამართლომ, ასევე, მიუთითა აღნიშნული წესის მე-16 მუხლზე, რომლითაც დადგენილია, რომ ფონდის მიერ დასაფინანსებლად შერჩეული პროექტების დამტკიცების შემდეგ, ფონდი უზრუნველყოფს ექსპერტთა დასკვნების გაც-

ნობას დაინტერესებული პირისათვის ექსპერტთა ვინაობის გამხელის გარეშე.

განსახილველ შემთხვევაში, სასამართლომ საქმის მასალე-ბით დადგენილად მიიჩნია, რაც მხარეთა მიერ სადავოდ არ გამხდარა, რომ ექსპერტთა მიერ მოსარჩელის პროექტის შეფასე-ბა განხორციელდა აღნიშნული წესით დამტკიცებული კრიტე-რიუმების შესაბამისად. ამასთან, ექსპერტის მიერ პროგრამის კონკრეტული კრიტერიუმის შესაბამისად მიჩნევა არ ნიშნავს იმას, რომ მას უპირობოდ უნდა დაენერა უმაღლესი ქულა, ვი-ნაიდან, პროექტის კონკრეტულ კრიტერიუმთან შესაბამისო-ბის დადგენის შემდეგ, ექსპერტი განსაზღვრავს შესაბამისო-ბის ხარისხს, ხოლო შემდეგ ადგენს ხარისხის დონეს კონკრე-ტული ქულის მითითებით.

ამასთან, ორი ექსპერტის მოწვევის ვალდებულება და მათი შეფასებების გათვალისწინებიდან საშუალო არითმეტიკულის გამოყვანის საბოლოო ქულის განსაზღვრა ემსახურება სწორედ იმ მიზანს, რომ დაბალანსდეს ორი ექსპერტის სუბიექტური მო-საზრებები და უზრუნველყოფილ იქნეს მაქსიმალურად ობიექ-ტური ქულის მიღება, რაც, თავის მხრივ, წარმოადგენს ობიექ-ტური გადაწყვეტილების მიღების წინაპირობას.

საქალაქო სასამართლომ, ასევე, მიუთითა იმ გარემოებაზე, რომ აღნიშნული წესის მე-16 მუხლით უზრუნველყოფილია ექ-სპერტთა დასკვნების გაცნობა დაინტერესებული პირისათვის, თუმცა ექსპერტთა ვინაობის გამხელა დაუშვებლად არის მიჩ-ნეული. შესაბამისად, უსაფუძვლო იყო მოსარჩელის პოზიცია იმასთან დაკავშირებით, რომ მისთვის ცნობილი უნდა ყოფილი-ყო წარდგენილი პროექტის შემფასებელ ექსპერტთა ვინაობა.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მეორე მუხლის პირველი ნაწილის „ლ“ ქვეპუნქტზე, რომლის შესაბამისად, დისკრეციულ უფლე-ბამოსილებას წარმოადგენს უფლებამოსილება, რომელიც ად-მინისტრაციულ ორგანოს ან თანამდებობის პირს ანიჭებს თა-ვისუფლებას საჯარო და კერძო ინტერესების დაცვის საფუძ-ველზე კანონმდებლობის შესაბამისი რამდენიმე გადაწყვეტი-ლებიდან შეარჩიოს ყველაზე მისაღები გადაწყვეტილება. იმა-ვე კოდექსის მე-6 მუხლის თანახმად, თუ ადმინისტრაციულ ორ-განოს რომელიმე საკითხის გადასაწყვეტად მინიჭებული აქვს დისკრეციული უფლებამოსილება, იგი ვალდებულია ეს უფლე-ბამოსილება განახორციელოს კანონით დადგენილ ფარგლებში. ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია განახორციელოს დისკრეციული უფლებამოსილება მხოლოდ იმ მიზნით, რომლის

მისაღწევადაც მინიჭებული აქვს ეს უფლებამოსილება. ხოლო მე-7 მუხლის თანახმად, დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას არ შეიძლება გამოიყენოს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, თუ პირის კანონით დაცული უფლებებისა და ინტერესებისათვის მიყენებული ზიანი არსებითად აღემატება იმ სიკეთეს, რომლის მისაღებადაც იგი გამოიყენა.

საქალაქო სასამართლოს განმარტებით, ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციული უფლებამოსილება წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანოს სამართლებრივად შეზღუდულ თავისუფლებას, რომელიც შეზღუდულია საჯარო და კერძო ინტერესების შეპირისპირებით, ვინაიდან, ერთი მხრივ, აღნიშნული ისეთი უფლებამოსილებაა, რომელიც კანონმდებლობით არ არის შეზღუდული კონკრეტული მოწესრიგებით, თუმცა შეზღუდულია კანონით დადგენილი ნორმის მიზნითა და ფარგლებით.

საქალაქო სასამართლოს მოსაზრებით, ვინაიდან დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილების სრული სასამართლო კონტროლი გამოიწვევდა ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობის არაეფექტურობას და სასამართლო კონტროლის მოცულობა შეზღუდულია იმ გარემოებების შემონახვით, არსებობდა თუ არა დაშვებული შეცდომა დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებაში და ამგვარი შეცდომის თავიდან აცილების შემთხვევაში, სხვაგვარი გადაწყვეტილების მიღების ალბათობა, სასამართლომ მიიჩნია, რომ მოპასუხე ადმინისტრაციულ ორგანოს, მისთვის მინიჭებული დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში, კანონმდებლობით განსაზღვრული ყველა კრიტერიუმის გამოკვლევის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების ვალდებულება ჰქონდა. აღნიშნული ვალდებულების დარღვევა კი, საქალაქო სასამართლოს მოსაზრებით, მოცემულ შემთხვევაში დადასტურებული არ იყო. სასამართლოს განმარტებით, საქმის მასალებიდან გამომდინარეობდა, რომ ექსპერტთა კომისიის მიერ კონკურსანტის პროექტის შეფასება განხორციელდა ზემოაღნიშნული წესით დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისად, რაც საფუძვლად დაედო დადგენილი წესის დაცვით მიღებულ სადავო გადაწყვეტილებას. შესაბამისად, მოსარჩელის მიერ მითითებული გარემოებები არ შეიძლება გამხდარიყო გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის უკანონოდ მიჩნევის საფუძველი. ასევე, სარჩელი ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ნაწილშიც სასამართლოს განმარტებით უსაფუძვლო იყო და არ უნდა დაკმაყოფილებულიყო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-

მეთა კოლეგიის 2015 წლის 31 მარტის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა გ. ბ-მა, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 24 ნოემბრის გადაწყვეტილებით გ. ბ-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 31 მარტის გადაწყვეტილება და საქმეზე მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც გ. ბ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის შეფასების აქტი „2013-2014 წლების დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების საგრანტო კონკურსში“ მონაწილე საგრანტო პროექტის „მოლეკულურ-იონური სისტემების მიკრობიოლოგიური დამუშავება (სტერილიზაცია), დებარირება (Ba) – დეფტორირების (F) ნანოქიმია, მემბრანული ნანოტექნოლოგიებისა და ნანოსისტემების დამუშავება-შექმნითა და სანარმოო დანერგვით“ შეფასების შესახებ, სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის უარი საგრანტო პროექტის დაფინანსების თაობაზე, მოპასუხეს დაევალა მოსარჩელის საქმესთან დაკავშირებით გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა, კანონით დადგენილ ვადაში და წესით.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ საგრანტო კონკურსის მიზანს წარმოადგენდა სახელმწიფოში ინტელექტუალური პოტენციალის განვითარება და მაღალი კვალიფიკაციის სამეცნიერო პერსონალის მომზადება; უნივერსიტეტში არსებული ინტელექტუალური პოტენციალის მიზნობრივი გამოყენება; სამეცნიერო კვლევებისათვის სათანადო პირობების შექმნა; სწავლებისა და სამეცნიერო კვლევის ინტეგრირება. შესაბამისად, მნიშვნელოვანია გაირკვეს, რამდენად პასუხობდა კონკურსანტის მიერ წარდგენილი საკონკურსო ნიმუში კონკურსის მიზნის მიღწევას.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ, ვალდებულია რა მოცემულ საქმეზე ჩაატაროს სრულყოფილი ადმინისტრაციული წარმოება, უნდა გამოიკვლიოს საკითხი, რამდენად პასუხობს მოსარჩელის მიერ წარდგე-

ნილი საკონკურსო მასალა კონკურსის მოთხოვნებს, აქვთ თუ არა შესაბამისი კვალიფიკაცია ექსპერტებს, რომლებიც ადგენენ დასკვნას კონკურსანტების მუშაობასთან დაკავშირებით.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60<sup>1</sup> მუხლის შესაბამისად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადებისა და გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად კი ადგენს, რომ ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ადმინისტრაციული წარმოებისას გამოიკვილოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, ხოლო 53-ე მუხლის მე-5 ნაწილი განსაზღვრავს, რომ ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილი არ არის თავისი გადაწყვეტილება დააფუძნოს იმ გარემოებებზე, ფაქტებსა და მტკიცებულებებზე ან არგუმენტებზე, რომლებიც არ იქნა გამოკვლეული და შესწავლილი ადმინისტრაციული წარმოებისას.

სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების შემოწმებისას აქტის გამომცემმა ადმინისტრაციულმა ორგანომ უნდა უზრუნველყოს მიღებული გადაწყვეტილების მართლზომიერების დამტკიცება სასამართლოს წინაშე, ვინაიდან ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 5.1. მუხლის მიხედვით ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება არა აქვს კანონმდებლობის მოთხოვნების საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება, რაც გულისხმობს ადმინისტრაციული ორგანოს (თანამდებობის პირის) ვალდებულებას და სამართლებრივ პასუხისმგებლობას აქტის კანონიერებასთან დაკავშირებით.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 17.2. მუხლით ადმინისტრაციულ ორგანოს ევალება დაამტკიცოს სწორედ სადავო აქტის სამართლებრივი მხარე, რადგან მატერიალურ-სამართლებრივი კანონმდებლობის მიხედვით, მას აქვს საჯარო-სამართლებრივი ვალდებულება თავისი გადაწყვეტილება მიიღოს მხოლოდ კანონის შესაბამისად.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოდგენილი მტკიცებულებების, დასახელებული ნორმების ურთიერთშეჯერებისა და ანალიზის შედეგად სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ არსებობდა სააპელაციო საჩივრის ნაწილობრივ დაკმაყოფილების

ფილების ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლები.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 24 ნოემბრის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნულ-სამეცნიერო ფონდმა, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

კასატორმა აღნიშნა, რომ სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2013 წლის 27 სექტემბრის №53 ბრძანებით გამოცხადდა 2013-2014 წლების დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების დაფინანსების კონკურსი, დამტკიცდა საგრანტო პროექტების წარდგენისა და განხილვის ვადების, განაცხადის ფორმებისა და თანდართული დოკუმენტების ნუსხა. ამავე ბრძანებით დამტკიცდა კონკურსში შეფასებისათვის საჭირო ექსპერტების რაოდენობა, პროექტის საბოლოო ქულის დაანგარიშების მექანიზმი და თანაბარქულიან პროექტებს შორის უპირატესის გამოსავლენად შეფასების კრიტერიუმებს შორის პრიორიტეტული კრიტერიუმები. ასევე, კონკურსის პირობების გაცნობა უზრუნველყოფილ იქნა კონკურსის მონაწილეთათვის, მათ შორის, აპელანტისათვის.

2013 წლის 27 სექტემბერს გამოცხადებულ 2013-2014 წლების დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების საგრანტო კონკურსში მონაწილე გ. ბ-ის საგრანტო პროექტი, შესაბამისი კრიტერიუმებითა და ქულებით შეაფასა ორმა ექსპერტმა. აღნიშნული შეფასებების შედეგების შეჯამებით, დამტკიცდა 2013-2014 წლების დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების საგრანტო კონკურსის გამარჯვებული პროექტები, გამარჯვებულ დოქტორანტთა პროექტების დაფინანსების ოდენობამ შეადგინა 1 939 128 ლარი, ქულების მიხედვით დაფინანსდა 88,5 ქულიდან 100 ქულის შეფასების მქონე პროექტები. აპელანტის საგრანტო პროექტის საბოლოო შეფასება იყო 70 ქულა და მისი პროექტი ვერ მოხვდა დასაფინანსებელ პროექტთა სიაში.

ამდენად, კასატორი მიუთითებს, რომ გამოსაკვლევი და სადავო არ იყო ის, თუ რამდენად პასუხობდა კონკურსანტის მიერ წარდგენილი საკონკურსო ნიმუში კონკურსის მიზნის მიღწევას, ვინაიდან, მოცემულ შემთხვევაში საკონკურსო ნიმუში კი დასაშვები იყო კონკურსისათვის, მაგრამ მხოლოდ ეს კრიტერიუმი საკმარისი არ იყო გრანტის მოსაპოვებლად. კონკურსში მონაწილეობდნენ სხვა კონკურსანტებიც, რომელთა პრო-

ექტებმაც უფრო მაღალი შეფასება მიიღეს და სწორედ ამიტომაც დაფინანსდნენ ისინი. სხვა შემთხვევაში აზრს დაკარგავდა კონკურსის ჩატარების მიზანი. კერძოდ, თუ ყველა წარმოდგენილი პროექტი შემხებლობაში იქნებოდა კონკურსთან, მაშინ უნდა მომხდარიყო ყველა მათგანის დაფინანსება, რაც გამორიცხულია ბიუჯეტის განსაზღვრულობის გამო.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 23 სექტემბრის №147/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-5 მუხლის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, პირდაპირ განისაზღვრა, რომ ფონდის გენერალური დირექტორი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს გამოსცემს ექსპერტთა შეფასების საფუძველზე. ამდენად, კასატორის აღნიშვნით, მოცემული ნორმატიული სამართლებრივი აქტი გენერალურ დირექტორს კი არ ავალებს საკითხის გამოკვლევას, არამედ აღნიშნულის განხორციელება ექსპერტის კომპეტენციას. საზოგადოებრივი ექსპერტის დანიშნისა და მისი შეფასების მხედველობაში მიღების ვალდებულება გათვალისწინებული იყო კანონმდებლობით. აგრეთვე, აღნიშნული ბრძანებით უზრუნველყოფილ იქნა ექსპერტთა დასკვნების გაცნობა და ინტერესებული პირებისათვის, თუმცა ექსპერტთა ვინაობის გამხელა დაუშვებლად იქნა მიჩნეული.

კასატორი, ასევე, აღნიშნავს, რომ კონკურსთან მიმართებით ექსპერტთა შეფასებების შედეგების შეჯამებით, დამტკიცდა 2013-2014 წლების დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების საგრანტო კონკურსის გამარჯვებული პროექტები, გამარჯვებულ დოქტორანტთა პროექტების დაფინანსების ოდენობამ შეადგინა 1 939 128 ლარი. მოსარჩელემ სადავოდ გახადა მისი არდაფინანსების საკითხი მაშინ, როცა კონკურსში გამარჯვებულთა ნაწილში ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი სასამართლოში არ გაუსაჩივრებია. შესაბამისად, კასატორის მითითებით, თუ მოსარჩელე სადავოდ არ ხდის საკითხს, რომ კონკურსით გათვალისწინებული დაფინანსების ოდენობა სწორად გადაწინადა გამარჯვებულ კონკურსანტებს შორის, სამართლებრივად რამდენად შესაძლებელია, რომ ამავე თანხების (1 939 128 ლარი) ფარგლებში ასევე დაფინანსდეს მისი პროექტი, რასაც იგი სარჩელით ითხოვს საბოლოოდ.

კასატორის მითითებით, სასამართლო საქმის გარემოებების გამოკვლევას იმ შემთხვევაში ავალებს ადმინისტრაციულ ორგანოს, თუ ამ უკანასკნელის მიერ მიღებული ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტის შინაარსი დამოკიდებულია იმაზე, თუ ფაქტობრივად რა დადგინდება დამატებითი გამოკვლევის შე-



დეგად. მოცემულ შემთხვევაში, ვინაიდან საკონკურსო თანხა კვლავ უცვლელი რჩება (1 939 128 ლარი), კასატორის აზრით, საქმის გარემოებების გამოკვლევის შემდეგ მხოლოდ ერთი შინაარსის გადაწყვეტილება მიიღება – არ დაფინანსდება მოსარჩელის პროექტი სხვა მიზეზებთან ერთად, თუნდაც ფინანსების არარსებობის გამო (აღნიშნული კონკურსის ბიუჯეტი უკვე გადანაწილებულია სხვა გამარჯვებულ კონკურსანტებზე).

ამდენად, კასატორის მითითებით, იურიდიულად მიუღწეველია იმ მიზნის განხორციელება, რაც სურს მოსარჩელეს. კერძოდ, დაფინანსება მიიღოს იმ თანხებიდან (1 939 128 ლარი), რომელიც უკვე გადანაწილებულია და ეს უკანასკნელი სადავოდ არ არის გამხდარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 14 აპრილის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 25 მაისის განჩინებით სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად და მისი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასრულების გარეშე.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 24 ნოემბრის გადაწყვეტილება და საქმეზე მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებში ასახულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2013 წლის 27 სექტემბრის №53 ბრძანებით გამოცხადდა 2013-2014 წლების დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების დაფინანსების კონკურსი, დამტკიცდა საგრანტო პროექტების წარდგენისა და განხილვის ვადების, განაცხადის ფორ-

მებისა და თანდართული დოკუმენტაციის ნუსხა. ამავე ბრძანებით, დამტკიცდა კონკურსში პროექტის შეფასებისათვის საჭირო ექსპერტების რაოდენობა, პროექტის საბოლოო ქულის დაანგარიშების მექანიზმი და თანაბარქულიან პროექტებს შორის უპირატესის გამოსავლენად, შეფასების კრიტერიუმებს შორის პრიორიტეტული კრიტერიუმები, ბრძანების №3 დანართის შესაბამისად. მითითებული დანართის პირველი პუნქტის თანახმად, კონკურსის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მყოფი რეგისტრირებული პროექტების შეფასება უნდა განახორციელოს ორმა დამოუკიდებელმა ექსპერტმა; მეორე პუნქტის თანახმად, პროექტის საბოლოო შეფასება გამოითვლება მიღებული ორი შეფასების საშუალო არითმეტიკულით, ხოლო მე-3 პუნქტის თანახმად, თანაბარქულიანი პროექტებიდან უპირატესის გამოსავლენად, პროექტის შეფასების კრიტერიუმებს შორის უპირატესობა მიენიჭება: ა) პირველ რიგში – პროექტის აკადემიური შეფასების ჯამურ ქულას; ბ) მეორე რიგში – დოქტორანტის აკადემიური შეფასების ჯამურ ქულას; გ) მესამე რიგში – ბიუჯეტის მოცულობას (მცირე ბიუჯეტის პირობებში უპირატესობა დიდ ბიუჯეტთან შედარებით).

დადგენილია, რომ მოსარჩელე გ. ბ-ი მონაწილეობას იღებდა სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ 2013 წლის 27 სექტემბერს გამოცხადებულ 2013-2014 წლების დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების საგრანტო კონკურსში და მის მიერ წარდგენილი საგრანტო პროექტი იყო „მოლეკულურ-იონური სისტემების მიკრობიოლოგიური დამუშავება (სტერილიზაცია), დებარირება (Ba) – დეფტორირების (F) ნანოქიმია, მემბრანული ნანოტექნოლოგიებისა და ნანოსისტემების დამუშავება-შექმნითა და სანარმოო დანერგვით“. ამასთან, მოსარჩელემ კონკურსში მონაწილეობის შესახებ განაცხადით დაადასტურა, რომ გაეცნო „2013-2014 წლების დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 23 სექტემბრის №147/6 ბრძანებას, სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის ბრძანებას და ხელმოწერით განაცხადა თანხმობა კონკურსის პირობებზე. ასევე, დაადასტურა, რომ ფონდის ელექტრონულ სისტემაში ატვირთული ინფორმაცია იყო ზუსტი და არ შეიცავდა ყალბ მონაცემებს.

2013 წლის 27 სექტემბერს გამოცხადებულ 2013-2014 წლების დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების საგრანტო კონკურსში მონაწილე გ. ბ-ის მიერ წარდგენილი საგრანტო

პროექტი – „მოლეკულურ-იონური სისტემების მიკრობიოლოგიური დამუშავება (სტერილიზაცია), დებარირება (Ba) – დეფტორირების (F) ნანოქიმია, მემბრანული ნანოტექნოლოგიებისა და ნანოსისტემების დამუშავება-შექმნითა და საწარმოო დაწერავით“, შესაბამისი კრიტერიუმებით და ქულებით შეფასებულია ორი ექსპერტის მიერ.

აღნიშნული შეფასებების ამსახველ ერთ-ერთ დოკუმენტში კომენტარის სახით მითითებულია ექსპერტის შემდეგი მოსაზრება: „...პროექტი რომ ითვალისწინებდეს რიგითი სასმელი წყლების განმენდას, მას ექნებოდა ხელშესახები აქტუალობა, მაგრამ ბორჯომის წყლის დეფტორირებისა და დებარირების იდეა მისი სამომხმარებლო თვისებების გაუმჯობესების მიზნით, სრულ უაზრობად მეჩვენება. იგი ღირებულია იმ თვისებებით და შემადგენლობით, რაც მას დასაბამიდან ახასიათებს და მისი მორგება სტანდარტებზე (რაც ორდინალური სასმელი წყლებისათვის არის დადგენილი) დაუშვებელია..“; „...არსებობენ ისეთი ფაქტორები, რომლებიც განაპირობებენ ქვეყნის ცნობადობას თუ მთელს მსოფლიოში არა, მის მნიშვნელოვან ნაწილში მაინც. საქართველოსათვის ასეთი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საეკონომიკო ფაქტორი ბორჯომის წყალია. ამდენად, მისი თვისებების შეცვლა, გადაკეთება მიუღებელი, განწირული იდეაა. მეცნიერული ინტერესით ავტორებს უფლება აქვთ აკეთონ, რაც უნდათ და როგორც უნდათ, მაგრამ არა ამ უნიკალური თვისებების წყლის კასტრირება..“.

ასევე, დადგენილია, რომ სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2013 წლის 2 დეკემბრის №76 ბრძანებით დამტკიცდა 2013-2014 წლების დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების საგრანტო კონკურსის გამარჯვებული პროექტები დანართის შესაბამისად. ამავე წლის 3 დეკემბრის №77 ბრძანებით ცვლილება შევიდა №76 ბრძანებაში და №76 ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული დანართი ჩამოყალიბდა №77 ბრძანების დანართის შესაბამისად. სულ გამარჯვა 135-მა პროექტმა. ამასთან, დადგენილია, რომ გამარჯვებულ დოქტორანტთა პროექტების დაფინანსების ოდენობამ შეადგინა 1 939 128 ლარი, ქულების მიხედვით კი, ბიუჯეტის ფარგლებში დაფინანსდა 88.5 ქულიდან 100 ქულის შეფასების მქონე პროექტები. მოსარჩელის – გ. ბ-ის საგრანტო პროექტის საბოლოო შეფასება იყო 70 ქულა და შესაბამისად, მან სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის შეფასების აქტით მიიღო უარი დოქტორანტურის საგანმანათლებლო საგრანტო პროექტის დაფინანსებაზე.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულებას წარმოადგენს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებათა გამოკვლევა და სწორედ საქმის გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე უნდა იქნეს ადმინისტრაციული ორგანოების მიერ გადაწყვეტილება მიღებული. ზემოაღნიშნული ნორმიდან გამომდინარე, თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ არ გამოიკვლია საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებები და ისე გამოსცა ადმინისტრაციული აქტი, იგი უფლებამოსილია სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად ცნოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.

საკასაციო სასამართლო უსაფუძვლოდ მიიჩნევს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას, მოცემულ შემთხვევაში საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის გამოყენების შესახებ და განმარტავს, რომ სასამართლოს უფლებამოსილება სადავო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად ცნოს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული ადმინისტრაციული აქტი, განსაზღვრულია საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილით, კერძოდ, აღნიშნული ნორმის თანახმად, თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემულია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის გარემოების გამოკვლევისა და შეფასების გარეშე, იგი უფლებამოსილია სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად ცნოს და დაავალოს ადმინისტრაციულ ორგანოს ამ გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ გამოსცეს ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. სასამართლო ამ გადაწყვეტილებას იღებს, თუ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობისათვის არსებობს მხარის გადაუდებელი კანონიერი ინტერესი.

საკასაციო სასამართლოს მითითებით, კონკრეტულ შემთხვევაში არამართებულია სასამართლოს მიერ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის გამოყენება, ვინაიდან აღნიშნული მუხლით მინიჭებულ უფლებამოსილებას სასამართლო იყენებს იმ ვითარებაში, როცა სასამართლო წესით ვერ ხერხდება ფაქტობრივი გარემოებების დადგენა და შეფასება. შესაბამისად, შეუძლებელი ხდება სადავო ადმინისტრაციული აქტის მატერიალური კანონიერების შეფასება.

სასამართლოს დასკვნა – ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილით მინიჭებული უფლებამოსი-

ლების გამოყენების საჭიროების შესახებ არ გამომდინარეობს კანონმდებლობის მოთხოვნებიდან. ამასთან, სააკპელაციო სასამართლოს არ უმსჯელია კონკრეტულად რომელი გარემოებები არ იქნა გამოკვლევული და შეფასებული ადმინისტრაციული ორგანოს მიერ.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის თანახმად, ეს კანონი ანესრიგებს საქართველოში უმაღლესი დაწესებულებების საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განხორციელების პროცესს, უმაღლესი განათლების მართვისა და დაფინანსების პრინციპებსა და წესს, ადგენს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დაფუძნების, საქმიანობის, რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის წესს, ასევე ავტორიზაციისა და აკრედიტაციის პრინციპებს. აღნიშნული საკანონმდებლო აქტის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „პ7“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ამტკიცებს დოქტორანტიურის საგანმანათლებლო პროგრამების დაფინანსების წესსა და პირობებს.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის №62 ბრძანებით დამტკიცებულია საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის წესდება, რომლის თანახმად, ფონდი იქმნება საგრანტო სისტემით მეცნიერების დაფინანსებისათვის. აღნიშნული წესდების სადავო პერიოდში მოქმედი რედაქციის მეორე მუხლის პირველი და მეორე პუნქტებით განსაზღვრულია ფონდის მიზნები და ძირითადი ამოცანები. ამავე მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, დასახულ ამოცანათა გადასაწყვეტად, ფონდი: ბ.ბ.) ამტკიცებს საგრანტო კონკურსის ჩატარების წესს; ბ.გ.) აქვეყნებს კონკურსის გამოცხადებისა და კონკურსის ჩატარების ვადების შესახებ ინფორმაციას. ამავე პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, ფონდი კონკურსის წესით ახორციელებს: გ.ა.) სამეცნიერო-კვლევითი პროექტების შერჩევასა და გრანტებით დაფინანსებას; „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, ფონდი ხელს უწყობს პრინციპულად ახალი ტექნოლოგიების განვითარებას მათი პროდუქციის წარმოებაში დანერგვის მიზნით, აგრეთვე აღიარებული საბაზო ტექნოლოგიების გამოყენებას საქართველოს სამეცნიერო-ტექნოლოგიების მიღწევების წარმოებაში დანერგვისა და ქვეყნის საექსპერტო პოტენციალის გაზრდის მიზნით.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 23 სექტემ-

ბრის №147/6 ბრძანებით დამტკიცებული „2013-2014 წლების დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების წესისა და პირობების“ მეორე მუხლის „თ“ ქვეპუნქტის თანახმად, საგრანტო კონკურსი არის დოქტორანტის მიერ სასწავლო-კვლევითი გრანტის მოპოვების მიზნით ადმინისტრირებული პროცედურა, რომლის მე-3 მუხლის თანახმად, საგრანტო კონკურსის მიზანი არის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის, მისი თანმდევი სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისა და უცხო ენის სწავლის დაფინანსების გზით: ა) სახელმწიფოში ინტელექტუალური პოტენციალის განვითარება და მაღალი კვალიფიკაციის სამეცნიერო პერსონალის მომზადება; ბ) უნივერსიტეტში არსებული ინტელექტუალური პოტენციალის მიზნობრივი გამოყენება; გ) სამეცნიერო კვლევისათვის სათანადო პირობების შექმნა; დ) სწავლებისა და სამეცნიერო კვლევის ინტეგრირება. მე-4 მუხლის თანახმად, საგრანტო კონკურსის გამართვას, სასწავლო-კვლევითი გრანტების გაცემასა და საგრანტო ხელშეკრულების შესრულების კონტროლს ამ წესის შესაბამისად ახორციელებს ფონდი. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 23 სექტემბრის №147/6 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-5 მუხლით განისაზღვრა საგრანტო კონკურსის ეტაპები. ესენია: ა) საგრანტო კონკურსის გამოცხადება; ბ) პროექტების ფონდში წარდგენა; გ) პროექტების შეფასება ექსპერტთა მიერ; დ) ექსპერტთა შეფასების საფუძველზე შედგენილი ერთიანი რანჟირებული სიიდან, საგრანტო კონკურსის ბიუჯეტის გათვალისწინებით, გამოვლენილი პროექტების ფონდის გენერალური დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცება; ე) ფონდის გენერალური დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებული პროექტების ავტორ-დოქტორანტებთან და შესაბამის უნივერსიტეტებთან საგრანტო ხელშეკრულებების გაფორმება.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2013 წლის 27 სექტემბრის №53 ბრძანებით გამოცხადდა 2013-2014 წლების დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების დაფინანსების კონკურსი, დამტკიცდა საგრანტო პროექტების წარდგენისა და განხილვის ვადების, განაცხადის ფორმებისა და თანდართული დოკუმენტაციის ნუსხა. ამავე ბრძანებით დამტკიცდა კონკურსში პროექტის შეფასებისათვის საჭირო ექსპერტების რაოდენობა, პროექტის საბოლოო ქულის დაანგარიშების მექანიზმი და თანაბარქულიან პროექტებს

შორის უპირატესის გამოსავლენად, შეფასების კრიტერიუმებს შორის პრიორიტეტული კრიტერიუმები, ბრძანების №3 დანართის შესაბამისად, რითაც სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ 2013-2014 წლების დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების დაფინანსების კონკურსი ჩატარდა ზემოაღნიშნული პროცედურების დაცვით. ასევე, კონკურსის პირობების გაცნობა უზრუნველყოფილ იქნა კონკურსის მონაწილეთათვის, მათ შორის, მოსარჩელისათვისაც, რომელმაც ხელმოწერით განაცხადა თანხმობა კონკურსის პირობებზე.

2013 წლის 27 სექტემბერს გამოცხადებულ 2013-2014 წლების დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების საგრანტო კონკურსში მონაწილე გ. ბ-ის საგრანტო პროექტი შესაბამისი კრიტერიუმებით და ქულებით შეაფასა ორმა ექსპერტმა. აღნიშნული შეფასებების შედეგების შეჯამებით, მოპასუხე ადმინისტრაციულმა ორგანომ დაამტკიცა 2013-2014 წლების დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების საგრანტო კონკურსის გამარჯვებული პროექტები, გამარჯვებულ დოქტორანტთა პროექტების დაფინანსების ოდენობამ შეადგინა 1 939 128 ლარი, ქულების მიხედვით, ბიუჯეტის ფარგლებში დაფინანსდა 88.5 ქულიდან 100 ქულის შეფასების მქონე პროექტები. მოსარჩელის საგრანტო პროექტის საბოლოო შეფასება იყო 70 ქულა და შესაბამისად, მისი პროექტი ვერ მოხვდა დასაფინანსებელ პროექტთა სიაში.

საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორის მოსაზრებას, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 23 სექტემბრის №147/6 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-5 მუხლის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, ფონდის გენერალური დირექტორი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს გამოსცემს ექსპერტთა შეფასების საფუძველზე და განმარტავს, რომ სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნულ სამეცნიერო ფონდს 2013-2014 წლების დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის დაფინანსების კონკურსში გამარჯვებულ კონკურსანტთა შეფასებისათვის საზოგადოებრივი ექსპერტის დანიშვნის ვალდებულება დაეკისრა „2013-2014 წლების დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების წესის და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 23 სექტემბრის №147/6 ბრძანებით, რომლის მე-10 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ფონდი უზრუნველყოფს ექსპერტთა მიერ პროექტების შეფასებისათვის აუცილებელი პროცედურების ადმინის-



ტირიებას. ამავე მუხლის მეორე პუნქტის თანახმად, ფონდის გენერალური დირექტორი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრავს: ა) პროექტის შეფასებისათვის საჭირო ექსპერტების რაოდენობას და პროექტის საბოლოო ქულის დაანგარიშების მექანიზმს; ბ) თანაბარქულიანი პროექტებიდან უპირატესის გამოსავლენად ამ წესის მე-11 მუხლით გათვალისწინებულ პროექტის შეფასების კრიტერიუმებს შორის პრიორიტეტულ კრიტერიუმებს.

ამავე ბრძანებით დამტკიცებული წესისა და პირობების მეორე მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, ექსპერტი არის დოქტორანტის მიერ წარდგენილი პროექტის შეფასების მიზნით სსიპ – შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ მიწვეული დამოუკიდებელი პირი. „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად, პროექტის შეფასების კრიტერიუმებში იგულისხმება ფონდში წარდგენილი პროექტების შესაფასებლად ექსპერტებისათვის განსაზღვრული სახელმძღვანელო პრინციპები ქულების სათანადო მითითებით.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის 2013 წლის 27 სექტემბრის №53 ბრძანების №3 დანართის პირველი პუნქტის თანახმად, კონკურსის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მყოფი რეგისტრირებული პროექტები შესაფასებლად გადაეცემოდათ დამოუკიდებელ ექსპერტებს. პროექტის შეფასება კი უნდა განეხორციელებინა ორ ექსპერტს. ამავე დანართის მეორე პუნქტის თანახმად, პროექტის საბოლოო შეფასება გამოითვლებოდა მიღებული ორი შეფასების საშუალო არითმეტიკულით.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 21-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია მიმართოს საექსპერტო დაწესებულებას ან საზოგადოებრივ ექსპერტს საექსპერტო დასკვნისთვის. ამავე კოდექსის 25-ე მუხლის თანახმად, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, საზოგადოებრივი ექსპერტის დასკვნა არ არის სავალდებულო ადმინისტრაციული ორგანოსთვის. უარი ექსპერტის დასკვნის გათვალისწინებაზე უნდა დასაბუთდეს. შესაბამისად, ექსპერტის დასკვნა სავალდებულოა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს კანონით პირდაპირ არის გათვალისწინებული. ყველა სხვა შემთხვევაში ექსპერტის დასკვნას არა აქვს წინასწარ დადგენილი ძალა და ადმინისტრაციული ორგანო მას აფასებს სხვა მტკიცებულებებთან ერთობლიობაში.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ განსახილველ შემთხვევაში ფონდი გადაწყვეტილებას იღებდა და პროექტის საბოლოო შეფასებას ახდენდა ექსპერტთაგან მიღებული შეფასებების საშუალო არითმეტიკულის გამოყვანით. ამასთან, საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმეში დადგენილად მიჩნეულ ფაქტობრივ გარემოებაზე, რაც მხარეთა მიერ სადავოდ არ გამხდარა, რომ ექსპერტთა მიერ მოსარჩელის პროექტის შეფასება განხორცილდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 23 სექტემბრის №147/ნ ბრძანებით დამტკიცებული „2013-2014 წლების დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების წესისა და პირობების“ მე-11 მუხლით განსაზღვრული პროექტის შეფასებისათვის დადგენილი კრიტერიუმებით, რაც მოიცავს როგორც პროექტის აკადემიური მხარის შეფასებას, ისე დოქტორანტის აკადემიური დონის შეფასებას.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მეორე მუხლის პირველი ნაწილის „ლ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დისკრეციულ უფლებამოსილებას წარმოადგენს უფლებამოსილება, რომელიც ადმინისტრაციულ ორგანოს ან თანამდებობის პირს ანიჭებს თავისუფლებას საჯარო და კერძო ინტერესების დაცვის საფუძველზე კანონმდებლობის შესაბამისი რამდენიმე გადაწყვეტილებიდან შეარჩიოს ყველაზე მისაღები გადაწყვეტილება.

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-6 მუხლით განსაზღვრულია ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელების წესი, კერძოდ, თუ ადმინისტრაციულ ორგანოს რომელიმე საკითხის გადასაწყვეტად მინიჭებული აქვს დისკრეციული უფლებამოსილება, იგი ვალდებულია, ეს უფლებამოსილება განახორციელოს კანონით დადგენილ ფარგლებში და მხოლოდ იმ მიზნით, რომლის მისაღწევადაც მინიჭებული აქვს ეს უფლებამოსილება.

ადმინისტრაციული ორგანო დისკრეციული უფლების განხორციელებისას შეზღუდულია კანონიერების პრინციპით, კონკრეტულად, კანონიერი დათქმის პრინციპით, რომელიც, თავის მხრივ, კონსტიტუციაში განმტკიცებულია დემოკრატიის, სამართლებრივი სახელმწიფოსა და პირის ძირითადი უფლებების დაცვის პრინციპებიდან გამომდინარე.

ამასთან, საჯარო და კერძო ინტერესების პროპორციულობიდან გამომდინარე, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-7 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას გამოცემული ადმინისტრაციულ-

სამართლებრივი აქტით გათვალისწინებულმა ზომებმა არ შეიძლება გამოიწვიოს პირის კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დაუსაბუთებელი შეზღუდვა.

საკასაციო სასამართლოს განმარტებით, მოპასუხე ადმინისტრაციულ ორგანოს, მისთვის მინიჭებული დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში, კანონმდებლობით განსაზღვრული ყველა კრიტერიუმის გამოკვლევის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების ვალდებულება ჰქონდა, რისი დარღვევაც საქმის მასალებიდან არ გამომდინარეობს, კერძოდ, ექსპერტთა მიერ კონკურსანტის პროექტის შეფასება განხორციელდა ზემოაღნიშნული წესით დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისად, რაც საფუძვლად დაედო დადგენილი წესის დაცვით მიღებულ სადავო გადაწყვეტილებას.

საკასაციო სასამართლო, ასევე, მიუთითებს, რომ მოცემული დავის ფარგლებში მოსარჩელე გ. ბ-ის კანონიერ ინტერესს წარმოადგენს დოქტორანტურის საგრანტო პროექტის დაფინანსება, მაშინ როცა კონკურსში გამარჯვებულთა ნაწილში ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტი არ გაუსაჩივრებია. შესაბამისად, მოსარჩელე სადავოდ არ ხდის საკითხს, რომ კონკურსით გათვალისწინებული დაფინანსების ოდენობა სწორად განაწილდა გამარჯვებულ კონკურსანტებს შორის.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2013 წლის 2 დეკემბრის №76 ბრძანებით დამტკიცდა 2013-2014 წლების დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების საგრანტო კონკურსის გამარჯვებული პროექტები დანართის შესაბამისად. ამავე წლის 3 დეკემბრის №77 ბრძანებით ცვლილება შევიდა №76 ბრძანებაში და №76 ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული დანართი ჩამოყალიბდა №77 ბრძანების დანართის შესაბამისად. სულ გაიმარჯვა 135-მა პროექტმა. ამასთან, გამარჯვებულ დოქტორანტთა პროექტების დაფინანსების ოდენობამ შეადგინა 1 939 128 ლარი, ქულების მიხედვით კი, ბიუჯეტის ფარგლებში დაფინანსდა 88.5 ქულიდან 100 ქულის შეფასების მქონე პროექტები. მოსარჩელის საგრანტო პროექტის საბოლოო შეფასება იყო 70 ქულა და მისი პროექტი ვერ მოხვდა დასაფინანსებელ პროექტთა სიაში. ამდენად, სამართლებრივად მოსარჩელის მოთხოვნა, დოქტორანტურის საგრანტო პროექტის დაფინანსების თაობაზე იმ თანხებიდან (1 939 128 ლარი), რომელიც უკვე გადანაწილებულია და სადავოდ არ გამხდარა, ამ საფუძვლითაც მოკლებულია დაკმაყოფილების შესაძლებლობას.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრულია ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება, ადმინისტრაციული წარმოებისას გამოიკვლიოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადანყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, წერილობითი ფორმით გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი უნდა შეიცავდეს წერილობით დასაბუთებას. ამავ ე მუხლის მე-4 ნაწილით, თუ ადმინისტრაციული ორგანო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას მოქმედებდა დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში, წერილობით დასაბუთებაში მიეთითება ყველა ის ფაქტობრივი გარემოება, რომელსაც არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სადავო აქტი არ ეწინააღმდეგება კანონს, არსებითად არ არის დარღვეული მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები, რის გამოც არ არსებობს გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძველი. სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნულმა სამეცნიერო ფონდმა სადავო აქტი მიიღო საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შედეგად.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 24 ნოემბრის გადანყვეტილება და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის საფუძველზე მიღებულ იქნეს ახალი გადანყვეტილება, რომლითაც გ. ბ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდება.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

## **გ ა ლ ა ნ ე წ ი ტ ა :**

1. სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 24 ნოემბრის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. გ. ბ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;
4. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## **დაბადების აქტის ჩანაწერის კანონიერების შემოწმება**

### **გ ა ნ რ ი ნ ე ბ ა**

№ბს-348-344(კ-16)

4 ოქტომბერი, 2016 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
მ. ვაჩაძე,  
ნ. სხირტლაძე**

**დავის საგანი:** ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა

### **აღწერილობითი ნაწილი:**

ნ. ნ-მა თბილისის საქალაქო სასამართლოში სარჩელი აღძრა სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს და სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს გარდაბნის სარეგისტრაციო სამსახურის წინააღმდეგ და მოითხოვა სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს გარდაბნის სარეგისტრაციო სამსახურის 2014 წლის 23 მაისის №021114002202 გადაწყვეტილების, სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2014 წლის 23 ოქტომბრის №01/216829/გ გადაწყვეტილების ნ. ნ-ის ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ, სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს გარდაბნის სარეგისტრაციო

ტრაციო სამსახურის 2014 წლის 3 ოქტომბრის №021514004886 გადაწყვეტილებისა და სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2014 წლის 12 ნოემბრის №01/231530/გ გადაწყვეტილების ნ. ნ-ის ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ, ბათილად ცნობა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 3 აგვისტოს გადაწყვეტილებით, ნ. ნ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება ნ. ნ-მა სააპელაციო წესით გაასაჩივრა და მოითხოვა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 3 აგვისტოს გადაწყვეტილების გაუქმება, ახალი გადაწყვეტილების მიღება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 18 თებერვლის განჩინებით ნ. ნ-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 3 აგვისტოს გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ საქმეზე დადგენილად შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები მიიჩნია:

1. 1970 წლის 28 მარტს გარდაბნის რაიონის ... ს/საბჭოს მიერ რეგისტრირებულია №41 დაბადების აქტის ჩანაწერი, სადაც ბავშვის შესახებ მონაცემების გრაფაში ფიქსირდება: „ნ. ნ-ი“, სქესი „მდედრობითი“, დაბადების თარიღი „19.03.1970“. დაბადების აქტის ჩანაწერზე ფიქსირდება, რომ დედისთვის ახალშობილი არის პირველი ბავშვი, დედის შესახებ მონაცემების გრაფაში ფიქსირდება „რ. ო. ნ-ი“ დაბადების რეგისტრაციის მომენტისთვის იყო 21 წლის, სავარაუდო დაბადების თარიღი „1949 წელი“, მამის შესახებ მონაცემების გრაფაში ფიქსირდება „კ. ვ. ნ-ი“, დაბადების რეგისტრაციის მომენტისთვის იყო 30 წლის, სავარაუდო დაბადების თარიღი „1940 წელი“. დაბადების აქტის ჩანაწერი რეგისტრირებულია ქ. თბილისის №1 სამშობიარო სახლის მიერ 1970 წლის 19 მარტს გაცემული ცნობის საფუძველზე. დაბადების აქტის ჩანაწერზე განმცხადებლად ფიქსირდება კ. ვ. ნ-ი. ამავე ჩანაწერზე ფიქსირდება, რომ გაცემულია პირველადი დაბადების მონაწილეობა №... .

2. გარდაბნის მმაჩის განყოფილების მიერ 1975 წელს რეგისტრირებული იყო №410 დაბადების აქტის ჩანაწერი, რომელშიც ბავშვის შესახებ მონაცემების გრაფაში დაფიქსირებული იყო „ნ. ნ-ი“, სქესი „მდედრობითი“, დაბადების თარიღი „19.03.1975“. დაბადების აქტის ჩანაწერზე ფიქსირდებოდა, რომ დედისთვის ახალშობილი არის პირველი ბავშვი. დედის შესახებ მონაცემე-

ბის გრაფაში ფიქსირდება „რ. ო. ნ-ი“, დაბადების რეგისტრაციის მომენტისთვის იყო 26 წლის (სავარაუდო დაბადების თარიღი „1949 წელი“). მამის შესახებ მონაცემების გრაფაში ფიქსირდება „კ. ვ. ნ-ი“, დაბადების რეგისტრაციის მომენტისთვის იყო 35 წლის (სავარაუდო დაბადების თარიღი „1940 წელი“). ჩანაწერში არ ფიქსირდებოდა ბავშვის დაბადების ფაქტის დამადასტურებელი საბუთი (მითითებულია 1970 წლის 18 მარტის №24 ქორწინების ჩანაწერის აქტი, კ. ნ-ის რ. ა-ასთან ქორწინების შესახებ), განმცხადებლად ფიქსირდება მამა კ. ნ-ი. დაბადების აქტის ჩანაწერზე ფიქსირდება, რომ გაიცა პირველადი დაბადების მოწმობა №...

3. დადგენილია, რომ სსსს სამოქალაქო აქტების ცენტრალურ არქივში აღნიშნული დაბადების აქტის ჩანაწერის მეორე ეგზემპლარი არ იძებნება.

4. გარდაბნის რაიონის ... ს/საბჭოს 1970 წლის 18 მარტის №24 ქორწინების ჩანაწერის აქტით დაფიქსირებულია კ. ნ-ის ქორწინების ფაქტი რ. ა-ასთან. აქტში საცოლის შესახებ მონაცემების გრაფაში ფიქსირდება: „რ. ა-ა“, მამის სახელი „ო.“, ქორწინების რეგისტრაციის მომენტისათვის იყო 21 წლის (სავარაუდო დაბადების თარიღი „1949 წელი“), ქორწინების შემდეგ მიეკუთვნა გვარი „ნ-ი“. საქმროს შესახებ მონაცემების გრაფაში ფიქსირდება: „კ. ნ-ი“, მამის სახელი „ვ.“, ქორწინების რეგისტრაციის მომენტისათვის იყო 30 წლის (სავარაუდო დაბადების თარიღი „1940 წელი“).

5. სსსს ერთიან მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში 1975 წლის 19 მარტს დაბადებული ნ. კ. ნ-ის სახელზე ფიქსირდება „...“ პირადი ნომრით გაცემული პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტები, რომლებიც 2014 წლის 14 აპრილს გაუქმებულია მიზეზით „არასწორი დაბადების თარიღი“. კერძოდ, 1998 წლის 13 აპრილს ნ. ნ-ზე რეგისტრირებული იყო №ბ0157266 პირადობის მოწმობა, 1998 წლის 28 აპრილს გაცემული იყო №... პასპორტი, 2008 წლის 18 მარტს გაცემული იყო №... პირადობის მოწმობა და 2008 წლის 21 მარტს გაცემული იყო №... პასპორტი. ამასთან, დადგენილია, რომ 2008 წლის 18 მარტს გაცემული პირადობის მოწმობის №... განცხადება-ანკეტაზე (ფორმა №1) პიროვნების შესახებ მონაცემების გრაფაში ფიქსირდებოდა: „ნ. კ. ნ-ი“, დაბადების თარიღი „19.03.1975“. პირადობის გაცემის საფუძვლად მითითებული იყო დედოფლისწყაროს რაიგანყოფილების მიერ 1998 წლის 13 აპრილს გაცემული №... პირადობის მოწმობა, ხოლო 1998 წლის 13 აპრილს გაცემული №... პირადობის მოწმობის განცხადება-ანკეტაზე (ფორმა №1) პიროვნების შესახებ მონა-



ცემების გრაფაში ფიქსირდებოდა: „ნ. კ. ნ-ი“, დაბადების თარიღი „19.03.1970“ ,პირადობის გაცემის საფუძველად მითითებული იყო გარდაბნის რაი ალმასკომის შსგ-ს მიერ 1987 წლის პირველ ივლისს გაცემული №... სსრკ პასპორტი. საქმეზე ასევე წარმოდგენილია 1987 წლის პირველ ივლისს გაცემული სსრკ პასპორტის №... განცხადება-ანკეტა (ფორმა №3), რომელშიც პიროვნების შესახებ გრაფაში ფიქსირდება „ნ. კ. ნ-ი“ დაბადების თარიღი „19.03.1970“.

6. სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს გარდაბნის სამოქალაქო რეესტრის სამსახურის 2014 წლის 23 მაისის №021114002202 გადაწყვეტილებით ბათილად იქნა ცნობილი ნ. ნ-ის სახელზე 1975 წლის 8 დეკემბერს გარდაბნის მმარჩის განყოფილების მიერ დარეგისტრირებული №410 დაბადების აქტის ჩანაწერი და ძალაში დარჩა 1970 წლის 18 მარტს გარდაბნის რაიონის ... ს/საბჭოს მიერ დარეგისტრირებული №41 დაბადების აქტის ჩანაწერი.

7. 2014 წლის 3 სექტემბერს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ადმინისტრაციული საჩივრით მიმართა ნ. ნ-მა, რომლითაც მოითხოვა სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს გარდაბნის სამოქალაქო რეესტრის სამსახურის 2014 წლის 23 მაისის №021114002202 გადაწყვეტილებისა და 1970 წლის 18 მარტს გარდაბნის რაიონის ... სასოფლო საბჭოს მიერ რეგისტრირებული №41 დაბადების აქტის ჩანაწერის ბათილად ცნობა. სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2014 წლის 23 ოქტომბრის №01/216829/გ გადაწყვეტილებით არ დაკმაყოფილდა ნ. ნ-ის 2014 წლის 3 სექტემბრის №122095 ადმინისტრაციული საჩივარი.

8. სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს გარდაბნის სამოქალაქო რეესტრის სამსახურის 2014 წლის 3 ოქტომბრის №021514004886 გადაწყვეტილებით არ დაკმაყოფილდა ნ. ნ-ის მოთხოვნა მის სახელზე 1970 წლის 18 მარტს გარდაბნის რაიონის ... ს/საბჭოს მიერ რეგისტრირებული №41 დაბადების აქტის ჩანაწერის ბათილად ცნობის თაობაზე.

9. 2014 წლის 16 ოქტომბერს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ადმინისტრაციული საჩივრით მიმართა ნ. ნ-მა, რომლითაც მოითხოვა სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს გარდაბნის სამოქალაქო რეესტრის სამსახურის 2014 წლის 3 ოქტომბრის №021514004886 გადაწყვეტილებისა და 1970 წლის 18 მარტს გარდაბნის რაიონის ... სასოფლო საბჭოს მიერ რეგისტრირებული №41 დაბადების აქტის ჩანაწერის ბათილად ცნობა.

10. სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2014 წლის 12 ნოემბრის №01/231530/გ გადაწყვეტილებით ნ. ნ-ს უარი ეთქვა 2014 წლის 16 ოქტომბრის ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე.

სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, საქალაქო სასამართლომ სწორად შეაფასა სასამართლო სხდომაზე დაკითხულ მონმეთა ჩვენებები, კერძოდ, როგორც საქმის მასალებით დგინდება, სასამართლო სხდომაზე მონმეთა სახით დაკითხულმა პირებმა - მოსარჩელის მშობლებმა რ. და კ. ნ-მა განმარტეს, რომ მათ ჰყავდათ 3 შვილი, რომელთაგან ერთ-ერთი ა. 1970 წლის 13 მარტს დაბადებისთანავე გარდაიცვალა. მათივე განმარტებით, 1974 წლის 30 იანვარს დაიბადა მათი მეორე შვილი ქ. ნ-ი, ხოლო 1975 წლის 19 მარტს – ნ. ნ-ი, ამასთან, ორივე მონმემ დაადასტურა 1970 წლის 13 მარტს დაბადებული შვილის ა. მშობიარობისთანავე გარდაცვალების ფაქტი, თუმცა, მათივე მითითებით, რაიმე სახის ოფიციალური დოკუმენტი, შვილის დაბადებისა და გარდაცვალების დადასტურების შესახებ, არ გააჩნიათ. მონმე რ. ნ-ის განმარტებით, იგი დიდი ხნის განმავლობაში (მათ შორის ნ. ნ-ის მიერ საშუალო განათლების მიღების პერიოდშიც – 1982 წლიდან 1992 წლამდე) მუშაობდა პედაგოგად ... საშუალო სკოლაში. სასწავლებელი, სადაც ნ. ნ-ი საშუალო განათლებას იღებდა, ითვისისწინებდა სწავლების იმგვარ მეთოდებს, რომ სხვადასხვა კლასის მოსწავლეებს გაკვეთილები ერთად უტარდებოდათ. შესაბამისად, შესაძლებელი იყო მისი შვილის კლასელები სხვადასხვა ასაკის ყოფილიყვნენ. გარდა ამისა, მისი შვილის მხოლოდ ერთი კლასელი იმყოფება საქართველოში, რომლის საცხოვრებელი ადგილიც მისთვის უცნობია. მონმე კ. ნ-მა ასევე დაადასტურა 1982 წლიდან 1992 წლამდე ნ. ნ-ის მიერ ... საშუალო სკოლაში განათლების მიღების ფაქტი, თუმცა ვერ განხილავს, ვისთან ერთად სწავლობდა.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, მნიშვნელოვანია, რომ ერთ შემთხვევაში მონმემ მიუთითა მისი პირველი შვილის ა. დაბადებისა და გარდაცვალების შესახებ რაიმე სახის ოფიციალური დოკუმენტის არარსებობაზე, ხოლო მეორე შემთხვევაში მიუთითა, რომ ქორწინების რეგისტრაციის შემდეგ, მიმართა შესაბამის ორგანოს დაბადების აქტის ჩანაწერის განხორციელების მიზნით. მონმეთა ჩვენებების გაანალიზების შედეგად სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ მათი განმარტებები ვერ ქმნის გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების უკანონოდ მიჩნევის საფუძველს. მოსარჩელე სარწმუნოდ ვერ ადასტურებს, რატომ უნდა მიენიჭოს უპირატესობა

1975 წელს დაბადების შესახებ მონაცემების შემცველ დაბადების აქტის ჩანაწერს იმ პირობებში, როდესაც გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები შეიცავენ მონმეთა განმარტებების სანინალმდეგო მოსაზრების დასაბუთებას, სათანადო მტკიცებულებებზე მითითებით.

სააპელაციო სასამართლოს მტკიცებით, საქმეზე წარმოდგენილი ნ. ნ-ის სახელზე გაცემული საშუალო განათლების ატესტატი, რომელშიც ნ. ნ-ის დაბადების თარიღად 1975 წელია მითითებული, არასარწმუნოა, მით უფრო იმ პირობებში, როდესაც დოკუმენტებზე დაფიქსირებულია მოსარჩელის დედის (პედაგოგის) ხელმოწერა.

სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, საქალაქო სასამართლომ სწორად მიიჩნია, რომ საქმის მასალებით და სასამართლო სხდომაზე საქმის განხილვისას გამოკვლეული მტკიცებულებებით (მათ შორის მონმეთა ჩვენებებით) სარწმუნოდ ვერ დადასტურდა ნ. ნ-ის დაბადების თარიღად 1975 წლის 19 მარტის მიჩნევის საფუძვლების არსებობა, რის გამოც, უკანონოდ შეიძლება მიჩნეულიყო გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები. მნიშვნელოვანია, ასევე, ის გარემოება, რომ ნ. ნ-ის მშობლების ქორწინების აქტის ჩანაწერის განხორციელების თარიღი (1970 წლის 18 მარტი) მხოლოდ ერთი დღით უსწრებს წინ ნ. ნ-ის დაბადების შესახებ 1970 წლის 28 მარტს განხორციელებულ ჩანაწერში მითითებულ დაბადების თარიღს (1970 წლის 19 მარტი). სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, მითითებული თარიღით აღნიშნული ქორწინების აქტის ჩანაწერის განხორციელების აუცილებლობა (იმ პირობებში, როდესაც ნ. ნ-ის მშობლები, მათივე განმარტებით, ერთი წლით ადრე უკვე იმყოფებოდნენ ფაქტობრივ ქორწინებაში) წარმოიშვა სწორედ იმის გამო, რომ მომავალში დაბადებული შვილის მაიდენტიფიცირებელ მონაცემებში, დადგენილი წესით დაფიქსირებულიყო შესაბამისი მონაცემები, მათ შორის, მონაცემები მშობლების შესახებ.

აღნიშნული გადაწყვეტილება მოსარჩელემ საკასაციო წესით გაასაჩივრა.

კასატორის მტკიცებით, დაუსაბუთებელია სააპელაციო სასამართლოს მოსაზრება მონმეთა ჩვენებების არასარწმუნობასთან დაკავშირებით. საქმეში წარმოდგენილი არ არის მტკიცებულება, რომელიც ატესტატის უზუსტობას დაადასტურებდა. სააპელაციო სასამართლომ არ იმსჯელა საერთაშორისო კერძო სამართლის დეპარტამენტის ლეგალიზაციისა და აპოსტილის სამართველოს აქტის კანონიერების საკითხზე. სასამართლომ არ

გაითვალისწინა, რომ მოსარჩელე ადმინისტრაციულ წარმოებაში ჩაბმული არ ყოფილა. სასამართლომ მიუთითა, რომ დაბადების სააქტო ჩანაწერის ბათილად ცნობით ნ. ნ-ს ზიანი არ ადგება. სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა, რომ მოსარჩელე საზღვარგარეთ გადაადგილდება დაბადების მონუმობით და პასპორტით, რომელიც სახელმწიფო სერვისების სააგენტომ გააუქმა, ამიტომ, ყოველთვის არსებობს დოკუმენტების სისწორესთან დაკავშირებით პრეტენზიის წარმოშობის საფრთხე.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, საკასაციო საჩივრის განხილვის შედეგად მიიჩნევს, რომ ნ. ნ-ის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია.

განსახილველ შემთხვევაში, სადავოა ნ. ნ-ის სახელზე არსებული 2 განსხვავებული დაბადების სააქტო ჩანაწერიდან ერთერთის მართლზომიერების საკითხი, კერძოდ, სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ 1970 წლის 28 მარტს გარდაბნის რაიონის ... ს/საბჭოს მიერ რეგისტრირებულია №41 დაბადების აქტის ჩანაწერი, სადაც ბავშვის შესახებ მონაცემების გრაფაში ფიქსირდება: „ნ. ნ-ი“, სქესი „მდედრობითი“, დაბადების თარიღი „19.03.1970“. დაბადების აქტის ჩანაწერზე ფიქსირდება, რომ დედისთვის ახალშობილი არის პირველი ბავშვი, დედის შესახებ მონაცემების გრაფაში ფიქსირდება „რ. ო. ნ-ი“ დაბადების რეგისტრაციის მომენტისთვის იყო 21 წლის, სავარაუდო დაბადების თარიღი „1949 წელი“, მამის შესახებ მონაცემების გრაფაში ფიქსირდება „კ. ვ. ნ-ი“, დაბადების რეგისტრაციის მომენტისთვის იყო 30 წლის, სავარაუდო დაბადების თარიღი „1940 წელი“. დაბადების აქტის ჩანაწერი რეგისტრირებულია ქ. თბილისის №1 სამშობიარო სახლის მიერ 1970 წლის 19 მარტს გაცემული ცნობის საფუძველზე. დაბადების აქტის ჩანაწერზე განმცხადებლად

ფიქსირდება კ. ვ. ნ-ი. ამავე ჩანაწერზე ფიქსირდება, რომ გაცემულია პირველადი დაბადების მოწმობა №... . გარდაბნის მმართველთა განყოფილების მიერ 1975 წელს რეგისტრირებული იყო №410 დაბადების აქტის ჩანაწერი, რომელშიც ბავშვის შესახებ მონაცემების გრაფაში დაფიქსირებული იყო „ნ. ნ-ი“, სქესი „მდედრობითი“, დაბადების თარიღი „19.03.1975“. დაბადების აქტის ჩანაწერზე ფიქსირდებოდა, რომ დედისთვის ახალშობილი არის პირველი ბავშვი. დედის შესახებ მონაცემების გრაფაში ფიქსირდება „რ. ო. ნ-ი“, დაბადების რეგისტრაციის მომენტისთვის იყო 26 წლის (სავარაუდო დაბადების თარიღი „1949 წელი“). მამის შესახებ მონაცემების გრაფაში ფიქსირდება „კ. ვ. ნ-ი“, დაბადების რეგისტრაციის მომენტისთვის იყო 35 წლის (სავარაუდო დაბადების თარიღი „1940 წელი“). ჩანაწერში არ ფიქსირდებოდა ბავშვის დაბადების ფაქტის დამადასტურებელი საბუთი (მითითებულია 1970 წლის 18 მარტის №24 ქორწინების ჩანაწერის აქტი, კ. ნ-ის რ. ა-ასთან ქორწინების შესახებ), განმცხადებლად ფიქსირდება მამა კ. ნ-ი. დაბადების აქტის ჩანაწერზე ფიქსირდება, რომ გაიცა პირველადი დაბადების მოწმობა №... .

მოსარჩელის მტკიცებით, ნ. ნ-ი 19.03.1975 წელს დაიბადა, ამდენად, სწორია მეორე სააქტო ჩანაწერი.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად შეაფასა საქმეში წარმოდგენილი ნ. ნ-ის საშუალო განთლების ატესტატი.

აღნიშნული ატესტატი გაცემულია 2000 წლის 31 დეკემბერს 1975 წელს დაბადებული ნ. კ. ნ-ის სახელზე და ადასტურებს, რომ ამ უკანასკნელმა გარდაბნის რაიონის ... საშუალო სკოლა 1992 წელს დაამთავრა.

სააპელაციო სასამართლომ დოკუმენტი არასარწმუნოდ მიიჩნია, ვინდანი მასზე ხელს აწერს ნ. ნ-ის დედაც, რომელიც იმავე სკოლის პედაგოგი იყო.

საკასაციო სასამართლო ვერ დაეთანხმება სააპელაციო სასამართლოს, რომ ატესტატში ასახული მონაცემების უზუსტობას მხოლოდ ის გარემოება ადასტურებს, რომ მასზე ხელი მოსარჩელის დედამაც მოაწერა, რომელსაც შესაბამისი უფლებამოსილება სამსახურებრივად გააჩნდა, მით უმეტეს, რომ დოკუმენტს, რ. ა-ას (ნ-ის) გარდა, ხელს აწერს, ასევე, სკოლის დირექტორი, მოადგილე სასწავლო დარგში და სამი სხვა პედაგოგი. ატესტატი დამოწმებულია შესაბამისი ბეჭდით და მინიჭებული აქვს სარეგისტრაციო ნომერი.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს სათანადოდ უნდა გამოეკვლია, რომელ წელს, რა ასაკ-

ში შევიდა ნ. ნ-ი სკოლაში. თუ შესაძლებელია, სასამართლომ უნდა გამოითხოვოს მოსწავლის პირადი საქმე.

აქვე აღსანიშნავია, რომ მოსარჩელის დედის განმარტებით, ნ. ნ-ი 1982-1992 წლებში სწავლობდა გარდაბნის რაიონის ... საშუალო სკოლაში. თუ მივიჩნევთ, რომ სწორია ნ. ნ-ის სახელზე არსებული პირველი ჩანაწერი და იგი 19.03.1970 წელსაა დაბადებული, გამოვა, რომ სკოლაში 12 წლის ასაკიდან დაუწყია სწავლა. სააპელაციო სასამართლოს უნდა შეესწავლა და დაესაბუთებინა ამგვარი შესაძლებლობის არსებობა.

საკასაციო სასამართლო, ასევე, არ ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას, რომ დაბადების ჩანაწერის ბათილად ცნობით ნ. ნ-ს ზიანი არ ადგება.

საქმის მასალებით დასტურდება, რომ ნ. ნ-ი იმყოფება საზღვარგარეთ და სარგებლობს 2008 წლის 21 მარტს გაცემული №... პასპორტით, რომელიც 2008 წლის 18 მარტს გაცემული №... პირადობის მოწმობას ემყარება და მასში ნ. ნ-ის დაბადების თარიღად 19.03.1975 წელია მითითებული. საკასაციო სასამართლო ეთანხმება კასატორის წარმომადგენლის განმარტებას, რომ ნ. ნ-ს საზღვარგარეთ ყოფნისას და გადაადგილებისას, ასევე საქართველოში დაბრუნების შემთხვევაში, შესაძლოა, პრობლემები შეექმნას, რაც ადასტურებს მის უშუალო და კანონიერ ინტერესს სადავო ჩანაწერის აღდგენასთან დაკავშირებით.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს უნდა გამოეკვლია, საქმეში წარმოდგენილის გარდა, ხომ არ არსებობს საქართველოში ნ. ნ-ის სახელზე გაცემული სხვა დოკუმენტებიც, მაგ. უმაღლესი ან პროფესიული განათლების მიღების დამადასტურებელი დოკუმენტი, მართვის მოწმობა ან სხვა მსგავსი და რა მონაცემებია მოსარჩელის შესახებ მათში ასახული, რაც სასამართლოს გაუადვილებდა ნ. ნ-ის დაბადების თარიღის თაობაზე სწორი ინფორმაციის შეგროვებას.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის მიხედვით, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა და არსებობს ამ კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, გარდა აღნიშნული მუხლის „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებისა. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ გადაწყვეტილებას საკასაციო სასამართლომ საფუძვლად უნდა დაუდოს სამართლებრივი შეფასება, რომელიც სავალდებულოა სააპელაციო სასამართლოსათვის.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასა-

მართლმადიდებელი ეკლესიის მეთაურის მოწვევით და მისი დადანიშნული სახელის მნიშვნელოვანი გარემოებები, საჭიროების შემთხვევაში, გამოითხოვოს დამატებითი მტკიცებულებები და ნ. ნ-ის სარჩელზე დადანიშნულება ისე მიიღოს.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. ნ. ნ-ის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 18 თებერვლის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## **მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შემოწმების განხორციელების აპრიალვის შესახებ მითითების კანონიერების შემოწმება**

### **განჩინება**

№ბს-471-466(კ-16)

6 ოქტომბერი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. სხირტლაძე,  
ვ. როინიშვილი

**დავის საგანი:** ქმედების განხორციელების დავალება

### **აღწერილობითი ნაწილი:**

2015 წლის 16 აპრილს შპს „...“ სასარჩელო განცხადებით მართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ



საქმეთა კოლეგიას, მოპასუხის – საქართველოს ეროვნული ბანკის მიმართ.

მოსარჩელის განმარტებით, 2015 წლის 14 იანვარს საქართველოს ეროვნულმა ბანკმა მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს გაუგზავნა გადაწყვეტილება, რომ 2014 წლის სამეურნეო შედეგების აუდიტორული შემოწმება განხორციელდებოდა მხოლოდ აუდიტორის/აუდიტორული ფირმის მეშვეობით, რომელიც უკვე რეგისტრირებული იყო სავალდებულო აუდიტის უფლებების მქონე პირთა რეესტრში. ეროვნული ბანკის აღნიშნულ პოზიციასთან დაკავშირებით 2015 წლის 24 თებერვალს მოსარჩელემ წერილობით მიმართა საქართველოს ეროვნული ბანკის არასაბანკო დანესებულებების ზედამხედველობის დეპარტამენტის უფროსს და მოითხოვა მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისათვის გაგზავნილ შეტყობინებებში ეროვნულ ბანკს მიეთითებინა მთავრობის №360 დადგენილებით განსაზღვრული აუდიტორული კომპანიების სრული ჩამონათვალი, რაც კანონის ჩარჩოებში მოაქცევდა და გამჭვირვალეს გახდიდა აღნიშნულ საკითხს.

2015 წლის 26 თებერვალს საქართველოს ეროვნული ბანკის არასაბანკო დანესებულებების ზედამხედველობის დეპარტამენტის უფროსის გადაწყვეტილებით მოსარჩელეს ეცნობა, რომ „ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-7 პუნქტი იმპერატიულად ადგენს, რომ სავალდებულო აუდიტის ჩატარების უფლება აქვს მხოლოდ სავალდებულო აუდიტის ჩატარების უფლების მქონე პირთა რეესტრში რეგისტრირებულ აუდიტორს/აუდიტორულ ფირმას. ამავე კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით კი რეესტრს აწარმოებს (აწარმოებენ) აკრედიტირებული პროფესიული ორგანიზაცია (ორგანიზაციები). ამასთან, დეპარტამენტის უფროსმა აღნიშნული გადაწყვეტილებით განაცხადა, რომ როგორც მათთვის ცნობილი იყო საქართველოში აკრედიტირებულ პროფესიულ ორგანიზაციად მხოლოდ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაცია ითვლებოდა.

აღნიშნულ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, 2015 წლის 2 მარტს მოსარჩელემ განცხადებით მიმართა საქართველოს ეროვნული ბანკის არასაბანკო ზედამხედველობის დეპარტამენტის უფროსს და კიდევ ერთხელ მოითხოვა გაეთვალისწინებინათ მათი პოზიცია და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისათვის გაგზავნილ შეტყობინებებში ეროვნულ ბანკს დაეფიქსირებინა მთავრობის №360 დადგენილებით განსაზღვრული აუ-

დიტორული კომპანიების სრული ჩამონათვალი. 2015 წლის 6 მარტს საქართველოს ეროვნული ბანკის არასაბანკო დაწესებულებების ზედამხედველობის დეპარტამენტის უფროსის გადაწყვეტილებით მოსარჩელეს ეცნობა, რომ ეროვნული ბანკი მოკლებული იყო შესაძლებლობას გაეთვალისწინებინა მათი მოთხოვნა.

აღნიშნულის შემდგომ, 2015 წლის 16 მარტს მოსარჩელემ განცხადებით მიმართა საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტს ეროვნული ბანკის გადაწყვეტილების გაუქმებისა და ახალი აქტის გამოცემის მოთხოვნით. საჩივარი ეროვნული ბანკის მიერ დარჩა განუხილველი.

მოსარჩელე მიიჩნევს, რომ ეროვნული ბანკის მითითება ზღუდავს აუდიტორული მომსახურების ბაზარზე მოქმედ სუბიექტებს მონაწილეობა მიიღონ მიკროსაფინანსო ორგანიზაციების ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ჩატარებაში, რაც ზიანს აყენებს აღნიშნულ კომპანიებს, მათ შორის – შპს „...“, რომელიც 2015 წლამდე ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე ახორციელებდა მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შემოწმებას და ამ პერიოდამდე არანაირი მითითება ან/და შეზღუდვა არ ყოფილა არც კანონმდებლობით და არც ეროვნული ბანკის მითითებით. შპს „...“ ეროვნული ბანკის მიერ გამოცემული სადავო გადაწყვეტილებებით შეეზღუდა და აეკრძალა მთავრობის №360 დადგენილებით მინიჭებული უფლება შეემოწმებინა მიკროსაფინანსო ორგანიზაციები.

ამდენად, მოსარჩელემ საქართველოს ეროვნული ბანკის 2015 წლის 14 იანვრის გადაწყვეტილების, საქართველოს ეროვნული ბანკის არასაბანკო დაწესებულებების ზედამხედველობის დეპარტამენტის უფროსის 2015 წლის 26 თებერვლის №2-08/852-15 გადაწყვეტილების, საქართველოს ეროვნული ბანკის არასაბანკო დაწესებულებების ზედამხედველობის დეპარტამენტის უფროსის 2015 წლის 6 მარტის №2-08/948-15 გადაწყვეტილების ბათილად ცნობა და მოპასუხისათვის ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება მოითხოვა, რის საფუძველზეც დადგინდებოდა, რომ 2012 წლის №360 დადგენილების შესაბამისად, შპს „...“ უფლებამოსილია განახორციელოს მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შემოწმება.

2015 წლის 10 ივნისს შპს „...“ დაზუსტებული სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას და მოითხოვა საქართველოს ეროვნულ ბანკს აკრძალვოდა, რომ შპს „...“ (ს/კ ...) მიმართ გაეცა მითითე-

ბა მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შემომწმების განხორციელების აკრძალვის შესახებ. ამასთან, მოსარჩელემ საქართველოს ეროვნული ბანკისთვის შპს „...“ (ს/კ ...) მიმართ მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შემომწმების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ მითითების გაცემის დავალება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 5 აგვისტოს გადაწყვეტილებით შპს „...“ სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სასამართლომ მიუთითა, რომ შპს „...“ წარმოადგენს აუდიტორულ კომპანიას, რომლის ძირითადი საქმიანობის საგანია საბანკო აუდიტი, სადაზღვევო ორგანიზაციათა აუდიტი, საბირჟო, არასაბიუჯეტო, საინვესტიციო ინსტიტუტების აუდიტი და ზოგადი აუდიტი (სხვა ეკონომიკურ სუბიექტთა აუდიტი). შპს „...“ ახორციელებდა ასევე მიკროსაფინანსო ორგანიზაციების აუდიტს. საქართველოს მთავრობის 2012 წლის 5 სექტემბრის №360 დადგენილებით შპს „...“ შეყვანილია საწარმოებისათვის აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგების განმახორციელებელ ან/და საექსპერტო და აუდიტორული დასკვნების გამცემ პირთა ნუსხაში.

საქართველოს ეროვნული ბანკის არასაბანკო დაწესებულებების ზედამხედველობის დეპარტამენტის მიკროსაფინანსო ორგანიზაციების, საკრედიტო კავშირების, ვალუტის გადამცვლელი პუნქტებისა და ფულადი გზავნილების განმახორციელებელი პირების ზედამხედველობის განყოფილების სპეციალისტის მიერ მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს გაეგზავნათ შემდეგი შინაარსის შეხსენება – „ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-7 პუნქტის მიხედვით, სავალდებულო აუდიტის ჩატარების უფლება აქვს მხოლოდ სავალდებულო აუდიტის ჩატარების უფლების მქონე პირთა რეესტრში რეგისტრირებულ აუდიტორს/აუდიტორულ ფირმას. ვინაიდან, მიკროსაფინანსო ორგანიზაცია წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ბანკის ზედამხედველობას დაქვემდებარებულ სუბიექტს, რომელსაც ევალება ყოველწლიური აუდიტის ჩატარება, მისი 2014 წლის სამეურნეო შედეგების აუდიტორული შემომწმების ჩატარების უფლება აქვს მხოლოდ იმ აუდიტორს/აუდიტორულ ფირმას, რომელიც უკვე რეგისტრირებულია სავალდებულო აუდიტის ჩატარების უფლების მქონე პირთა რეესტრში.

შპს „...“ მმართველმა პარტნიორმა წერილით მიმართა საქართველოს ეროვნული ბანკის არასაბანკო დაწესებულებების ზედამხედველობის დეპარტამენტის უფროსს და ითხოვა განმარ-

ტება, რის საშუალებითაც კომპანია განახორციელებდა კანონით მინიჭებულ უფლებამოსილებებს. აღნიშნული წერილის პასუხად, შპს „...“ მმართველ პარტნიორს განემარტა, რომ სავალდებულო აუდიტის ჩატარების უფლება აქვს მხოლოდ სავალდებულო აუდიტის ჩატარების უფლების მქონე პირთა რეესტრში რეგისტრირებულ აუდიტორს/აუდიტორულ ფირმას. დღეისათვის საქართველოში აკრედიტებულ პროფესიულ ორგანიზაციად ითვლება მხოლოდ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაცია.

2015 წლის 2 მარტს და 2015 წლის 16 მარტს შპს „...“ მმართველმა პარტნიორმა განცხადებებით მიმართა საქართველოს ეროვნული ბანკის არასაბანკო დაწესებულებების ზედამხედველობის დეპარტამენტის უფროსსა და ეროვნული ბანკის პრეზიდენტს და ითხოვა განმარტება, რის საშუალებითაც კომპანია განახორციელებდა კანონით მინიჭებულ უფლებამოსილებებს. საქართველოს ეროვნული ბანკის არასაბანკო დაწესებულებების ზედამხედველობის დეპარტამენტის უფროსის 2015 წლის 6 მარტის №2-08/948-15 წერილით შპს „...“ მმართველ პარტნიორს განემარტა, რომ „ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-7 პუნქტის იმპერატიული ნორმიდან გამომდინარე საქართველოს ეროვნული ბანკი მოკლებული იყო შესაძლებლობას გაეთვალისწინებინა მოთხოვნა, ხოლო საქართველოს ეროვნული ბანკის არასაბანკო დაწესებულებების ზედამხედველობის დეპარტამენტის უფროსის 2015 წლის 17 მარტის №2-08/1050-15 წერილით განცხადება დარჩა განუხილველი.

სასამართლოს მითითებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 24-ე მუხლის შესაბამისად, სარჩელი შეიძლება აღიძრას ისეთი მოქმედების განხორციელების ან ისეთი მოქმედებისაგან თავის შეკავების მოთხოვნით, რომელიც არ გულისხმობს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სასამართლებრივი აქტის გამოცემას. სარჩელი დასაშვებია, თუ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ რაიმე მოქმედების განხორციელება ან რაიმე მოქმედებისაგან თავის შეკავება პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს.

სასამართლომ მიუთითა, რომ მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელის მოთხოვნას წარმოადგენს მოპასუხისათვის ქმედების განხორციელების დავალება და ქმედების განხორციელების აკრძალვა.

სასამართლოს განმარტებით, სადავო პერიოდში მოქმედი

რედაქციის „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საქართველოს ეროვნული ბანკი (შემდგომში – ეროვნული ბანკი) არის საქართველოს ცენტრალური ბანკი, ბანკთა ბანკი, საქართველოს მთავრობის ბანკირი და ფისკალური აგენტი. იგი საჯარო სამართლის იურიდიული პირია. ეროვნული ბანკი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, ამ ორგანული კანონით, საქართველოს კანონმდებლობით და ეყრდნობა საერთაშორისო საბანკო პრაქტიკაში მიღებულ წესებსა და ჩვევებს. მას უფლება აქვს, დამოუკიდებლად დადოს ხელშეკრულებები, დამოუკიდებლად შეიძინოს უძრავი და მოძრავი ქონება და ფლობდეს და განკარგავდეს მას, გამოვიდეს მოსარჩელედ და მოპასუხედ, დამოუკიდებლად შეასრულოს მისთვის დაკისრებული ფუნქციები. ამავე ორგანული კანონის სადავო პერიოდში მოქმედი რედაქციის 50-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ეროვნული ბანკი მიკროსაფინანსო ორგანიზაციების ზედამხედველობას ახორციელებს მათი რეგისტრაციის, რეგისტრაციის გაუქმების, შემოწმებისა და მათთვის სანქციების დაკისრების გზით.

სასამართლოს მიერ დადგენილია, რომ საქართველოს ეროვნული ბანკის არასაბანკო დაწესებულებების ზედამხედველობის დეპარტამენტის მიკროსაფინანსო ორგანიზაციების, საკრედიტო კავშირების, ვალუტის გადამცვლელი პუნქტებისა და ფულადი გზავნილების განმახორციელებელი პირების ზედამხედველობის განყოფილების სპეციალისტის მიერ მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს გაეგზავნათ შემდეგი შინაარსის შეხსენება – „ბულალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-7 პუნქტის მიხედვით, სავალდებულო აუდიტის ჩატარების უფლება აქვს მხოლოდ სავალდებულო აუდიტის ჩატარების უფლების მქონე პირთა რეესტრში რეგისტრირებულ აუდიტორს/აუდიტორულ ფირმას. ვინაიდან, მიკროსაფინანსო ორგანიზაცია წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ბანკის ზედამხედველობის დაქვემდებარებულ სუბიექტს, რომელსაც ევალება ყოველწლიური აუდიტის ჩატარება, მისი 2014 წლის სამეურნეო შედეგების აუდიტორული შემოწმების ჩატარების უფლება აქვს მხოლოდ იმ აუდიტორს/აუდიტორულ ფირმას, რომელიც უკვე რეგისტრირებულია სავალდებულო აუდიტის ჩატარების უფლების მქონე პირთა რეესტრში. საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ აღნიშნული წერილის გაგზავნისას საქართველოს ეროვნული ბანკი მოქმედებდა საზედამხედველო უფლებამოსილებე-

ბის ფარგლებში. სასამართლომ ჩათვალა, რომ აღნიშნული წერილით მოპასუხე ადმინისტრაციულ ორგანოს არ გაუცია მითითება შპს „...“ (ს/კ ...) მიმართ მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შემოწმების განხორციელების აკრძალვის შესახებ.

„ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ეს კანონი ადგენს საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვის წარმოების, ფინანსური ანგარიშგების მომზადების, წარდგენის და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ჩატარების სამართლებრივ საფუძვლებს. ამავე კანონის მე-2 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის მიხედვით, ფინანსური ანგარიშგების აუდიტი (შემდგომ – აუდიტი) არის აუდიტორის/აუდიტორული (აუდიტური) ფირმის მიერ ჩატარებული სამუშაო, რომელიც მიმართულია: – ვ.ა) ფინანსური ანგარიშგების (მათ შორის, სპეციალური დანიშნულების ანგარიშგების) უტყუარობისა და სისრულის შესახებ აუდიტორის/აუდიტორული (აუდიტური) ფირმის მოსაზრების გამოხატვისკენ; ვ.ბ) ფინანსური ანგარიშგების მიმოხილვით აუდიტორის/ აუდიტორული (აუდიტური) ფირმის რწმუნების გამოხატვისკენ; ვ.გ) სხვა დასაბუთებული ან/და შეზღუდული მარწმუნებელი გარიგების შესაბამისი მოსაზრების გამოხატვისკენ, ხოლო ამავე მუხლის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, აუდიტორული (აუდიტური) ფირმა (შემდგომ - აუდიტორული ფირმა) არის საქართველოში რეგისტრირებული იურიდიული პირი ან უცხოეთში რეგისტრირებული იურიდიული პირის საქართველოში არსებული ფილიალი, რომელიც არის აკრედიტებული პროფესიული ორგანიზაციის წევრი, რეგისტრირებულია აუდიტორთა რეესტრში და ახორციელებს პროფესიულ მომსახურებას სერტიფიცირებული პირის (პირების) მეშვეობით, ხოლო „ს“ ქვეპუნქტის თანახმად, აკრედიტებული პროფესიული ორგანიზაცია არის ბუღალტერთა ან/და აუდიტორთა პროფესიული ორგანიზაცია, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებულია არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირად და არის ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (IFAC) წამდვილი წევრი ან ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (IFAC) მიერ აღიარებული რეგიონალური ორგანიზაციის წამდვილი წევრი ან ამ კანონის მოთხოვნების შესაბამისად აკრედიტებული პირი. „ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-7 პუნქტის მიხედვით, სავალდებულო აუდიტის ჩატარების უფლება აქვს მხოლოდ სავალდებულო აუდიტის ჩატარების უფლების მქონე პირთა რე-

ესტრში რეგისტრირებულ აუდიტორს/აუდიტორულ ფირმას. ამასთანავე, იგი უნდა ჩაატაროს ამ აუდიტორმა/აუდიტორულ ფირმაში დასაქმებულმა სერტიფიცირებულმა პროფესიონალმა ბუღალტერმა. ამავე კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საქართველოში რეგისტრირებული იურიდიული პირი, უცხოეთში რეგისტრირებული პირის საქართველოში არსებული ფილიალი და ფიზიკური პირი საქართველოში აუდიტის ჩატარების უფლებამოსილებას იძენენ აუდიტორთა რეესტრში (შემდგომ – რეესტრი) რეგისტრაციის შემდეგ. ამავე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, რეესტრი არის 2 ტიპის: ა) სავალდებულო აუდიტის ჩატარების უფლების მქონე პირთა რეესტრი, რომელშიც რეგისტრირებული არიან ის აუდიტორები/აუდიტორული ფირმები, რომლებსაც აქვთ სავალდებულო აუდიტის ჩატარების უფლება; ბ) სავალდებულო აუდიტის ჩატარების უფლების არმქონე პირთა რეესტრი, რომელშიც რეგისტრირებული არიან ის აუდიტორები/აუდიტორული ფირმები, რომლებსაც არ აქვთ სავალდებულო აუდიტის ჩატარების უფლება, ხოლო მე-18 პუნქტის თანახმად, საქართველოში რეგისტრირებული იურიდიული პირის, უცხოეთში რეგისტრირებული პირის საქართველოში არსებული ფილიალის ან ფიზიკური პირის მიერ აუდიტის შესაბამის რეესტრში რეგისტრაციის გარეშე ჩატარების შემთხვევაში აუდიტი ჩატარებულად არ ჩაითვლება.

„ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით, საქართველოს ეროვნული ბანკის ზედამხედველობისადმი დაქვემდებარებული სუბიექტებისათვის, აუდიტის ჩატარება სავალდებულოა. ამავე კანონის მე-16 მუხლის მე-12 პუნქტის თანახმად, აუდიტორს/აუდიტორულ ფირმას უფლება აქვს, ჩაატაროს ამ კანონის მე-7 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული სუბიექტების 2012 და 2013 წლების ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, მიუხედავად იმისა, თუ რომელი ტიპის რეესტრშია რეგისტრირებული.

სასამართლომ მიუთითა, რომ ზემოაღნიშნული ნორმების ერთობლიობით 2014 წლის ფინანსური ანგარიშგების სავალდებულო აუდიტის ჩატარების უფლება ენიჭებოდათ მხოლოდ სავალდებულო აუდიტის ჩატარების უფლების მქონე პირთა რეესტრში რეგისტრირებულ პირებს. მხარეები ადასტურებენ, რომ შპს „...“ არ წარმოადგენს სავალდებულო აუდიტის ჩატარების უფლების მქონე პირთა რეესტრში რეგისტრირებულ პირს.

„ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის მე-15



პუნქტის მიხედვით, 2015 წლის 31 დეკემბრამდე აუდიტორების/აუდიტორული ფირმების პროფესიულ ორგანიზაციებში გაწევრება არ მოითხოვება, თუმცა სასამართლო იზიარებს მოპასუხის განმარტებას, რომ აღნიშნული ნორმა არ მიუთითებს, რომ ყველა ფირმა უფლებამოსილია ჩაატაროს ნებისმიერი სახის აუდიტი. აღნიშნულ ნორმაში საუბარია არა სავალდებულო აუდიტის ჩატარების უფლებაზე, არამედ ზოგადად აუდიტორული საქმიანობის დროებით წარმოების უფლებაზე. „ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის მე-15 პუნქტით აუდიტორულ ფირმებს გადაუვადათ კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი ვალდებულების შესრულება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ მიიჩნია, რომ ეროვნული ბანკის განმარტება იმის თაობაზე, რომ სავალდებულო აუდიტის ჩატარების უფლება აქვს მხოლოდ სავალდებულო აუდიტის ჩატარების უფლების მქონე პირთა რეესტრში რეგისტრირებულ აუდიტორს/აუდიტორულ ფირმას და ვინაიდან, მიკროსაფინანსო ორგანიზაცია წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ბანკის ზედამხედველობის დაქვემდებარებულ სუბიექტს, რომელსაც ევალება ყოველწლიური აუდიტის ჩატარება, მისი 2014 წლის სამეურნეო შედეგების აუდიტორული შემოწმების ჩატარების უფლება აქვს მხოლოდ იმ აუდიტორს/აუდიტორულ ფირმას, რომელიც უკვე რეგისტრირებულია სავალდებულო აუდიტის ჩატარების უფლების მქონე პირთა რეესტრში კანონიერია, ამასთან, უსაფუძვლოა მოსარჩელის მოთხოვნა აკრძალვოდა საქართველოს ეროვნულ ბანკს, რომ შპს „...“ (ს/კ ...) მიმართ გაეცა მითითება მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შემოწმების განხორციელების აკრძალვის შესახებ, ვინაიდან მოპასუხე ადმინისტრაციულ ორგანოს არ გაუცია მითითება შპს „...“ (ს/კ ...) მიმართ მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შემოწმების განხორციელების აკრძალვის თაობაზე.

სასამართლოს განმარტებით, „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი განსაზღვრავს ეროვნული ბანკის უფლებამოსილებებს, რომელთაგან სადავო პერიოდში მოქმედი რედაქციის თანახმად, ერთ-ერთს წარმოადგენდა ეროვნული ბანკის მხრიდან მიკროსაფინანსო ორგანიზაციებზე ზედამხედველობის განხორციელება მათი რეგისტრაციის, რეგისტრაციის გაუქმების, შემოწმებისა და მათთვის სანქციების დაკისრების გზით. „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი არ მიუთითებს ეროვნული ბანკის უფლებამოსილებაზე მინიჭოს რომელიმე აუ-

დიტორულ კომპანიას მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შემონმების უფლებამოსილება, შესაბამისად, სასამართლომ უსაფუძვლოდ მიიჩნია მოსარჩელის მოთხოვნა – დავალებოდა საქართველოს ეროვნულ ბანკს, შპს „...“ (ს/კ ...) მიმართ გაეცა მითითება მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შემონმების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 33<sup>1</sup>-ე მუხლის თანახმად, თუ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ რაიმე მოქმედების განხორციელება ან უარი რაიმე მოქმედების განხორციელებაზე უკანონოა და ის პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს, სასამართლო ამ კოდექსის 24-ე მუხლში აღნიშნულ სარჩელთან დაკავშირებით გამოიტანს გადაწყვეტილებას, რომლითაც ადმინისტრაციულ ორგანოს ავალებს, განახორციელოს ეს მოქმედება ან თავი შეიკავოს ამ მოქმედების განხორციელებისაგან.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლომ საქართველოს ეროვნული ბანკის ქმედება მიიჩნია კანონიერად, შესაბამისად, არ არსებობდა საქართველოს ეროვნული ბანკისათვის ქმედების განხორციელების აკრძალვისა და ქმედების განხორციელების დავალების სამართლებრივი საფუძველი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 5 აგვისტოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა შპს „...“, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 22 მარტის განჩინებით შპს „...“ სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 5 აგვისტოს გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნები საქმის სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით, მიიჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ სამართლებრივი თვალსაზრისით სწორად შეაფასა საქმესთან დაკავშირებული ფაქტობრივი გარემოებები; თავის მხრივ, აპელანტმა სააპელაციო საჩივარში ვერ გააქარწყლა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გაკეთებული სამართლებრივი დასკვნები, ვერ მიუთითა და ვერ წარმოადგინა ისეთი არგუმენტები, რომლებზე დაყრდნობითაც შესაძლებელი იქნებო-

და საქმეზე დადგენილი ფაქტების სხვაგვარი სამართლებრივი შეფასება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 22 მარტის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა შპს „...“, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

კასატორის მითითებით, სასამართლომ არასწორად განმარტა კანონი, კერძოდ, „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ ორგანული კანონის 50-ე მუხლის პირველი პუნქტი, რომლის თანახმად, ეროვნული ბანკი მიკროსაფინანსო ორგანიზაციების ზედამხედველობას ახორციელებს მათი რეგისტრაციის, რეგისტრაციის გაუქმების, შემონღმებისა და მათთვის სანქციების დაკისრების გზით. სასამართლომ გამოიყენა აღნიშნული ნორმა და დაადგინა, რომ ეროვნული ბანკი შესხენების გაგზავნისას მოქმედებდა საზედამხედველო უფლებამოსილების ფარგლებში. აღნიშნული ნორმის სამართლებრივი ანალიზიდან გამომდინარე, ეროვნულ ბანკს უფლება არ ჰქონდა გაეგზავნა შეტყობინება/მითითება, თუნდაც შეხსენება მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისთვის, რადგან ეროვნული ბანკი ასრულებს მხოლოდ საზედამხედველო ფუნქციას, ხოლო რაც შეეხება აუდიტის ჩატარების წესსა და მის ჩატარებაზე უფლებამოსილ პირებს, აღნიშნული დარეგულირებულია „ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ“ კანონით.

კასატორის მითითებით, სასამართლო ურთიერთსაწინააღმდეგო არგუმენტებს უთითებს გადაწყვეტილებაში. კერძოდ, ერთი მხრივ სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ეროვნული ბანკი უფლებამოსილი იყო გაეგზავნა მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისათვის შეხსენება საზედამხედველო უფლებამოსილების ფარგლებში, ხოლო, მეორე მხრივ, ამავე გადაწყვეტილებით ადგენს, რომ აღნიშნული წერილის გაგზავნით ეროვნულ ბანკს არ გაუცია მითითება შპს „...“ მიმართ მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შემონღმების განხორციელების აკრძალვის თაობაზე.

კასატორის მოსაზრებით, „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ ორგანული კანონის 50-ე მუხლის პირველი ნაწილის სწორად განმარტების შემთხვევაში, სასამართლო დაადგენდა, რომ ეროვნულ ბანკს უფლება აქვს მხოლოდ ზედამხედველობა გაუწიოს მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს, რაც არ გულისხმობს კანონის (რომლის საფუძველზეც დადგენილია აუდიტის ჩატარების პირობები და აუდიტის ჩატარებაზე უფლებამოსილი პი-

რები) მოთხოვნების უგულვებელყოფას და თვითნებურად ჩარევას მიკროსაფინანსო ორგანიზაციების საქმიანობაში, რაც განხორციელდა კიდევ მითითების თუ შესხენების გაგზავნით.

სასამართლომ არასწორად განმარტა კანონი, კერძოდ „ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ“ კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტი, რომლის თანახმად, აღნიშნული კანონი ადგენს საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვის წარმოების, ფინანსური ანგარიშგების მომზადების, წარდგენის და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის სამართლებრივ საფუძვლებს. სასამართლომ თავადვე გააკეთა განმარტება, თუ რომელი კანონი არეგულირებს აუდიტის ჩატარების წესსა და პირობებს, მაგრამ არასწორად, უკანონოდ არ მიიჩნია ეროვნული ბანკის ქმედება, რომლითაც ეროვნულმა ბანკმა გაუგზავნა შეტყობინება (მითითება), თუ რომელ აუდიტორულ კომპანიებს ჰქონდათ უფლება ჩატარებინათ მიკროსაფინანსო ორგანიზაციების აუდიტი.

კასატორის მოსაზრებით, სასამართლომ არასწორად განმარტა კანონი, კერძოდ „ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ“ კანონის მე-7 მუხლის მე-7 პუნქტი და მე-7 მუხლის მე-4 პუნქტი და არასწორად დაადგინა, რომ აღნიშნული ნორმების ერთობლიობით ფინანსური ანგარიშგების სავალდებულო აუდიტის ჩატარების უფლება ენიჭებათ მხოლოდ სავალდებულო აუდიტის ჩატარების უფლების მქონე პირთა რეესტრში რეგისტრირებულ პირებს. ამასთან, სასამართლომ არასწორად დაადგინა, რომ თითქოსდა მხარეები ადასტურებდნენ, რომ შპს „...“ არ წარმოადგენს სავალდებულო აუდიტის ჩატარების უფლების მქონე პირთა რეესტრში რეგისტრირებულ პირს, მაშინ როდესაც შპს „...“ 2012 წლის 5 ნოემბრის №360 მთავრობის დადგენილების საფუძველზე მიენიჭა სავალდებულო აუდიტის ჩატარების უფლებამოსილება, რაც სასამართლომ არ გაითვალისწინა და არ გამოიკვლია.

სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, კერძოდ „ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის თანახმად, 2013 წლის 1 იანვრის შემდეგ სავალდებულო აუდიტის ჩატარების უფლების მქონე პირთა რეესტრში რეგისტრაციას ექვემდებარებიან საქართველოს საგადასახადო კოდექსის 202-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული აუდიტორები/აუდიტორიული ფირმები.

აღნიშნული ნორმების სამართლებრივი ანალიზიდან გამომდინარე, კასატორი მიიჩნევს, რომ შპს „...“, როგორც მთავრობის

მიერ განსაზღვრული აუდიტორული ფირმა რეგისტრაციას ექვემდებარებოდა სავალდებულო აუდიტის ჩატარების უფლების მქონე პირთა რეესტრში. თუმცა „ბულალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის მე-15 ნაწილის თანახმად, 2015 წლის 1 ივნისამდე აუდიტორების/აუდიტორული ფირმების პროფესიულ ორგანიზაციებში განევრიანება არ მოითხოვებოდა.

ამდენად, კასატორის მითითებით, შპს „...“ ავტომატურად ექვემდებარებოდა რეგისტრაციას, როგორც მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული აუდიტორული ფირმა, მაგრამ მას 2015 წლის 1 ივნისამდე კანონმა მიანიჭა უფლებამოსილება არ განევრიანებულიყო პროფესიულ ორგანიზაციაში, რაც თავისთავად არ გულისხმობს იმას, რომ შპს „...“ პროფესიულ ორგანიზაციაში განევრიანებამდე არ გააჩნდა სავალდებულო აუდიტის ჩატარების უფლება.

კასატორის მოსაზრებით, სასამართლომ სადავო გადაწყვეტილებაში არასწორად განმარტა კანონი, კერძოდ, „ბულალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ“ კანონი, რომლის თითოეული მუხლის განმარტებაც მნიშვნელოვანი იყო წინამდებარე დავის არსებითად გადაწყვეტისთვის, ვინაიდან კანონის განმარტებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მოსარჩელისთვის, რადგან აღნიშნული კანონის შესაბამისი პუნქტების გამოყენებით ეროვნული ბანკი თითქოსდა საზედამხედველო უფლებამოსილების ფარგლებში შესხენებით თუ შეტყობინების გაგზავნით უთითებდა მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს თუ ვის უნდა ჩაეტარებინა აუდიტი. ამდენად, აღნიშნული კანონის განმარტება ძალზედ მნიშვნელოვანი იყო, სასამართლომ კი თავად გააკეთა არასწორი განმარტებები, რომლებიც წინააღმდეგობაშია ერთმანეთთან.

სადავო გადაწყვეტილებით არ იკვეთება ჰქონდა თუ არა ეროვნულ ბანკს უფლება გაეცა მითითება ან თუნდაც შესხენება მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისათვის თუ ვის უნდა ჩაეტარებინა მათი აუდიტორული შემოწმება. ამასთან, მოეთხოვებოდა თუ არა შპს „...“ პროფესიულ ორგანიზაციაში განევრიანება, მაშინ როდესაც მთავრობის დადგენილებით მას მინიჭებული ჰქონდა სავალდებულო აუდიტის ჩატარების უფლება. ასევე არ იკვეთება რას ნიშნავდა ეროვნული ბანკის შესხენება და რა სამართლებრივი შედეგის მომტანი იყო შპს „...“. მნიშვნელოვანი იყო აღნიშნულის დასაბუთება, ვინაიდან გაურკვეველია რა სამართლებრივი შედეგი დადგა შპს „...“-თვის.

კასატორის მითითებით, სასამართლომ სრულყოფილად არ

გამოიკვლია გარემოებები და არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ ეროვნული ბანკის მითითება თუ შეხსენება ზღუდავს აუდიტორული მომსახურების ბაზარზე მოქმედ სუბიექტებს, მონაწილეობა მიიღონ მიკროსაფინანსო ორგანიზაციების ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ჩატარებაში, რითაც ზიანი ადგებათ აღნიშნულ კომპანიებს, მათ შორის შპს „...“, რომელიც 2015 წლამდე ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე ახორციელებდა მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შემოწმებას და ამ პერიოდამდე არანაირი მითითება ან/და შეზღუდვა არ ყოფილა არც საკანონმდებლო თვალსაზრისით და არც ეროვნული ბანკის მითითებით.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 17 ივნისის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული შპს „...“ საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 14 ივლისის განჩინებით შპს „...“ საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად და მისი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრებით.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის, საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობის შესწავლის, გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ შპს „...“ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

საკასაციო სასამართლო იზიარებს ქვედა ინსტანციის სასამართლოების მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და მიუთითებს, რომ შპს „...“ წარმოადგენს აუდიტორულ კომპანიას, რომლის ძირითადი საქმიანობის საგანია საბანკო აუდიტი, სადაზღვევო ორგანიზაციათა აუდიტი, საბირჟო, არასაბირჟო, საინვესტიციო ინსტიტუტების აუდიტი და ზოგადი აუდიტი (სხვა ეკონომიკურ სუბიექტთა აუდიტი). შპს „...“ ახორციელებდა ასევე მიკროსაფინანსო ორგანიზაციების აუდიტს. საქართველოს მთავრობის 2012 წლის 5 სექტემბრის №360 დადგენილებით შპს „...“ შეყვანილია საწარმოებისათვის აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგების განმახორციელებელ ან/და საექსპერტო და აუდიტორული დასკვნების გამცემ პირთა ნუსხაში.

დადგენილია, რომ საქართველოს ეროვნული ბანკის არასაბანკო დაწესებულებების ზედამხედველობის დეპარტამენტის

მიკროსაფინანსო ორგანიზაციების, საკრედიტო კავშირების, ვალუტის გადამცვლელი პუნქტებისა და ფულადი გზავნილების განმახორციელებელი პირების ზედამხედველობის განყოფილების სპეციალისტის მიერ მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს გაეგზავნათ შემდეგი შინაარსის წერილი – „ბულალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-7 პუნქტის მიხედვით, სავალდებულო აუდიტის ჩატარების უფლება აქვს მხოლოდ სავალდებულო აუდიტის ჩატარების უფლების მქონე პირთა რეესტრში რეგისტრირებულ აუდიტორს/აუდიტორულ ფირმას. ვინაიდან, მიკროსაფინანსო ორგანიზაცია წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ბანკის ზედამხედველობას დაქვემდებარებულ სუბიექტს, რომელსაც ევალება ყოველწლიური აუდიტის ჩატარება, მისი 2014 წლის სამეურნეო შედეგების აუდიტორული შემოწმების ჩატარების უფლება აქვს მხოლოდ იმ აუდიტორს/აუდიტორულ ფირმას, რომელიც უკვე რეგისტრირებულია სავალდებულო აუდიტის ჩატარების უფლების მქონე პირთა რეესტრში.

შპს „...“ მმართველმა პარტნიორმა წერილით მიმართა საქართველოს ეროვნული ბანკის არასაბანკო დანესებულებების ზედამხედველობის დეპარტამენტის უფროსს და ითხოვა განმარტება, რის საშუალებითაც კომპანია განახორციელებდა კანონით მინიჭებულ უფლებამოსილებებს. აღნიშნული წერილის პასუხად, შპს „...“ მმართველ პარტნიორს განემარტა, რომ სავალდებულო აუდიტის ჩატარების უფლება აქვს მხოლოდ სავალდებულო აუდიტის ჩატარების უფლების მქონე პირთა რეესტრში რეგისტრირებულ აუდიტორს/აუდიტორულ ფირმას. ამასთან, საქართველოში აკრედიტებულ პროფესიულ ორგანიზაციად ითვლებოდა მხოლოდ ბულალტერთა და აუდიტორთა ფედერაცია.

2015 წლის 2 მარტს და 16 მარტს შპს „...“ მმართველმა პარტნიორმა კვლავ განცხადებებით მიმართა საქართველოს ეროვნული ბანკის არასაბანკო დანესებულებების ზედამხედველობის დეპარტამენტის უფროსსა და ეროვნული ბანკის პრეზიდენტს და ითხოვა განმარტება, რის საშუალებითაც კომპანია განახორციელებდა კანონით მინიჭებულ უფლებამოსილებებს. საქართველოს ეროვნული ბანკის არასაბანკო დანესებულებების ზედამხედველობის დეპარტამენტის უფროსის 2015 წლის 6 მარტის №2-08/948-15 წერილით შპს „...“ მმართველ პარტნიორს განემარტა, რომ „ბულალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-7 პუნქტის იმპერატიული ნორმიდან გამომდინა-



რე საქართველოს ეროვნული ბანკი მოკლებული იყო შესაძლებლობას გაეთვალისწინებინა მათი მოთხოვნა; ხოლო საქართველოს ეროვნული ბანკის არასაბანკო დანესებულებების ზედამხედველობის დეპარტამენტის უფროსის 2015 წლის 17 მარტის №2-08/1050-15 წერილით განცხადება დარჩა განუხილველი.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ შპს „...“ დაზუსტებული სარჩელით მოითხოვა საქართველოს ეროვნულ ბანკს აკრძალვოდა, რომ შპს „...“ (ს/კ ...) მიმართ გაეცა მითითება მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შემოწმების განხორციელების აკრძალვის შესახებ და, ასევე, დავალებოდა გაეცა მითითება შპს „...“ მიმართ მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შემოწმების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სარჩელი დარღვეული ან სადავოდ ქცეული უფლების მატერიალურ-სამართლებრივი დაცვის საშუალებას წარმოადგენს, რომელიც შედგება ორი ელემენტისაგან – სარჩელის საგნისა და საფუძვლიანსაგან. სარჩელის საგანს წარმოადგენს მოსარჩელის მატერიალურ-სამართლებრივი მოთხოვნა მოპასუხის მიმართ, ანუ სარჩელის საგანია მოსარჩელის უფლება, რომლის შესახებაც ის მოითხოვს გადაწყვეტილების გამოტანას სასამართლოს მიერ. სარჩელის საფუძველი, თავის მხრივ, შედგება სამართლებრივი და ფაქტობრივი საფუძვლისაგან, ამასთან, სარჩელის საფუძველი არის ის ფაქტები, რომელთა არსებობა განაპირობებს მოთხოვნის საფუძვლიანობას და რომლებსაც მატერიალური სამართლის ნორმა უკავშირებს სადავო სამართალურთიერთობის სუბიექტების უფლება-მოვალეობების წარმოშობას, შეცვლას და შეწყვეტას.

განსახილველ შემთხვევაში სახეზე გვაქვს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 24-ე მუხლით გათვალისწინებული მავალდებულებელი სარჩელი, რომელიც ითვალისწინებს ადმინისტრაციული ორგანოსათვის მოქმედების განხორციელების ან მოქმედების განხორციელებისაგან თავის შეკავების დავალების მოთხოვნით სარჩელის აღძვრის შესაძლებლობას. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 24-ე მუხლით გათვალისწინებული სარჩელის დაკმაყოფილების პირობებს ამავე კოდექსის 33<sup>1</sup>-ე მუხლი შეიცავს, რომელიც სარჩელის დაკმაყოფილებას უკავშირებს სარჩელის დასაშვებობის რამდენიმე პირობას, კერძოდ, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ რაიმე მოქმედების განხორციელება ან უარი რაიმე მოქმედების განხორციელებაზე კანონს უნდა ეწინააღმდეგებოდეს, ამასთანავე ის პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალ-

ლურ) ზიანს უნდა აყენებდეს მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს. სარჩელის დაკმაყოფილება საჭიროებს მოცემული კუმულატიური პირობებიდან ყველას არსებობას.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს საქართველოს ეროვნული ბანკის არასაბანკო დანესებულებების ზედამხედველობის დეპარტამენტის მიკროსაფინანსო ორგანიზაციების, საკრედიტო კავშირების, ვალუტის გადამცვლელი პუნქტებისა და ფულადი გზავნილების განმახორციელებელი პირების ზედამხედველობის განყოფილების სპეციალისტის მიერ მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისათვის გაგზავნილი წერილის შინაარსობრივ მხარეზე, რომელიც „ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-7 პუნქტზე მიუთითებდა და ნორმის სიტყვასიტყვით დეფინიციას ახდენდა. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისათვის აღნიშნული წერილის გაგზავნის დროს ბანკი მოქმედებდა მისი უფლებამოსილების ფარგლებში („საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის სადავო პერიოდში მოქმედი რედაქციის 50.1. მუხლის თანახმად, ეროვნული ბანკი მიკროსაფინანსო ორგანიზაციების ზედამხედველობას ახორციელებდა მათი რეგისტრაციის, რეგისტრაციის გაუქმების, შემოწმებისა და მათთვის სანქციების დაკისრების გზით), წერილით გათვალისწინებული მოთხოვნა გამომდინარეობდა „ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-7 პუნქტის იმპერატიული ნორმიდან და აღნიშნული მოთხოვნა ეროვნული ბანკის გადანყვეტილებას არ წარმოადგენდა. შესაბამისად, ეროვნული ბანკის წერილი არ ეწინააღმდეგებოდა კანონს.

ამასთან, განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელემ ვერ დაადასტურა ის გარემოება, რომ შპს „...“ სავალდებულო აუდიტის ჩატარების უფლება სწორედ საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისათვის გაგზავნილი წერილით შეეზღუდა, რომელიც „ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-7 პუნქტის ნორმატიულ დეფინიციას ახდენდა. ვერ დასტურდება მოსარჩელის სამართლებრივი ინტერესის არსებობა უშუალოდ ეროვნული ბანკის მოქმედებასთან მიმართებაში. შესაძლოა მოსარჩელეს ადგება ზიანი ეროვნული ბანკის მოქმედებით, თუმცა ზიანი უნდა იყოს პირდაპირი და უშუალო, რასაც განსახილველი დავის ფარგლებში მოსარჩელე ვერ ადასტურებს; ვერ ასაბუთებს მიზეზობრივ კავშირს მის მი-

მართ შესაძლო დამდგარ ზიანსა (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და ეროვნული ბანკის ქმედებას შორის. მოცემულ შემთხვევაში შპს „...“ ვერ დაამტკიცა, რომ მიკროსაფინანსო ორგანიზაციებმა შეწყვიტეს მასთან თანამშრომლობა და სავალდებულო აუდიტორული მომსახურების განევაზე უარი სწორედ ეროვნული ბანკის წერილის საფუძველზე უთხრეს.

აუდიტორული ფირმებისათვის სავალდებულო აუდიტის ჩატარების უფლება შეიზღუდა არა ეროვნული ბანკის წერილით, არამედ სადავო პერიოდში მოქმედი „ბულალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-7 პუნქტის იმპერატიული მოთხოვნით.

ეროვნული ბანკის მიერ მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისათვის წერილის გაგზავნის დროს მოქმედი „ბულალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლი განსაზღვრავდა აუდიტის ჩატარების უფლებამოსილების მინიჭებას. კერძოდ, აღნიშნული მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საქართველოში რეგისტრირებული იურიდიული პირი, უცხოეთში რეგისტრირებული პირის საქართველოში არსებული ფილიალი და ფიზიკური პირი საქართველოში აუდიტის ჩატარების უფლებამოსილებას იძენდნენ აუდიტორთა რეესტრში (შემდგომ – რეესტრი) რეგისტრაციის შემდეგ; ამავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, რეესტრს ანარმოებდა (ანარმოებდნენ) აკრედიტებული პროფესიული ორგანიზაცია (ორგანიზაციები); მე-3 პუნქტის თანახმად, საქართველოში რეგისტრირებული იურიდიული პირი, უცხოეთში რეგისტრირებული პირის საქართველოში არსებული ფილიალი ან ფიზიკური პირი რეესტრში რეგისტრაციისათვის განცხადებით მიმართავდა იმ აკრედიტებულ პროფესიულ ორგანიზაციას, რომელშიც განეწესებული იყო იგი; ხოლო მე-4 პუნქტის თანახმად, საქართველოში რეგისტრირებული იურიდიული პირის, უცხოეთში რეგისტრირებული პირის საქართველოში არსებული ფილიალის ან ფიზიკური პირის მიერ ამ მუხლის მე-6–მე-9 პუნქტებში აღნიშნული შესაბამისი მოთხოვნების დაკმაყოფილების შემთხვევაში აკრედიტებული პროფესიული ორგანიზაცია ვალდებული იყო დაერეგისტრირებინა იგი შესაბამის რეესტრში. ამასთან, ამავე მუხლის მე-5 პუნქტის მიხედვით, რეესტრი არის 2 ტიპის: ა) სავალდებულო აუდიტის ჩატარების უფლების მქონე პირთა რეესტრი, რომელშიც რეგისტრირებული არიან ის აუდიტორები/აუდიტორული ფირმები, რომლებსაც აქვთ სავალდებულო აუდიტის ჩატარების უფლება; ბ) სავალ-

დებულო აუდიტის ჩატარების უფლების არმქონე პირთა რეესტრი, რომელშიც რეგისტრირებული არიან ის აუდიტორები/ აუდიტორული ფირმები, რომლებსაც არ აქვთ სავალდებულო აუდიტის ჩატარების უფლება; ხოლო ამავე მუხლის მე-6 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, ამავე პუნქტით განსაზღვრულ სხვა მოთხოვნებთან ერთად სავალდებულო აუდიტის ჩატარების უფლების მქონე პირთა რეესტრში რეგისტრაციით დაინტერესებული საქართველოში რეგისტრირებული იურიდიული პირი ან უცხოეთში რეგისტრირებული პირის საქართველოში არსებული ფილიალი უნდა ყოფილიყო აკრედიტებული პროფესიული ორგანიზაციის წევრი.

„ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, აუდიტი შეიძლება ჩატარდეს სავალდებულო ან საინიციატივო წესით. ხოლო ამავე მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად, სავალდებულო აუდიტის ჩატარების უფლება აქვს მხოლოდ სავალდებულო აუდიტის ჩატარების უფლების მქონე პირთა რეესტრში რეგისტრირებულ აუდიტორს/აუდიტორულ ფირმას. ამასთანავე, იგი უნდა ჩაატაროს ამ აუდიტორმა/აუდიტორულ ფირმაში დასაქმებულმა სერტიფიცირებულმა პროფესიონალმა ბუღალტერმა.

ამდენად, ზოგადი წესის თანახმად, სადავო სამართალურ-თიერთობის დროს მოქმედი კანონმდებლობით, სავალდებულო აუდიტის ჩატარების უფლება ჰქონდა მხოლოდ სავალდებულო აუდიტის ჩატარების უფლების მქონე პირთა რეესტრში რეგისტრირებულ აუდიტორს/აუდიტორულ ფირმას, ხოლო სავალდებულო აუდიტის ჩატარების უფლების მქონე პირთა რეესტრში რეგისტრაციისათვის დაინტერესებული პირი უნდა ყოფილიყო აკრედიტებული პროფესიული ორგანიზაციის წევრი.

აღნიშნული ნორმებით დადგენილი სავალდებულო მოთხოვნებიდან საგამონაკლისო წესს ადგენდა „ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის გარდამავალი დებულებები, კერძოდ, მე-16 მუხლის მე-9 პუნქტის მიხედვით, 2013 წლის 1 იანვრის შემდეგ სავალდებულო აუდიტის ჩატარების უფლების მქონე პირთა რეესტრში რეგისტრაციას ექვემდებარებოდნენ საქართველოს საგადასახადო კოდექსის 202-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული აუდიტორები/აუდიტორული ფირმები; მე-10 პუნქტის თანახმად, ამ მუხლის მე-9 პუნქტით გათვალისწინებული წესი მოქმედებდა 2013 წლის 1 იანვრიდან 4 წლის განმავლობაში; ხოლო მე-15 პუნქტის

თანახმად, 2015 წლის 1 ივნისამდე აუდიტორებს/აუდიტორულ ფირმებს პროფესიულ ორგანიზაციებში განწევრება არ მოეთხოვებოდათ.

„ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის გარდამავალ დებულებებში 28.05.2015წ. და 24.12.2015წ. განხორციელებული ცვლილებებით მე-16 მუხლის მე-15 პუნქტით განსაზღვრული პირობა ჯერ 2015 წლის 31 დეკემბრამდე, ხოლო შემდგომ 2016 წლის 1 ივნისამდე გაგრძელდა. ამასთან, განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებებით, აღნიშნულ მუხლს დაემატა მე-17 პუნქტი, რომლის მიხედვით, 2016 წლის 1 ივნისამდე აკრედიტებული პროფესიული ორგანიზაცია ვალდებული იყო აუდიტორი/აუდიტორული ფირმა შესაბამის რეესტრში დაერეგისტრირებინა ამ ორგანიზაციაში მისი განწევრების მოთხოვნის გარეშე. ამასთანავე, აუდიტორს/აუდიტორულ ფირმას, რომელიც შესაბამის რეესტრში რეგისტრირებული არ იყო, არ ჰქონდა აუდიტის ჩატარების უფლება.

ამასთან, სააპელაციო სასამართლოს მიერ გასაჩივრებული განჩინების მიღებისა და საკასაციო საჩივრის წარდგენის შემდგომ „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს 2016 წლის 8 ივნისის კანონით ძალადაკარგულად გამოცხადდა „ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ“ საქართველოს 2012 წლის 29 ივნისის კანონი (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე ([www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge)), 13.07.2012, სარეგისტრაციო კოდი: 260000000.05.001.016869).

საქმეზე დადგენილია, რომ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 5 სექტემბრის №360 დადგენილებით შპს „...“ შეყვანილია საწარმოებისათვის აუდიტორული ფინანსური ანგარიშგების განმხორციელებელ ან/და საექსპერტო და აუდიტორული დასკვნების გამცემ პირთა ნუსხაში.

ტირებული ფინანსური ანგარიშგების განმხორციელებელ ან/და საექსპერტო და აუდიტორული დასკვნების გამცემ პირთა ნუსხაში.

ამასთან, დადგენილია, რომ შპს „...“ არ წარმოადგენს სავალდებულო აუდიტის ჩატარების უფლების მქონე პირთა რეესტრში რეგისტრირებულ პირს.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისათვის შეტყობინების გაგზავნისას ეროვნული ბანკის მიზანი იყო მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს 2014 წლის ანგარიშგების აუდიტი ჩატარებინათ „ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესაბამისად, ვინაიდან „ბუღალ-

ტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შე-  
სახებ“ საქართველოს კანონის 6.18 მუხლის თანახმად, საქარ-  
თველოში რეგისტრირებული იურიდიული პირის, უცხოეთში რე-  
გისტრირებული პირის საქართველოში არსებული ფილიალის ან  
ფიზიკური პირის მიერ აუდიტის შესაბამის რეესტრში რეგის-  
ტრაციის გარეშე ჩატარების შემთხვევაში აუდიტი ჩატარებუ-  
ლად არ ჩაითვლებოდა. ეროვნული ბანკის უფლებამოსილებას  
არ წარმოადგენს, კანონისგან დამოუკიდებლად, რომელიმე აუ-  
დიტორულ კომპანიას მიანიჭოს ან აუკრძალოს აუდიტორული  
საქმიანობის განხორციელება. ეროვნულმა ბანკმა წერილი მის  
ზედამხედველობას დაქვემდებარებულ ორგანიზაციებს გაუგ-  
ზავნა, რომელიც კანონის იმპერატიულ მოთხოვნაზე მიუთითებ-  
და და კონკრეტულ აუდიტორულ ფირმებს არ უკრძალავდა აუ-  
დიტორული საქმიანობის განხორციელებას.

ამასთან, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კო-  
დექსის 24-ე მუხლით გათვალისწინებული მავალდებულებელი  
სარჩელის მოთხოვნა საჭიროებს ადმინისტრაციული ორგანოს  
(მისი უფლებამოსილებიდან გამომდინარე) მოქმედების გან-  
ხორციელების ან მოქმედების განხორციელებისაგან თავის შე-  
კავების ვალდებულების დადგენას.

დადგენილია, რომ ეროვნულ ბანკში წარდგენილი განცხა-  
დებებით მოსარჩელე მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისათვის  
გაგზავნილ შეტყობინებაში მთავრობის №360 დადგენილებით  
განსაზღვრული აუდიტორული კომპანიების სრული ჩამონათ-  
ვალის მითითებას ითხოვდა, ხოლო მოცემული დავის ფარგლებ-  
ში მოსარჩელის მიზანია ეროვნულმა ბანკმა შპს „...“ მიმართ გას-  
ცეს მითითება მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შემოწმების  
უფლებამოსილების მინიჭების თაობაზე, რისი ვალდებულებაც  
ეროვნულ ბანკს არ ეკისრება. კანონმდებლობა არ ითვალისწი-  
ნებს ეროვნული ბანკისთვის აღნიშნული ვალდებულების დამ-  
დგენ სამართლებრივ საფუძველს. ამასთან, მოსარჩელე არ არის  
ეროვნული ბანკის ზედამხედველობას დაქვემდებარებული სუ-  
ბიექტი, შესაბამისად, ეროვნული ბანკი მოკლებულია შესაძ-  
ლებლობას მის მიმართ გასცეს მითითება.

განსახილველი დავის ფარგლებში, ეროვნული ბანკის მიმართ  
წარდგენილი მავალდებულებელი სარჩელის პირობებში არ არ-  
სებობს შპს „...“ მოთხოვნის დაკმაყოფილების სამართლებრივი  
საფუძველები და წარმოდგენილი სარჩელით დასახული მიზნის  
მიღწევის სამართლებრივი მექანიზმი.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ შპს „...“ სა-  
კასაციო საჩივარი უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს,

რადგან გასაჩივრებული თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 22 მარტის განჩინება არსებითად სწორია, არ არსებობს მისი გაუქმების სამართლებრივი საფუძველი და იგი საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის თანახმად, დატოვებულ უნდა იქნეს უცვლელად.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

**და ა დ გ ი ნ ა:**

1. შპს „...“ საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 22 მარტის განჩინება;
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.



## 2. საჯარო და საიდუმლო ინფორმაციის გაცემის საკითხი

### საჯარო ინფორმაციის გაცემის ვალდებულება

#### განჩინება

№ბს-403-398(კ-14)

23 ივლისი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
მ. ვაჩაძე,  
ვ. როინიშვილი

**დავის საგანი:** საჯარო ინფორმაციის გაცემა

#### აღწერილობითი ნაწილი:

ნ. ჯ-ამ 22.10.2013წ. სარჩელი აღძრა თბილისის საქალაქო სა-  
სამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში მოპასუხე  
საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიმართ 24.09.2013წ. გან-  
ცხადებაში მითითებული საჯარო ინფორმაციის გაცემის, ასევე  
მატერიალური (25 ლარი) და მორალური (300 ლარი) ზიანის ანაზ-  
ღაურების მოთხოვნით. 11.12.2013წ. მოსარჩელემ დააზუსტა სა-  
სარჩელო მოთხოვნა, უარი თქვა მატერიალური ზიანის ანაზღა-  
ურებაზე, ამ ნაწილში საქმის წარმოება შეწყდა. საბოლოოდ მო-  
სარჩელემ მოითხოვა თანამდებობის პირების ვინაობის, თითო-  
ეულ მათგანზე 2012 წლის 1 ოქტომბრიდან 2013 წლის 24 სექ-  
ტემბრამდე გაცემული პრემიის ოდენობის შესახებ ინფორმა-  
ციის გაცემა, მორალური ზიანის ანაზღაურება 300 ლარის ოდე-  
ნობით.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ 24.09.2013წ. მიმართა საქართვე-  
ლოს ფინანსთა სამინისტროს საჯარო ინფორმაციის გაცემის  
მოთხოვნით, რომელიც შეეხებოდა სამინისტროში მომუშავე თა-  
ნამდებობის პირებზე, თითოეულზე ცალ-ცალკე, გაცემული  
პრემიების ოდენობას 2012 წლის 01 ოქტომბრიდან 2013 წლის  
24 სექტემბრამდე. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სა-  
ჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე  
პასუხისმგებელმა პირმა 29.10.2013წ. წერილით განმცხადებელს  
აცნობა, რომ 2012 წლის 01 ოქტომბრიდან 2013 წლის 01 ოქტომ-  
ბრამდე პერიოდში საქართველოს ფინანსთა სამინისტროში და-

საქმებულ პირებზე გაცემული პრემიების ჯამური ოდენობა შეადგენდა 2 937 980 ლარს. ამასთან დამატებით ეცნობა, რომ სამინისტროს ხელმძღვანელ თანამდებობის პირთა ხელფასები-სა და პრემიების შესახებ დეტალურ ინფორმაციას შეეძლო გაცნობოდა საჯარო ინფორმაციის ბიუროს „თანამდებობის პირთა ქონებრივი დეკლარაციის ონლაინ სისტემის“ გამოყენებით ვებ-გვერდზე წწ.დეკლარაციონ.გოვ.გე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 20.12.2013წ. გადაწყვეტილებით ნ. ჯ-ას სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დაევალა მოსარჩელის 24.09.2013წ. განცხადებით მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის – თანამდებობის პირების ვინაობისა და „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული თითოეული თანამდებობის პირის მიმართ 2012 წლის 01 ოქტომბრიდან 2013 წლის 24 სექტემბრამდე გაცემული პრემიების ოდენობის შესახებ საჯარო ინფორმაციის გაცემა.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა ზაკ-ის 28-ე მუხლზე, მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „მ“ ქვეპუნქტზე და აღნიშნა, რომ საჯარო დაწესებულებას საჯარო ინფორმაციის გაცემის ვალდებულება არ აქვს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის შეიცავს პირად, კომერციულ ან სახელმწიფო საიდუმლოებას ან თუ მოთხოვნილი ინფორმაცია არ არის მის მიერ მიღებული, დამუშავებული, შექმნილი, გაგზავნილი ან მასთან დაცული. სასამართლომ ზაკ-ის 37-ე, 38-ე მუხლების საფუძველზე მიუთითა, რომ მოსარჩელის მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია კონკრეტული თანამდებობის პირების მიერ პრემიის სახით კონკრეტული თანხის მიღებაზე ვებ-გვერდზე [www.declaration.gov.ge](http://www.declaration.gov.ge) განთავსებული არ არის. ამასთანავე, პროაქტიული გამოქვეყნება ზაკ-ის 40.3 მუხლის თანახმად, არ ათავისუფლებს საჯარო დაწესებულებას იმავე ან სხვა საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის შემთხვევაში მისი დადგენილი წესით გაცემის ვალდებულებისაგან. სასამართლომ მიიჩნია, რომ მოთხოვნილი ინფორმაციის გაცნობის საშუალებას არ იძლევა „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ კანონით გათვალისწინებული თანამდებობის პირის მიერ ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის წარდგენა და შესაბამის ვებ-გვერდზე ([www.declaration.gov.ge](http://www.declaration.gov.ge)) განთავსება, რადგან დეკლარაციაში მიეთითება წინა წლის განმავლობაში ნებისმიერი ანაზღაურებადი სამუშაოდან მიღებული საერთო თანხა. დეკლარაცია არ შეიცავს განმცხადებლის მიერ მოთხოვნილ ინფორმაციას 2012

წლის 01 ოქტომბრიდან 2013 წლის 24 სექტემბრამდე პერიოდის პრემირებული თანამდებობის პირების ვინაობის და პრემიალური თანხების ოდენობის შესახებ.

სასამართლომ მიუთითა ზაკ-ის 27-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტზე, 42-ე, 44.1 მუხლებზე, „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ კანონის მე-2 მუხლის 1-ლი პუნქტის „ე“, „თ“ ქვეპუნქტებზე და აღნიშნა, რომ კოდექსი, როგორც მმართველობის სფეროში მონაცემთა დაცვის სპეციალური კანონი, თანამდებობის პირთა მიმართ პერსონალური მონაცემების დაცვის განსხვავებულ სტანდარტს ამკვიდრებს. თანამდებობის პირებთან დაკავშირებით პირადი საიდუმლოების შემცველი ინფორმაციის საჯაროობა ემსახურება ლეგიტიმურ მიზანს – უზრუნველყოს თანამდებობის პირთა შესახებ ინფორმაციის ტრანსფარენტობა, გამჭვირვალობა. სასამართლომ ზემოაღნიშნული ნორმების, ზაკ-ის 33<sup>1</sup>, 24-ე მუხლებისა და საქმის ფაქტობრივი გარემოებების ურთიერთშეჯერების საფუძველზე მიიჩნია, რომ სარჩელი საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის შესახებ კანონიერია და უნდა დაკმაყოფილდეს. რაც შეეხება მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნას, სასამართლომ სსკ-ის მე-18, 413-ე მუხლების საფუძველზე მიიჩნია, რომ არ არსებობს მოპასუხისათვის მორალური ზიანის ანაზღაურების დაკისრების საფუძველი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 20.12.2013წ. გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გასაჩივრდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 20.03.2014წ. განჩინებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ სსკ-ის 377-ე მუხლსა და 390-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე სრულად გაიზიარა საქალაქო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები, მათი სამართლებრივი შეფასება და მიიჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ სამართლებრივი თვალსაზრისით სწორად შეაფასა საქმესთან დაკავშირებული ფაქტობრივი გარემოებები, ხოლო აპელანტმა ვერ წარადგინა გასაჩივრებული გადაწყვეტილების უსწორობის დამადასტურებელი არგუმენტები. პალატამ აღნიშნა, რომ მოპასუხემ ნ.ჯ-ას ისეთი ინფორმაცია მიაწოდა, რომლის განსაჯაროებაც განმცხადებელს არ მოუთხოვია, კერძოდ, მოსარჩელეს მიენოდა ინფორმაცია პრემიების ჯამური ოდენობის შესახებ მაშინ, რო-

დესაც ნ. ჯ-ამ მოითხოვა კონკრეტული, პერსონიფიცირებული ინფორმაცია თანამდებობის პირებისა და მათ მიერ აღებული პრემიების შესახებ. აღნიშნული ინფორმაციის მიღება შეუძლებელია აგრეთვე წერილში მითითებული ვებ-გვერდიდან ([www.declaration.gov.ge](http://www.declaration.gov.ge)), რადგან „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ კანონის მე-15 მუხლის შესაბამისად, დეკლარაციაში მიეთითება თანამდებობის პირის მიერ ერთი წლის განმავლობაში მიღებული ერთიანი შემოსავალი, თუმცა არ მიეთითება შემოსავლის შემადგენელი კომპონენტების კონკრეტული ოდენობა.

სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ სადავო საკითხის გადასაწყვეტად გამოყენებული ვერ იქნება საქართველოს მთავრობის 26.08.2013წ. №219 დადგენილება „საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნისა და პროაქტიული გამოქვეყნების შესახებ“, რადგან აღნიშნული დადგენილება განსაზღვრავს საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის წესსა და პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი საჯარო ინფორმაციის ნუსხას. ნუსხის ანალიზი ცხადყოფს, რომ ნ. ჯ-ას მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია ამ ნუსხაში არ არის, რაც არ ნიშნავს იმას, რომ აღნიშნული ინფორმაცია დაცულია გამჟღავნებისგან. სხელებული ნორმატიული აქტი არ შეიცავს ისეთ სახისა და შინაარსის ქცევის ზოგად წესს, რომელიც შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს მიმდინარე დავის გადაწყვეტისათვის.

სააპელაციო პალატამ საქართველოს კონსტიტუციის 41.2 მუხლზე მითითებით აღნიშნა, რომ აპელანტი ვერ ასაბუთებს, თუ რატომ უნდა იქნეს დაცული გამჟღავნებისგან აღნიშნული ინფორმაცია, მაშინ, როცა თანამდებობის პირის (მისი ოჯახის წევრის) სხვა, არანაკლებ მგრძნობიარე და ზოგ შემთხვევაში – უფრო მეტად მგრძნობიარე პერსონალურ მონაცემებს ასაჯაროებს „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ კანონი, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი და საქართველოს კონსტიტუცია.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 20.03.2014წ. განჩინება საკასაციო წესით გასაჩივრდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

კასატორმა აღნიშნა, რომ ნ. ჯ-ამ 24.09.2013წ. განცხადებით მიმართა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს და მოითხოვა

სამინისტროში მომუშავე თანამდებობის პირებზე გაცემული პრემიების ოდენობის შესახებ ინფორმაცია 2012 წლის 01 ოქტომბრიდან 2013 წლის 24 სექტემბრამდე. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის 29.10.2013წ. წერილით განმცხადებლის მოთხოვნა დაკმაყოფილდა და მას ეცნობა, რომ მითითებულ პერიოდში საქართველოს ფინანსთა სამინისტროში დასაქმებულ პირებზე გაცემული პრემიების ჯამური ოდენობა შეადგენდა 2 937 980 ლარს. სამინისტრომ აღნიშნა, რომ „საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნისა და პროაქტიული გამოქვეყნების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 26.08.2013წ. №219 დადგენილების 5.3 პუნქტის საფუძველზე ფინანსთა სამინისტრომ მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია გასცა ჯამური დაანგარიშებით არსებული მონაცემებით. ამასთანავე განმცხადებელს დამატებით განემარტა, რომ სამინისტროს ხელმძღვანელ თანამდებობის პირთა ხელფასებისა და პრემიების შესახებ დეტალური ინფორმაციის მიღება შესაძლებელი იყო „თანამდებობის პირთა ქონებრივი დეკლარაციის ონლაინ სისტემის“ გამოყენებით, ვებ-გვერდზე – [www.declaration.gov.ge](http://www.declaration.gov.ge).

კასატორს, საქართველოს კონსტიტუციის 41.2 მუხლის საფუძველზე, მიაჩნია, რომ დაუშვებელია პირის ფინანსურ საკითხებთან დაკავშირებით ინფორმაციის გაცემა თავად ამ პირის თანხმობის გარეშე. ნ. ჯ-ას არ წარმოუდგენია მტკიცებულებები, რომლითაც დადასტურდებოდა, რომ აღნიშნული ინფორმაცია გამომდინარეობდა საზოგადოების უსაფრთხოების ან უშიშროების უზრუნველყოფის მიზნებიდან. შესაბამისად, მოსარჩელეს არ გააჩნია ინფორმაციის გაცემის კანონიერი მოთხოვნა.

კასატორმა აღნიშნა, რომ ნ. ჯ-ას საჯარო ინფორმაცია მიენოდა მოთხოვნილი ფორმით – წერილობით. სწორედ 29.10.2013წ. წერილში აისახა ინფორმაცია ვებ-გვერდის შესახებ, რომლის მეშვეობით ნ. ჯ-ას ბევრად მეტი ინფორმაციის მიღება შეეძლო.

სსკ-ის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად საკასაციო სასამართლომ საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე გამოიტანა განწყვეტილება.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო პალატა საქმის მასალების და საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლის შედეგად თვლის, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, უცვლელად უნდა დარჩეს

გასაჩივრებული განჩინება, შემდეგ გარემოებათა გამო:

სასკ-ის 24-ე მუხლი ითვალისწინებს მავალდებულებელი სარჩელის განსაკუთრებული ფორმის – მოქმედების განხორციელების თაობაზე მიკუთვნებითი სარჩელის აღძვრის შესაძლებლობას, მისი მეშვეობით შესაძლებელია ნებისმიერი ადმინისტრაციული ზომების (რეალაქტის) განხორციელების მოთხოვნა, რომელიც არ გულისხმობს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას. ასეთი სარჩელის მოთხოვნა საჭიროებს ადმინისტრაციული ორგანოს, მოცემულ შემთხვევაში, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, უფლებამოსილებიდან გამომდინარე ასეთი მოქმედების განხორციელების ვალდებულების დადგენას. სზაკ-ის 27-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, კოდექსის მე-3 თავის („ინფორმაციის თავისუფლება“) მიზნებისთვის, აგრეთვე საქართველოს მთავრობის 15.07.14წ. №449 დადგენილებით დამტკიცებული „საჯარო დაწესებულებებში პრემიის ოდენობის განსაზღვრის წესის“ მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად ამ წესის მიზნებისათვის სამინისტრო არის საჯარო დაწესებულება. სზაკ-ის 38-ე მუხლის თანახმად, საჯარო დაწესებულება ვალდებულია უზრუნველყოს საჯარო ინფორმაციის ასლების ხელმისაწვდომობა.

საქმის მასალებს მიხედვით, მოსარჩელე 24.09.2013წ. განცხადებით მიმართა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს და მოითხოვა თითოეული თანამდებობის პირის მიმართ 2012 წლის 01 ოქტომბრიდან 2013 წლის 24 სექტემბრამდე გაცემული პრემიების ოდენობის შესახებ საჯარო ინფორმაციის გაცემა. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელმა პირმა 29.10.2013წ. წერილით განმცხადებელს აცნობა, რომ 2012 წლის 01 ოქტომბრიდან 2013 წლის 01 ოქტომბრამდე პერიოდში საქართველოს ფინანსთა სამინისტროში დასაქმებულ პირებზე გაცემული პრემიების ჯამური ოდენობა შეადგენდა 2 937 980 ლარს. განმცხადებელს დამატებით ეცნობა, რომ სამინისტროს ხელმძღვანელ თანამდებობის პირთა ხელფასებისა და პრემიების შესახებ დეტალური ინფორმაციის მიღება შესაძლებელი იყო საჯარო ინფორმაციის ბიუროს თანამდებობის პირთა ქონებრივი დეკლარაციის ონლაინ სისტემის გამოყენებით ვებ-გვერდზე [www.declaration.gov.ge](http://www.declaration.gov.ge).

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს კასატორის მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ ნ. ჯ-ას 23.09.13წ. განცხადების მოთხოვნა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუ-

ხისმგებელი პირის 29.10.13წ. №01-02/83322 წერილით დაკმა-  
ყოფილდა და განმცხადებელმა მიიღო ინფორმაცია საქართვე-  
ლოს ფინანსთა სამინისტროს თანამშრომლებისათვის ჩარიც-  
ხული პრემიების ჯამური ოდენობის შესახებ. საქმის მასალე-  
ბით დასტურდება, რომ განმცხადებელი მოითხოვდა არა ზო-  
გად, ჯამურ ინფორმაციას, არამედ მითითებას კონკრეტული  
თანამდებობის პირებსა და მათთვის ჩარიცხული პრემიების  
ოდენობებზე. საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვი-  
ლებს იმ გარემოებაზე, რომ 23.09.2013წ. წერილით განმცხადე-  
ბელი – ნ. ჯ-ა, ითხოვდა ფულადი პრემიების შესახებ ინფორმა-  
ციას, განცხადების ტექსტის თანახმად, განმცხადებელი ით-  
ხოვდა სამინისტროსგან ინფორმაციას პრემიების მიმღები კონ-  
კრეტული პირების შესახებ, ინფორმაციას კონკრეტულ პირებ-  
ზე გაცემული თანხების ოდენობისა და დარიცხვის საფუძვლე-  
ბის შესახებ, რომელიც მოპასუხის მიერ მითითებულ საიტზე  
(დეკლარატიონ.გოვ.გე) განთავსებული არ არის. საკასაციო სა-  
სამართლო იზიარებს სააპელაციო პალატის მოსაზრებას იმას-  
თან დაკავშირებით, რომ განმცხადებელ ნ. ჯ-ას უარი ეთქვა  
სწორედ რომ მის მიერ მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის გა-  
ცემაზე და არა მოთხოვნილი ინფორმაციის გაცემის მიზნით ინ-  
ფორმაციის გაცემის რომელიმე კონკრეტული ფორმის გამოყე-  
ნებაზე. სამინისტროს 29.10.13წ. №01-02/83322 წერილით გან-  
მცხადებელს ეცნობა კრებსითი ინფორმაცია გაცემული პრემი-  
ების ჯამური ოდენობის შესახებ, მისი დაკონკრეტება – პერ-  
სონიფიცირება შეუძლებელია მაშინ, როდესაც განმცხადებე-  
ლი მოითხოვდა პერსონიფიცირებულ ინფორმაციას. მართალია  
თანამდებობის პირის ქონებრივი დეკლარაცია პერსონალურია  
და შეიცავს ერთი კონკრეტული თანამდებობის პირის მიერ გა-  
სული წლის განმავლობაში მიღებულ ერთიან შემოსავალს, მაგ-  
რამ დეკლარაციაში არ მიეთითება შემოსავლის შემადგენელი  
კომპონენტები. ამდენად, მართებულია სააპელაციო პალატის  
მოსაზრება იმის შესახებ, რომ სამინისტროს წერილში ვებ-გვერ-  
დზე მითითება წარმოადგენს არამართო ინფორმაციის არასა-  
თანადო წყაროს, არამედ ასევე ინფორმაციის გაცემის არასა-  
თანაო ფორმას, ვინაიდან განმცხადებელს არ უთხოვია მისთვის  
საინტერესო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით გაცემა.  
ამასთანავე, პროაქტიული გამოქვეყნება ანუ შესაბამისი კანონ-  
ქვემდებარე ნორმატიული აქტით დადგენილი წესით საჯარო  
დანესებულების მიერ საზოგადოებრივი ინტერესის მატარებე-  
ლი საჯარო ინფორმაციის ელექტრონულ რესურსზე განთავსე-  
ბა, სზაკ-ის მე-40.2 მუხლის, აგრეთვე „საჯარო ინფორმაციის



ელექტრონული ფორმით მოთხოვნისა და პროაქტიულად გამოქვეყნების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 26.08.2013წ. №219 დადგენილების 2.4 მუხლის თანახმად, არ ათავისუფლებს საჯარო დანებსებულებას საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის შემთხვევაში მისი დადგენილი წესით გაცემის ვალდებულებისაგან. ზაკის 37-ე მუხლის მიხედვით ყველას აქვს საჯარო ინფორმაციის მიღების ფორმის არჩევის უფლება. მოსარჩელეს საჯარო ინფორმაციის გაცემა შესაბამის ვებ-გვერდზე მითითებით არ მოუთხოვია. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საფუძველს არის მოკლებული კასატორის საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ მოთხოვნილი ინფორმაცია სამინისტროს თანამდებობის პირთა შესახებ მოსარჩელისათვის ხელმისაწვდომია საიტის მეშვეობით. აღნიშნულს არ ცვლის კასატორის მითითება „საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნისა და პროაქტიული გამოქვეყნების შესახებ“ 26.08.2013წ. საქართველოს მთავრობის №219 დადგენილების დანართი ნუსხის 5.3 პუნქტზე. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქართველოს მთავრობის 26.08.13წ. №219 დადგენილების დანართის – „პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის ნუსხის“ 5.3 პუნქტი ითვალისწინებს სარგოს, დანამატებისა და პრემიების კვარტალური ოდენობის შესახებ თანამდებობის პირებზე ჯამურად გამოქვეყნებას, რაც ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის მსგავსად არ იძლევა ამ ინფორმაციის პერსონიფიცირების შესაძლებლობას. მოქალაქის ლეგიტიმური უფლებაა იცოდეს თუ ზოგადად რა რაოდენობის თანხა გაიცა პრემიების სახით, რა პროპორციით განაწილდა ეს თანხები თანამდებობის პირებს შორის.

საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლის თანახმად, ოფიციალურ ჩანაწერებში არსებული ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებულია ადამიანის ჯანმრთელობასთან, მის ფინანსებთან ან სხვა კერძო საკითხებთან, არავისთვის არ უნდა იყოს ხელმისაწვდომი თვით ამ ადამიანის თანხმობის გარეშე, გარდა კანონით დადგენილი შემთხვევებისა. ინფორმაციის თავისუფლებას საქართველოს კონსტიტუცია გამორჩეულ მნიშვნელობას ანიჭებს. დემოკრატიული წესწყობილებისათვის დამახასიათებელია სახელმწიფოებრივი ინსტიტუტების საქმიანობის მაქსიმალური გამჭვირვალობა. სხვადასხვა ოფიციალური დოკუმენტებიდან ინფორმაციის მიღება ექვემდებარება კანონისმიერ მონესრიგებას. პირად მონაცემებზე უფლება არ არის აბსოლუტური და შეუზღუდავი. ინფორმაციული თვითგამორკვევის უფლება შესაძლებელია შეიზღუდოს საერთო ინტერესებიდან

გამომდინარე. გამჭვირვალობის საჯარო ინტერესებიდან გამომდინარე, კანონმდებლობით განისაზღვრა ინფორმაცია, რომლის ღიაობა აღემატება ინფორმაციის გასაიდუმლოების ინტერესს. კერძოდ, პირად, მათ შორის ფინანსურ, მონაცემებს შეიცავს „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ კანონის მე-14, მე-15 მუხლებით გათვალისწინებული თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაცია, რომლის შინაარსი 18.2 მუხლის „ბ“, „დ“ ქვეპუნქტების, მე-19 მუხლის თანახმად საჯაროა. „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 37-ე მუხლის თანახმად მოსამსახურის შრომითი გასამრჯელო (ხელფასი) მოიცავს თანამდებობრივ სარგოს, პრემიას და კანონით გათვალისწინებულ დანამატს. ამდენად, პრემია არის მოსამსახურის შრომითი გასამრჯელოს (ხელფასის) ნაწილი, რომლის ინდივიდუალიზაციის საშუალებას არ იძლევა დეკლარაციაში მოცემული ინფორმაცია. უკეთეს „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ კანონით გათვალისწინებული თანამდებობის პირის და მისი ოჯახის წევრების შემოსავლების კრებსითი ინფორმაცია (სხვა ინფორმაციასთან ერთად) საყოველთაოდ ხელმისაწვდომია და არ ენიშნა დეკლარაცია კონსტიტუციის 41-ე მუხლს, დაუსაბუთებელია ხსენებული მუხლის მოშველიებით ღია ინფორმაციის ნაწილის – თანამდებობის პირის მიერ მიღებული პრემიალური თანხების შესახებ ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმა.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ადმინისტრაციული ორგანოების საქმიანობის გამჭვირვალობა სახელმწიფო მმართველობის კანონიერებისა და ლეგიტიმურობის პროპორციულია, საჯარო სამსახურის საქვეყნოობა, საჯარო სამსახურის საქმიანობის ძირითადი პრინციპია („საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის მე-13 მუხ.), დემოკრატიული საზოგადოებრივი წესწყობილების თვისებაა. მოსამსახურეთა შრომითი გასამრჯელოს (ხელფასის) ფონდის ფორმირების წყაროა ბიუჯეტი. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის მე-4 მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად ბიუჯეტის შესახებ ინფორმაცია (გარდა საიდუმლო ინფორმაციისა) ხელმისაწვდომია ნებისმიერი ფიზიკური და იურიდიული პირისათვის. ზაკ-ის 44-ე მუხლის თანახმად თანამდებობის პირის მონაცემი ღიაა, ფინანსებთან მიკუთვნებული ინფორმაცია არ განეკუთვნება განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალურ მონაცემთა წრეს („პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონის მე-5 მუხ.), შესაბამისად მისი დაცვა არ ხდება განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დაცვის რეჟიმში (კანონის მე-6 მუხ.). საკასაციო სასამართლო

აღნიშნავს, რომ მონაცემთა სამართლებრივ რეჟიმზე ზემოქმედებს პირის სტატუსი, კერძოდ, საჯარო პირების მონაცემთა დაცვის რეჟიმი განსხვავდება სხვა პირების სამართლებრივი დაცვის რეჟიმისაგან. საჯარო პირების მიმართ კერძო ცხოვრების შესახებ ინფორმაციის დაცვასთან შედარებით ინფორმაციის თავისუფლებას პრიორიტეტული მდგომარეობა ენიჭება, ვინაიდან საჯარო საქმიანობაზე პრეტენზიის მქონე პირი იმთავითვე ერთგვარ მზადყოფნას აცხადებს მისი კერძო ცხოვრების სფეროში შესაძლო შეღწევაზე. თანამდებობის პირის მითითება იმაზე, რომ ინფორმაცია მის პირად სფეროს ეხება არ ადასტურებს მისი თანხმობის გარეშე ინფორმაციის გაცემის შეუძლებლობას. საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიურად მონაწილე საჯარო პირი მზად უნდა იყოს იმისთვის, რომ მისი კერძო ცხოვრების დეტალები შესაძლოა იქცეს საზოგადოების და მასმედიის ინტერესის ობიექტად. აღნიშნული განაპირობებს არა მხოლოდ პოლიტიკოსების და სხვა საჯარო მოხელეთა, არამედ კანდიდატების კერძო ცხოვრების ერთგვარ ღიაობას, მათი პერსონალური მონაცემების ხელმისაწვდომობას. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ თანამდებობის პირთან დაკავშირებით პირადი სფეროს შემცველი ინფორმაციის საჯაროობა ემსახურება ლეგიტიმურ მიზანს – უზრუნველყოს თანამდებობის პირთა შესახებ ინფორმაციის ტრანსფორმაცია, გამჭვირვალობა, კანონმდებლობა (მაგ. „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ კანონის მე-15 მუხ.) ითვალისწინებს არათუ თანამდებობის პირთა, არამედ მათი ოჯახის წევრთა შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობას (სუს 30.05.136., №ბს-527-518(კ-12)). ამდენად, მომეტებული საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე თანამდებობის პირის მონაცემები სზაკ-ის 44-ე მუხლის თანახმად ღიაა. მხედველობაშია მისაღები, რომ სზაკ-ის 27-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, კოდექსის „ინფორმაციის თავისუფლების“ თავის მიზნებისათვის თანამდებობის პირი არის „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ კანონის მე-2 მუხლით გათვალისწინებული თანამდებობის პირი. „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ კანონის მე-2 მუხლის თანახმად, ამ კანონის მიზნებისთვის, თანამდებობის პირია საქართველოს მინისტრი და მისი მოადგილე, ასევე, საქართველოს სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფის ხელმძღვანელი, მისი მოადგილე და მათთან გათანაბრებული პირები, აგრეთვე სამმართველოს უფროსი და მისი მოადგილე. განსახილველ შემთხვევაში ნ. ჯ-ა სარ-

ჩელში და აგრეთვე 11.12.2013წ. სასამართლო სხდომაზე და-  
ზუსტებულ სასარჩელო მოთხოვნაში აღნიშნავს, რომ ითხოვს  
არა სამინისტროს ყველა თანამშრომლის, არამედ მხოლოდ თა-  
ნამდებობის პირების ვინაობის და თითოეულისათვის ჩარიც-  
ხული პრემიის თანხების ოდენობის შესახებ ინფორმაციას.

მოსარჩელის მოთხოვნა ეხება კონკრეტულ პირებზე გაცე-  
მული პრემიალური თანხების შესახებ ინფორმაციის გაცემის  
დავალებას, მოთხოვნილი ინფორმაცია იძლევა პირის იდენტი-  
ფიკაციის საშუალებას, ანუ ეხება პირის პერსონალურ მონაცე-  
მებს. საჯარო ინფორმაცია, რომელიც იძლევა იდენტიფიკაცი-  
ის შესაძლებლობას, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესა-  
ხებ“ კანონის მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად არის პი-  
რის პერსონალური მონაცემი, შესაბამისად ასეთ ინფორმაცია-  
ზე ვრცელდება პერსონალური მონაცემების დაცვის რეჟიმი. ამ-  
დენად, საკასაციო სასამართლო იზიარებს ფინანსთა სამინის-  
ტროს მოსაზრებას იმის შესახებ, რომ ზოგადი დანაწესის მი-  
ხედვით პირის ფინანსების შესახებ ინფორმაცია უკავშირდება  
ფინანსთა სამინისტროს მოსამსახურეების პერსონალურ მონა-  
ცემებს. სზაკ-ის 27<sup>1</sup> მუხლის თანახმად, პერსონალური მონა-  
ცემის ცნება, მათ დაცვასა და დამუშავებასთან დაკავშირებუ-  
ლი ურთიერთობები წესრიგდება „პერსონალურ მონაცემთა  
დაცვის შესახებ“ კანონით. აღნიშნული კანონი ადგენს პერსო-  
ნალური მონაცემების, მათ შორის განსაკუთრებული კატეგო-  
რიის მონაცემების ცნებას და დამუშავების საფუძვლებს. სზაკ-  
ის 28-ე მუხლის შესაბამისად საჯარო ინფორმაცია ღიაა, გარდა  
კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა და დადგენილი წე-  
სით პერსონალურ მონაცემებს, სახელმწიფო ან კომერციულ სა-  
იდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაციისა. საკასაციო პალა-  
ტა აღნიშნავს, რომ პერსონალური მონაცემების დაცვის კანონ-  
მდებლობისათვის დამახასიათებელია მისი აგება იდენტიფიკა-  
ციის კრიტერიუმზე, რომლის თანახმად პერსონალური მონა-  
ცემები იმთავითვე დახურულია, თუ კანონით სხვა რამ არ არის  
დადგენილი ან თუ პირი თავად არ ახდენს მონაცემის გახმაუ-  
რებას. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ პერსონალური  
მონაცემი არის პირადი ცხოვრების დაცვის ერთ-ერთი საშუა-  
ლება, პერსონალური მონაცემის დაცვაში საბოლოოდ პრიორი-  
ტეტი ენიჭება არა მგრძნობიარობის, არამედ იდენტიფიკაციის  
კრიტერიუმს – მონაცემი დაცვას ექვემდებარება უკეთეს, შე-  
საძლებელია პირის იდენტიფიკაცია. გამონაკლისს შეადგენს  
შემთხვევა, როდესაც კანონმდებლობით გათვალისწინებულია  
მონაცემის ხელმისაწვდომობა, ღიაობა. „პერსონალურ მონა-

ცემთა დაცვის შესახებ“ კანონის, აგრეთვე სზაკ-ში 25.05.12წ. კანონით შეტანილი ცვლილებების (მე-2 მუხ. „ნ“ ქვეპუნქტი, 44-ე მუხ., 99-ე მუხ.) თანახმად, პერსონალური მონაცემი კონფიდენციალურ ინფორმაციას განეკუთვნება. ამასთანავე, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ პერსონალური მონაცემების დაცვა კერძო ცხოვრების ხელშეუხებლობის ნაწილია, მონაცემთა დაცვის მომწესრიგებელი სამართლებრივი ნორმები პრაქტიკულად ყველა დარგში არსებობს (პერსონალური მონაცემების მარეგულირებელ საკანონმდებლო აქტებს განეკუთვნება სამოქალაქო კოდექსი, შრომის კოდექსი, საგადასახადო კოდექსი, „საარჩევნო კოდექსის შესახებ“ ორგანული კანონი, „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ კანონი, „სამოქალაქო მდგომარეობის შესახებ“ კანონი, „ეროვნული საარქივო ფონდისა და ეროვნული არქივის შესახებ“ კანონი, „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ კანონი, „ზოგადი განათლების შესახებ“ კანონი, „პაციენტების უფლებების შესახებ“ კანონი და სხვ.). მოცემულ შემთხვევაში, საკანონმდებლო აქტით – ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით გათვალისწინებულია თანამდებობის პირების პერსონალური მონაცემების ღიაობა, კერძოდ, სზაკ-ის 44-ე მუხლის თანახმად საჯარო დაწესებულება ვალდებულია არ გაახმაუროს პერსონალური მონაცემები – ინფორმაცია თითო ამ პირის თანხმობის ან კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში – სასამართლოს დასაბუთებული გადაწყვეტილების გარეშე, თანამდებობის პირთა (აგრეთვე თანამდებობაზე წარდგენილ კანდიდატთა) პერსონალური მონაცემების გარდა. ამდენად, სზაკ-ის 44-ე მუხლი შეიცავს საგამონაკლისო, სპეციალურ დებულებას თანამდებობის პირებისათვის (თანამდებობაზე წარდგენილი კანდიდატებისათვის). მონაცემთა დაცვა წარმოადგენს ტიპიურ მაგალითს სხვადასხვა სფეროს მომცველი გამჭოლი საკითხისა, რომელიც არ თავსდება ერთი უნივერსალური საკანონმდებლო აქტის რეგულაციაში (სუს 30.05.2013 წ., №ბს-527-518(კ-12)), ამასთანავე, მხედველობაში მისაღები, რომ მონაცემთა დაცვის საერთო რეგულაციასთან შედარებით მონაცემთა დაცვის სპეციალურ სფეროთა რეგულაციის ნორმებს უპირატესი, პრიორიტეტული ძალა ენიჭება, მონაცემთა დაცვის ზოგადი კანონი ძირითად მნიშვნელობას იძენს მონაცემთა დაცვის განსაკუთრებული რეგულაციის არ არსებობის პირობებში. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონი არ მიჯნავს ერთმანეთისაგან კერძო და საჯარო პირების პერსონალური მონაცემების დაცვის რეჟიმებს, საჯარო მოხელეებთან დაკავშირებული ინფორმაციის სამარ-

თლებრივი რეჟიმი სპეციალური კანონმდებლობით წესრიგდება. სზაკ-ი, როგორც მმართველობის სფეროში მონაცემთა დაცვის სპეციალური კანონი, თანამდებობის პირთა მიმართ შეიცავს სპეციალურ რეგულაციას, კოდექსის თანახმად თანამდებობის პირთა მიმართ პერსონალური მონაცემის დაცვის სტანდარტი განსხვავებულია.

სზაკ-ის 37.2 მუხლის შესაბამისად, საჯარო ინფორმაციის მისაღებად პირი წარადგენს წერილობით განცხადებას, განცხადებაში საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის მოტივის ან მიზნის მითითება არ არის სავალდებულო. ამავე კოდექსის 81.1 მუხლის მიხედვით ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილი არ არის მოსთხოვოს განმცხადებელს სხვა რაიმე დამატებითი საბუთის ან ინფორმაციის წარდგენა კანონით გათვალისწინებული საბუთის ან ინფორმაციის გარდა. საჯარო დაწესებულებაში არსებულ ოფიციალურ დოკუმენტაციაზე ხელმისაწვდომობის უფლებით პირი სარგებლობს იმისგან დამოუკიდებლად, თუ რა მიზნის მისაღწევად სჭირდება მას ინფორმაცია. ინფორმაციის მიღების მოტივი არ არის მნიშვნელოვანი არც საჯარო დაწესებულებისათვის და არც სასამართლოსათვის. ამდენად, კასატორის მოსაზრება, რომ ინფორმაციის გაცემისათვის განმცხადებელს უნდა დაესაბუთებინა საზოგადოებრივი უსაფრთხოების, სახელმწიფოებრივი უშიშროების საჭიროება არ ემყარება კანონმდებლობის მოთხოვნებს.

სასკ-ის 33<sup>1</sup> მუხლის შესაბამისად თუ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ რაიმე მოქმედების განხორციელება ან უარი რაიმე მოქმედების განხორციელებაზე უკანონოა და ის პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩელის უფლებას ან კანონიერ ინტერესს, სასამართლო კოდექსის 24-ე მუხლში აღნიშნულ სარჩელთან დაკავშირებით გამოიტანს გადანყვეტილებას, რომლითაც ადმინისტრაციულ ორგანოს ავალებს განახორციელოს ეს მოქმედება ან თავი შეიკავოს ამ მოქმედების შესრულებისაგან. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საკასაციო პალატა თვლის, რომ არსებობს თანამდებობის პირების ვინაობისა და თანამდებობის პირების მიმართ 2012 წლის 1 ოქტომბრიდან 2013 წლის 24 სექტემბრამდე გაცემული პრემიების ოდენობის შესახებ საჯარო ინფორმაციის გაცემის სამინისტროსათვის დავალების საფუძველი. ამდენად, საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლოს განჩინება სწორია, კანონის მითითებულ დარღვევას ადგილი არ აქვს, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებულ განჩინებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა, რაც სსკ-ის 410-ე მუხლის თანახ-

მად, საკასაციო სასამართლოს მიერ საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველს ქმნის.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 257-ე, 410-ე მუხლით და

**და ა დ გ ი ნ ა:**

1. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 20.03.2014წ. განჩინება;
2. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**პერსონალური მონაცემების უპეცველი ინფორმაცია**

**განჩინება**

№ბს-49-48(კ-16)

23 ივნისი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. სხირტლაძე,  
ვ. როინიშვილი

**დავის საგანი:** ქმედების განხორციელების დავალება

**აღწერილობითი ნაწილი:**

2015 წლის 24 თებერვალს ზ. ა-ემ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხის – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიმართ.

მოსარჩელის განმარტებით, მას ესაჭიროებოდა ინფორმაცია შინაგან საქმეთა სამინისტროს ყოფილ თანამშრომელზე, რომ-



ლის თაობაზეც განცხადებით მიმართა შინაგან საქმეთა სამინისტროს და მიიღო უარი იმ მიზეზით, რომ მის მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია წარმოადგენდა პერსონალური მონაცემების შემცველ ინფორმაციას. პირი რომლის თაობაზეც ითხოვს ინფორმაციას გარდაცვლილია. კერძოდ, მოსარჩელე ითხოვდა შინაგან საქმეთა სამინისტროს ყოფილ თანამშრომელზე – თ. ჭეზე, რომელიც გარდაიცვალა 2009 წლის ... .. ე.წ. „დაგეგმილ სპეცოპერაციაში“, ირიცხებოდა თუ არა სამსახურებრივ-სამტატო იარაღი (რა მოდელი, რა ფერი), ასევე როდის იქნა მასზე აღნიშნული იარაღი გადაცემული და დოკუმენტაცია მისი ხელმოწერით იარაღის ალების თაობაზე.

მოსარჩელის მითითებით, თ. ჭე-ე ატარებდა უკანონო იარაღს, რომელიც შემდეგ მას მიაწერეს, ხოლო მისი თანამშრომლები კი ამბობენ, რომ მას ჰქონდა ტაბელური იარაღი.

მოსარჩელის განმარტებით, ზემოაღნიშნული ინფორმაცია მას სჭირდება მის მიმართ წარმოებული სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით, კერძოდ, იგი ამზადებდა შუამდგომლობას ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის თაობაზე თბილისის სააპელაციო სასამართლოში წარსადგენად და აღნიშნული ინფორმაცია უნდა დაურთოს შუამდგომლობას მტკიცებულების სახით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ მოითხოვა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დავალებოდა გაეცა ინფორმაცია ირიცხებოდა თუ არა შინაგან საქმეთა სამინისტროს ყოფილ თანამშრომელზე – თ. ბ. ჭეზე სამსახურებრივ-სამტატო იარაღი, რა მოდელი, რა ფერის და როდის იქნა მასზე აღნიშნული იარაღი გაცემული, ასევე საბუთი მისი ხელმოწერით, რომლითაც ის ადასტურებს იარაღის ალებას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 21 აპრილის გადაწყვეტილებით ზ. ა-ის სარჩელი დაკმაყოფილდა; მოპასუხეს – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დაევალა შემდეგი ინფორმაციის გაცემა – ირიცხებოდა თუ არა შინაგან საქმეთა სამინისტროს ყოფილ თანამშრომელზე – თ. ბ. ჭეზე სამსახურებრივ-სამტატო იარაღი, რა მოდელი, რა ფერის და როდის იქნა მასზე აღნიშნული იარაღი გაცემული, ასევე საბუთი მისი ხელმოწერით, რომლითაც ის ადასტურებს იარაღის ალებას.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2015 წლის 20 იანვრის №125298 წერილით მსჯავრდებულ ზ. ა-ეს, მისივე განცხადების პასუხად ეცნობა, რომ ზ. ა-ის მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია წარმოად-

გენდა პერსონალური მონაცემების შემცველ ინფორმაციას, შე-  
საბამისად, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 44-ე მუხლის  
თანახმად, საჯარო დაწესებულება ვალდებულია არ გაახმაუ-  
როს პერსონალური მონაცემები თვით ამ პირის თანხმობის ან  
კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში – სასამართლოს და-  
საბუთებული გადაწყვეტილების გარეშე, თანამდებობის პირ-  
თა (აგრეთვე თანამდებობაზე წარდგენილ კანდიდატთა) პერ-  
სონალური მონაცემების გარდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-  
მეთა კოლეგიის 2015 წლის 24 მარტის განჩინებით საქართვე-  
ლოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დაევალა წარმოედგინა ინ-  
ფორმაცია იმის თაობაზე: ირიცხებოდა თუ არა შინაგან საქმე-  
თა სამინისტროს ყოფილ თანამშრომელზე – თ. ბ. ჭ-ეზე სამსა-  
ხურებრივ-საშტატო იარაღი, რა მოდელი, რა ფერის და როდის  
იქნა მასზე აღნიშნული იარაღი გაცემული, ასევე საბუთი მისი  
ხელმოწერით, რომლითაც ის ადასტურებს იარაღის აღებას აღ-  
ნიშნული ინფორმაცია შეიცავდა თუ არა რაიმე სახის საიდუმ-  
ლო ინფორმაციას, რა სახის და რის საფუძველზე.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2015 წლის 20  
აპრილის №831653 მომართვით თბილისის საქალაქო სასამარ-  
თლოს ეცნობა, რომ სპეციალური და საგანგებო ღონისძიებე-  
ბის ცენტრის შეიარაღების სამმართველო თავის ძირითად საქ-  
მიანობას წარმართავს შს მინისტრის 2013 წლის 31 დეკემბრის  
№1013 ბრძანების საფუძველზე, რაც ითვალისწინებს იარაღის,  
ტყვია-წამლის და სხვადასხვა აღჭურვილობის ბრუნვას. შესა-  
ბამისად, დოკუმენტაცია (ფორმა №7 და ფორმა №15) რითაც  
ხდება შს თანამშრომლებზე იარაღის გაცემა-ჩაბარება არ შეი-  
ცავს რაიმე სახის საიდუმლო ინფორმაციას.

სასამართლოს მითითებით, ადამიანის უფლებათა ევროპუ-  
ლი კონვენციის მე-10 მუხლი იცავს სხვათა იდეების მოპოვე-  
ბას, დამუშავებასა და შემდგომ გადაცემას. ხსენებული მუხ-  
ლის შესაბამისად, პიროვნებას აქვს იდეების და ცნობების მი-  
ღების უფლება საყოველთაოდ ხელმისაწვდომი წყაროებიდან,  
სახელმწიფოს ჩარევის გარეშე. საქართველოს კონსტიტუცია  
ინფორმაციის თავისუფლების უზრუნველყოფის მეტ გარანტი-  
ას იძლევა და სახელმწიფოს აკისრებს არა მხოლოდ ნეგატიურ  
ვალდებულებას, ხელი არ შეუშალოს პიროვნებას ინფორმაცი-  
ის მიღებაში, არამედ პოზიტიურ ვალდებულებას – გასცეს მის  
ხელთ არსებული ინფორმაცია. საქართველოს კონსტიტუცია  
მხოლოდ იმ შემთხვევაში ზღუდავს აღნიშნულ უფლებას თუ  
მოთხოვნილი ინფორმაცია შეიცავს სახელმწიფო, პროფესიულ

ან კომერციულ საიდუმლოებას.

საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, საქართველოს ყოველ მოქალაქეს უფლება აქვს კანონით დადგენილი წესით გაეცნოს სახელმწიფო დანებსებულეებში მასზე არსებულ ინფორმაციას, აგრეთვე იქ არსებულ ოფიციალურ დოკუმენტებს, თუ ისინი არ შეიცავენ სახელმწიფო, პროფესიულ ან კომერციულ საიდუმლოებას. ინფორმაციის თავისუფლება საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული უფლებაა, თუმცა აღნიშნული უფლება არ წარმოადგენს აბსოლუტურად დაცულ სიკეთეს, ვინაიდან კონსტიტუციითვე განსაზღვრულია საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ფარგლები, კერძოდ, 41-ე მუხლის მეორე პუნქტის მიხედვით, ოფიციალურ ჩანაწერებში არსებული ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებულია ადამიანის ჯანმრთელობასთან, მის ფინანსებთან ან სხვა კერძო საკითხებთან, არავისთვის არ უნდა იყოს ხელმისაწვდომი თვით ამ ადამიანის თანხმობის გარეშე, გარდა კანონით დადგენილი შემთხვევებისა, როდესაც ეს აუცილებელია სახელმწიფო უშიშროების ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, ჯანმრთელობის, სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად.

ზემოაღნიშნული ნორმების ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქალაქო სასამართლომ განმარტა, რომ საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლის პირველი პუნქტისაგან განსხვავებით, ამავე მუხლის მეორე პუნქტით დაცვის სუბიექტი არის პირი, რომლის კერძო სფეროს მიკუთვნებული მონაცემებიც დაცულია ოფიციალურ წყაროებში. ამდენად, ამ პუნქტით დაცული სიკეთე არის პირის კერძო სფეროს ხელშეუხებლობა, რაც გულისხმობს პირის უფლებას, ოფიციალურ ჩანაწერებში არსებული, მის ჯანმრთელობასთან, ფინანსებთან ან სხვა კერძო საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის გამხელისაგან იყოს დაცული.

პირის ინტერესი, არ დაუშვას კერძო საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის გამჟღავნება და აკონტროლოს ამ ინფორმაციის გავრცელება, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების ერთ-ერთი უმთავრესი ასპექტია. 41-ე მუხლის მე-2 პუნქტი კავშირშია საქართველოს კონსტიტუციის მე-20 მუხლთან, რომლითაც დაცულია პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა, რადგანაც მასში სწორედ ის მონაცემებია მითითებული, რომელიც პირის პრივატულ სფეროს შეეხება. ამ შემთხვევაში მოქმედებს პრეზუმფცია, რომ პირს არ სურს მის კერძო საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის გამჟღავნება. სახელმწიფო

ვალდებულია დაიცვას პირის კერძო სფერო, სანამ თავად ეს პირი არ გამოხატავს სანინალმდებო ნებას და არ მოითხოვს ინფორმაციის გაცემას. ამ დროს კონსტიტუციით დაცული მთავარი ფასეულობაა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა. ეს არსებითად განსხვავდება 41-ე მუხლის პირველი პუნქტისაგან, რომლით გათვალისწინებული ინფორმაციის გასაიდუმლოებაც შესაბამისი სუბიექტის ნების გამოვლენის შემდეგ ხდება და სხვა ამოცანებს ემსახურება.

საქალაქო სასამართლოს მითითებით, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის თანახმად, ამ კანონის მიზანია, პერსონალური მონაცემის დამუშავებისას უზრუნველყოს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა, მათ შორის, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვა. ამავე კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, პერსონალური მონაცემი (შემდგომ - მონაცემი) არის ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც უკავშირდება იდენტიფიცირებულ ან იდენტიფიცირებად ფიზიკურ პირს. პირი იდენტიფიცირებადია, როდესაც შესაძლებელია მისი იდენტიფიცირება პირდაპირ ან არაპირდაპირ, კერძოდ, საიდენტიფიკაციო ნომრით ან პირის მახასიათებელი ფიზიკური, ფიზიოლოგიური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, კულტურული ან სოციალური ნიშნებით.

საქალაქო სასამართლომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 28-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე განმარტა, რომ საჯარო ინფორმაცია ღიაა, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა და დადგენილი წესით პერსონალურ მონაცემებს, სახელმწიფო ან კომერციულ საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაციისა, ხოლო ამავე კოდექსის მეორე მუხლის „მ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული საჯარო ინფორმაციის დეფინიციის მიხედვით, საჯარო ინფორმაცია არის ოფიციალური დოკუმენტი (მათ შორის, ნახაზი, მაკეტი, გეგმა, სქემა, ფოტოსურათი, ელექტრონული ინფორმაცია, ვიდეო და აუდიოჩანაწერები), ანუ საჯარო დაწესებულებაში დაცული, აგრეთვე საჯარო დაწესებულების ან მოსამსახურის მიერ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით მიღებული, დამუშავებული, შექმნილი ან გაგზავნილი ინფორმაცია, ასევე საჯარო დაწესებულების მიერ პროაქტიულად გამოქვეყნებული ინფორმაცია. შესაბამისად, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 28-ე მუხლის თანახმად, საჯარო ინფორმაციის ღიაობა ორ შემთხვევაშია შეზღუდული – როცა ეს კანონმდებლობით არის გათვალისწინებული და როცა დადგენი-

ლი წესით იგი მიეკუთვნება სახელმწიფო, კომერციულ და პირად საიდუმლოებას.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 44-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, საჯარო დაწესებულება ვალდებულია არ გაახმაუროს პერსონალური მონაცემები თვით ამ პირის თანხმობის ან კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში – სასამართლოს დასაბუთებული გადაწყვეტილების გარეშე, თანამდებობის პირთა (აგრეთვე თანამდებობაზე წარდგენილ კანდიდატთა) პერსონალური მონაცემების გარდა.

საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელის მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია არ ექცევა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული პერსონალური მონაცემის დეფინიციის სფეროში.

სასამართლოს მიერ დადგენილია, რომ სპეციალური და საგანგებო ღონისძიებების ცენტრის შეიარაღების სამმართველო თავის ძირითად საქმიანობას წარმართავს შს მინისტრის 2013 წლის 31 დეკემბრის №1013 ბრძანების საფუძველზე, რაც ითვალისწინებს იარაღის, ტყვია-ნაშლის და სხვადასხვა აღჭურვილობის ბრუნვას. შესაბამისად დოკუმენტაცია (ფორმა №7 და ფორმა №15) რითაც ხდება შს თანამშრომლებზე იარაღის გაცემა-ჩაბარება არ შეიცავს რაიმე სახის საიდუმლო ინფორმაციას. სასამართლომ გაიზიარა მოსარჩელის განმარტება, რომ ზ. ა-ის მიერ მოთხოვნილია საჯარო ინფორმაცია, რომლის გაცემის ვალდებულებაც ეკისრება ადმინისტრაციულ ორგანოს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 21 აპრილის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 13 ოქტომბერის განჩინებით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 21 აპრილის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობა მასზე, რომ ზ. ა-ის მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია ირიცხებოდა თუ არა შინაგან საქმეთა სამინისტროს ყოფილ თანამშრომელზე – თ. ბ. ქ-ეზე სამსახურებრივ-

საშტატო იარაღი, რა მოდელი, რა ფერის და როდის იქნა მასზე აღნიშნული იარაღი გაცემული, ასევე საბუთი მისი ხელმოწერით, რომლითაც ის ადასტურებს იარაღის აღებას, არ მიეკუთვნება პერსონალური მონაცემების შემცველ ინფორმაციას, ვინაიდან მოსარჩელის მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია არ ექცევა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული პერსონალური მონაცემის დეფინიციის სფეროში. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ თუკი თ. ბ. ჭ-ის სახელზე ნამდვილად იყო განპიროვნებული სამსახურებრივ-საშტატო იარაღი, ასეთი იარაღის მოდელი და ფერი, ასევე, ამ იარაღის თ. ჭ-ისთვის გადაცემის დრო/თარიღი, აგრეთვე ასეთი გადაცემის დამადასტურებელი საბუთი არ წარმოადგენს ისეთი სახის მონაცემებს, რომლებიც შესაძლებელია მიჩნეულ იქნეს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ პირისთვის დამახასიათებელ ნიშნებიდან რომელიმე ნიშნად, კერძოდ, ფიზიკურ, ფიზიოლოგიურ, ფსიქოლოგიურ, ეკონომიკურ, კულტურულ ან/და სოციალურ ნიშნად.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის მოსაზრება მასზე, რომ გასაჩივრებულმა გადაწყვეტილება წინააღმდეგობრივია; კერძოდ, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2015 წლის 20 იანვრის №125298 წერილით მსჯავრდებულ ზ. ა-ეს, მისივე განცხადების პასუხად ეცნობა, რომ მის მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია წარმოადგენდა პერსონალური მონაცემების შემცველ ინფორმაციას; დავის განხილვა-გადაწყვეტის პროცესში სასამართლომ უნდა დაადგინოს და შეაფასოს საკითხი იმის შესახებ, ზ. ა-ის მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია ნამდვილად წარმოადგენს თუ არა პერსონალური მონაცემების შემცველ ინფორმაციას, აქედან გამომდინარე, უნდა განისაზღვროს, კანონიერი არის თუ არა მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს უარი, გასცეს მასთან დაცული ინფორმაცია; მოცემული ამოცანის ამოხსნა შეუძლებელი იქნებოდა საკვანძო სამართლებრივი ნორმის – „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის სასამართლოს მხრიდან გამოყენებისა და განმარტების გარეშე; პერსონალური მონაცემების ცნება თავის თავშივე მოიცავს პასუხს კითხვაზე, არის თუ არა ამა თუ იმ სახის ინფორმაცია პერსონალური მონაცემების შემცველი ინფორმაცია.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ

საქმეთა პალატის 2015 წლის 13 ოქტომბრის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

კასატორის განმარტებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-10 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად: „ყველას აქვს უფლება გაცენოს ადმინისტრაციულ ორგანოში არსებულ საჯარო ინფორმაციას, აგრეთვე მიიღოს მისი ასლები, თუ ისინი არ შეიცავენ სახელმწიფო, პერსონალურ ან კომერციულ საიდუმლოებას ან პერსონალურ მონაცემებს“. ამავე კოდექსის 271-ე მუხლის თანახმად, პერსონალური მონაცემის ცნება, მათ დაცვასა და დამუშავებასთან დაკავშირებული ურთიერთობები წესრიგდება „პერსონალური მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით. აღნიშნული კანონის მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად კი, პერსონალური მონაცემი არის ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც უკავშირდება იდენტიფიცირებულ ან იდენტიფიცირებად ფიზიკურ პირს. პირი იდენტიფიცირებადია, როდესაც შესაძლებელია მისი იდენტიფიცირება პირდაპირ ან არაპირდაპირ, კერძოდ, საიდენტიფიკაციო ნომრით ან პირის მახასიათებელი ფიზიკური, ფიზიოლოგიური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, კულტურული ან სოციალური ნიშნებით; აღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორის მოსაზრებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-10 მუხლი გარკვეულწილად ზღუდავს უფლებას, გაიცეს ისეთი საჯარო ინფორმაცია, რომელიც პერსონალური მონაცემების შემცველია. ამავე კოდექსის 44-ე მუხლის თანახმად: „1. საჯარო დაწესებულება ვალდებულია, არ გაახმაუროს პერსონალური მონაცემები – ინფორმაცია თვით ამ პირის თანხმობის ან კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში სასამართლოს დასაბუთებული გადაწყვეტილების გარეშე, თანამდებობის პირთა (აგრეთვე თანამდებობაზე წარდგენილ კანდიდატთა) პერსონალური მონაცემების გარდა. აღნიშნული მუხლის ფორმულირებიდან გამომდინარე, კასატორი მიუთითებს, რომ ადმინისტრაციულ ორგანოს ეკრძალება პირის პერსონალური მონაცემების გასაჯაროება ამ პირის თანხმობის ან სასამართლო გადაწყვეტილების გარეშე. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 44-ე მუხლის თანახმად, საჯარო დაწესებულება ვალდებულია არ გაახმაუროს პერსონალური მონაცემები, ინფორმაცია თვით ამ პირის თანხმობის ან კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში – სასამართლოს დასაბუთებული გა-



დანყვეტილების გარეშე, თანამდებობის პირთა (აგრეთვე თანამდებობაზე წარდგენილ კანდიდატთა) პერსონალური მონაცემების გარდა. პირის პერსონალური მონაცემების შემცველი ინფორმაცია წარმოადგენს დახურული ტიპის საჯარო ინფორმაციას, რომლის გამხელისაგან დაცვის ვალდებულება აქვს შინაგან საქმეთა სამინისტროს საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსისა და „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

კასატორის მოსაზრებით, მოსარჩელის მიერ მოთხოვილი ინფორმაცია წარმოადგენს სწორედ პერსონალურ მონაცემს, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, პერსონალური მონაცემები არის ნებისმიერ ინფორმაცია, რომელიც უკავშირდება იდენტიფიცირებულ ან იდენტიფიცირებად პირს. პირი იდენტიფიცირებადია, როდესაც შესაძლებელია მისი იდენტიფიცირება პირდაპირ ან არაპირდაპირ, კერძოდ, საიდენტიფიკაციო ნომრით ან პირის მახასიათებელი ფიზიკური, ფიზიოლოგიური, ეკონომიკური, კულტურული ან სოციალური ნიშნებით. განსახილველ შემთხვევაში სწორედ ასეთი ტიპის ინფორმაცია იქნა მოსარჩელის მიერ მოთხოვნილი, შესაბამისად, სასამართლო მსჯელობა იმის თაობაზე, რომ ინფორმაცია, რასაც მოსარჩელე ითხოვს არ ექცევა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ პერსონალური მონაცემების დეფინიციის სფეროში უსაფუძვლოა. სასამართლო გადანყვეტილების მე-5 და მე-6 გვერდზე ურთიერთსაწინააღმდეგო მსჯელობაა წარმოდგენილი, ვინაიდან ერთ შემთხვევაში გადანყვეტილების მე-5 გვერდზე სასამართლო განმარტავს თუ რა არის პერსონალური მონაცემები, ხოლო ამავე გადანყვეტილების მე-6 გვერდზე განმარტავს, რომ სარჩელით მოთხოვნილი ინფორმაცია არ წარმოადგენს პერსონალურ მონაცემებს.

კასატორის განმარტებით, საყურადღებოა ის გარემოება, რომ ინფორმაციის თავისუფლებას ეხება სწორედ კოდექსის III თავი, იმავე თავის 44-ე მუხლი იცავს, პერსონალურ მონაცემებს გამხელისაგან, გარდა თანამდებობის პირთა შესახებ არსებული მონაცემებისა.

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მიღებით 2012 წლიდან ქვეყანაში პერსონალურ მონაცემთა დაცვის ეფექტური და გაუმჯობესებული მექანიზმი ჩამოყალიბდა. აღნიშნული კანონი მიმართულია სწორედ იმ კატე-

გორიის ინფორმაციის დაცვისაკენ, რომელიც მოთხოვნილია განცხადებით. მნიშვნელოვნად გაიზარდა ადმინისტრაციული ორგანოს პასუხისმგებლობა პერსონალური მონაცემების დაცვასთან მიმართებით, შესაბამისად, იგი მკაცრად შეზღუდულია დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას და მოქმედებს მხოლოდ პერსონალური მონაცემების მკაცრად და ამომწურავად განსაზღვრული დამუშავების კანონიერი საფუძვლებით (კანონის მე-5 და მე-6 მუხლები) და პრინციპებით. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონის ტერმინთა განმარტებიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია თავად პერსონალური მონაცემების განმარტება – „ნებისმიერი ინფორმაცია,“ რომელიც უკავშირდება „იდენტიფიცირებულ იდენტიფიცირებად ფიზიკურ პირს“, ხოლო „ნებისმიერი ინფორმაცია“ გულისხმობს ნებისმიერი ფორმით არსებულ, ნებისმიერი სახის ობიექტურ ან სუბიექტურ ინფორმაციას. კასატორის მითითებით, ნათელია, რომ ზ. ა-ის მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია წარმოადგენს პერსონალურ მონაცემებს, იგი არის დახურული ტიპის ინფორმაცია და მოსარჩელის მიერ იგი არ იქნა გამოთხოვილი ზემოაღნიშნული კანონით დადგენილი წესის შესაბამისად.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 4 თებერვლის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 7 აპრილის განჩინებით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად და მისი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრების გარეშე.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობის შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო იზიარებს ქვედა ინსტანციების სასამართლოების მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს, ასევე განსახილველი სამართალური იეროების მიმართ გაკეთებულ

სამართლებრივ დასკვნებს, მიუთითებს მათზე და განმარტავს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 24-ე მუხლით გათვალისწინებულია მავალდებულებელი სარჩელის განსაკუთრებული ფორმის – მოქმედების განხორციელების თაობაზე მიკუთვნებითი სარჩელის აღძვრის შესაძლებლობა, რომლის მეშვეობით შესაძლებელია ნებისმიერი ადმინისტრაციული ზომების (რეალაქტის) განხორციელების მოთხოვნა, რომელიც არ გულისხმობს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას. ასეთი სარჩელის მოთხოვნა საჭიროებს ადმინისტრაციული ორგანოს, მოცემულ შემთხვევაში, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, უფლებამოსილებიდან გამომდინარე, ასეთი მოქმედების განხორციელების ვალდებულების დადგენას. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 27-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, კოდექსის მე-3 თავის („ინფორმაციის თავისუფლება“) მიზნებისთვის სამინისტრო არის საჯარო დაწესებულება. ამავ კოდექსის 38-ე მუხლის თანახმად, კი საჯარო დაწესებულება ვალდებულია უზრუნველყოს საჯარო ინფორმაციის ასლების ხელმისაწვდომობა.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, საქმის მასალებში ასახულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2015 წლის 20 იანვრის №125298 წერილით მსჯავრდებულ ზ. ა-ეს მისი განცხადების პასუხად ეცნობა, რომ ზ. ა-ის მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია წარმოადგენდა პერსონალური მონაცემების შემცველ ინფორმაციას, შესაბამისად, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 44-ე მუხლის თანახმად, საჯარო დაწესებულება ვალდებულია არ გაახმაუროს პერსონალური მონაცემები თვით ამ პირის თანხმობის ან კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში – სასამართლოს დასაბუთებული გადაწყვეტილების გარეშე, თანამდებობის პირთა (აგრეთვე თანამდებობაზე წარდგენილ კანდიდატთა) პერსონალური მონაცემების გარდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 24 მარტის განჩინებით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დაევალა წარმოედგინა ინფორმაცია იმის თაობაზე: ირიცხებოდა თუ არა შინაგან საქმეთა სამინისტროს ყოფილ თანამშრომელზე – თ. ბ. ჭ-ეზე სამსახურებრივ-სამშტატო იარაღი, რა მოდელი, რა ფერის და როდის იქნა მასზე აღნიშნული იარაღი გაცემული, ასევე საბუთი მისი ხელმოწერით, რომლითაც ის ადასტურებს იარაღის აღებას აღნიშნული ინფორმაცია შეიცავდა თუ არა რაიმე სახის საიდუმ-

ლო ინფორმაციას, რა სახის და რის საფუძველზე.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2015 წლის 20 აპრილის №831653 მომართვით თბილისის საქალაქო სასამართლოს ეცნობა, რომ სპეციალური და საგანგებო ღონისძიებების ცენტრის შეიარაღების სამმართველო თავის ძირითად საქმიანობას წარმართავს შს მინისტრის 2013 წლის 31 დეკემბრის №1013 ბრძანების საფუძველზე, რაც ითვალისწინებს იარაღის, ტყვია-წამლის და სხვადასხვა აღჭურვილობის ბრუნვას. შესაბამისად, დოკუმენტაცია (ფორმა №7 და ფორმა №15) რითაც ხდება შს თანამშრომლებზე იარაღის გაცემა-ჩაბარება არ შეიცავს რაიმე სახის საიდუმლო ინფორმაციას.

საკასაციო სასამართლო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ განსახილველი სამართალურთიერთობის შეფასებისას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმ გარემოების დადგენას, ზ. ა-ის მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია მიეკუთვნება თუ არა პერსონალური მონაცემების შემცველ ინფორმაციას.

საკასაციო პალატა საქართველოს კონსტიტუციის 41.1 მუხლის საფუძველზე განმარტავს, რომ საქართველოს ყოველი მოქალაქე უფლებამოსილია, კანონით დადგენილი წესით გაცნოს სახელმწიფო დანესებულებაში მასზე არსებულ ინფორმაციას, ასევე სახელმწიფო დანესებულებაში არსებულ ოფიციალურ დოკუმენტებს, თუ ისინი არ შეიცავს სახელმწიფო, პროფესიულ ან კომერციულ საიდუმლოებას. საქართველოს კონსტიტუციის ზემოაღნიშნული პრინციპი რეგლამენტირებულია აგრეთვე ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 28-ე მუხლში, რომლის თანახმად, საჯარო ინფორმაცია ღიაა, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა და დადგენილი წესით პერსონალურ მონაცემებს, სახელმწიფო ან კომერციულ საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაციისა. ამავე კოდექსის მე-2 მუხლის „მ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საჯარო ინფორმაცია ეს არის ოფიციალური დოკუმენტი (მათ შორის, ნახაზი, მაკეტი, გეგმა, სქემა, ფოტოსურათი, ელექტრონული ინფორმაცია, ვიდეო და აუდიოჩანაწერები), ანუ საჯარო დანესებულებაში დაცული, აგრეთვე საჯარო დანესებულების ან მოსამსახურის მიერ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით მიღებული, დამუშავებული, შექმნილი ან გაგზავნილი ინფორმაცია, ასევე საჯარო დანესებულების მიერ პროაქტიულად გამოქვეყნებული ინფორმაცია.

საკასაციო სასამართლოს მითითებით, ინფორმაციის ხელმისაწვდომობა უკავშირდება საჯარო მმართველობის განხორციელების პროცესს. იმისათვის, რომ საჯარო უფლებამოსილე-

ბის განხორციელების პროცესი იყოს გამჭვირვალე, აუცილებელია სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით მიღებული, დამუშავებული, შექმნილი ან გაგზავნილი ინფორმაცია იყოს ყველასათვის ხელმისაწვდომი. ინფორმაციის ღიაობა აქტუალური ხდება ასევე, როდესაც სუბიექტი არ ახორციელებს მმართველობით ფუნქციას, მაგრამ მისი საქმიანობა ხორციელდება სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტის სახსრებიდან დაფინანსების ფარგლებში.

სუბიექტი, რომელიც ახორციელებს საჯარო მმართველობას არის ადმინისტრაციული ორგანო. ინფორმაციის თავისუფლების მოთხოვნა ვრცელდება ადმინისტრაციულ ორგანოზე. ოფიციალური დოკუმენტი (მათ შორის, ნახაზი, მაკეტი, გეგმა, სქემა, ფოტოსურათი, ელექტრონული ინფორმაცია, ვიდეო და აუდიოჩანაწერები) ანუ ადმინისტრაციულ ორგანოში დაცული, აგრეთვე მის საქმიანობასთან დაკავშირებით მიღებული, დამუშავებული, შექმნილი ან გაგზავნილი ინფორმაცია არის საჯარო.

აღნიშნული ორი კრიტერიუმის გათვალისწინებით, ინფორმაციის თავისუფლების მიზნებისთვის ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით განისაზღვრა ახალი ტერმინი საჯარო დაწესებულება. სუბიექტი, რომელიც ახორციელებს საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებებს (ადმინისტრაციული ორგანო) ან მოქმედებს სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის დაფინანსების ფარგლებში არის საჯარო დაწესებულება და მასზე ვრცელდება ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მოთხოვნა.

საკასაციო სასამართლოს განმარტებით, საჯარო ინფორმაციის გაცემაზე ადმინისტრაციულმა ორგანომ ორ შემთხვევაში შეიძლება თქვას უარი: 1. კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში და 2. ინფორმაცია მიეკუთვნება პერსონალურ მონაცემებს, სახელმწიფო ან კომერციულ საიდუმლოებას. კონკრეტულ შემთხვევაში, როგორც საქმის მასალებით დასტურდება, ზ. ა-ემ განცხადებით მიმართა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს და მოითხოვა ინფორმაცია იმის თაობაზე, ირიცხებოდა თუ არა შინაგან საქმეთა სამინისტროს ყოფილ თანამშრომელზე – თ. ბ. ჭ-ეზე სამსახურებრივ-საშტატო იარაღი, რა მოდელი, რა ფერის და როდის იქნა მასზე აღნიშნული იარაღი გაცემული, ასევე, საბუთი მისი ხელმოწერით, რომლითაც ის ადასტურებს იარაღის აღებას.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2015 წლის 20 იანვრის №125298 წერილით მსჯავრდებულ ზ. ა-ეს მისი განცხადების პასუხად ეცნობა, რომ ზ. ა-ის მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია წარმოადგენდა პერსონალური მონაცემების შემ-

ცველ ინფორმაციას, რის გამოც უარი ეთქვა განცხადების დაკმაყოფილებაზე.

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს კასატორის – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსაზრებას, იმასთან მიმართებაში, რომ ზ. ა-ის მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია არის პერსონალური მონაცემების შემცველი ინფორმაცია და, შესაბამისად, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-10 მუხლი გარკვეულწილად, ზღუდავს უფლებას, გაიცეს ისეთი საჯარო ინფორმაცია, რომელიც პერსონალური მონაცემების შემცველია.

საკასაციო პალატა მიუთითებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-10 მუხლის პირველ პუნქტზე, რომლის მიხედვით, ყველას აქვს უფლება გაეცნოს ადმინისტრაციულ ორგანოში არსებულ საჯარო ინფორმაციას, აგრეთვე მიიღოს მათი ასლები, თუ ისინი არ შეიცავენ სახელმწიფო, პროფესიულ ან კომერციულ საიდუმლოებას ან პერსონალურ მონაცემებს. ამავე კოდექსის 27<sup>1</sup>-ე მუხლის თანახმად, პერსონალური მონაცემების ცნება, მათ დაცვასა და დამუშავებასთან დაკავშირებული ურთიერთობები წესრიგდება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით. პერსონალური ინფორმაციის სამართლებრივი შეფასებისათვის მნიშვნელოვანი კრიტერიუმი არის თვით ინფორმაცია. აღნიშნული კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, პერსონალური მონაცემი ეს არის ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც უკავშირდება იდენტიფიცირებულ ან იდენტიფიცირებად ფიზიკურ პირს. პირი იდენტიფიცირებადია, როდესაც შეაძლებელია მისი იდენტიფიცირება პირდაპირ ან არაპირდაპირ, კერძოდ, საიდენტიფიკაციო ნორმით ან პირის მახასიათებელი ფიზიკური, ფიზიოლოგიური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, კულტურული ან სოციალური ნიშნებით. საკასაციო სასამართლოს განმარტებით, ინფორმაცია, რომელიც არ აკმაყოფილებს აღნიშნულ კრიტერიუმებს, არ არის საინტერესო პერსონალური მონაცემების დაცვის მიზნებისთვის. ე.ი. ინფორმაციის პერსონალური მონაცემების შემცველად მიჩნევისათვის ის აუცილებლად უნდა შეიცავდეს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტში ჩამოთვლილ ნიშნებს.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ზ. ა-ის მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია ირიცხებოდა თუ არა შინაგან საქმეთა სამინისტროს ყოფილ თანამშრომელზე – თ. ბ. ქ-ზე სამსახურებრივ-სამტატო იარაღი, რა მოდელი, რა ფერის და როდის იქნა

მასზე აღნიშნული იარაღი გაცემული, ასევე საბუთი მისი ხელმონერით, რომელითაც ის ადასტურებს იარაღის აღებას, არ წარმოადგენს პერსონალური ინფორმაციის შემცველ ინფორმაციას. ამასთან, ცნობილია, რომ თ. ბ. ჭ-ე მუშაობდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში და სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით მიღებული ინფორმაცია ვერ ჩაითვლება პირის პირად სფეროს მიკუთვნებულ ინფორმაციად, რომლის გასაიდუმლოების ვარაუდიც პირს შეიძლება გააჩნდეს.

საკასაციო სასამართლო, ასევე, მიუთითებს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2015 წლის 20 აპრილის №831653 მიმართვაზე, რომლიდანაც ირკვევა, რომ სპეციალური და საგანგებო ღონისძიებების ცენტრის შეიარაღების სამმართველო თავის ძირითად საქმიანობას წარმართავს შს მინისტრის 2013 წლის 31 დეკემბრის №1013 ბრძანების საფუძველზე, რაც ითვალისწინებს იარაღის, ტყვია-წამლის და სხვადასხვა აღჭურვილობის ბრუნვას. შესაბამისად, დოკუმენტაცია (ფორმა №7 და ფორმა №15), რითაც ხდება შს თანამშრომლებზე იარაღის გაცემა-ჩაბება არ შეიცავს რაიმე სახის საიდუმლო ინფორმაციას.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 33<sup>1</sup>-ე მუხლის შესაბამისად, თუ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ რაიმე მოქმედების განხორციელება ან უარი რაიმე მოქმედების განხორციელებაზე უკანონოა და ის პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩელის უფლებას ან კანონიერ ინტერესს, სასამართლო კოდექსის 24-ე მუხლში აღნიშნულ სარჩელთან დაკავშირებით გამოიტანს გადაწყვეტილებას, რომლითაც ადმინისტრაციულ ორგანოს ავალებს განახორციელოს ეს მოქმედება ან თავი შეიკავოს ამ მოქმედების შესრულებისაგან. ზემოაღნიშნული სამართლებრივი ნორმებისა და საქმის ფაქტობრივი გარემოებების ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საკასაციო პალატა თვლის, რომ არსებობს საჯარო ინფორმაციის გაცემის სამინისტროსათვის დავალების საფუძველი.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ კასატორს – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არ წარმოუდგენია დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია, რომელიც გააბათილებდა სააპელაციო სასამართლოს შეფასებებს.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საკასაციო საჩივარი უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს, რადგან გასაჩივრებული თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 13 ოქტომბრის განჩინება არსებითად სწორია, არ არსებობს მისი გაუქმების სამართლებრივი სა-



ფუძველი და იგი საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის თანახმად, დატოვებულ უნდა იქნეს უცვლელად.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

**და ა დ გ ი ნ ა :**

1. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 13 ოქტომბრის განჩინება;
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**პირის პერსონალურ მონაცემთა სამართლებრივი რეჟიმი**

**განჩინება**

№ბს-425-418(კ-15)

7 აპრილი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. სხირტლაძე,  
ვ. როინიშვილი

**დავის საგანი:** ქმედების განხორციელების დავალება

**აღწერილობითი ნაწილი:**

2013 წლის 16 დეკემბერს ვებ-გვერდ ... გენ. რედაქტორმა, მ. ნ-მა სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუ-

ხე – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიმართ.

მოსარჩელის განმარტებით, მან 2013 წლის 9 სექტემბერს განცხადებით მიმართა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს და მოითხოვა შემდეგი საჯარო ინფორმაციის გაცემა: არის თუ არა ი. ც-ე შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელი, რა თანამდებობაზე მუშაობს, რა დროიდან და რა ინფორმაციას ფლობს მასზე შინაგან საქმეთა სამინისტრო. მოსარჩელეს კანონით დადგენილ ვადაში შინაგან საქმეთა სამინისტროსგან განცხადებაზე პასუხი არ მიუღია, რის შემდეგაც მან ადმინისტრაციულ ორგანოში წარადგინა საჩივარი. ადმინისტრაციულ საჩივარზეც მოსარჩელეს პასუხი დღემდე არ მიუღია.

მოსარჩელის განმარტებით, შინაგან საქმეთა სამინისტროს მოქმედებები ეწინააღმდეგებოდა საქართველოს კონსტიტუციას, რომლის 24-ე მუხლის თანახმად, ყოველ ადამიანს უფლება აქვს თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია, ასევე განამტკიცებს ინფორმაციის თავისუფლად მიღებისა და გავრცელების უფლებას ნებისმიერი საშუალებით, ხოლო კონსტიტუციის 41-ე მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 28-ე და 37-ე მუხლების თანახმად, საჯარო ინფორმაცია ღიაა და საქართველოს ყოველ მოქალაქეს უფლება აქვს გაეცნოს სახელმწიფო დანესებულებაში არსებულ საჯარო ინფორმაციას. ამდენად, საჯარო დანესებულებაში არსებული ინფორმაციისა და ოფიციალური დოკუმენტების გაცნობა, თუ ისინი არ შეიცავენ პირად, პროფესიულ ან სახელმწიფო საიდუმლოებას, საქართველოს კონსტიტუციისა და ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის ზემოაღნიშნული ნორმებით აღიარებული კონსტიტუციური უფლებაა.

მოსარჩელის მითითებით, შინაგან საქმეთა სამინისტრო ვალდებული იყო, გაეცა ი. ც-ის შესახებ ინფორმაცია იმ შემთხვევაშიც, თუ იგი არ იყო „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ კანონის მიხედვით თანამდებობის პირი, ვინაიდან „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ კანონის 1-ლი მუხლის „ი“ ქვეპუნქტის მიხედვით, პირი, რომლისკენაც მისი გარკვეული ქმედების შედეგად, ცალკეულ საკითხებთან დაკავშირებით, მიმართულია საზოგადოებრივი ყურადღება, არის საჯარო პირი. მოცემულ შემთხვევაში, გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ი. ც-ე საზოგადოებრივი მაუწყებლის საქმიანობაში უხეშად ერეოდა. საბჭოს თავმჯდომარის განცხადებით, ი. ც-ემ მას მოსთხოვა სამეურვეო საბჭოს გადანყვეტილების შეცვლა. ამ ფაქტების გამო ი. ც-ის მიმართ არსებობდა საზოგადოების ყურადღება, მის მიმართ

დაინტერესება გამოწვეული იყო სახელმწიფო გავლენისაგან მედიის თავისუფლების მოტივით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 16 მაისის გადაწყვეტილებით ვებ-გვერდ ... გენ. რედაქტორის, მ. ნ-ის სასარჩელო განცხადება არ დაკმაყოფილდა.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ 2013 წლის 9 სექტემბერს, ვებ-გვერდ ... რედაქტორმა, მ. ნ-მა განცხადებით მიმართა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელ პირს და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-38-ე, მე-40 მუხლების საფუძველზე, მოითხოვა შემდეგი სახის ინფორმაციის გაცემა – არის თუ არა ი. ც-ე შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელი, რა თანამდებობაზე მუშაობს და რა დროიდან, რა ინფორმაციას ფლობს შინაგან საქმეთა სამინისტრო ი. ც-ეზე. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ კანონით დადგენილ ვადაში მოთხოვნილი ინფორმაციის გაუცემლობის გამო, 2013 წლის 17 ოქტომბერს ვებ-გვერდ ... რედაქტორმა, მ. ნ-მა ადმინისტრაციული საჩივრით მიმართა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს და მოითხოვა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირისათვის 2013 წლის 9 სექტემბრის განცხადებით მოთხოვნილი ინფორმაციის გაცემის დავალება. სასამართლომ საქმის მასალებით და მხარეთა განმარტებებით დადგენილად მიიჩნია, რომ აღნიშნულ ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით ადმინისტრაციულ ორგანოს ქმედება არ განუხორციელებია.

სასამართლომ განმარტა, რომ საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლის პირველი პუნქტისაგან განსხვავებით, ამავე მუხლის მე-2 პუნქტით დაცვის სუბიექტი იყო პირი, რომლის კერძო სფეროს მიკუთვნებული მონაცემებიც დაცული იყო ოფიციალურ წყაროებში. ამდენად, ამ პუნქტით დაცული სიკეთე წარმოადგენდა პირის კერძო სფეროს ხელშეუხებლობას, რაც გულისხმობდა პირის უფლებას, ოფიციალურ ჩანაწერებში არსებული, მის ჯანმრთელობასთან, ფინანსებთან ან სხვა კერძო საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის გამხელისაგან ყოფილიყო დაცული. პირის ინტერესი, არ დაეშვა კერძო საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის გამჟღავნება და ეკონტროლებინა ამ ინფორმაციის გავრცელება, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების ერთ-ერთ უმთავრეს ასპექტს წარმოადგენდა. საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლის მე-2 პუნქტი კავშირში იყო კონსტიტუციის მე-20 მუხლთან, რომლი-

თაც დაცული იყო პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა, რადგანაც მასში სწორედ ის მონაცემები იყო მითითებული, რომელიც პირის პრივატულ სფეროს შეეხებოდა. ამ შემთხვევაში, მოქმედებდა პრეზუმფცია, რომ პირს არ სურდა მის კერძო საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის გამჟღავნება. სახელმწიფო ვალდებული იყო, დაეცვა პირის კერძო სფერო, სანამ თავად ეს პირი არ გამოხატავდა სანინალმდეგო ნებას და არ მოითხოვდა ინფორმაციის გაცემას. ამ დროს, კონსტიტუციით დაცულ მთავარ ფასეულობას წარმოადგენდა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა.

სასამართლომ მიუთითა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 44-ე მუხლზე, რომლის თანახმად, საჯარო დაწესებულება ვალდებულია არ გაახმაუროს პერსონალური მონაცემები, ინფორმაცია თვით ამ პირის თანხმობის ან კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში – სასამართლოს დასაბუთებული გადანაცვების გარეშე, თანამდებობის პირთა (აგრეთვე თანამდებობაზე წარდგენილ კანდიდატთა) პერსონალური მონაცემების გარდა. სასამართლოს განმარტებით, სარჩელში მითითებული ინფორმაციის გაცემის დაავალებების შესახებ მოთხოვნის საფუძვლიანობა უნდა შემონგებულ იყოს, ერთი მხრივ, ი. ც-ის, როგორც „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ შესაძლო „თანამდებობის პირთან“ დაკავშირებით არსებული ინფორმაციის გაცემის მიზანშეწონილობის საკითხის შეფასებით, ხოლო მეორე მხრივ, მისი, როგორც „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ შესაძლო „საჯარო პირთან“ (რომლისკენაც მისი გარკვეული ქმედების შედეგად ცალკეულ საკითხებთან დაკავშირებით მიმართულია საზოგადოებრივი ყურადღება) დაკავშირებით არსებული ინფორმაციის გაცემის მიზანშეწონილობის საკითხის შეფასებით.

სასამართლომ აღნიშნა, რომ წარმოდგენილ შესაგებელში და სასამართლო სხდომაზე მიცემულ განმარტებაში, მოპასუხე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა დააფიქსირა, რომ ი. ც-ე არ წარმოადგენდა იმ „თანამდებობის პირს“, რომლის ვინაობის გამხელაც საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 42-ე და 44-ე მუხლებით ეკისრება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს. აღნიშნულიდან გამომდინარეობს, რომ ი. ც-ის, როგორც საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით გათვალისწინებული თანამდებობის პირის მიმართ არსებული ინფორმაციის უპირობოდ გა-

ცემის ვალდებულება ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან არ არსებობდა.

სასამართლომ განმარტა, რომ კონკრეტული ფაქტები, რომლებიც „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად ი. ც-ის საჯარო პირად მიჩნევას და მის მიმართ საზოგადოებრივი ინტერესის არსებობას შეეხება, ასახული იყო წარდგენილ სარჩელში და სასამართლო სხდომაზე გამოცხადებული მოსარჩელის წარმომადგენლების ზეპირ განმარტებებში. მოსარჩელე მხარის განმარტებით, ი. ც-ე 2013 წლის 21 მარტიდან მუშაობდა საზოგადოებრივ მაუწყებელში, გენერალური დირექტორის მრჩევლის თანამდებობაზე. საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარემ საჯაროდ განაცხადა, რომ ი. ც-ე საზოგადოებრივ მაუწყებელში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინტერესებს ატარებდა და იგი უხეშად ერეოდა საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს საქმიანობაში. ამ ფაქტის გამო, ი. ც-ის მიმართ არსებობდა საზოგადოებრივი ინტერესი და „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, იგი წარმოადგენდა საჯარო პირს. ამასთან, მხარემ განმარტებაში ზოგადად მიუთითა, რომ აღნიშნული ფაქტების შესახებ საზოგადოება ინფორმირებული იყო და მათი მხრიდან ინტერესის არსებობაც იყო უდავო.

სასამართლომ მიუთითა „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონზე, რომლის მიზანია სახელმწიფო ჩარევისაგან დამოუკიდებელი საზოგადოებრივი მაუწყებლობის ფორმირება; მაუწყებლობის სფეროში საქმიანობის რეგულირება გამჭვირვალობის, სამართლიანობისა და მიუკერძოებლობის პრინციპების შესაბამისად, ეროვნული მარეგულირებელი ორგანოს მეშვეობით; სიტყვისა და აზრის თავისუფლების, მაუწყებელთა შორის კონკურენტული გარემოს სტიმულირების, მაუწყებელთა თანასწორობისა და დამოუკიდებლობის, სიხშირეების ეფექტიანი გამოყენების უზრუნველყოფა. კანონის მეორე მუხლის „ჰ“ ქვეპუნქტის თანახმად, საზოგადოებრივი მაუწყებლობა არის საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად სახელმწიფო ქონების საფუძველზე ტელერადიომაუწყებლობისათვის შექმნილი, საჯარო დაფინანსებით მოქმედი, ხელისუფლებისაგან დამოუკიდებელი და საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის მიერ, რომელიც არ ექვემდებარება არც ერთ სახელმწიფო უწყებას, განხორციელებული მაუწყებლობა, რომლის მიზანია პოლიტიკური და კომერციული გავლენისაგან თავისუფალი, საზოგადოებრივი ინ-

ტერესების შესაბამისი, მრავალფეროვანი პროგრამების მიწოდება საზოგადოებისათვის.

სასარჩელო მოთხოვნის შინაარსის გათვალისწინებით, მოსარჩელეს აღნიშნული კანონით დადგენილი პრინციპებიდან გამომდინარე, სურდა დაედგინებინა, რომ საზოგადოებრივ მაუწყებელში გენერალური დირექტორის მრჩევლის თანამდებობაზე მყოფი ი. ც-ის მხრიდან ადგილი ჰქონდა საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს დამოუკიდებელ საქმიანობაში უხეშად ჩარევას და იგი სავარაუდოდ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინტერესებს ატარებდა. შესაბამისად, საზოგადოებრივ მაუწყებელთან მიმართებაში ადგილი ჰქონდა „სიტყვისა და გამობატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონით, საქართველოს კონსტიტუციით და საერთაშორისო ნორმებით გარანტირებულ უფლებათა დარღვევას, სწორედ ამ უფლების დაცვის მიზანს ემსახურებოდა ი. ც-ის მიმართ სარჩელში მითითებული ინფორმაციის გამოთხოვა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან.

სასამართლოს მითითებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. ამავ ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, ამ გარემოებათა დამტკიცება შეიძლება თვით მხარეთა (მესამე პირთა) ახსნა-განმარტებით, მოწმეთა ჩვენებით, ფაქტების კონსტატაციის მასალებით, წერილობითი თუ ნივთიერი მტკიცებულებებითა და ექსპერტთა დასკვნებით. ამასთან, აღნიშნული კოდექსის 105-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოსათვის არავითარ მტკიცებულებას არა აქვს წინასწარ დადგენილი ძალა. მეორე ნაწილის თანახმად კი, სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ. დასახელებული ნორმების განმარტებიდან გამომდინარე, სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში, საზოგადოებრივი მაუწყებლობის დამოუკიდებელ საქმიანობაში ჩარევისაკენ მიმართული ი. ც-ის „გარკვეული ქმედების“ არსებობა მხოლოდ მხარის ახსნა-განმარტებით არ შეიძლებოდა მიჩნეულიყო დადასტურებულად. შესაბამისად, არ დადგენილა, რომ მისმა ქმედებამ ცალკეულ საკითხებთან დაკავშირებით საზოგადოების ყურადღება გამოიწვია. ეს გარემოება არ შეიძლება სარწმუნოდ

ყოფილიყო მიჩნეული მხოლოდ ისეთი სახის მითითებებით, როგორცაა „ფაქტთან დაკავშირებით საზოგადოება ინფორმირებულია“, „საინფორმაციო საშუალებით მათთვის ეს ფაქტი ცნობილი გახდა“, „მიღებული ინფორმაციიდან გამომდინარე, საზოგადოების რეაქცია ადასტურებს, რომ ი. ც-ის ქმედება დაკავშირებულია დემოკრატიულ სახელმწიფოში საზოგადოებრივი თვითმმართველობის განხორციელებისათვის ხელის შეშლასთან“ და ა.შ.

მოცემული შემთხვევიდან გამომდინარე, სასამართლომ მიიჩნია, რომ ი. ც-ის მიერ განხორციელებული ქმედებით გამოწვეულ საზოგადოებრივ ინტერესს ადგილი არ ჰქონია, რის გამოც იგი შეიძლება „სიტყვისა და გამოხატვის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად საჯარო პირად ჩათვლილიყო. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლოს აზრით, მოსარჩელე მხარემ ვერ დაადასტურა, რომ საჯარო ინფორმაციისათვის კანონით დადგენილი წესი ი. ც-ის, როგორც თანამდებობის პირის ან „სიტყვისა და გამოხატვის შესახებ“ საქართველოს კანონში მითითებული „საჯარო პირის“ მიმართ უნდა გავრცელებულიყო. ამ პირობებში, იგი შეიძლება ზოგადი წესის თანახმად ჩათვლილიყო პირად, რომლის შესახებაც პერსონალური მონაცემების გაცემისათვის კანონმდებლობით გარკვეული შეზღუდვები იყო დადგენილი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 16 მაისის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ვებ-გვერდ ... გენ. რედაქტორმა, მ. წ-მა, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 10 თებერვლის გადაწყვეტილებით ვებ-გვერდ ... გენ. რედაქტორის, მ. წ-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 16 მაისის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ვებ-გვერდ ... გენ. რედაქტორის, მ. წ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა; მოპასუხეს – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დაევალა 2013 წლის 09 სექტემბრის განცხადებით მოთხოვნილი ინფორმაციის გაცემა კანონით დადგენილი წესით. კერძოდ: არის თუ არა ი. ც-ე შინაგან საქმეთა სამინისტროში მომუშავე თანამდებობის პირი; რა თანამდებობაზე მუშაობს და რა დროიდან“. მოწინააღმდეგე მხარეს – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, ვებ-გვერდ ... სასარგებლოდ დაეკისრა მის მიერ ყველა ინსტანციის სასა-



მართლოში გადახდილი სახელმწიფო ბაჟი 250 ლარის ოდენობით.

საქმის მასალებით დადასტურებულია, რომ 2013 წლის 9 სექტემბერს ვებ-გვერდ ... რედაქტორმა, მ. ნ-მა განცხადებით მიმართა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელ პირს და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-38-ე, მე-40 მუხლების საფუძველზე, მოითხოვა შემდეგი სახის ინფორმაციის გაცემა – არის თუ არა ი. ც-ე შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელი, რა თანამდებობაზე მუშაობს და რა დროიდან, რა ინფორმაციას ფლობს შინაგან საქმეთა სამინისტრო ი. ც-ეზე. 2013 წლის 17 ოქტომბერს ვებ-გვერდ ... რედაქტორმა, მ. ნ-მა ადმინისტრაციული საჩივრით მიმართა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს და მოითხოვა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირისათვის 2013 წლის 9 სექტემბრის განცხადებით მოთხოვნილი ინფორმაციის გაცემის დავალება. საქმის მასალებით და მხარეთა განმარტებებით ასევე დადგენილია, რომ აღნიშნულ ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით ადმინისტრაციულ ორგანოს ქმედება არ განუხორციელებია.

სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირის ნერილის თანახმად, ი. ც-ე სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებელში 2013 წლის 21 მარტიდან მიღებულია გენერალური დირექტორის მრჩეველის თანამდებობაზე უშიშროების საკითხებში და შესაბამისად, საზოგადოებრივი მაუწყებლის სხვა თანამშრომლების მსგავსად, მასზე დაშვებულია მაუწყებლის შენობაში შესვლის საშვი. საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს საგანგებო განცხადების თანახმად, ი. ც-ე უხეშად ერევა საზოგადოებრივი მაუწყებლის საქმიანობაში.

საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოსათვის“, საჯარო ინფორმაციის სახით გაცემული ი. ც-ის ქონებრივი მდგომარეობის შესახებ დეკლარაციის ასლებით დადასტურებულია, რომ 1977 წლის 4 ივნისს დაბადებული ი. ც-ის მიერ 2012 წლის 25 სექტემბერს შევსებული თანამდებობის პირის დეკლარაციის თანახმად, ი. ც-ის დაკავებულ თანამდებობას წარმოადგენს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, კონტრდაზვერვის დეპარტამენტის კონტრდაზვერვის მთავარი სამმართველოს მესამე სამმართველოს მეოთხე სამსახურის უფროსი. 1977 წლის 4 ივნისს დაბადებული ი. ც-ის მიერ 2013 წლის 26 დეკემბერს შევსებული თანამდებო-

ბის პირის დეკლარაციის თანახმად, ი. ც-ის დაკავებულ თანამდებობას წარმოადგენს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, კონტრდაზვერვის დეპარტამენტის უშიშროების საკითხებში ოფიცერთა მთავარი სამმართველოს სამმართველოს უფროსი. 1977 წლის 4 ივნისს დაბადებული ი. ც-ის მიერ 2014 წლის 1 ოქტომბერს შევსებული თანამდებობის პირის დეკლარაციის თანახმად, ი. ც-ის დაკავებულ თანამდებობას წარმოადგენს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კონტრდაზვერვის დეპარტამენტის უშიშროების საკითხებში ოფიცერთა მთავარი სამმართველოს უფროსი.

სააპელაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლი იცავს სხვათა იდეების მოპოვებას, დამუშავებასა და შემდგომ გადაცემას. ხსენებული მუხლის შესაბამისად, პროვინებას აქვს იდეების და ცნობების მიღების უფლება საყოველთაოდ ხელმისაწვდომი წყაროებიდან, სახელმწიფოს ჩარევის გარეშე. საქართველოს კონსტიტუცია ინფორმაციის თავისუფლების უზრუნველყოფის მეტ გარანტიას იძლევა და სახელმწიფოს აკისრებს არა მხოლოდ ნეგატიურ ვალდებულებას, ხელი არ შეუშალოს პროვინებას ინფორმაციის მიღებაში, არამედ პოზიტიურ ვალდებულებას – გასცეს მის ხელთ არსებული ინფორმაცია. საქართველოს კონსტიტუცია მხოლოდ იმ შემთხვევაში ზღუდავს აღნიშნულ უფლებას თუ მოთხოვნილი ინფორმაცია შეიცავს სახელმწიფო, პროფესიულ ან კომერციულ საიდუმლოებას. საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საქართველოს ყოველი მოქალაქე უფლებამოსილია, კანონით დადგენილი წესით გაეცნოს სახელმწიფო დანესებულებაში მასზე არსებულ ინფორმაციას, ასევე სახელმწიფო დანესებულებაში არსებულ ოფიციალურ დოკუმენტებს, თუ ისინი არ შეიცავს სახელმწიფო, პროფესიულ ან კომერციულ საიდუმლოებას. საქართველოს კონსტიტუციით რეგლამენტირებული საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ზემოაღნიშნული ზოგადი პრინციპი კონკრეტიზირებულია ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-3 თავით (ინფორმაციის თავისუფლება). აღნიშნული თავის 28-ე მუხლი იმეორებს კონსტიტუციურ ნორმას, რომ საჯარო ინფორმაცია ღიაა, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა და დადგენილი წესით პერსონალურ მონაცემებს, სახელმწიფო ან კომერციულ საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაციისა.

სასამართლომ აღნიშნა, რომ ინფორმაციის თავისუფლად მიღებისა და გავრცელების უფლება გარანტირებულია საქართვე-

ლოს უზენაესი კანონით – საქართველოს კონსტიტუციით, რომლის 24-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია, გამოთქვას და გაავრცელოს თავისი აზრი ზეპირად, წერილობით ან სხვაგვარი საშუალებით. პალატა ყურადღებას მიაქცევს აგრეთვე საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 10.1 მუხლზე, რომელიც ადგენს, რომ ყველას აქვს უფლება, გაეცნოს ადმინისტრაციულ ორგანოში არსებულ საჯარო ინფორმაციას, აგრეთვე მიიღოს მათი ასლები, თუ ისინი არ შეიცავენ სახელმწიფო, პროფესიულ ან კომერციულ საიდუმლოებას ან პერსონალურ მონაცემებს. ამავე საკანონმდებლო აქტის 27<sup>1</sup>-ე მუხლის თანახმად, პერსონალური მონაცემების დაცვასა და დამუშავებასთან დაკავშირებული ურთიერთობები წესრიგდება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით, რომლის მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, პერსონალური მონაცემი არის ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც უკავშირდება იდენტიფიცირებულ ან იდენტიფიცირებად ფიზიკურ პირს, ხოლო იდენტიფიცირებადია პირი, როდესაც შესაძლებელია მისი იდენტიფიცირება პირდაპირ ან არაპირდაპირ, კერძოდ, საიდენტიფიკაციო ნომრით, ან პირის მახასიათებელი ფიზიკური, ფიზიოლოგიური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, კულტურული ან სოციალური ნიშნებით.

სასამართლოს მითითებით, მოსარჩელის მოთხოვნა ეხება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსათვის ი. ც-ის თაობაზე ინფორმაციის გაცემის დავალებას, მოთხოვნილი ინფორმაცია იძლევა პირის იდენტიფიკაციის საშუალებას, ანუ ეხება პირის პერსონალურ მონაცემებს. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 44-ე მუხლზე, რომლის პირველი ნაწილი ადგენს, საჯარო დანესებულება ვალდებულია არ გაახმაუროს პერსონალური მონაცემები თვით ამ პირის თანხმობის ან კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში სასამართლოს დასაბუთებული გადაწყვეტილების გარეშე, თანამდებობის პირთა (აგრეთვე თანამდებობაზე წარდგენილ კანდიდატთა) პერსონალურ მონაცემთა გარდა. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 27-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, ინფორმაციის თავისუფლების თავის მიზნებისთვის თანამდებობის პირს წარმოადგენს „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლით გათვალისწინებული თანამდებობის პირი. პალატა მიუთითებს „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2

მუხლის „მ“ ქვეპუნქტზე, რომლის თანახმადაც საქართველოს შინაგან საქმეთა და თავდაცვის სამინისტროების დეპარტამენტების, ბიუროების, მთავარი სამმართველოებისა და სამმართველოების უფროსები და მათი მოადგილეები, აგრეთვე მათთან გათანაბრებული პირები ამ კანონის მიზნებისათვის ითვლებიან თანამდებობის პირებად. პალატამ საქმეში წარმოდგენილი საჯარო სამსახურის ეროვნული ბიუროს მიერ გაცემული მასალებით დადასტურებულად მიიჩნია, რომ ი. ც-ეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში 2012-2014 წლებში დაკავებული ჰქონდა სამმართველოს უფროსის თანამდებობა.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, როგორც მმართველობის სფეროში მონაცემთა დაცვის სპეციალური კანონი, თანამდებობის პირთა მიმართ შეიცავს სპეციალურ რეგულაციას, თანამდებობის პირთა მიმართ პერსონალური მონაცემების დაცვის სტანდარტი განსხვავებულია, სააპელაციო პალატა აღნიშნავს, რომ თანამდებობის პირებთან დაკავშირებით პირადი საიდუმლოების შემცველი ინფორმაციის საჯაროობა ემსახურება ლეგიტიმურ მიზანს, უზრუნველყოს თანამდებობის პირთა შესახებ ინფორმაციის გამჭირვალობა. ამდენად, თანამდებობის პირის მონაცემები კოდექსის 44-ე მუხლის თანახმად ღიაა, ამასთანავე, მხედველობაშია მისაღები, რომ სზაკის 27-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, კოდექსის „ინფორმაციის თავისუფლების“ თავის მიზნებისათვის თანამდებობის პირი არის „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლით გათვალისწინებული თანამდებობის პირი. აღნიშნულიდან გამომდინარე, პალატა მიიჩნევს, რომ ვებ-გვერდ ... რედაქტორს, მ. ნ-ს გააჩნია ლეგიტიმური მიზანი და უფლება მიიღოს 2012 წლის 9 სექტემბრის განცხადებით მოთხოვნილი ინფორმაცია.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 10 თებერვლის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

კასატორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება გამოტანილია კანონის დარღვევით და ექვემდებარება გაუქმებას. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-10 მუხლი, გარკვეულწილად, ზღუდავს უფლებას, გაიცეს ისეთი საჯარო ინფორმაცია, რო-

მელიც პერსონალური მონაცემების შემცველია. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონის მიღებით 2012 წლიდან ქვეყანაში პერსონალურ მონაცემთა დაცვის ეფექტური და გაუმჯობესებული მექანიზმი ჩამოყალიბდა. აღნიშნული კანონი მიმართულია სწორედ იმ კატეგორიის ინფორმაციის დაცვისაკენ, რომელიც მოთხოვნილია განცხადებით. მნიშვნელოვნად გაიზარდა ადმინისტრაციული ორგანოს პასუხისმგებლობა პერსონალური მონაცემების დაცვასთან მიმართებით. შესაბამისად, იგი მკაცრად შეზღუდულია დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას და მოქმედებს მხოლოდ პერსონალური მონაცემების მკაცრად და ამომწურავად განსაზღვრული დამუშავების კანონიერი საფუძვლებით.

კასატორმა მიუთითა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 44-ე მუხლზე, რომლის თანახმად, საჯარო დაწესებულება ვალდებულია არ გაახმაუროს პერსონალური მონაცემები, ინფორმაცია თვით ამ პირის თანხმობის ან კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში – სასამართლოს დასაბუთებული გადაწყვეტილების გარეშე, თანამდებობის პირთა (აგრეთვე თანამდებობაზე წარდგენილ კანდიდატთა) პერსონალური მონაცემების გარდა. პირის პერსონალური მონაცემების შემცველი ინფორმაცია წარმოდგენს დახურული ტიპის საჯარო ინფორმაციას, რომლის გამხელისგან დაცვის ვალდებულება აქვს შინაგან საქმეთა სამინისტროს საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსისა და „პერსონალური მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. რაც შეეხება მოსარჩელის მიერ მოთხოვნილ იდენტიფიცირებად პირთან დაკავშირებული პერსონალური მონაცემების შემცველი ნებისმიერი სხვა ინფორმაციის გაცემას, აღნიშნულს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 44-ე მუხლი ერთმნიშვნელოვნად მიიჩნევს დახურული ინფორმაციად და მისი დამუშავების სამართლებრივ საფუძვლებს ადგენს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი.

კასატორი ასევე აღნიშნავს, რომ იმ შემთხვევაში თუ ი. ც-ე არ არის თანამდებობის პირი, მის შესახებ ინფორმაცია უნდა გაიცეს „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის 1-ლი მუხლის „ი“ ქვეპუნქტის შესაბამისად. იმ შემთხვევაში, თუ ინფორმაცია საზოგადოებრივი ინტერესის შემცველია, უნდა დადგინდეს მისი გამჟღავნება ხომ არ შეზღუდავს ვინმეს კერძო ინტერესს. მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელემ უნდა დაასაბუთოს ი. ც-ის მიმართ იმდენად მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის არსებობის ფაქტი, რომელიც

გადანონის კერძო და საჯარო ინტერესებს, რაც მოსარჩელემ ვერ დაასაბუთა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 3 ივლისის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 17 დეკემბრის განჩინებით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად და მისი განხილვა დაინიშნა ზეპირი მოსმენის გარეშე.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობის შესწავლისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს, ასევე განსახილველი სამართალურთიერთობის მიმართ გაკეთებულ სამართლებრივ დასკვნებს, მიუთითებს მათზე და განმარტავს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 24-ე მუხლი ითვალისწინებს მავალდებულებელი სარჩელის განსაკუთრებული ფორმის – მოქმედების განხორციელების თაობაზე მიკუთვნებითი სარჩელის აღძვრის შესაძლებლობას, მისი მეშვეობით შესაძლებელია ნებისმიერი ადმინისტრაციული ზომის (რეალაქტის) განხორციელების მოთხოვნა, რომელიც არ გულისხმობს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას. ასეთი სარჩელის მოთხოვნა საჭიროებს ადმინისტრაციული ორგანოს, მოცემულ შემთხვევაში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, უფლებამოსილებიდან გამომდინარე ასეთი მოქმედების განხორციელების ვალდებულების დადგენას. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 27-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, კოდექსის მე-3 თავის („ინფორმაციის თავისუფლება“) მიზნებისთვის სამინისტრო არის საჯარო დაწესებულება. ამავე კოდექსის 38-ე მუხლის შესაბამისად კი, საჯარო დაწესებულება ვალდებულია უზ-

რუნველყოს საჯარო ინფორმაციის ასლების ხელმისაწვდომობა. საჯარო დაწესებულების ელექტრონული რესურსის საშუალებით საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის და გაცემის სტანდარტი, საქართველოს ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსში 2012 წლის 25 მაისის კანონით შეტანილი ცვლილებების თანახმად, ამოქმედდა 2013 წლის 1 სექტემბრიდან.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებში ასახულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: 2013 წლის 9 სექტემბერს ვებ-გვერდ ... რედაქტორმა, მ. ნ-მა განცხადებით მიმართა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელ პირს და ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-38-ე, მე-40 მუხლების საფუძველზე, შემდეგი სახის ინფორმაციის გაცემა მოითხოვა: არის თუ არა ი. ც-ე შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელი, რა თანამდებობაზე მუშაობს და რა დროიდან, რა ინფორმაციას ფლობს შინაგან საქმეთა სამინისტრო ი. ც-ეზე. 2013 წლის 17 ოქტომბერს ვებ-გვერდ ... რედაქტორმა, მ. ნ-მა ადმინისტრაციული საჩივრით მიმართა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს და მოითხოვა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირისათვის 2013 წლის 9 სექტემბრის განცხადებით მოთხოვნილი ინფორმაციის გაცემის დავალება. საქმის მასალებით და მხარეთა განმარტებებით ასევე დადგენილია, რომ აღნიშნულ ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით ადმინისტრაციულ ორგანოს ქმედება არ განუხორციელებია.

სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირის წერილის თანახმად, ი. ც-ე სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებელში“ 2013 წლის 21 მარტიდან მიღებულია გენერალური დირექტორის მრჩეველის თანამდებობაზე უშიშროების საკითხებში და შესაბამისად, საზოგადოებრივი მაუწყებლის სხვა თანამშრომლების მსგავსად, მასზე დაშვებულია მაუწყებლის შენობაში შესვლის საშუალება. საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს საგანგებო განცხადების თანახმად, ი. ც-ე უხეშად ერევა საზოგადოებრივი მაუწყებლის საქმიანობაში.

ასევე დადგენილია, რომ საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოსათვის“ საჯარო ინფორმაციის სახით გაცემული ი. ც-ის ქონებრივი მდგომარეობის შესახებ დეკლარაციის ასლებით დადასტურებულია, რომ 1977 წლის 4 ივნისს დაბადებული ი. ც-ის მიერ 2012 წლის 25



სექტემბერს შევსებული თანამდებობის პირის დეკლარაციის თანახმად, ი. ც-ის დაკავებულ თანამდებობას წარმოადგენს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, კონტრდაზვერვის დეპარტამენტის კონტრდაზვერვის მთავარი სამმართველოს მესამე სამმართველოს მეოთხე სამსახურის უფროსი. 1977 წლის 4 ივნისს დაბადებული ი. ც-ის მიერ 2013 წლის 26 დეკემბერს შევსებული თანამდებობის პირის დეკლარაციის თანახმად, ი. ც-ის დაკავებულ თანამდებობას წარმოადგენს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, კონტრდაზვერვის დეპარტამენტის უშიშროების საკითხებში ოფიცერთა მთავარი სამმართველოს უფროსი. 1977 წლის 4 ივნისს დაბადებული ი. ც-ის მიერ 2014 წლის 1 ოქტომბერს შევსებული თანამდებობის პირის დეკლარაციის თანახმად, ი. ც-ის დაკავებულ თანამდებობას წარმოადგენს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, კონტრდაზვერვის დეპარტამენტის უშიშროების საკითხებში ოფიცერთა მთავარი სამმართველოს უფროსი.

საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლი იცავს სხვათა იდეების მოპოვებას, დამუშავებასა და შემდგომ გადაცემას. მითითებული მუხლის შესაბამისად, პიროვნებას აქვს იდეებისა და ცნობების მიღების უფლება საყოველთაოდ ხელმისაწვდომი წყაროებიდან, სახელმწიფოს ჩარევის გარეშე. საქართველოს კონსტიტუცია ინფორმაციის თავისუფლების უზრუნველყოფის მეტ გარანტიას იძლევა და სახელმწიფოს აკისრებს არა მხოლოდ ნეგატიურ ვალდებულებას, ხელი არ შეუშალოს პიროვნებას ინფორმაციის მიღებაში, არამედ პოზიტიურ ვალდებულებას – გასცეს მის ხელთ არსებული ინფორმაცია. საქართველოს კონსტიტუცია მხოლოდ იმ შემთხვევაში ზღუდავს აღნიშნულ უფლებას თუ მოთხოვნილი ინფორმაცია შეიცავს სახელმწიფო, პროფესიულ ან კომერციულ საიდუმლოებას.

საკასაციო პალატის განმარტებით, საქართველოს კონსტიტუცია ინფორმაციის თავისუფლებას გამორჩეულ მნიშვნელობას ანიჭებს, რომლის 41-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საქართველოს ყოველი მოქალაქე უფლებამოსილია, კანონით დადგენილი წესით გაეცნოს სახელმწიფო დაწესებულებაში მასზე არსებულ ინფორმაციას, ასევე სახელმწიფო დაწესებულებაში არსებულ ოფიციალურ დოკუმენტებს, თუ ისინი არ შეიცავს სახელმწიფო, პროფესიულ ან კომერციულ საიდუმლოებას. საქართველოს კონსტიტუციით რეგლამენტირებული საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ზემოაღნიშნული ზოგადი პრინციპი კონკრეტიზირებულია ზოგადი ადმინისტრაცი-

ული კოდექსის მე-3 თავით (ინფორმაციის თავისუფლება). აღნიშნული თავის 28-ე მუხლი შეესაბამება კონსტიტუციურ ნორმას, რომ საჯარო ინფორმაცია ღიაა, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა და დადგენილი წესით პერსონალურ მონაცემებს, სახელმწიფო ან კომერციულ საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაციისა.

საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლის 1-ლი პუნქტი-საგან განსხვავებით, ამავე მუხლის მე-2 პუნქტით დაცვის სუბიექტი არის პირი, რომლის კერძო სფეროს მიკუთვნებული მონაცემებიც დაცულია ოფიციალურ წყაროებში. ამდენად, ამ პუნქტით დაცული სიკეთე არის პირის კერძო სფეროს ხელშეუხებლობა, რაც გულისხმობს პირის უფლებას, ოფიციალურ ჩანაწერებში არსებული, მის ჯანმრთელობასთან, ფინანსებთან ან სხვა კერძო საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის გამხელისაგან იყოს დაცული. პირის ინტერესი, არ დაუშვას კერძო საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის გამჟღავნება და აკონტროლოს ამ ინფორმაციის გავრცელება, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების ერთ-ერთი უმთავრესი ასპექტია. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ შეუძლებელია ინფორმაცია, პირის საჯარო სამსახურში მუშაობის შესახებ, განხილულ იქნეს, როგორც კერძო საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაცია. მოცემულ შემთხვევაში პირი უკვე იდენტიფიცირებულია, შესაბამისად, შეუძლებელია სახელმწიფო უწყებაში მუშაობის შესახებ ინფორმაცია ჩაითვალოს პირის მაიდენტიფიცირებელ ინფორმაციად. იმისათვის, რომ ინფორმაცია ჩაითვალოს კერძო საკითხებთან დაკავშირებულად, პირს უნდა გააჩნდეს მისი დაცვის გონივრული მოლოდინი. საჯარო სამსახურში მუშაობის ფაქტი კი ვერ ჩაითვლება პირის პირად სფეროს მიკუთვნებულ ინფორმაციად, რომლის გასაიდუმლოების ვარაუდიც პირს შეიძლება გააჩნდეს.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კასატორის მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-10 მუხლი, გარკვეულწილად, ზღუდავს უფლებას, გაიცეს ისეთი საჯარო ინფორმაცია, რომელიც პერსონალური მონაცემების შემცველია. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონის მიღებით 2012 წლიდან ქვეყანაში პერსონალურ მონაცემთა დაცვის ეფექტური და გაუმჯობესებული მექანიზმი ჩამოყალიბდა. აღნიშნული კანონი მიმართულია სწორედ იმ კატეგორიის ინფორმაციის დაცვისაკენ, რომელიც მოთხოვნილია განცხადებით. აღნიშნულთან დაკავშირებით საკასაციო პალატა მიუთითებს საქართველოს ზო-

გადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-10 მუხლის 1-ლ პუნქტზე, რომლის მიხედვით ყველას აქვს უფლება, გაეცნოს ადმინისტრაციულ ორგანოში არსებულ საჯარო ინფორმაციას, აგრეთვე მიიღოს მათი ასლები, თუ ისინი არ შეიცავენ სახელმწიფო, პროფესიულ ან კომერციულ საიდუმლოებას ან პერსონალურ მონაცემებს. ამავე საკანონმდებლო აქტის 27<sup>1</sup>-ე მუხლის თანახმად, პერსონალური მონაცემების დაცვასა და დამუშავებასთან დაკავშირებული ურთიერთობები ნებსრიგდება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით, რომლის მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, პერსონალური მონაცემი არის ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც უკავშირდება იდენტიფიცირებულ ან იდენტიფიცირებად ფიზიკურ პირს, ხოლო იდენტიფიცირებადია პირი, როდესაც შესაძლებელია მისი იდენტიფიცირება პირდაპირ ან არაპირდაპირ, კერძოდ, საიდენტიფიკაციო ნომრით, ან პირის მახასიათებელი ფიზიკური, ფიზიოლოგიური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, კულტურული ან სოციალური ნიშნებით. მოსარჩელის მოთხოვნა ეხება სწორედ იდენტიფიცირებული პირის საჯარო სამსახურში მუშაობის შესახებ ინფორმაციას, კერძოდ, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსათვის ი. ც-ის თაობაზე ინფორმაციის გაცემის დავალებას. მოთხოვნილი ინფორმაცია იძლევა პირის იდენტიფიკაციის საშუალებას, ანუ ეხება პირის პერსონალურ მონაცემებს.

საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს განმარტებას იმასთან დაკავშირებით, რომ „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, პერსონალური მონაცემები შეიძლება დამუშავდეს მხოლოდ კონკრეტული, მკაფიოდ განსაზღვრული, კანონიერი მიზნებისათვის, ხოლო ამავე კანონის მე-2 მუხლის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, მონაცემების დამუშავება ასევე მოიცავს მონაცემთა გამჟღავნებას მათი გადაცემის, გავრცელების ან სხვაგვარად ხელმისაწვდომად გახდომის გზით. ამავე საკანონმდებლო აქტის მე-5 მუხლის „ბ“, „ე“ და „ზ“ ქვეპუნქტების მიხედვით, პერსონალურ მონაცემთა დამუშავება დასაშვებია თუ ეს გათვალისწინებულია კანონით, თუ აუცილებელია მესამე პირის კანონიერი ინტერესების ან მნიშვნელოვანი საჯარო ინტერესის დასაცავად.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს ასევე საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 44-ე მუხლზე, რომლის პირველი ნაწილით დადგენილია, რომ საჯარო დაწესებულება ვალდებულია არ გაახმაუროს პერსონალური მონაცემები თვით

ამ პირის თანხმობის ან კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში სასამართლოს დასაბუთებული გადანყვეტილების გარეშე, თანამდებობის პირთა (აგრეთვე თანამდებობაზე წარდგენილ კანდიდატთა) პერსონალურ მონაცემთა გარდა. პირის პერსონალურ მონაცემთა სამართლებრივ რეჟიმზე ზემოქმედებს პირის სტატუსი, კერძოდ, საჯარო პირების მონაცემთა დაცვის რეჟიმი განსხვავდება სხვა პირების სამართლებრივი დაცვის რეჟიმისაგან. თანამდებობის პირთან დაკავშირებით პირადი სფეროს შემცველი ინფორმაციის საჯაროობა ემსახურება იმ მიზანს, რომ უზრუნველყოფილი იყოს თანამდებობის პირთა შესახებ ინფორმაციის გამჭირვალობა. ამდენად, მომეტებული საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, თანამდებობის პირის მონაცემები ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 44-ე მუხლის თანახმად ღიაა.

მხედველობაშია მისაღები, რომ სზაკ-ის 27-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, კოდექსის „ინფორმაციის თავისუფლების“ თავის მიზნებისათვის თანამდებობის პირი არის „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ კანონის მე-2 მუხლით გათვალისწინებული თანამდებობის პირი. „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ კანონის მე-2 მუხლის „მ“ ქვეპუნქტის თანახმად, ამ კანონის მიზნებისთვის, თანამდებობის პირები არიან საქართველოს შინაგან საქმეთა და თავდაცვის სამინისტროების დეპარტამენტების, ბიუროების, მთავარი სამმართველოებისა და სამმართველოების უფროსები და მათი მოადგილეები, აგრეთვე მათთან გათანაბრებული პირები. მოცემულ შემთხვევაში, საქმეში წარმოდგენილი საჯარო სამსახურის ეროვნული ბიუროს მიერ გაცემული მასალებით დადგენილია, რომ ი. ც-ეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში 2012-2014 წლებში დაკავებული ჰქონდა სამმართველოს უფროსის თანამდებობა.

აქედან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, როგორც მმართველობის სფეროში მონაცემთა დაცვის სპეციალური კანონი, თანამდებობის პირთა მიმართ შეიცავს სპეციალურ რეგულაციას, თანამდებობის პირთა მიმართ პერსონალური მონაცემების დაცვის სტანდარტი განსხვავებულია. ამდენად, ვებგვერდი ... რედაქტორს, მ. ნ-ს გააჩნია ლეგიტიმური მიზანი და უფლება მიიღოს 2012 წლის 9 სექტემბრის განცხადებით მოთხოვნილი ინფორმაცია.

სასკ-ის 33<sup>1</sup>-ე მუხლის შესაბამისად, თუ ადმინისტრაციული

ორგანოს მიერ რაიმე მოქმედების განხორციელება ან უარი რაიმე მოქმედების განხორციელებაზე უკანონოა და ის პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩელის უფლებას ან კანონიერ ინტერესს, სასამართლო კოდექსის 24-ე მუხლში აღნიშნულ სარჩელთან დაკავშირებით გამოიტანს გადანყვეტილებას, რომლითაც ადმინისტრაციულ ორგანოს ავალებს განხორციელოს ეს მოქმედება ან თავი შეიკავოს ამ მოქმედების შესრულებისაგან. ზემოაღნიშნული სამართლებრივი ნორმებისა და საქმის ფაქტობრივი გარემოებების ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საკასაციო პალატა თვლის, რომ არსებობს ი. ც-ის შესახებ საჯარო ინფორმაციის გაცემის სამინისტროსათვის დავალების საფუძველი.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ კასატორს – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არ წარმოუდგენია დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია, რომელიც გააბათილებდა სააპელაციო სასამართლოს შეფასებებს.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საკასაციო საჩივარი უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს, რადგან გასაჩივრებული თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 10 თებერვლის გადანყვეტილება არსებითად სწორია, არ არსებობს მისი გაუქმების სამართლებრივი საფუძველი და იგი საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის თანახმად, დატოვებულ უნდა იქნეს უცვლელად.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 10 თებერვლის გადანყვეტილება;
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

# ხელშეკრულების კომერციულ საიდუმლოებად ცნობა

## ბანკინება

№ბს-33-32(კ-16)

28 თებერვალი, 2017 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
მ. ვაჩაძე,  
ვ. როინიშვილი

**დავის საგანი:** ინფორმაციის კომერციულ საიდუმლოებად  
გამოცხადება

### აღწერილობითი ნაწილი:

სს „...“ სარჩელი აღძრა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში მოპასუხე საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მიმართ და მოითხოვა საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 13.06.14წ. №22/17 გადაწყვეტილების მე-3 პუნქტის ბათილად ცნობა, რომლითაც სს „...“ უარი ეთქვა „საქონლის, სამუშაოსა და მომსახურების შესყიდვის წესის“, სხვადასხვა მომსახურების შესყიდვის და ქონების იჯარაზე გაფორმებული ხელშეკრულებების, აგრეთვე ელექტროენერჯის ნასყიდობისა და ელექტროენერჯის გატარების ხელშეკრულებების კომერციულ საიდუმლოებად ცნობაზე. მოსარჩელემ მოითხოვა საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება სს „...“ მიერ წარდგენილი „საქონლის, სამუშაოსა და მომსახურების შესყიდვის წესის“, სხვადასხვა მომსახურების შესყიდვისა და ქონების იჯარაზე გაფორმებული ხელშეკრულებების, ელექტროენერჯის ნასყიდობისა და ელექტროენერჯის გატარების ხელშეკრულებების კომერციულ საიდუმლოებად ცნობის თაობაზე. მოსარჩელემ აღნიშნა, რომ კომისიამ 13.06.14წ. მიიღო №22/17 გადაწყვეტილება, რომლითაც სს „...“ უარი ეთქვა მის მიერ მოთხოვნილი ინფორმაციის (ნაწილის) კომერციულ საიდუმლოებად ცნობაზე. აღნიშნული გადაწყვეტილების იმ ნაწილს, რომ-

ლითაც მოსარჩელეს უარი ეთქვა ინფორმაციის კომერციულ საიდუმლოებად ცნობაზე, მოსარჩელე არ ეთანხმება, ვინაიდან მისმა გამჟღავნებამ, შესაძლოა ზიანი მიაყენოს პირის კონკურენტუნარიანობას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 11.07.2014წ. განჩინებით კომისიის 13.06.14წ. №22/17 გადაწყვეტილება ინფორმაციის კომერციულ საიდუმლოებად მიჩნევაზე უარის თქმის ნაწილში შეჩერდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 06.03.2015წ. გადაწყვეტილებით სს „...“ სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 13.06.14წ. №22/17 გადაწყვეტილების მე-3 პუნქტი იმ ნაწილში, რომლითაც სს „...“ უარი ეთქვა ელექტროენერჯის ნასყიდობისა და ელექტროენერჯის გატარების ხელშეკრულებების კომერციულ საიდუმლოებად ცნობაზე, მოპასუხე – საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიას დაევალა სს „...“ მიერ წარდგენილი ელექტროენერჯის ნასყიდობისა და ელექტროენერჯის გატარების ხელშეკრულებების კომერციულ საიდუმლოებად ცნობის თაობაზე ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა. დანარჩენ ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სზაკ-ის 2.1 მუხლის „მ“ და „ლ“ ქვეპუნქტებისა და 27<sup>2</sup> მუხლის საფუძველზე, საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ კომერციულ საიდუმლოებად მიიჩნევა ნებისმიერი ინფორმაცია, რომელსაც გააჩნია კომერციული ღირებულება, ანუ რომლის გამჟღავნებასაც შეუძლია ზიანი მიაყენოს პირის კონკურენტუნარიანობას. ამასთან, პირი, რომელსაც შეეხება ინფორმაცია, პირადად განსაზღვრავს კომერციული თვალსაზრისით რამდენად ღირებულია ეს ინფორმაცია მისთვის და თავადვე ახდენს ინფორმაციის გასაიდუმლოების საკითხის ინიცირებას. შესაბამისად, მასვე ეკისრება ვალდებულება დაასაბუთოს, თუ რა საფრთხეების მატარებელია მისთვის ინფორმაციის ღიად დატოვება. ამდენად, მტკიცების ტვირთი იმისა, რომ ინფორმაცია კომერციული ფასეულობის მატარებელია, მოსარჩელეს ეკისრება.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მოსარჩელემ სზაკ-ის 27<sup>2</sup> მუხლით დადგენილი პროცედურით მოითხოვა საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიაში წარდგენილი ინფორმაციის კომერციულ საიდუმლოებად მიჩნევა, ხოლო საფრთხის ობიექტად მი-



უთითა სანარმოს კონკურენტუნარიანობა. აღნიშნული საკითხის შეფასებისთვის სასამართლომ ყურადღება გაამახვილა კონკურენციისა და კონკურენტუნარიანობის ცნებებზე. იმისათვის, რომ მენარმემ გაუძლოს კონკურენციას და იყოს კონკურენტუნარიანი, მან უნდა უზრუნველყოს მიმწოდებლებითვის/მომხმარებლებითვის, ბაზარზე მოქმედ სხვა სანარმოსთან შედარებით, ხელსაყრელი პირობების შეთავაზება. სადავო ინფორმაციის გამჟღავნებით სანარმოს კონკურენტუნარიანობაზე გავლენის ქონას სს „...“ ადმინისტრაციულ ორგანოში საკითხის განხილვისას ასაბუთებდა იმ გარემოებაზე მითითებით, რომ იგი ელექტროენერგიას ყიდულობს მცირე ჰესებისგან, რომლებსაც არ გააჩნიათ არანაირი ვალდებულება მათ მიერ გამოიმუშავებული ელექტროენერგია მიჰყიდონ მხოლოდ სს „...“. გარდა პირდაპირი მომხმარებლის, ბაზარზე ფუნქციონირებს სამი ენერგოგამანაწილებელი კომპანია, რომლებიც ელექტროენერგიას, სს „...“ მსგავსად, ყიდულობენ მცირე ჰესებისგან. შესაბამისად, არაა გამორიცხული, რომ რომელიმე პირდაპირმა მომხმარებელმა ან სადისტრიბუციო ენერგოკომპანიამ სს „...“ სულ მცირე ოდენობით ზედმეტი საფასური შესთავაზოს ჰესებს, რასაც შესაძლოა მოჰყვეს ჰესების მხრიდან სს „...“ უკვე გაფორმებული ხელშეკრულებების ფასის გაძვირება ან უარეს შემთხვევაში, საერთოდ ხელშეკრულების შეწყვეტა. ასეთ პირობებში სს „...“ იძულებული გახდება ელექტროენერგია შეიძინოს გაცილებით ძვირად, რათა შეასრულოს დაკისრებული ვალდებულება – აბონენტებისთვის ელექტროენერგიის უწყვეტ რეჟიმში მიწოდება.

სასამართლომ გაიზიარა მოსარჩელის აღნიშნული მოტივაცია და მიიჩნია, რომ კონკურენტი სანარმოების მიერ ელექტროენერგიის გამყიდველებისთვის სს „...“ შედარებით უფრო ხელსაყრელი პირობების შეთავაზებამ, შესაძლოა გამოიწვიოს მოსარჩელისთვის არახელსაყრელი შედეგები – ხარჯების ზრდა, შემოსავლებისა და მოგების შემცირება, რაც თავისთავად გავლენას იქონიებს სანარმოს კონკურენტუნარიანობაზე. ამ შინაარსის ინფორმაცია არის სანარმოს კომერციული საიდუმლოება. აღნიშნულ ინფორმაციას, მოსარჩელის მიერ მითითებული დოკუმენტაციიდან, შეიცავს მხოლოდ ელექტროენერგიის ნასყიდობისა და ელექტროენერგიის გატარების ხელშეკრულებები. ამასთან, გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ მოსარჩელე მითითებული დოკუმენტაციისთვის კომერციული საიდუმლოების მინიჭების მოტივად მხოლოდ აღნიშნული ინფორმაციის შემცველობას ასახელებს. სადავო დოკუმენტაციის კომერციულ საიდუმლოებად მიჩნევის სხვა მოტივაცია მოსარჩე-

ლის მიერ წარმოდგენილი არ ყოფილა. მტკიცების ტვირთი იმისა, რომ ინფორმაცია კომერციული ფასეულობის მატარებელია, მოსარჩელის ვალდებულებაა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 06.03.2015წ. გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გასაჩივრდა საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მიერ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 12.11.2015წ. განჩინებით საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 06.03.2015წ. გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ სრულად გაიზიარა საქალაქო სასამართლოს მიერ საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და მათი სამართლებრივი შეფასება. სააპელაციო პალატამ სზაკ-ის 2.1 მუხლის „მ“ და „ნ“ ქვეპუნქტებზე, აგრეთვე 27<sup>2</sup> მუხლზე მითითებით დაასკვნა, რომ კომერციულ საიდუმლოებად მიიჩნევა ნებისმიერი ინფორმაცია, რომელსაც გააჩნია კომერციული ღირებულება. პირი თავად განსაზღვრავს თავისთვის ინფორმაციის ღირებულებას. ინფორმაციის კომერციული საიდუმლოების მტკიცების ტვირთი მოსარჩელეს ეკისრება. ვინაიდან მოსარჩელე საფრთხის ობიექტად უთითებს სანარმოს კონკურენტუნარიანობას, უნდა დადგინდეს ინფორმაციის გამჟღავნების გავლენა სს „...“ კონკურენტუნარიანობაზე. სააპელაციო პალატამ მიუთითა „კონკურენციის შესახებ“ კანონის მე-3 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტში მოცემული კონკურენციის დეფინიციაზე და აღნიშნა, რომ მოსარჩელე მოთხოვნას ასაბუთებს იმით, რომ ელექტროენერგიას ის ყიდულობს მცირე ჰესებისგან, რომლებსაც არ გააჩნიათ არანაირი ვალდებულება მათ მიერ გამომუშავებული ელექტროენერგია მიჰყიდონ მხოლოდ სს „...“. გარდა პირდაპირი მომხმარებლებისა ბაზარზე ფუნქციონირებს სამი ელექტროგამანაწილებელი კომპანია, რომლებიც ელექტროენერგიას სს „...“ მსგავსად, ყიდულობენ მცირე ჰესებისგან. შესაბამისად, არ არის გამორიცხული რომელიმე პირდაპირი მომხმარებლის ან სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის მიერ სს „...“ სულ მცირე ოდენობით ზედმეტი საფასურის შემოთავაზება, რასაც შესაძლოა მოჰყვეს ჰესების მხრიდან სს „...“ უკვე გაფორმებული ხელშეკრულებების ფასის გაძვირება ან უარეს შემთხვევაში საერთოდ ხელშეკრულების შეწყვეტა. ასეთ პირობებში სს „...“ იძულებული გახდება ელექტროენერგია შეი-

ძინოს გაცილებით ძვირად. სააპელაციო პალატამ გაიზიარა მოსარჩელის მსჯელობა მასზე, რომ კონკურენტი სანარმოების მიერ ელექტროენერჯის გამყიდველებისათვის სს „...“ შედარებით უფრო ხელსაყრელი პირობების შეთავაზებამ შესაძლოა გამოიწვიოს მოსარჩელისათვის არახელსაყრელი შედეგები – ხარჯების ზრდა, შემოსავლებისა და მოგების შემცირება, რაც თავისთავად გავლენას იქონიებს სანარმოს კონკურენტუნარიანობაზე.

სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა აპელანტის მსჯელობა მასზე, რომ ელექტროენერჯის ნასყიდობისა და ელექტროენერჯის გატარების ხელშეკრულებების კომერციულ საიდუმლოებად მიჩნევით შეილახება მომხმარებლის უფლებები, რომლებსაც უფლება აქვთ ჰქონდეთ ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა ფასად ყიდულობს სს „...“ ელექტროენერჯიას, რომელიც შემდეგ მომხმარებლებს მიეწოდება. მოსარჩელის მოთხოვნას შეადგენს კომერციულ საიდუმლოებად არა ჯამური ინფორმაციის მიჩნევა იმის შესახებ, თუ რა ფასად ყიდულობს საერთო ჯამში იგი ჰესებისაგან ელექტროენერჯიას, არამედ კომერციულ საიდუმლოებად ინფორმაციის გამოცხადება იმის შესახებ, თუ კონკრეტულ შემთხვევაში, კონკრეტული ელექტროენერჯია ვისკან და რა ფასად შეიძინა. აქედან გამომდინარე, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ მომხმარებლების უფლებების დარღვევას ადგილი არ ექნება სადავო ინფორმაციის კომერციულ საიდუმლოებად მიჩნევით.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გასაჩივრდა საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მიერ.

კასატორი თვლის, რომ სადავო აქტი არ აყენებს ზიანს მოსარჩელეს. ბაზარზე პირდაპირი მომხმარებლების გარდა სს „...იას“ ჰყავს ორი კონკურენტი ენერგოგამანაწილებელი კომპანია: ქ. თბილისში – სს „თელასი“ და კახეთში – სს „კახეთის ენერგოდისტრიბუცია“. მცირე სიმძლავრის ჰესს არ უღირს ბუნებრივ მონოპოლიასთან ურთიერთობის გართულება, რომელთანაც ხანგრძლივ, მჭიდრო კავშირში იმყოფება, მით უფრო, რომ გაფორმებული ხელშეკრულებები ნაკისრი ვალდებულებების დარღვევისათვის მნიშვნელოვან პირგასამტეხლოებს, ჯარიმებსა და საურავებს ითვალისწინებს. სს „...იას“ 2014 წლამდე არ მოუმართავს დოკუმენტაციის კომერციულ საიდუმლოებად ცნობის მოთხოვნით, ინფორმაციის საჯაროობის პირობებში მოსარჩელეს რაიმე ზიანი არ მისდგომია, არ შეზღუდულა რაიმე ფორმით მისი კონკურენტუნარიანობა. კასატორი თვლის, რომ

კომერციული ფასეულობის მქონე ინფორმაციის დაცვის ინტერესი არ არის გადამწყვეტი, კომისიას დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში აქვს ინფორმაციის გასაიდუმლოებაზე უარის თქმის უფლებამოსილება. კომისიის 30.07.14 წ. №14 დადგენილებით დამტკიცებული მეთოდოლოგიის 26-ე მუხლის თანახმად, სატარიფო განაცხადის განხილვა მიმდინარეობს საჯარო წარმოების წესით, სატარიფო განაცხადი და თანდართული დოკუმენტები (გარდა იდენტიფიცირებად პირებთან დაკავშირებული პერსონალური ინფორმაციისა, აგრეთვე კომისიის მიერ კომერციულ საიდუმლოებად მიჩნეული ინფორმაციისა) საჯარო და ხელმისაწვდომი უნდა იყოს ნებისმიერი პირისათვის. ყველა დაინტერესებული პირი უფლებამოსილია გაეცნოს კომისიაში წარმოდგენილ საჯაროდ ხელმისაწვდომ მასალებს და წარუდგინონ კომისიას საკუთარი მოსაზრებები. კომისიის 04.12.08წ. №33 დადგენილებით განსაზღვრულია ელექტროსადგურების მიერ ელექტროენერჯის წარმოების ზედა ზღვარი, თბოელექტროსადგურების ელექტროენერჯის წარმოების ტარიფები და საქართველოს ერთიანი ელექტროენერგეტიკული სისტემის მარეგულირებელ სადგურად მიჩნეული ელექტროენერჯის წარმოების ლიცენზიანტების ტარიფები, რაც წარმოადგენს ნორმატიული აქტით აღიარებულ საჯარო ინფორმაციას. ინფორმაციის საჯაროობა ემსახურება მოქალაქეთა ინტერესების უზრუნველყოფას, ელექტროენერჯის მომხმარებელმა, რომელიც რეგულარულად იხდის განსაზღვრულ საფასურს, უნდა იცოდეს დადგენილი ტარიფის წარმომავლობის წყარო.

კასატორი ანიშნავს, რომ დელეგირებული კომპეტენციის ფარგლებში კომისიის საქმიანობა წარმოადგენს ადმინისტრირების ერთ-ერთ განსაკუთრებულ სახეს და ამდენად, იგი განსაკუთრებული მაკონტროლებელი ფუნქციების მატარებელია. სააპელაციო სასამართლომ ვერ უზრუნველყო სადავო აქტის ფორმალური და მატერიალური კანონიერების გადამოწმება, რამაც არსებითად იმოქმედა საქმის განხილვის შედეგზე. კასატორი ითხოვს სააპელაციო პალატის გასაჩივრებული განჩინების გაუქმებას, ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმას.

მონინალმდეგე მხარის სს „...“ წარმომადგენელმა საკასაციო საჩივრის საფუძვლები არ ცნო და აღნიშნა, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლომ საქმე განიხილა პროცესუალური დარღვევების გარეშე და საქმეზე არსებითად სწორი გადაწყვეტილება მიღებული. საკასაციო საჩივარში ციტირებული ნორმები ზოგადი ხასიათისაა, კასატორი არ უთითებს თუ რა კავში-

რი აქვთ ციტირებულ ნორმებს განსახილველ საქმესთან, ვის მიერ მოხდა მათი დარღვევა, რაში გამოიხატება კონკრეტულად ამ ნორმებით დაკისრებული ვალდებულებების შეუსრულებლობა. მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველს არ წარმოადგენს კონსტიტუციის 41-ე მუხლი, აღნიშნული პირიქით, ენერგოკომპანიის პოზიციებს ამყარებს. საქართველოს კონსტიტუციის 45-ე მუხლის მიხედვით ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, მათი შინაარსის გათვალისწინებით, ვრცელდება აგრეთვე იურიდიულ პირებზეც. კონსტიტუციის 41-ე მუხლი მოქალაქეებს ანიჭებს იმ დოკუმენტების გაცნობის უფლებას, რომლებიც არ შეიცავენ კომერციულ საიდუმლოებას. კონკრეტული კონტრაქტები, სადაც ელექტროენერჯის ყიდვა-გაყიდვის ფასი და ოდენობაა მითითებული, კომერციული საიდუმლოების ინფორმაციის მატარებელია. კომპანია მცირე სიმძლავრის ჰესებიდან ყიდულობს ელექტროენერჯიას, ჰესებს არანაირი ვალდებულება არ გააჩნიათ მხოლოდ სს „...“ მიჰყიდოს გამომუშავებული ელექტროენერჯია. გარდა პირდაპირი მომხმარებლებისა, ბაზარზე სამი ენერგოგამანაწილებელი კომპანია ფუნქციონირებს, რომლებიც ასევე ყიდულობენ ელექტროენერჯიას ჰესებისაგან. შესაბამისად, სრულებითაც არ არის გამორიცხული, რომ რომელიმე პირდაპირმა მომხმარებელმა, სადისტრიბუციო ენერგოკომპანიამ მოსარჩელეზე სულ მცირე ოდენობით ზედმეტი საფასური შესთავაზოს ჰესებს, რაც გამოიწვევს უკვე გაფორმებული ხელშეკრულების ფასის გაძვირებას, უარეს შემთხვევაში საერთოდ ხელშეკრულების შეწყვეტას (ისიც გასათვალისწინებელია, რომ ჰესების ბუნებრივი რესურსები შეზღუდულია, შეზღუდულია მათ მიერ გამომუშავებული ელექტროენერჯის ოდენობა). ენერგოკომპანია იძულებული იქნება გაცილებით ძვირად შეიძინოს ელექტროენერჯია, რათა შეასრულოს მასზე დაკისრებული ვალდებულება. ყოველივე აღნიშნული ცალსახად სს „...იას“ კონკურენტუნარიანობაზე უარყოფითად აისახება. სწორედ მენარმის კონკურენტუნარიანობისათვის ზიანის მიყენების შესაძლებლობა გაითვალისწინა ორივე ინსტანციის სასამართლომ. საფუძველს არის მოკლებული კასატორის ვარაუდი, რომ ჰესები ასე არ მოიქცევიან. სემეკ-ის 04.12.08წ. №33 დადგენილება „ელექტროენერჯის ტარიფების შესახებ“ ელექტროენერჯის მწარმოებელს ელექტროენერჯის გასაყიდ ზღვრულ ფასს უდგენს, გამყიდველს ბუნებრივია არაფერი უკრძალავს ნებისმიერ ფასად (ზედა ზღვრამდე) გააფორმოს ელექტროენერჯის ნასყიდობის ხელშეკრულებები. ღია არის მხოლოდ ჯამური ოდენობა და არა კონკრეტული ჰესიდან კონკრეტულ ფასად კომპა-

ნის მიერ ელექტროენერჯის შესყიდვა. მესამე პირებს რაიმე ინტერესი არ შეეღახებათ, თუ არ ეცოდინებათ გაფორმებული კონტრაქტების დეტალები. კასატორი არ ასაბუთებს თუ რა საჭიროებას წარმოადგენს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ელექტროენერჯის შესყიდვის მოცულობისა და ფასის გამჟღავნება. საჯარო ინფორმაცია ხელმისაწვდომია, თუ სზაკ-ის 27<sup>2</sup>.3 მუხლის თანახმად, პირმა არ მიუთითა ამ ინფორმაციის კომერციულ საიდუმლოებად მიჩნევა, რაც კომპანიამ განახორციელა. კომერციულ საიდუმლოებად მიჩნევისთვის იგი უნდა შეიცავდეს 27<sup>2</sup> მუხლის ერთ-ერთ პირობას, მათ შორის, კონკურენტუნარიანობისათვის ზიანის მიყენებას. სასამართლოებმა დააკმაყოფილეს კომპანიის სასარჩელო მოთხოვნის ნაწილი, კერძოდ, ენერჯის ნასყიდობისა და გატარების ხელშეკრულებების არ გასაჯაროების შესახებ, რათა სხვების მიერ კომპანიასთან შედარებით ხელსაყრელი პირობების შეთავაზებას არ გამოენვია სს „...იასათვის“ არასასურველი შედეგების დადგომა.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საქმის მასალების, საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლის, მხარეთა წარმომადგენლების ახსნა-განმარტების მოსმენის შედეგად საკასაციო სასამართლო თვლის, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალებით დასტურდება, რომ სს „...“ 25.04.14წ. წერილით ელექტროენერჯის განაწილების, გატარებისა და მოხმარების ტარიფის დასადგენად, სახელმწიფოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიას წარუდგინა სატარიფო განაცხადი. კომისიის 29.04.14წ. №06/03-7/86-1547 წერილით კომპანიას განესაზღვრა ვადა დამატებით წარმოსადგენი დოკუმენტაციისათვის. სატარიფო განაცხადის სრულყოფის მიზნით კომპანიამ კომისიას წარუდგინა დამატებითი დოკუმენტაცია. კომპანიამ 04.06.2014წ. შუამდგომლობით მიმართა ადმინისტრაციულ ორგანოს, რათა წარდგენილი დოკუმენტაციიდან რამდენიმე, კერძოდ: შესყიდვების სასაქონლო ზედნადებებისა და დღგ-ს ანგარიშ-შექტურების RS რეესტრის, 2013 წლის საბანკო ამონაწერის, საქონლის სამუშაოსა და მომსახურების შესყიდვის წესის ასლები, ბუღალტრული, იურიდიულ-საკონსულტაციო, აუდიტორულ მომსახურებაზე, ქონების იჯარაზე, სანარმოს დაცვაზე და სანარმოს ქონების დაზ-

ღვევაზე ხელშეკრულებების ასლები, მოქმედი სასესხო ხელშეკრულებები და გრაფიკები სზაკ-ის 27<sup>2</sup> მუხლის საფუძველზე კომპანიის კომერციულ საიდუმლოებად ყოფილიყო მიჩნეული და მისი დაცვის უზრუნველყოფის მიზნით, სხდომის ის ნაწილი, სადაც მოხდება კომერციული საიდუმლოების განხილვა დახურულად გამოცხადებულიყო. 12.06.14წ. სს „...“ კომისიაში დამატებით წარმოადგინა №500/755 წერილი, რომლითაც დამატებით მოითხოვა ელექტროენერჯის ნასყიდობისა და ელექტროენერჯის გატარების ხელშეკრულებების კომერციულ საიდუმლოებად ცნობა, ხოლო კომისიის საჯარო სხდომაზე განხილვისას მოთხოვნილი დოკუმენტების კომერციულ საიდუმლოებად მიჩნევის საფუძველად მიუთითა ის გარემოება, რომ ამ ინფორმაციის გამჟღავნებას შეიძლებოდა გავლენა მოეხდინა მის კურენტუნარიანობაზე.

სახელმწიფოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 13.06.14წ. №22/17 გადაწყვეტილებით სს „...“ მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია ნაწილობრივ იქნა ცნობილი კომერციულ საიდუმლოებად, კერძოდ, განხორციელებული შესყიდვების სასაქონლო ზედნაღებებისა და დღგ-ს ანგარიშფაქტურების (ე.წ. RS) რეესტრი, 2013 წლის საბანკო ამონაწერები, მოქმედი სასესხო ხელშეკრულებები და გადახდის გრაფიკები ცნობილ იქნა კომერციულ საიდუმლოებად. ამასთანავე, კომპანიას უარი ეთქვა „საქონლის, სამუშაოსა და მომსახურების შესყიდვის წესის“, სხვადასხვა მომსახურების შესყიდვასა და ქონების იჯარაზე გაფორმებული ხელშეკრულებების, აგრეთვე ელექტროენერჯის ნასყიდობისა და ელექტროენერჯის გატარების ხელშეკრულებების კომერციულ საიდუმლოებად ცნობაზე. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებით სს „...“ სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, კომისიის სადავო გადაწყვეტილების (13.06.14წ. №22/17) მე-3 პუნქტი ცნობილ იქნა ბათილად იმ ნაწილში, რომლითაც სს „...“ უარი ეთქვა ელექტროენერჯის ნასყიდობისა და გატარების ხელშეკრულებების კომერციულ საიდუმლოებად ცნობაზე და კომისიას დაევალა ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა. დანარჩენ ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა. მოსარჩელეს – სს „...“ საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება არ გაუსაჩივრებია, გადაწყვეტილება გასაჩივრდა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში. ამდენად, მოცემული საქმის განხილვის საგანს შეადგენს მხოლოდ კომისიის სადავო გადაწყვეტილების ის ნაწილი, რომელიც ეხება ელექტროენერჯი-



ის ნასყიდობისა და გატარების ხელშეკრულებების კომერციულ საიდუმლოებად გამოცხადებას.

„ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ კანონის 5.2 მუხლის თანახმად, ამ კანონით გათვალისწინებულ ცალკეულ, ინდივიდუალურ საკითხებზე კომისია თავისი კომპეტენციის ფარგლებში იღებს გადაწყვეტილებებს, რაც თავისი შინაარსით წარმოადგენს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს. მოსარჩელე ადმინისტრაციული ორგანოსგან მოითხოვს ხელშეკრულებების კომერციულ საიდუმლოებად ცნობის შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას. ამდენად, სახეზეა მავალდებელი სარჩელი (სასკ-ის 23-ე მუხ.), რომლის დაკმაყოფილება სასკ-ის 33-ე მუხლის თანახმად შესაძლებელია თუ აქტის გამოცემაზე უარი კანონს ეწინააღმდეგება. ამდენად, მოცემულ შემთხვევაში სასარჩელო მოთხოვნის მართლზომიერების გარკვევა საჭიროებს სადავო აქტის კანონიერების შემოწმებას. ვინაიდან სენმეკ-ის სადავო 13.06.14წ. №22/17 გადაწყვეტილება, სზაკ-ის მე-2 მუხლის „დ“ ქვეპუნქტის მიხედვით არის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, ამდენად, დავის გადაწყვეტა საჭიროებს ამ აქტის მე-3 პუნქტის იმ ნაწილის, რომლითაც კომპანიას უარი ეთქვა ელექტროენერგიის ნასყიდობისა და გატარების ხელშეკრულებების კომერციულ საიდუმლოებად გამოცხადებაზე, სათანადო, მოცემულ შემთხვევაში ენერგეტიკის, სფეროს მომწესრიგებელი საკანონმდებლო თუ კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებთან შესაბამისობის გარკვევას. აღნიშნულის მიუხედავად, სააპელაციო პალატის განჩინება სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის დასასაბუთებლად შემოიფარგლა მხოლოდ სზაკ-ის ნორმებისა და „კონკურენციის შესახებ“ კანონის მე-3 მუხლზე მითითებით მაშინ, როდესაც სააპელაციო საჩივრის ერთ-ერთი საფუძველი იყო პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ ელექტროენერგეტიკის დარგის მომწესრიგებელი კანონმდებლობის გამოუყენებლობა.

საქართველოს კონსტიტუციის 41.1 მუხლის შესაბამისად, საქართველოს ყოველი მოქალაქე უფლებამოსილია კანონით დადგენილი წესით გაცენოს სახელმწიფო დაწესებულებებში არსებულ ოფიციალურ დოკუმენტებს, თუ ისინი არ შეიცავს სახელმწიფო, პროფესიულ ან კომერციულ საიდუმლოებას. სზაკ-ის 2.1 მუხლის „მ“ ქვეპუნქტის თანახმად, საჯარო ინფორმაცია არის ოფიციალური დოკუმენტი (მათ შორის ნახაზი, მაკეტი, გეგმა, სქემა, ფოტოსურათი, ელექტრონული ინფორმაცია, ვიდეო

და აუდიოჩანანერები), ანუ საჯარო დაწესებულებაში დაცული, აგრეთვე საჯარო დაწესებულების ან მოსამსახურის მიერ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით მიღებული, დამუშავებული, შექმნილი ან გაგზავნილი ინფორმაცია, ასევე საჯარო დაწესებულების მიერ პროაქტიულად გამოქვეყნებული ინფორმაცია. სზაკ-ის 2.1 მუხლის „ნ“ ქვეპუნქტის მიხედვით, საიდუმლო ინფორმაცია არის საჯარო დაწესებულებაში დაცული, აგრეთვე საჯარო დაწესებულების ან მოსამსახურის მიერ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით მიღებული, დამუშავებული, შექმნილი ან გაგზავნილი ინფორმაცია, რომელიც შეიცავს პერსონალურ მონაცემებს, სახელმწიფო ან კომერციულ საიდუმლოებას. ამდენად, კომერციული საიდუმლოება არის საიდუმლო ინფორმაციის ერთ-ერთი სახეობა. კომერციული საიდუმლოების დეფინიციას განსაზღვრავს და ინფორმაციის კომერციულ საიდუმლოებად მიჩნევის პროცედურას ადგენს სზაკ-ის 27<sup>2</sup> მუხლი, რომლის თანახმად, კომერციული საიდუმლოება არის ინფორმაცია კომერციული ფასეულობის მქონე გეგმის, ფორმულის, პროცესის, საშუალების თაობაზე ან ნებისმიერი სხვა ინფორმაცია, რომელიც გამოიყენება საქონლის სანარმოებლად, მოსამზადებლად, გადასამუშავებლად ან მომსახურების გასანეგად, ან/და რომელიც წარმოადგენს სიახლეს ან ტექნიკური შემოქმედების მნიშვნელოვან შედეგს, აგრეთვე სხვა ინფორმაცია, რომლის გამჟღავნებამ შესაძლოა ზიანი მიაყენოს პირის კონკურენტუნარიანობას (27<sup>2</sup> მუხლის 1-ლი ნაწ.). ინფორმაციის წარდგენისას პირი ვალდებულია მიუთითოს, რომ ეს ინფორმაცია მისი კომერციული საიდუმლოებაა. საჯარო დაწესებულება ვალდებულია 10 დღის ვადაში კომერციულ საიდუმლოებად მიიჩნიოს ინფორმაცია, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ინფორმაციის ღიაობის ვალდებულება დადგენილია კანონით. თუ ინფორმაციის წარდგენისას საჯარო დაწესებულება არ მიიჩნევს ამ ინფორმაციას კომერციულ საიდუმლოებად, იგი იღებს გადაწყვეტილებას მისი ღიაობის თაობაზე, რასაც დაუყოვნებლივ აცნობებს შესაბამის პირს. გადაწყვეტილების მიღებიდან 15 დღის შემდეგ ინფორმაცია ხდება ღია, თუ პირმა, რომლის საკუთრებაცაა ეს ინფორმაცია, ამ ვადის გასვლამდე ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში, ხოლო საქართველოს საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით, სასამართლოში არ გაასაჩივრა ინფორმაციის ღიაობის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილება, რაც დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს საჯარო დაწესებულებას.

ამდენად, ინფორმაციისათვის კომერციული საიდუმლოების

სტატუსის მინიჭება მოითხოვს ინფორმაციის კომერციული საიდუმლოებისადმი მიკუთვნების დოკუმენტურ დადასტურებას. პერსონალური მონაცემების დაცვისაგან განსხვავებით კომერციული საიდუმლოების შემთხვევაში მისი დაცვა იმთავითვე არ არის პრეზუმირებული, ინფორმაციის დაცვის ინტერესი ამ შემთხვევაში თავისთავად არ იგულისხმება. პერსონალური მონაცემების დაცვის სამართლებრივი რეჟიმისაგან განსხვავებით, ინფორმაციის კომერციულ საიდუმლოებად მიჩნევის, მისთვის კომერციული საიდუმლოების სტატუსის მინიჭების სავალდებულო პირობას წარმოადგენს ნების გამოხატვა. ამასთანავე ინფორმაციის გასაიდუმლოება არ არის დამოკიდებული მხოლოდ სუბიექტის ნება-სურვილზე და მოსაზრებაზე. ინფორმაციის კომერციულ საიდუმლოებად გამოცხადებისთვის მფლობელს, ნების გამოხატვის გარდა, უნდა გააჩნდეს საჯარო დაწესებულებაში შენახული ინფორმაციის დაცულობის მიმართ გამართლებული, პატივსაცემი ინტერესი, რაც განპირობებულია საიდუმლოების მფლობელის შესაძლო თვითნებობის შეზღუდვის საჭიროებით, ვინაიდან კომერციულ საიდუმლოებად ინფორმაციის გამოცხადება აკისრებს სხვებს საიდუმლოების რეჟიმის დაცვის ვალდებულებას, ანიჭებს ინფორმაციის მფლობელს განსაკუთრებულ უფლებებს, ხოლო სახელმწიფოს ამ უფლებების უზრუნველყოფის პოზიტიურ ვალდებულებებს. ინფორმაციის მფლობელის უფლება წინააღმდეგობაში მოვიდოდა თავად უფლების ცნებასთან, უკეთეს იგი მხოლოდ სუბიექტურ შეხედულებაზე იქნება დამოკიდებული და არ დააკმაყოფილებდა რაიმე უნივერსალობის და ობიექტურობის კრიტერიუმს, სახელმწიფო ვალდებულია დაიცვას ობიექტურად იდენტიფიცირებადი და არა სუბიექტური გრძნობები.

კომერციულ საიდუმლოებად მიიჩნევა ინფორმაცია, რომელსაც გააჩნია კომერციული ღირებულება, რომლის გამჟღავნებაც ზიანის მომტანია პირის კონკურენტუნარიანობისათვის. პირი, რომელსაც შეეხება ინფორმაცია, თავად განსაზღვრავს ინფორმაციის ღირებულებას მისთვის და თავადვე ახდენს ინფორმაციის გასაიდუმლოების საკითხის ინიცირებას, მასვე ეკისრება მტკიცების ტვირთი იმისა, რომ ინფორმაციის მისაწვდომობა საფრთხის შემცველია მისთვის. სზაკ-ის 82-ე მუხლის თანახმად, განმცხადებელი უფლებამოსილია მოითხოვოს წარდგენილი კომერციული საიდუმლოების შემცველი ინფორმაციის დაცვა, თუ სურს ამ ინფორმაციის საიდუმლოების უზრუნველყოფა. შესაბამისად, მასვე ეკისრება ვალდებულება დაასაბუთოს თუ რა საფრთხეების მატარებელია მისთვის ინფორმაციის ღია და-

ტოვება. ამდენად, მტკიცების ტვირთი იმისა, რომ ინფორმაცია კომერციული ფასეულობის მატარებელია, მოსარჩელეს ეკისრება.

მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელე ინფორმაციის კომერციულ საიდუმლოებად გამოცხადებას მოითხოვს კოლეგიური ადმინისტრაციული ორგანოსაგან. ადმინისტრაციულ ორგანოში შესაძლოა სხვა პირთა კომერციული საიდუმლოება ინახებოდეს, საიდუმლოების სამართლებრივი რეჟიმის დაცვის უზრუნველყოფაზე ადმინისტრაციული ორგანო არის ვალდებული, მაგრამ თავად ამ ორგანოს საკუთარი კომერციული საიდუმლოება არ გააჩნია, ადმინისტრაციულ ორგანოსთან დაკავშირებული არც ერთი ინფორმაცია არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს კომერციულ საიდუმლოებად. სხვა პირის კომერციული საიდუმლოება ადმინისტრაციული ორგანოს მუშაკებისათვის სამსახურებრივი საიდუმლოების სტატუსით უნდა ინახებოდეს ანუ ადგილი აქვს კომერციული საიდუმლოების ერთგვარ ტრანსფორმირებას სამსახურებრივი საიდუმლოების რეჟიმში. სზაკ-ის 27<sup>3</sup> მუხლის მიხედვით, პროფესიულ საიდუმლოებას მიეკუთვნება ინფორმაცია, რომელიც წარმოადგენს სხვის პერსონალურ მონაცემებს ან კომერციულ საიდუმლოებას და პირისათვის ცნობილი გახდა პროფესიული მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით. პროფესიული საიდუმლოება არ შეიძლება იყოს ისეთი ინფორმაცია, რომელიც არ წარმოადგენს სხვა პირის პერსონალურ მონაცემებს ან კომერციულ საიდუმლოებას. დაცვის განსხვავებულ რეჟიმს განაპირობებს განსხვავებული სტატუსის მქონე სუბიექტებს შორის ინფორმაციის გაცემა. სზაკ-ის 28-ე მუხლის თანახმად, საჯარო ინფორმაცია ღიაა, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა და დადგენილი წესით სახელმწიფო, კომერციულ და პირად საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაციისა. საჯარო დაწესებულებაში დაცული ინფორმაცია არის ღია და ხელმისაწვდომი ყველასათვის მანამ, სანამ საპირისპირო არ იქნება დადგენილი კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნების დაცვით. საჯარო დაწესებულება უფლებამოსილია უარი განაცხადოს ინფორმაციის გაცემაზე მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ეს ინფორმაცია კანონით დადგენილი წესით გასაიდუმლოებულია, უკეთეს ინფორმაცია მოცემულ შემთხვევაში განეკუთვნება ინფორმაციის მიმწოდებელი პირის კომერციულ საიდუმლოებას. შესაბამისად, უნდა გაირკვეს განმცხადებლის – სს „...“ მიერ დადებული ელექტროენერჯის შესყიდვისა და ელექტროენერჯის გატარების ხელშეკრულებების კომერციულ საიდუმლოებისადმი მიკუთვნების შესაძლებლობა.

კომერციული საიდუმლოება არის ნებისმიერი ინფორმაცია, რომელსაც კომერციული ღირებულება აქვს ან ამ ინფორმაციის საფუძველზე შესაძლებელი უნდა იყოს მოგების მიღება სანარმოს ან ფიზიკური პირის მიერ. ეს ინფორმაცია შეიძლება იყოს გეგმის, პროცესის, ფორმულის სახით და ეხებოდეს საქონლის წარმოებას, გადამუშავებას, მომზადებას ან მომსახურების განევას. აღნიშნული ინფორმაცია შეიძლება წარმოადგენდეს სი-ახლეს ან ტექნიკური შემოქმედების მნიშვნელოვან შედეგს. კომერციულად მიიჩნევა ასევე ინფორმაცია, რომლის გამჟღავნებამ შეიძლება ზიანი მიაყენოს პირის კონკურენტუნარიანობას ბაზარზე. საიდუმლოების მფლობელის დაცვა ხდება მის მიერ არა მხოლოდ რაიმე განსაკუთრებული ინფორმაციის (მაგ., ბაზარზე დიდი მოთხოვნილების მქონე საქონლის შემადგენლობა) მფლობელობის უზრუნველყოფის თვალსაზრისით, არამედ ნებისმიერი მესამე პირების არამართლზომიერი ჩარევისაგან დაცვისათვის. საუბარია კომერციული საიდუმლოების მფლობელის უფლებაზე მისთვის სასურველი რეჟიმის დაცვაზე, ასეთ დროს უზრუნველყოფილია საიდუმლოების სამართლებრივი რეჟიმის არამართლზომიერი დარღვევისაგან დაცვა. კომერციული საიდუმლოების დაცვა არის საიდუმლოების მფლობელის ნორმალური საქმიანობის, ფუნქციონირების დაცვა და არა ავტორობის, გამომგონებლობის და ა.შ. დაცვა. მოცემულ შემთხვევაში კომერციულ საიდუმლოებად გამოცხადების მოთხოვნა არ ეხება ტექნიკურ მონაცემებს (საიდუმლოების მფლობელს შეუძლია პატენტირების შესაძლებლობის ნაცვლად აირჩიოს მის ხელთ არსებული ტექნიკური ხასიათის მონაცემების საიდუმლო სარგებლობა, ასეთი უპირატესობის დაკარგვის რისკით ნებისმიერი ობიექტურად შემდგარი საიდუმლოების დარღვევის შედეგად. ასეთი არჩევანის მოტივი შეიძლება იყოს ტექნიკური მონაცემების არაპატენტუნარიანობა ან სხვა ობიექტური და სუბიექტური მიზეზი). კომერციულ საიდუმლოებას შეიძლება შეადგენდეს როგორც ტექნიკური (ნახაზი, მოდელი, შტამპი), ასევე საქმიანი (მინოდების და რეალიზაციის არხები, კლიენტურის სია, ხელშეკრულებები) ხასიათის მონაცემები, რომლებსაც არსებითი მნიშვნელობა აქვს პირისათვის. ინფორმაცია, რომელიც შეადგენს კომერციულ საიდუმლოებას, არის ნებისმიერი ხასიათის მონაცემი (სანარმოო, ტექნიკური, ეკონომიკური, ორგანიზაციული და სხვ.), მათ შორის, პროფესიონალური საქმიანობის განხორციელების საშუალების შესახებ მონაცემები, რომლებსაც აქვთ მოქმედი ან პოტენციური კომერციული ღირებულება მათი მესამე პირების მიერ არცოდნის გამო და რო-

მელთა მიმართ მესამე პირებს არ აქვთ თავისუფალი წვდომის შესაძლებლობა კანონის საფუძველზე და ამ მონაცემების მიმართ ამოქმედებულია კომერციული საიდუმლოების რეჟიმი. განსახილველ შემთხვევაში კომერციული საიდუმლოების გამოცხადების მოთხოვნა ეხება საქმიანი ხასიათის მონაცემების (დადებული ხელშეკრულებების) კომერციულ საიდუმლოებად გამოცხადებას. ვინაიდან ინფორმაცია, რომლის კონფიდენციალურად ცნობას ითხოვს მოსარჩელე, არის არა პირველადი ანუ არ არის შექმნილი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ, არამედ ნაწარმოებია, შექმნილია ხელშეკრულების მხარეების მიერ, ხოლო საიდუმლო ინფორმაცია შეიძლება იყოს საჯარო დაწესებულებაში არა მხოლოდ შექმნილი, არამედ აგრეთვე მიღებული და დაცული ინფორმაცია (სზაკ-ის 2.1 მუხ. „ნ“ ქვეპუნქტი), შესაბამისად, ინფორმაციის მფლობელები (ხელშეკრულების მხარეები) დამოუკიდებლად წყვეტენ ინფორმაციისათვის კონფიდენციალური ინფორმაციის სტატუსის მინიჭების შესახებ ადმინისტრაციულ ორგანოში ინიცირების საკითხს. კომერციული საიდუმლოება ქმნის კონფიდენციალური ინფორმაციის რეჟიმს, რომელიც შესაძლებლობას აძლევს მის მფლობელს შეინარჩუნოს ბაზარზე მდგომარეობა ან მიიღოს სხვა კომერციული მოგება, გაზარდოს შემოსავალი, თავი აარიდოს გაუთვალისწინებელ დანახარჯებს. ინფორმაციის კონფიდენციალობა გულისხმობს კანონის საფუძველზე დადგენილ სპეციალურ სამართლებრივ რეჟიმს, რომელიც ითვალისწინებს ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შეზღუდვას, პირის (მფლობელის) თანხმობის გარეშე მესამე პირებისათვის გადაცემის აკრძალვას (კანონით პირდაპირ გათვალისწინებული შემთხვევების გარდა), პირის (ინფორმაციის მფლობელის) უფლებას დამოუკიდებლად გადანყვიტოს ინფორმაციის კონფიდენციალობის დაცვის საკითხი.

უკვე აღინიშნა, რომ ინფორმაციის კომერციულ საიდუმლოებად ცნობა საჭიროებს ინფორმაციის მფლობელის ნების გამოხატვას. კომერციული საიდუმლოება, როგორც სამართლით დაცული ობიექტი, არ არსებობს ინფორმაციის მფლობელის გარეშე (ამით განსხვავდება ის ნოუ-ჰაუსგან, რომელიც შესაძლოა არსებობდეს მფლობელისაგან დამოუკიდებლად). საიდუმლოების მფლობელის გამართლებულ პატივსაღებ ინტერესთან და ინფორმაციის გაუფრცვლელბობასთან ერთად, საიდუმლო ინფორმაციის ერთ-ერთი ნიშანი არის აგრეთვე მფლობელის ნება დაიცვას ინფორმაციის საიდუმლოება მესამე პირებისაგან. კონფიდენციალობა არის ინფორმაციის თვისება, მისი ნიშანი, რო-

მელიც მიცემულია მისთვის დაინტერესებული პირის მიერ. შესაბამისად, პირის ვალდებულება არ დაუშვას მისი გავრცელება, არის ამ თვისებების შედეგი. მოცემულ შემთხვევაში ინფორმაციის მფლობელი არის არა ერთი, არამედ რამდენიმე პირი (ელექტროენერჯის ნასყიდობის და გატარების ხელშეკრულებების მხარეები). კომერციული საიდუმლოების სპეციალური სამართლებრივი რეჟიმის ბუნებიდან გამომდინარე, ინფორმაციისათვის კომერციული საიდუმლოების სტატუსის მინიჭება შექმნის ვითარებას, რომლის პირობებში ის იმპერატიული, შესასრულებლად სავალდებულო იქნება იმ პირისთვის, რომელსაც ის წარედგინება (მოცემულ შემთხვევაში კომისიისათვის) და დისპოზიციური იქნება ინფორმაციის წარმდგენი სუბიექტისათვის (მოცემულ შემთხვევაში სს „...“) და იმ პირებისათვის, რომლებსაც ის უშუალოდ ეხება, კერძოდ ელექტროენერჯის გენერაციის და გატარების სუბიექტებისათვის ანუ სს „...“ მიერ დადებული შესაბამისი ხელშეკრულებების კონტრაჰენტებისათვის. უკანასკნელთა მიერ რაიმე დაინტერესება ასეთი ინფორმაციის გასაიდუმლოებით საქმის მასალებით არ იკვეთება, მათ ასეთი ნება-სურვილი არ გამოუთქვამთ, ხელშეკრულებების კომერციულ საიდუმლოებად გამოცხადების მოთხოვნით კომისიისათვის განცხადებით არ მიუმართავთ, ისინი საერთოდ არ არიან ჩართულნი საქმეში. შესაბამისად, არ იკვეთება ინფორმაციის კომერციულ საიდუმლოებად გამოცხადების ძირითადი პირობა – ინფორმაციის მფლობელის ნება. აღნიშნული ეხება ელექტროენერჯეტიკის დერეგულირებულ სფეროში მოქმედ სუბიექტთან დადებულ ხელშეკრულებებსაც, კერძოდ იმ საწარმოებთან დადებულ ხელშეკრულებებს, რომლებიც ტარიფის დადგენის გარეშე საქმიანობენ (მცირე სიმძლავრის ელექტროსადგურებს, აგრეთვე 01.08.08წ. შემდეგ აშენებულ ელექტროსადგურებს („ელექტროენერჯეტიკის და ბუნებრივი გაზის შესახებ“ კანონის მე-2 მუხ. „ჯ“ ქვეპუნქტი, 49<sup>3</sup> მუხ.)).

საიდუმლოება გულისხმობს ერთგვარ მონოპოლიას ინფორმაციაზე, ინფორმაციის მფლობელის განსაკუთრებულ უფლებას ინფორმაციაზე, მეორე მხარეს ეკისრება პასუხისმგებლობა საიდუმლო ინფორმაციის დასაცავად, მათ ეკრძალებათ ამ ინფორმაციის გადაცემა, გამოქვეყნება, ნებისმიერი საშუალებებით გავრცელება. ამასთანავე მესამე პირებს ევალებათ ამ ინფორმაციის მოპოვებისაგან თავის შეკავება. სწორედ ასეთ სამართლებრივ რეჟიმს ქმნის საწარმოო – კომერციული საიდუმლოება. უკვე აღინიშნა, რომ კომერციული საიდუმლოების დაცვა დისპოზიციურია ინფორმაციის მფლობელისათვის. კა-



ნონმდებლობა არ ითვალისწინებს ისეთი ინფორმაციის კომერციული საიდუმლოების რეჟიმში დაცვას, ინფორმაციის გავრცელების აკრძალვას, რომელსაც თავად ინფორმაციის მფლობელი ავრცელებს. საიდუმლოება არის ინფორმაცია მისი მფლობელისთვის, მაგრამ მესამე პირების მიმართ საიდუმლოება ენტროპიის, არცოდნის, გაურკვევლობის სახით ავლენს თავს. ამასში ვლინდება საიდუმლოების ფენომენის ორმაგი, პოლარული, ამბივალენტური ხასიათი. უფლება საიდუმლოებაზე მოქმედებს მანამ, სანამ დაცულია ინფორმაციაზე ფაქტობრივი მონოპოლია, აგრეთვე სახეზეა მისი დაცვის კანონით გათვალისწინებული პირობები. მოცემულ შემთხვევაში ინფორმაციის მფლობელი არის არა მხოლოდ სს „...“, არამედ ელექტროენერჯის ნასყიდობისა და გატარების ხელშეკრულებების კონტრაჰენტები, რომლებიც სს „...“ მსგავსად ფაქტობრივად ასევე არიან ინფორმაციის მფლობელები და აღნიშნულის გამო ამ ინფორმაციის კომერციული საიდუმლოების რეჟიმი მათთვის არ არის იმპერატიული. შესაბამისად, არ არის გამორიცხული ინფორმაციის გამჟღავნების შედეგად მისი ხელმისაწვდომობა, ასეთი ინფორმაციის მიმართ ვერ დგინდება შემდგომში საიდუმლოების რეჟიმი. ინფორმაციის მისაწვდომობა უკარგავს მას კომერციული ღირებულების ხარისხს. ინფორმაციაზე მონოპოლიის შენარჩუნება დამოკიდებულია, უპირველეს ყოვლისა თავად იმ პირზე, რომელმაც უნდა მიიღოს სათანადო ზომები ინფორმაციის საიდუმლოდ შენახვისა და ფაქტობრივი მონოპოლიის შენარჩუნებისათვის. განსახილველ შემთხვევაში ხელშეკრულებებისათვის კომერციული საიდუმლოების სტატუსის მინიჭება არ იქნება ხელშეკრულებების კონტრაჰენტებისათვის, როგორც ინფორმაციის მფლობელებისათვის, ხელშეკრულებებში ასახული ინფორმაციის (გასაყიდი ელექტროენერჯისა და გატარების მომსახურების ფასის, ოდენობის, ამ ხელშეკრულებებში ასახული სხვა ინფორმაციების) გავრცელების დამაბრკოლებელი გარემოება. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ინფორმაციის ერთიანობის, განუყოფლობის თვისებიდან გამომდინარე, მისი გავრცელება აზრს უკარგავს მის დაცვას.

სკ-ის 1105-ე მუხლის თანახმად, მენარმეს, რომელიც ფლობს საწარმო-კომერციულ საიდუმლოებას (ნოუ-ჰაუს), რომელიც წარმოადგენს განსაკუთრებული მნიშვნელობის ტექნოლოგიურ, ორგანიზაციულ ან კომერციულ ინფორმაციას, რაც დასტურდება მისი საიდუმლოდ შენახვისათვის განეული აუცილებელი და საკმარისი ღონისძიებით, განსაკუთრებული უფლება აქვს ამ ინფორმაციაზე. სკ-ის 1105-ე მუხლის თანახმად, საწარ-

მოო-კომერციული საიდუმლოების მფლობელს, ინტელექტუალური საკუთრების სხვა ობიექტის მფლობელის მსგავსად, გააჩნია მასზე განსაკუთრებული უფლებები. მფლობელის განსაკუთრებული უფლების დასაცავად მფლობელს უნდა ჰქონდეს მიღებული ზომები ინფორმაციის საიდუმლოდ შესანახად. სანარმოს საიდუმლოების მფლობელი უნდა ეცადოს დაიზღვიოს თავი და ნებისმიერ პირთან, რომელსაც ხელი მიუწვდება საიდუმლოებაზე, დადოს ე.წ. ხელშეკრულება საიდუმლოს გაუმჟღავნებლობის შესახებ (ხელშეკრულება კონფიდენციალურობის შესახებ), რომელიც მხარეებს უადვილებთ ერთმანეთთან ურთიერთობას, ვინაიდან მათ აღარ მოეთხოვებათ იმის მტკიცება, რომ ნდობაზე დამყარებული ურთიერთობები გააჩნიათ ერთმანეთთან. ასეთი ხელშეკრულება თავისთავად წარმოადგენს ასეთ დასტურს. მხარეებს შორის ასეთი ხელშეკრულების არარსებობის შემთხვევაში დამრღვევის პასუხისმგებლობა არ დგება. მხარეს არ წარმოუდგენია კონტრაჰენტებთან დადებული კონფიდენციალობის შესახებ ხელშეკრულებები ან ელექტრონული ნასყიდობისა და გატარების ხელშეკრულებები, რომლებიც შეიცავენ კონფიდენციალობის შესახებ დათქმის დებულებებს. ინფორმაციის კონფიდენციალურობის კატეგორიისადმი მიკუთვნება გულისხმობს თავისუფალი შეღწევისაგან დაცვას და მათი დაცვის ეფექტური სისტემის არსებობას. საიდუმლო ინფორმაცია სამართლის დაცვის განსაკუთრებულ ობიექტად იქცევა, საიდუმლოების დაცვის საშუალებანი: საიდუმლოების უფლების აღიარება, საიდუმლოების რეჟიმის დამრღვევის მოქმედების შეწყვეტა, ზიანის ანაზღაურება და სხვ, საშუალებები, რომლებზედაც შესაძლოა მიუთითოს საიდუმლოების მფლობელმა. ხელშეკრულებების კონტრაჰენტების, როგორც ინფორმაციის მფლობელებისათვის, ინფორმაციის გავრცელების აკრძალვის მოთხოვნა ვერ იმოქმედებს, ვინაიდან მათთვის კომერციული საიდუმლოების სამართლებრივ რეჟიმს ვერ ექნება იმპერატიული ხასიათი, შესაბამისად, არ არსებობს გენერაციისა და გატარების სუბიექტებისათვის ინფორმაციის გამჟღავნების აკრძალვის, ასეთი ინფორმაციის გავრცელებისა და გამოყენებისათვის მატერიალური ზიანის ანაზღაურების, კონკრეტული პირების მიმართ სანქციების გამოყენების, მათ შორის, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების (სისხლის სამართლის კოდექსის 202-ე მუხლი ითვალისწინებს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას კომერციული ან საბანკო საიდუმლოების შემცველი ინფორმაციის უკანონოდ შეგროვების, გახმაურების ან გამოყენებისათვის) საფუძველი.

დოკუმენტისათვის საიდუმლოს სტატუსის მინიჭება მოითხოვს გავრცელებისათვის პასუხისმგებლობის, დაცულობის მოთხოვნების ოპტიმალური სისტემის უზრუნველყოფას, რაც მოცემულ შემთხვევაში არ დასტურდება.

კონფიდენციალური ინფორმაციის გახმაურების და მაშასადამე კონფიდენციალობის დაკარგვის შემთხვევაში, მისი შემდგომი დაცვა არ მიიჩნევა „აუცილებლად დემოკრატიულ საზოგადოებაში“ (ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 26.11.1991წ. გადაწყვეტილება „ობსერვერი და გარდიანი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“, *Observer and Guardian v. the United Kingdom*). ინფორმაციის პოლარული, ურთიერთსაწინააღმდეგო მდგომარეობა – ერთი მხრივ, ინფორმაციის საიდუმლოება და მეორე მხრივ, საჯაროობა – მკვეთრად ავლენს ინფორმაციის ტრანსფორმირების მიმართულებას – როგორც წესი საიდუმლოებიდან საჯაროობისაკენ და არა პირიქით. მოცემულ შემთხვევაში ხელშეკრულებების კონტრაპუნქტების შესაძლებლობა – გაავრცელონ ინფორმაცია ხელშეკრულებების შესახებ, არ იძლევა კომერციული საიდუმლოების სამართლებრივი რეჟიმის დაცვის, მის უზრუნველსაყოფად ქმედითი ზომების მიღების შესაძლებლობას.

არ დასტურდება ინფორმაციის გავრცელების გამო მოსარჩელისათვის ზიანის მიყენება, კონკურენტუნარიანობის შელახვა, რაც წარმოადგენს ინფორმაციის კომერციულ საიდუმლოებად გამოცხადების პირობას. საგულისხმოა, რომ კომისიის მიერ სადავო აქტის მიღების მომენტისთვის სს „...“ იყო ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი ელექტროენერჯის წარმოებისა და განაწილების კომპანია. სს „...“ ელექტროენერჯის ბაზარზე არის დომინანტი სუბიექტი, შესაბამისად, მისი კონკურენტუნარიანობის შეზღუდვის მოსაზრებებით კომპანიის მიერ დადებული ელექტროენერჯის შესყიდვისა და ელექტროენერჯის გატარების ხელშეკრულებების კომერციულ საიდუმლოებად გამოცხადება არ არის დასაბუთებული. ზიანის ობიექტად კომპანია უთითებს საწარმოს კონკურენტუნარიანობას. კომერციული საიდუმლოების დაცვის საჭიროებას სამენარმეო საქმიანობისათვის კეთილსინდისიერი კონკურენციის პირობების შექმნა განაპირობებს. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს კონსტიტუციის 30.2 მუხლის თანახმად, სახელმწიფო ვალდებულია ხელი შეუწყოს თავისუფალი მენარმეობისა და კონკურენციის განვითარებას. აკრძალულია მონოპოლიური საქმიანობა, გარდა კანონით დაშვებული შემთხვევებისა, მომხმარებელთა უფლებები დაცულია კანონით. კონკურენცია არის მე-

ტოქეობა ცალკეულ სუბიექტებს (კონკურენტებს) შორის რაიმე ასპარეზზე უპირატესობის მოსაპოვებლად. ეკონომიკის სფეროში კონკურენცია გულისხმობს მენარმეთა შეჯიბრს საქონლის (მომსახურების) წარმოებისა და გასაღების ხელსაყრელი პირობებისათვის. ანალოგიური შინაარსისაა კონკურენციის ნორმატიული განმარტება, კერძოდ, „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, კონკურენცია არის შესაბამის ბაზარზე მოქმედ ან პოტენციურ ეკონომიკურ აგენტებს შორის მეტოქეობა ამ ბაზარზე უპირატესობის მოსაპოვებლად. შესაბამისად, კონკურენტუნარიანობა წარმოადგენს საწარმოს უნარს, უზრუნველყოს კომერციული წარმოება გარკვეულ ბაზარზე ისე, რომ გაუძლოს ანალოგიური საქონლის (მომსახურების) საბაზრო კონკურენციას. იმისათვის, რომ მენარმემ გაუძლოს კონკურენციას და იყოს კონკურენტუნარიანი, უნდა უზრუნველყოს მიმწოდებლებითვის/ მომხმარებლებისთვის ბაზარზე მოქმედ სხვა საწარმოსთან შედარებით ხელსაყრელი პირობების შეთავაზება. საქართველოს კონსტიტუციის 30.2 მუხლით დადგენილი აკრძალვა მონოპოლიურ საქმიანობასთან მიმართებით არ არის აბსოლუტური ხასიათის და სახელმწიფოს მხრიდან თავისუფალი მენარმეობისა და კონკურენციის განვითარებისათვის ხელშეწყობის ვალდებულების პირობებში ითვალისწინებს მონოპოლიური საქმიანობის გამონაკლის შემთხვევებსაც.

ეკონომიკური თვალსაზრისით კომერციული საიდუმლოება არის საწარმოს უპირატესობის უზრუნველყოფის ერთ-ერთი საშუალება, კომერციული საიდუმლოების დარღვევა განიხილება როგორც არაკეთილსინდისიერი კონკურენციის ფაქტი. „კონკურენციის შესახებ“ კანონის მე-6 მუხლის მიხედვით, დაუშვებელია დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენება. მოცემულ შემთხვევაში მხედველობაშია მისაღები, რომ ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის სექტორის მნიშვნელოვან ნაწილს ბუნებრივი მონოპოლიები შეადგენს. აღნიშნული განაპირობებს მარეგულირებელი ორგანოს რეგულირების ფუნქციის გაძლიერებას, რაც ორმხრივი ინტერესების გათვალისწინებით, სამართლიანი მიდგომის პრინციპის დაცვით, უზრუნველყოფს მომსახურების ხარისხის მონიტორინგს და მომსახურების მიმწოდებელსა და მომხმარებელს შორის ურთიერთობების რეგულირებას. ამისათვის უნდა განისაზღვროს მომსახურების ხარისხის მონიტორინგის მარტივი და სამართლიანი წესები, რომლებიც გულისხმობს ინფორმაციის ხელმისაწვდომობას, ტრანსფარენტობის მაღალ ხარისხს. არსებული არაკონკურენ-

ტული ბაზრის რეგულირების მექანიზმების გამოყენებით საკანონმდებლო რეგულირება მონოდებულია უზრუნველყოს საქართველოს წყალმომარაგების, ელექტროენერჯისა და ბუნებრივი გაზის ბაზრებისა და ტარიფების სისტემების ჩამოყალიბება და ამ საფუძველზე წყალმომარაგების, ელექტროენერჯის წარმოების, გადაცემის, დისპეჩერიზაციის, განაწილების, იმპორტის, ექსპორტისა და მოხმარების განსახორციელებლად გაწეული, ეკონომიკურად მიზანშეწონილი ხარჯების ზუსტი ასახვა ტარიფების სისტემებში, საქართველოს ელექტროენერჯისა და ბუნებრივი გაზის ბაზრებისა და ტარიფების სისტემის ჩამოყალიბების უზრუნველყოფა და მათ საფუძველზე სატარიფო რეგულირების სამართლებრივი ბაზის შექმნა, რათა დაიცვას მომხმარებელი მონოპოლიური ტარიფებისაგან და ამავე დროს ხელი შეუწყოს ენერგეტიკის დარგის გრძელვადიან ფინანსურ მდგრადობასა და განვითარებას („ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ კანონის 1.2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი, 43-ე მუხ. „ა“ ქვეპუნქტი, სენმეკ-ის 08.06.11წ. №8 დადგენილებით დამტკიცებული „ელექტროენერჯის ტარიფების დადგენის მეთოდოლოგიის“ მე-4 მუხ. „ა“ ქვეპუნქტი).

სს „...“ 2007 წლიდან ოპერირებს ქართულ ბაზარზე. სატარიფო დოკუმენტაციის კომერციულ საიდუმლოებად ცნობის მოთხოვნით ამ კომპანიას კომისიისათვის 2014 წლამდე არ მიუმაართავს. შესაბამისად, იდენტური ინფორმაციის საჯაროობის პირობებში სს „...“ რაიმე ზიანი არ მისდგომია და არც მისი კონკურენტუნარიანობის რაიმე ფორმით შეზღუდვას ჰქონია ადგილი. პირიქით, ამ ხნის განმავლობაში სს „...“ ჩამოყალიბდა ამიერკავკასიის რეგიონის ერთ-ერთ ყველაზე მსხვილ ელექტროენერჯის წარმოების და განაწილების კომპანიად. სს „...“ მოთხოვნა ხელშეკრულებების კომერციულ საიდუმლოებად გამოცხადების შესახებ ემყარება იმ მოსაზრებებს, რომ კომპანიის მიერ ჰესებისაგან შესყიდული ელექტროენერჯის ფასის შესახებ ინფორმაციის მისაწვდომობა შესაძლოა გამოიწვიოს კონკურენტების მიერ ზღვრული ტარიფის ფარგლებში უფრო მაღალი ფასის შეთავაზება, რაც იძულებულს გახდის მას ანიოს შესყიდვის ფასი. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სადავო აქტის გამოცემის პერიოდში მოსარჩელე – სს „...“ თავადაც ფლობდა გენერაციის საწარმოებს. გენერაციის საწარმოების კომპანიიდან გამოყოფამდე, სს „...“ შექმნამდე (სს „...“ რეორგანიზაციის, კერძოდ, საზოგადოებიდან გაყოფის შედეგად, სს „...“ ერთი იურიდიული პირი – სს „...“ გამოიყო, კომპანია სსპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს იურიდიული პირების რეესტრში

23.12.2016წ. დარეგისტრირდა), სს „...“ ფლობდა და ამუშავებდა საშუალო და მცირე ზომის ჰიდროელექტროსადგურებს. გენერაციის გარდა სს „...“ არის ელექტროენერგიის დისტრიბუციის ყველაზე მსხვილი კერძო მფლობელი, სს „...“ წარმოადგენს წამყვან ჰიდროენერგეტიკულ ოპერატორს რეგიონში. ამდენად, მსგავსი ინფორმაციის გამჭვირვალობით აქამდე კომპანიას რაიმე სახის ზიანი არ განუცდია, ინფორმაციის გამჭვირვალობას არ გამოუწვევია ბაზარზე კომპანიის კონკურენტუნარიანობის შესუსტება.

მოსარჩელე თავისი მოთხოვნის არგუმენტაციას ძირითადად ამყარებს მცირე გენერაციის საწარმოებთან მის მიერ დადებული ხელშეკრულებებით გათვალისწინებულ ელექტროენერგიის ნასყიდობის ფასზე უფრო მეტი ფასის კონკურენტების მხრიდან შეთავაზების შესაძლებლობით. თუმცა მოსარჩელის მოთხოვნა ეხება არა მხოლოდ მცირე გენერაციის საწარმოებთან დადებულ ხელშეკრულებებს, არამედ მთლიანად ელექტროენერგიის ყოველგვარი ნასყიდობის და გადაცემის ხელშეკრულებების კომერციულ საიდუმლოებად ცნობას. სწორედ ეს მოთხოვნა დააკმაყოფილა პირველი ინსტანციის სასამართლომ, რომელიც უცვლელად დარჩა სააპელაციო სასამართლოს მიერ. საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება არის წინააღმდეგობრივი, სააპელაციო სასამართლო მსჯელობს მხოლოდ მცირე სიმძლავრის ჰესებისგან ელექტროენერგიის შესყიდვის ხელშეკრულებების ხელშეკრულებებით მოსარჩელისათვის ზიანის მიყენების შესაძლებლობაზე მაშინ, როდესაც პირველი ინსტანციის სასამართლოს გადანყვეტილებით, რომელიც უცვლელად დარჩა სააპელაციო სასამართლოს განჩინებით, ბათილად იქნა ცნობილი სენმეკ-ის სადავო გადანყვეტილების მე-3 პუნქტი არა მცირე სიმძლავრის ჰესებისაგან ელექტროენერგიის ნასყიდობისა და გატარების ხელშეკრულებების კომერციულ საიდუმლოებად ცნობაზე უარის თქმის ნაწილში, არამედ საერთოდ ყოველგვარი ასეთი ხელშეკრულებების კომერციულ საიდუმლოებად ცნობაზე უარის თქმის ნაწილში და კომისიას დაევალა ელექტროენერგიის ნასყიდობისა და ელექტროენერგიის გატარების ხელშეკრულებების კომერციულ საიდუმლოებად ცნობა არა გარკვეული, არამედ განუსაზღვრელი ვადით. მცირე სიმძლავრის ელექტროსადგური, „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ კანონის მე-2 მუხლის „ჰ<sup>5</sup>“ ქვეპუნქტის თანახმად, არის ელექტროსადგური, რომლის საპროექტო სიმძლავრე არ აღემატება 13 მეგავატს. ამავე მუხლის „ჯ“ ქვეპუნქტის თანახმად, მცირე

სიმძლავრის ელექტროსადგურისათვის დადგენილია დერეგულირების რეჟიმი ანუ ტარიფის დადგენის გარეშე საქმიანობის უფლების მინიჭება. სააპელაციო პალატამ სარჩელის მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძვლად მიუთითა მოსარჩელის მიერ მცირე სიმძლავრის ჰესებთან დადებული ხელშეკრულებების პირობები, თუმცა არ დაუდგენია ხელშეკრულების კონტრაჰენტის – მცირე სიმძლავრის ჰესის თანხმობა ხელშეკრულებების კომერციულ საიდუმლოებად გამოცხადებაზე, თვით ასეთი ხელშეკრულების დადების ფაქტი მაშინ, როდესაც კომისიის მიერ სადავო აქტის მიღების პერიოდში მოსარჩელე სს „...“ იყო მრავალი მცირე და საშუალო ჰესების მეპატრონე. ამასთანავე, ელექტროენერჯის გადაცემის ხელშეკრულებებისათვის კომერციული საიდუმლოების სტატუსის მინიჭების თაობაზე არც მოსარჩელეს და არც სასამართლოებს რაიმე არგუმენტი არ მოუყვანიათ.

კომისიის გადაწყვეტილების ნაწილობრივ ბათილად ცნობის საფუძვლად სააპელაციო სასამართლო უთითებს იმ გარემოებას, რომ მოსარჩელის მიზანია არა ჰესებისაგან ელექტროენერჯის შესყიდვის ფასის ჯამური ინფორმაციის კომერციულ საიდუმლოებად ცნობა, არამედ იმ მონაცემების საიდუმლოდ ცნობა, რომელიც შეიცავს ინფორმაციას იმის შესახებ თუ კონკრეტულად ვისგან და რა ფასად შეიძინა კომპანიამ ელექტროენერჯია. სააპელაციო პალატის განჩინებაში მოყვანილი აღნიშნული მოტივაცია მიღებულ გადაწყვეტილებასთან შეუსაბამოა. უკეთუ მოსარჩელის მიზანი იყო არა ხელშეკრულებების შინაარსის, არამედ მხოლოდ იდენტიფიკაციის დებულებების გასაიდუმლოება, ასეთ შემთხვევაში კომისიისათვის არა ელექტროენერჯის ნასყიდობის და ელექტროენერჯის გატარების ხელშეკრულებების კომერციულ საიდუმლოებად ცნობა, არამედ ხელშეკრულების დეპერსონალიზაცია, ანუ პირების მაიდენტიფიცირებელი მონაცემების გარეშე გასაჯაროება, ჰესების მონაცემების კომერციულ საიდუმლოებად გამოცხადება უნდა დაედგინა. ამდენად, გასაჩივრებული განჩინება წინააღმდეგობრივია, განჩინების სამოტივაციო ნაწილში მოყვანილი მოსაზრებები არ შეესაბამება სარეზოლუციო ნაწილის დანაწესს. ამასთანავე, საკასაციო პალატის სხდომაზე კომპანიის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ აქვს არა მხოლოდ ხელშეკრულების კონტრაჰენტების ვინაობის, არამედ აგრეთვე ხელშეკრულებების შინაარსობრივი ნაწილის (შესყიდული ელექტროენერჯის ოდენობის, შესყიდვის ფასის) კონფიდენციალობის მიზანი. მხედველობაშია მისაღები, რომ „პერსონალურ მონაცემთა დაცვის



შესახებ“ კანონი ვრცელდება ფიზიკურ და არა იურიდიულ პირებზე. საერთო წესის თანახმად, კომერციული საიდუმლოების დაცვა უნდა მოხდეს არა იურიდიული პირის მონაცემების, არამედ საიდუმლოების შემცველი ინფორმაციის დაცვით. თუ პერსონალური მონაცემების შემთხვევაში დაცვის ობიექტი შეეხება არა იმდენად ინფორმაციის შინაარსს, არამედ იდენტიფიკაციის მომენტს, პერსონიფიკაციას, კომერციული საიდუმლოების დაცვაში, თუ კანონმდებლობით სხვა რამ არ არის დადგენილი, არსებითი მნიშვნელობა აქვს ინფორმაციის შინაარსს. ამასთანავე, სენშეკ-ის 30.07.2014წ. №14 დადგენილებით დამტკიცებული „ელექტროენერჯის განაწილების, გატარებისა და მოხმარების ტარიფების გაანგარიშების მეთოდოლოგიის“ 26.7 მუხლის მიხედვით, შესაბამისი სატარიფო განაცხადი და თანდართული დოკუმენტები საჯარო და ხელმისაწვდომია ნებისმიერი პირისათვის, გარდა იდენტიფიცირებად პირებთან დაკავშირებული პერსონალური ინფორმაციისა. გარდა ამისა, ალსანიშნავია აგრეთვე, რომ საერთო, ჯამური მონაცემების გამოქვეყნება არ გამოორიცხავს, უფრო მეტიც, გულისხმობს ამ მონაცემების სისწორის გადამოწმების შესაძლებლობას, რაც შეუძლებელი იქნება ხელშეკრულებების ტექსტების ხელმიუწვდომლობის პირობებში.

მოსარჩელე დოკუმენტაციისათვის კომერციული საიდუმლოების მინიჭების მოტივად ინფორმაციის შემცველობას ასახელებს, კერძოდ, ნასყიდობის და გატარების მომსახურების ფასს, რომელიც დადგენილი ტარიფებით განისაზღვრება. ენერგეტიკული ბაზრის ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის აუცილებელია გამჭვირვალე და სამართლიანი ტარიფების დადგენა. სამართლიანმა ტარიფმა უნდა უზრუნველყოს, ერთი მხრივ, მომსახურების განევასთან დაკავშირებული ხარჯების სრულად ანაზღაურება, ხოლო მეორე მხრივ, მომხმარებლის მიერ მაღალი ხარისხის მომსახურების მიღება სამართლიან და გამჭვირვალე ფასად (საქართველოს პარლამენტის 24.06.15წ. დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს ენერგეტიკის დარგში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები“, მე-2 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტი). კანონმდებლობა ითვალისწინებს ტარიფის ორ სახეობას – ზუსტად განსაზღვრულს და მაქსიმალური ზღვარით განსაზღვრულს. „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ კანონის 43.11 მუხლის შესაბამისად, იმ ელექტროენერჯის წარმოების ლიზენციატს, რომელიც ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით „ელექტროენერჯის (სიმძლავრის) ბალანსით“ მიჩნეულია ქვეყნის ერ-

თიანი ელექტროენერგეტიკული სისტემის მარეგულირებელ სადგურად, უდგინდება კანონით გათვალისწინებული ფიქსირებული ტარიფი. სენშეკ-ის 04.12.08წ. №33 დადგენილებით განსაზღვრულია არა მხოლოდ ჰიდროელექტროსადგურების მიერ წარმოებული ელექტროენერგიის გასაყიდი ზღვრული ტარიფები (ზედა ზღვარი), არამედ აგრეთვე თბოელექტროსადგურების ელექტროენერგიის წარმოების ზუსტად განსაზღვრული ტარიფები (მე-2 მუხ.) და საქართველოს ერთიანი ელექტროენერგეტიკული სისტემის მარეგულირებელ სადგურად მიჩნეული ელექტროენერგიის წარმოების ლიცენზიატების ფიქსირებული ტარიფები (მე-3 მუხ.), რაც წარმოადგენს ნორმატიული აქტით აღიარებულ საჯარო, საყოველთაოდ ხელმისაწვდომ ინფორმაციას. ტარიფის შესახებ ინფორმაცია წარმოადგენს ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით აღიარებულ საჯარო ინფორმაციას და ხელმისაწვდომია ნებისმიერი პირისათვის. აღნიშნულის მიუხედავად, კომისიას დაევალა ელექტროენერგიის შესყიდვის ყველანაირი ხელშეკრულების, მათ შორის, ნორმატიულად განსაზღვრული ინფორმაციის, კომერციულ საიდუმლოებად გამოცხადება.

კომისიის 04.12.08წ. №33 დადგენილების მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის ამჟამად მოქმედი რედაქცია ითვალისწინებს სს „...ის“ მიერ გამანაწილებელი ქსელით ელექტროენერგიის გატარების არა ზღვრულ, არამედ ზუსტად ფიქსირებულ ტარიფებს, რომლის გაანგარიშება სენშეკ-ის 30.07.14წ. №14 დადგენილებით დამტკიცებული „ელექტროენერგიის განაწილების, გატარებისა და მომსახურების ტარიფის გაანგარიშების მეთოდოლოგიის“ მე-15 მუხლის თანახმად, ხდება განსაზღვრული ფორმულით. გატარების ტარიფები იანგარიშება განაწილების ლიცენზიატის მიერ გატარების მომსახურებაზე განეული ხარჯებისა და გატარების ელექტროენერგიის რაოდენობის საფუძველზე („ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ კანონის 43.7 მუხ.). ტარიფები მტკიცდება კომისიის ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით („ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ კანონის მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტი), ქვეყნდება ოფიციალურ გამოცემაში, სავალდებულოა შესასრულებლად, მისგან განსხვავებულ ტარიფზე შეთანხმება ხელშეკრულების მხარეებს შორის არ იშვება. ელექტროენერგიის გატარების ტარიფის ანუ განაწილების ლიცენზიატის მიერ ელექტროენერგიის გამანაწილებელი ქსელის მეშვეობით სხვისი კუთვნილი ელექტროენერგიის გატარებაზე განეული მომსახურების ფასის კანონქვემდებარე

ნორმატიული აქტით ზუსტად ფიქსაცია გამორიცხავს ხელშეკრულების მხარეების მიერ მის შეცვლას. შესაბამისად, არ არის დასაბუთებული ელექტროენერგიის გატარების ხელშეკრულების კომერციულ საიდუმლოებად ცნობაზე კომისიის სადავო აქტის ბათილად ცნობა და კომისიისათვის ასეთი ინფორმაციის კომერციულ საიდუმლოებად გამოცხადების შესახებ აქტის გამოცემის დავალება. ზუსტად განსაზღვრული ტარიფის ასახვა გატარების ხელშეკრულებაში არ უკავშირდება კონკურენტულ უპირატესობას ან ამ უპირატესობის დაკარგვას.

რაც შეეხება ზღვრული ტარიფის ფარგლებში ელექტროენერგიის შესყიდვის ფასებს, ტარიფების გაანგარიშებისას კომისია ხელმძღვანელობს სანარმოს მიერ შესყიდული და განაწილებული ელექტროენერგიის რაოდენობის ფაქტობრივი მონაცემებით, განაწილების ლიცენზიატის მიერ შესასყიდი ელექტროენერგიის საშუალო შეწონილი ფასის განსაზღვრისათვის სანარმო ვალდებულია კომისიას წარუდგინოს ელექტროენერგიის კონკრეტული წყაროებიდან შესყიდვის სავარაუდო რაოდენობა და ფასი, აგრეთვე ელექტროენერგიის შესყიდვასთან დაკავშირებული სხვა საპროგნოზო დანახარჯები, როგორცაა გადაცემის, დისპეტჩერიზაციის მომსახურებასა და გარანტიური სიმძლავრის შესყიდვასთან დაკავშირებული დანახარჯები (სენმეკ-ის 30.07.146. №14 დადგენილებით დამტკიცებული „ელექტროენერგიის განაწილების, გატარებისა და მომსახურების ტარიფების გაანგარიშების მეთოდოლოგიის“ მე-17 მუხ.). სზაკ-ის 10.1 მუხლის თანახმად, ყველას აქვს უფლება გაეცნოს ადმინისტრაციულ ორგანოში არსებულ საჯარო ინფორმაციას, აგრეთვე მიიღოს მისი ასლები, თუ ისინი არ შეიცავენ სახელმწიფო, პროფესიულ ან კომერციულ საიდუმლოებას ან პერსონალურ მონაცემებს. სადავო აქტის მიღების დროს მოქმედი კომისიის 08.06.116. №8 დადგენილებით დამტკიცებული „ელექტროენერგიის ტარიფების დადგენის მეთოდოლოგიის“ 26-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, ყველა დაინტერესებული პირი უფლებამოსილია გაეცნოს კომისიაში წარმოდგენილ მასალებს და აღნიშნულთან დაკავშირებით კომისიას წარუდგინოს საკუთარი მოსაზრებები. ამდენად, ტარიფებთან დაკავშირებული დოკუმენტაცია ხელმისაწვდომი უნდა იყოს. „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ კანონის 44-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ა“-„გ“ ქვეპუნქტების თანახმად, კომისია სატარიფო განაცხადის განხილვისას და ტარიფის დადგენისას ეყრდნობა დასაბუთებულ სატარიფო განაცხადს. სატარიფო განაცხადის დასაბუთებულობის გარკვევამ შესაძლოა სა-

ჭირო გახადოს განუელი დანახარჯების, შესყიდვების რაოდენობის და მაშასადამე ხელშეკრულებების გაცნობა.

იმის გათვალისწინებით, რომ დავა ეხება არა მხოლოდ დერეგულირებულ, არამედ რეგულირებად სფეროსაც, ზოგადად შესყიდული და გატარებული ელექტროენერჯის შესახებ ინფორმაციას, შესაბამისად დავის გადაწყვეტა საჭიროებს ენერგეტიკის მომწესრიგებელი კანონმდებლობით დადგენილი პროცედურების გათვალისწინებას. სზაკ-ის 27<sup>2</sup> მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, საჯარო დანესებულება ვალდებულია 10 დღის ვადაში კომერციულ საიდუმლოებად მიიჩნიოს ინფორმაცია, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ინფორმაციის ღიაობის ვალდებულება დადგენილია კანონით. კომისიის 07.08.03წ. №12 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მიერ ადმინისტრაციული წარმოების განხორციელების დებულების“ 11.1 მუხლი, სზაკ-ის 2.1 მუხლის „ნ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციის კომერციულ საიდუმლოებად მიჩნევის გამომრიცხავ გარემოებად ასევე ითვალისწინებს ისეთ გარემოებას, როდესაც ინფორმაციის ღიაობის ვალდებულება დადგენილია კანონმდებლობით.

საიდუმლოების დაცვაში კანონმდებელი იყენებს ღირებულებათა შეფასების მეთოდს, პრიორიტეტთა გარკვეულ სისტემას, პროპორციულობას, მოქმედებს უკიდურესი აუცილებლობის პრინციპი: ნაკლები სოციალური ღირებულება უფრო მნიშვნელოვანი სოციალური ღირებულების დაცვას ენიჭება (სზაკ-ის 99.2 მუხ.). ინფორმაციის საიდუმლოდ გამოცხადების უფლებას უპირისპირდება ადმინისტრაციული წარმოების ინფორმაციის საჯაროობის ვალდებულება, რომელიც ემსახურება საქმიანობის გამჭვირვალობისა და მოქალაქეთა ინტერესების დაცვას. კომისიის ამოცანას შეადგენს მათ შორის ბალანსის დაცვა, ინტერესთა პროპორციულობის უზრუნველყოფა („ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ“ კანონის 1-ლი მუხ.). კომპანიის მიერ მიწოდებული ინფორმაციის ობიექტურობის, სატარიფო განაცხადის შესაბამისობის დადგენა, ნორმატიული აქტის მიღებით ტარიფის განსაზღვრა სენმეკ-ის კომპეტენციის უმნიშვნელოვანესი ასპექტთაგანია, რომლის სამართლებრივი შედეგი აისახება კომისიის საქმიანობაზე, მომხმარებლის უფლებების დაცვაზე, სამართლიანი წესრიგის უზრუნველყოფაზე. შესაბამისად, ოპტიმალური, პროპორციული ტარიფის განსაზღვრისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ამ პროცესის გამჭვირვალობას. ტარიფთან დაკავშირებული წარ-

მოება განსაკუთრებულ საჯარო ინტერესს იწვევს და ამ წარმოების დროს მოსარჩელის მიერ წარდგენილი ინფორმაციის გასაიდუმლოებამ შესაძლოა მიაყენოს ზიანი მომხმარებელს, რომელიც არის ელექტროენერჯის მომხმარებელი და დაინტერესებულია რაციონალური, ობიექტური, გონივრული ტარიფის დადგენაში. ელექტროენერჯის ღირებულება არის ქვეყანაში წარმოებული საქონლის ყველა სახეობის ფასების სტაბილიზაციის ძირითადი ფაქტორი, ვინაიდან ელექტროენერჯიაზე დანახარჯები ნებისმიერი წარმოების დანახარჯებში შედის. ელექტროენერჯის ობიექტური ფასი, რაციონალური ტარიფი, ხელს უწყობს არა მხოლოდ ენერგეტიკული დარგის, არამედ აგრეთვე მთლიანად ეკონომიკის განვითარებას. ელექტროენერჯის ბაზარზე სუბიექტებს შორის ურთიერთობა უნდა აიგოს თანამშრომლობისა და ნდობითი (ფიდუციალური) ურთიერთობების საფუძველზე, ასეთი ურთიერთობის აგება შეუძლებელია გამჭვირვალობის, ინფორმაციის მისაწვდომობის გარეშე.

ელექტროენერჯის ნასყიდობისა და გატარების ტარიფები აისახება ელექტროენერგეტიკის ბაზარზე მოქმედი სუბიექტების მიერ დადებულ ხელშეკრულებებში. სენმეკ-ის 30.07.2014წ. №14 დადგენილებით დამტკიცებული „ელექტროენერჯის განაწილების, გატარებისა და მოხმარების ტარიფების განაგარიშების მეთოდოლოგიის“ 3.1 მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, უზრუნველყოფილი უნდა იყოს გამჭვირვალე, სტაბილური და სამართლიანი სატარიფო განაკვეთების დაწესება. მეთოდოლოგიის 26-ე მუხლის, ასევე სზაკ-ის 103-ე მუხლის 1<sup>1</sup> ნაწილის შესაბამისად, სრულყოფილად წარმოდგენილი სატარიფო განაცხადის მიღების შემდეგ ან კომისიის ინიციატივით ტარიფის გადახედვის შემთხვევაში კომისიის, როგორც კოლექტიური ადმინისტრაციული ორგანოს, გადაწყვეტილებით იწყება საჯარო ადმინისტრაციული წარმოება და შესაბამისი ცნობა ქვეყნდება კომისიის ვებგვერდზე. სატარიფო განაცხადის განხილვა მიმდინარეობს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული საჯარო ადმინისტრაციული წარმოების წესით („ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ“ კანონის 4.5 მუხ.). ყველა დაინტერესებული პირი უფლებამოსილია გაეცნოს კომისიაში წარდგენილ საჯაროდ ხელმისაწვდომ მასალებს და აღნიშნულთან დაკავშირებით კომისიას წარუდგინოს საკუთარი მოსაზრებები (სზაკ-ის 106<sup>4</sup>, 117-ე მუხ.). ეროვნული მარეგულირებელი ორგანო ვალდებულია სზაკ-ის IX თავით დადგენილი წესით მოაწყოს საჯარო განხილვები სალიცენზიო და სატარიფო უფლებამოსილებების განხორციელების თაობაზე. ასეთი

პროცედურის გარეშე გადანყვეტილების მიღება იწვევს აღნიშნული გადანყვეტილების ბათილობას. ეროვნული მარეგულირებელი ორგანოს გადანყვეტილებები ქვეყნდება დადგენილი წესით. ეროვნული მარეგულირებელი ორგანო ვალდებულია შეინახოს სხდომების ოქმები და სხვა სათანადო დოკუმენტაცია არანაკლებ 7 წლით. კომისიის წევრსა და დაინტერესებულ პირებს უფლება აქვთ დაუბრკოლებლად მიიღონ შესაბამის ეროვნულ მარეგულირებელ ორგანოში არსებული ყველა ჩანაწერი და სხვა დოკუმენტი. ეროვნული მარეგულირებელი ორგანოს ყველა გადანყვეტილება, ჩანაწერი და სხვა დოკუმენტი ხელმისაწვდომია საჯარო განხილვისათვის. ელექტროენერჯის შესყიდვისა და ელექტროენერჯის გადაცემის ხელშეკრულებების კომერციულ საიდუმლოებად გამოცხადება უცილობლად გამოიწვევს ამ დოკუმენტის, მასში ასახული ინფორმაციის, რომელიც ტარიფის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია, კომისიის საჯარო სხდომაზე განხილვის შეუძლებლობას, ვინაიდან „ელექტროენერჯისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ კანონის მე-13 მუხლის, „ეროვნული მარეგულირებელი ორგანოს შესახებ“ კანონის 4.5 მუხლის შესაბამისად, ინფორმაციის კონფიდენციალობის დაცვის მიზნით იმართება დახურული სხდომები.

სენშეკ-ის 18.09.08წ. №23 დადგენილებით დამტკიცებული „ელექტროენერჯეტიკის, ბუნებრივი გაზისა და წყალმომარაგების სექტორში საქმიანობის კონტროლისა და ლიცენზირების წესების“ მე-3 მუხლის თანახმად, მენარმე ვალდებულია ყოველწლიურად კომისიას წარუდგინოს საქმიანობის – მომსახურების პირობების დაცვის შესახებ ანგარიშგება, რომელიც სხვა ინფორმაციასთან ერთად, კომისიის მოთხოვნის შემთხვევაში უნდა შეიცავდეს მის მიერ გაფორმებულ ხელშეკრულებებს. საქართველოს ენერჯეტიკის მინისტრის 30.08.06წ. №77 ბრძანებულებით დამტკიცებული „ელექტროენერჯის (სიმძლავრის) ბაზრის წესების“ მე-11 მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად, კვალიფიციური საწარმოები ვალდებული არიან გაამჟღავნონ ის ინფორმაცია, რომელიც ამ წესებისა და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად მიჩნეულია ღია ინფორმაციად, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც კანონი ითვალისწინებს მესამე პირებისათვის ამ ინფორმაციის მიუწოდებლობის პირობას. წესების თანახმად, ღია ინფორმაციად მიიჩნევა: შესყიდული და გაყიდული ელექტროენერჯის მოცულობები – ელექტროენერჯის ფასის მითითებით; შესყიდული საბალანსო ელექტროენერჯის მოცულობისა და ფასების შესახებ; ელექტროენერჯეტიკულ სისტემაში წინასწარ გაფორმებული პირდაპირი ხელშეკ-



რულების გარეშე არსებული ელექტროენერჯის მოცულობისა და გამყიდველის მხრიდან შემოთავაზებული ფასის თაობაზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელის მიერ ინფორმაციის კომერციულ საიდუმლოებად გამოცხადების მოთხოვნის საჯარო დანაწესთან, ნორმატიული აქტებით დადგენილი ინფორმაციის ღიაობის, მისანვდომობის რეჟიმთან შესაბამისობა არ არის დასაბუთებული. სენმეკ-ის 18.09.08წ. №23 დადგენილებით დამტკიცებული „ელექტროენერჯეტიკის, ბუნებრივი გაზისა და წყალმომარაგების სექტორში საქმიანობის კონტროლისა და ლიცენზირების წესების“ 2.2 მუხლის მიხედვით, მეწარმე ვალდებულია ელექტროენერჯეტიკისა და ბუნებრივი გაზის სექტორში საქმიანობა წარმართოს „ელექტროენერჯეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ კანონის, მის შესაბამისად გამოცემული სამართლებრივი აქტების, მათ შორის კომისიის მიერ მიღებული დადგენილების, გადაწყვეტილებისა და სხვა სახის მოთხოვნების შესაბამისად. ელექტროენერჯის მომხმარებელს აქვს უფლება იცოდეს კომპანიის მიერ დადგენილი ტარიფის წარმომავლობის წყაროს, მისი შემადგენელი ნაწილების შესახებ ინფორმაცია. ამდენად, სატარიფო რეგულირებასთან დაკავშირებული ინფორმაციის საჯაროობა ემსახურება ლეგიტიმურ მიზანს – უზრუნველყოს ინფორმაციის გამჭვირვალობა მომეტებული საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, რამდენადაც ელექტროენერჯის საფასურის რეგულარულ გადახედვას – მომხმარებელს უფლება აქვს იცოდეს დადგენილი ტარიფის წარმომავლობის წყარო. მოცემულ შემთხვევაში, ინფორმაციის ღიაობის ვალდებულება ნორმატიული დანაწესებით არის დადგენილი.

ამდენად, კომერციულ საიდუმლოებად ინფორმაციის გამოცხადების მოთხოვნა უნდა ემყარებოდეს გამართლებულ ეკონომიკურ, პატივსაღებ ინტერესს და უნდა შეესაბამებოდეს დადგენილ საჯარო წესრიგს, რაც მოცემულ შემთხვევაში არ დასტურდება. სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება არ შეიცავს მოთხოვნილი ინფორმაციის კომერციულ საიდუმლოებად გამოცხადების არგუმენტაციას. საქმის მასალებით დასტურდება, რომ სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებას საფუძვლად დაედო პირველი ინსტანციის სასამართლოს მოსაზრება იმის შესახებ, რომ კომისიის სადავო გადაწყვეტილების ის ნაწილი, რომლითაც სს „...“ უარი ეთქვა ელექტროენერჯის ნასყიდობისა და ელექტროენერჯის გატარების ხელშეკრულებების კომერციულ საიდუმლოებად ცნობაზე წინააღმდე-



გობაში მოდის მოცემული ურთიერთობის მარეგულირებელ სამართლებრივ ნორმებთან. აღნიშნული მოსაზრების დასადასტურებლად სასამართლოს არ აქვს მოყვანილი რაიმე არგუმენტი, სასამართლო არ უთითებს, თუ კონკრეტულად მოცემული ურთიერთობის მარეგულირებელ რომელ სამართლებრივ ნორმებს ენიშნა დედგება კომისიის უარი. ქვედა ინსტანციების სასამართლოებს დავა გადაწყვეტილი აქვთ ენერგეტიკის სფეროს მომწესრიგებელი კანონმდებლობის გამოყენების გარეშე.

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სააპელაციო პალატის გასაჩივრებული განჩინება არის დაუსაბუთებელი, განჩინება მოკლებულია სათანადო სამართლებრივ და ფაქტობრივ წინამძღვრებს, სახეზეა საკასაციო საჩივრის სსკ-ის 394-ე მუხლის „ე“<sup>1</sup> ქვეპუნქტით გათვალისწინებული აბსოლუტური საფუძველი – გადაწყვეტილება იმდენად დაუსაბუთებელია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია, რაც სსკ-ის 412-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად არის გასაჩივრებული განჩინების გაუქმებისა და საქმის ხელახალი განხილვისათვის დაბრუნების საფუძველი. სააპელაციო სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს ყოველივე ზემოაღნიშნული, სათანადო სამართლებრივი შეფასება მისცეს საქმის გარემოებებს და გამოიტანოს კანონიერი გადაწყვეტილება.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე, 399-ე, 412-ე მუხლებით და

### **და ა დ ბ ი ნ ა:**

1. საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 12.11.2015წ. განჩინება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. სასამართლო ხარჯების განაწილების საკითხი გადაწყდეს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების დადგენისას;
4. საკასაციო სასამართლომ განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## საკიებელი

1. **ადმინისტრაციული აქტის კანონიერების შემოწმება სასამართლოს მიერ**
  - სასაქონლო ნიშნის საყოველთაოდ ცნობილად აღიარება ..... 3
  - საერთაშორისო სამრეწველო-სასაქონლო ნიშნის დაცვაზე უარის თქმის შესახებ ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადის ათვლა ..... 36
  - ბუნებრივი აირის გადასახადის დავალიანების დარიცხვის კანონიერების შემოწმება ..... 58
  - საგრანტო კონკურსი და საგრანტო პროექტის საბოლოო შეფასება ..... 87
  - დაბადების აქტის ჩანაწერის კანონიერების შემოწმება ..... 114
  - მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შემოწმების განხორციელების აკრძალვის შესახებ მითითების კანონიერების შემოწმება ..... 123
2. **საჯარო და საიდუმლო ინფორმაციის გაცემის საკითხი**
  - საჯარო ინფორმაციის გაცემის ვალდებულება ..... 145
  - პერსონალური მონაცემების შემცველი ინფორმაცია ..... 158
  - პირის პერსონალურ მონაცემთა სამართლებრივი რეჟიმი ..... 173
  - ხელშეკრულების კომერციულ საიდუმლოებად ცნობა ..... 192

საქართველოს უზენაესი სასამართლო  
თბილისი 0110, ძმები ზუბალაშვილების ქ. №32  
ტელ.: (995 32) 299 72 23  
[www.supremecourt.ge](http://www.supremecourt.ge)